

რეტენატუნა და ხედივნება

N5

05/2006

1522/2
2006

თეზის

ჯარჯი ფსოველი

თეზის

ზაირა
არსენიშვილი

თეზის

რენე კალანდია

დიაპეგურის

ზაზა
ქინძლაძე

ანდრო
ბუარჩიძე

298

ქსეგურის

ელენე
ახვლედიანი

წერილობა

ნინო კობიაშვილი

მუსიკა

ნოდარ მამისაშვილი



ელენე ახვლედიანი

კახეთი. ზამთარი.



ელენე ახვლედიანი

ცხიკუა.

რიტენატუნა და სეროენება

N5
05/2006



გამომცემლობა
"ეროვნული მწერლობა"
ყოველთვიური ჟურნალი

ISSN 1512-3189

Literature And Art

პროექტის ავტორი და
ხელმძღვანელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი:
ტარიელ ხარხელაური

მთ. რედაქტორის
მოადგილე:
მანანა მიქელაძე

პასუხისმგებელი
მდივანი:
ზურაბ თორია


რედაქტორები:
დავით ტაკიძე
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი:
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:
ელენე ახვლედიანი

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.

გამოცემის სპონსორია



მ ა გ თ ი ა ო მ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წილობა, წიგნობა

- 3 ზაიხა ახენიშვილი - ჟოღაფი მთვახის შუქზე
- 17 ჯახჯი ფხოველი - ლექსები
- 20 გოჩა ხახანაული - ლექსები
- 23 ნინო სიხაყელიძე - ლექსები

დრამატურგია

- 26 ზაზა ქინქაძე - დიონისეს ელეგეთის თამაშები

თარგმანი

- 52 ალექსანდრე ჩაქსი - ლექსები
/თახტმანა ხენე კაღანდამ/
- 55 ვლადისლავ ხოდასევიჩი - ლექსები
/თახტმანა ანდრეი ბუჩიძემ/

ანოტივი

- 58 შალვა მშველიძე - დიუხი

წერილები

- 62 ნინო კობიაშვილი - სახემლის სიმბოლიკა

მხატვრობა

- 67 ნათელა უჩუაძე - ელენე ახვლედიანი

ქორეოგრაფია

- 71 თამაზ მიქელაძე - "უჩისიონი"

მუსიკა

- 75 ნოდარ მამისაშვილი - "და მოიქცეს მინა ქვეყნად"

- 80 ფოტოაქტივიზმი

საქონსუფიქსაციით სანძქათ:

ქაზე აძირუნი, ზაჩანა ზრუვაძე, ნანი ზრუვაძე,
პრინციპალი, მანუა ზრუვაძე, მარია ვინაძე,
თეოდორე, თამარ ჩუბინაძე, ვინაძე



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



24373

შათრს არსენიშვილი

ხოცაფი მთვახის შეახა

ნოთანი*
/გაგრძელება/

ბიჭი ტიტია კი დგას გაოგნებული, დაც-
რემლილ სახეს ხელისგულებით იწმენდავს...
„ნუ გეშინიან, ბიჭო, გენაცვალოს პაპა,“ ეუბ-
ნება ტიტიას მოხუცი კაცი, რომელსაც ხონ-
ჩით ახლადგამომცხვარი პური და ლავაში მი-
აქვს სასახლეში; აქვე, მცირე აღმართის ბო-
ლოს ცხოვრობენ მეფის პურის მცხოვრებლები,
სათონე აქვთ გამართული და მეფის სახლო-
ბას პურს უცხოებენ, „ყური მოვკარი თქვენს
ლაპარაკსა და ტყუილუბრალოდ გულს ნუ
გაიავებ, აბა, ეგ როგორ იფიქრე, რო იგეთი
გულმონყალე, როგორც ღვთისმშობელია,

ამისთანა ნორჩ გოგოს რამეს დაუშავებს,
ჰაა? აიღე ეს ერთი ლავაში, ქალები დღეს
ბევრს აცხოებენ, მიდექ განზე და შეჭამე, და-
გამშვიდებს და გულს გაპოვნინებს...“

„მადლობთ, პაპავ, დიდი მადლობა, მაშ,
არც დაჰკრუნჩხაავს? მაგის მამას ლეკის
ტყვეობაში ამოსძვრა სული, დედა კიდეც სა-
ხადით მოუკვდა, ცოდო არ არიი რო დაკრუნ-
ჩხოს?“ „არც დაჰკრუნჩხავს და ბენესაც არ
ჩამოუგდება თავიდან, ამისთანა ვედრებას
ღვთისმშობელი არც როდის არ შეისმენს, შენ
გული შიგნითა გქონდეს.“

„მაშ, გული დავიარხეინოო?“
„გოგოს მხრივ დაიარხეინე და მეფისთვის
კი ილოცე შენცა!“

„ვაიმეე, როგორ გადავხიახდი, ხონჩა რო
არ ჩამოგართვით, მიგიტანთ ადგილამდე.“

„კარგსაც იზამ, მე კიდე შიგნით შეგიყვან,
ბიჭები წასულელები არიან საქმეებზე, ვეშველე-
ბი ქალებსა, კიდეც არი პური ამოსატანი, ეს
ერთი ხონჩა ბატონიშვილ გიორგის კბილის
ქარადარ ეყოფა, ჰოდა, ნავიდეთ და ამოვიტა-
ნოთ...“

„ლავაშსაც რო მივალთ იქ შევჭამ, არაა,
პაპავ?!“

„შეშჩამ, მაშ, თუნდ ორიც შეჭამე...“

ქვევიდან ხმაური ისმოდა, მანქანის, ჭიშ-
კრის გალების, ადამიანების...

თიკოს შინაგანი სმენით სხვა ხმაურიც ეს-
მოდა, დარბაზიდან, ბატონიშვილების პაექ-
რობისა და შეხლა-შემოხლის... მაგრამ დრო
ალარ იცდიდა, თერთმეტის ნახევარი იყო
უკვე. დღეს ადრე მოვიდა, რვის ნახევარზე,
მყუდროდ ვიმუშავებო და მართლაც აქამდე
თავაუღებლად იჯდა და სწერდა. კიდეც კარ-
გი, ჭიშკარი ღია დახვდა, ყარაულიც ფეხზე
იყო, მებაღეც მოსულიყო და ბაღში მუშაობ-
და, ხეხილის ძირებს კირის ხსნარს უსვამდა.
თიკომ ყვავილნარი მოიბრინა, ხვიარა ვარ-
დებს თვალი შეავლო და მეციხოვნის ოთა-
ხისკენ გაქუსლა. ო, როგორ უყვარდა ეს
თავისი ბუდე... როგორ გაუხარდა, იანვრის
ერთ დღეს, ბ-მა შალვამ მუზეუმის წიგნების
კოლექციის მონესრიგება მას რომ დაავალა
ადგილის უქონლობის გამო მეციხოვნის ოთა-
ხი წიგნების საწყობად იყო ქცეული, ნაწილი
წიგნებისა ყუთებში და ძველ კარადებში იყო
მოთავსებული, ნაწილი კი, კანაფებგადაჭერი-
ლი, შეკრულები, შუა ოთახში დაზინული. ბო-
ლოს-ბოლოს პედინსტიტუტი ტოვებდა აქაუ-
რობას, მეორე სემესტრისთვის სტუდენტები
უკვე ახალ შენობაში დაინყებდნენ მეცადინე-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4.

საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდიუმი
ბიბლიოთეკა

ობას. მუზეუმშიც გაფართოვდებოდა, მთელი ის უზარმაზარი ფლიგელი, რუსების დროს მოშენებული, აგრეთვე, ყოფილი სამეფო დარბაზი, ინსტიტუტის სააქტო დარბაზად რომ იყო ქცეული, ეზო და ბაღი სულ მუზეუმის იქნებოდა. წიგნებს ახლა უკვე ფლიგელში ცალკე ოთახს გამოუყოფდნენ, მეციხოვნის ოთახში კი, ბ-ნ შალვას დიდი სურვილი ჰქონდა, უნდოდა ძველი ჟურნალ-გაზეთები: „ივერია“, „მოამბე“, „კვალი“, „ნაკადული“ და „ჯეჯილი“ „ცნობის ფურცელი“, „განათლება“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ. დაებინავებინა. და ამისათვის საჭირო იყო სასწრაფოდ ყველაფრის მონესრიგება. მაგრამ, რა არის კიდევ სათქმელი და ბა-ნმა შალვამ როგორც კი იგრძნო, რომ მეგობრულმა და ლამის მამობრივმა გრძნობამ თიკოს მიმართ ფერი იცვალა, (თვითონაც არ იცოდა როგორ, რანაირად,) მაშინვე გადაწყვიტა ძირშივე გაექარწყლებინა ეს ფერისცვალება, თიკო მოშორებით, მეციხოვნის ოთახში გაემნესებინა, თანაც დარწმუნებული იყო თიკოსავით ვერავინ გაუძღვებოდა წიგნების მონესრიგებასა და კატალოგის შედგენას, მხოლოდ ექსკურსიების დროსა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობისას ჩამოხტებოდა თავის ქანდარიდან, თვითონაც ცოტა გახალვათდებოდნენ, ყველანი ერეკლეს ოთახში რომ იყვნენ შეყუჟულები. თიკომ სიხარულით ტაში შემოსცხო, წიგნები უყვარდა, აინტერესებდა და ასეთ დავალებას დიდად საპასუხისმგებლოდ მიიჩნევდა; და კიდევ... ამ სიხარულს სხვა სარჩულიც ჰქონდა, თიკო ამ დავალებას სხვაგვარად ათარგმანებდა, მაინცდამაინც თავის გრძნობასთან აკავშირებდა და ბ-ნი შალვას მხრივ მისკენ გადმოდგმულ ნაბიჯად სთვლიდა: ნამდვილად თვითონაც რაღაც გრძნობა აქვს ჩემს მიმართო, სურდა ცალკე ვიყო, ხანდახან მაინც მარტონი დავრჩეთო, ხომ უნდა დამხედოს, შეამონმოს ჩემი საქმიანობაო, თანაც სულ, სულ, სულ განმარტოებით, მეციხოვნის ოთახშიო, ეს ეგრედნოდებული მეციხოვნის ოთახი მართლაც სრულიად განცალკევებით, აღმოსავლეთისკენ თაღოვანი შესასვლელის თავზე იყო წამომდგარი და ერეკლეს დროინდელ ნაგებობას წარმოადგენდა. ოთახს ოთხივე მხარეს ორორი ისრისებური სარკმელი ჰქონდა და აღმოსავლეთისკენ ქვის აივანზე გამავალი კარი. შესასვლელი კი ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებული კიბიდან ჰქონდა. მეციხოვნის ოთახი გამონაპირებული ხომ იყო და იყო, და კიბეც სრულიად მოფარებული იყო თვალს, რადგან ერთი მხრიდან ბატონის ციხის მაღალი, დაკბილული გალავანი ეფარებოდა, მეორე

მხრიდან მუზეუმის ჭიშკართან მიშენებული სახლაკი, ხოლო მესამიდან ორი ტოტებგაბარჯლული ნაძვის ხე.

„აბა, როგორ ფიქრობ, ხომ არ გაგიჭირდება აქ მუშაობა?“ ეუბნებოდა ბ-ნი შალვა თიკოს, იანვრის ბოლოს, ცივ, თოვლიან დღეს, პირველად რომ ამოიყვანა აქ. „რას ბრძანებთ, რატომ უნდა გამიჭირდეს?“ და სიხარულით გაბადრული თიკო თვალს ავლებდა ყუთებით, ძველი კარადებით, წიგნების ახვავებული ზვინებით ჩახერგილსა და მტვრით სავსე ოთახს. ფანჯრის ნიშებიც გამოჩურთული იყო ჟურნალებითა და დავთრებით. შემოსვლისთანავე ბ-მა შალვამ სინათლე ჩართო. პატარა, დამტვერილი ნათურა გაცრიატებულ, და თითქოს მტვრიან შუქს ჰფენდა იქაურობას. „აი, ამისთვის ვიკლავდი თავს, ინსტიტუტის გადასვლას რომ ვითხოვდი,“ ამბობდა ბ-ნი შალვა, „აბა, ეს საქმეა?“

„ის კარადები მგონი, სულ გადასაყრელია, ფანერის ძველი უშნო კარადები...“ „რა თქმა უნდა! ლევანს შევუკვეთავ თაროებს ახალი ბიბლიოთეკისთვისაც და სააქოთაც, ამ ოთახში მხოლოდ ძველი ჟურნალ-გაზეთები იქნება... შეიკარი ქურქი, თიკო, ხომ ხედავ რა სიცივე და ნესტია...“

„არა, არა, მე სულ არ მცივა, სულ არა...“ წკრიალა, ლამის მოჭიკჭიკე ხმით ამბობდა თიკო და თან ბორძიკ-ბორძიკით მიიკვლევდა გზას წიგნებს შორის... ბ-ნი შალვას შეკითხვაზე მანდ საით მიდიხარო, თავი მოატრიალა, გაუღიმა: „მინდა აი, ამ ფანჯრის რაფიდან ჩამოვალაგო წიგნები! აქედან ალბათ, რა მშვენიერი ხედიც იშლება!?“

არ გინდა, თიკო, მთლად გამტვრიანდები, ჩვენი დამლაგებელი დაალაგებს აქაურობას, მტვრებს კარგად განმენდავს, იატაკს მოხეხავს და მერე... ეგ ხედი შენს თვალწინ იქნებაო.

თიკომ კი ამასობაში წიგნები ჩამოალაგა, ფანჯრის რაფა გაანთავისუფლა და გახარებულმა შესძახა: „რა არაჩვეულებრივი პანორამაა! კავკასიონისკენაც და ცივისკენაც... თქვენ ვერ ხედავთ მაქედან, კარადა გეფარებათ, არადა, ზამთარში მაინც სულ სხვა კავკასიონი.“ და თიკომ ხელი გამოუწოდა ბ-ნ შალვას. „ოო, კავკასიონი ყოველთვის უზადოა, განსაკუთრებით შემოდგომობით, სპილენძის ფერი რომ დაჰკრავს... სალამობით კი მოისფრო ხდება...“

ბ-მა შალვამ გაუღიმა თიკოს, გადაინია, ხელი მიანოდა და ფანჯარასთან მივიდა. „შეხედე, თიკო, რა ვერ დაინახე!? ჭადარი! ჩვენი ბებერი ჭადარი...“ „რატომ ბებერი? სულ არ უხდება ჭადარს ეგ სიტყვა! ბებერი უძღურს



ნიშნავს და უყურეთ, რა ეტყობა სიბერის?“ „აბა, ასაკს არა აქვს მნიშვნელობა? რვაასი წელი ვითომ არაფერი?!“ „რა თქმა უნდა, არაფერი!“ რაღაც უცნაური აღფრთოვანებით შესძახა თიკომ. ბ-ნ შალვას კი, გეგონებათ ერთბაშად დარდი შემოაწვავა, ისეთი მოქურუხებული მზერა შეაგება გაცისკროვნებულ თიკოს. „ზამთარში, ასეთ გაშიშვლებულს რომ დავინახავ, რატომღაც შემეშინდება ხოლმე, ვაითუ ველარ გაიფოთლოს მეთქი...“ „რას ამბობთ, რასა?!“ შეიცხადა თიკომ, „რატომ დაგებადათ ასეთი შავბნელი აზრი?“ უნდოდა ეთქვა: ნუ გეშინიათ, გთხოვთ, დამიჯერეთ ჭადარსაც, თქვენც, მეც დაგვიდგება გაზაფხული! და ამის მაგივრად პათოსით დაიწყო: „ოო, მეფეო“, უთხრა გიულდენშტეტმა ჭადრის ამოკუხულ ფესვზე ჩამომჯდარ ერეკლეს, (ხალიჩა უნდოდათ დაეფინათ მეფისთვის და არ მოინდომა,) მე რომ მეკითხებოდეს, საქართველოს რომელიმე დროშაზე ამ ჭადარს ამოვაქარავინებდი, როგორც სიმბოლოს ერთიანი საქართველოსი, აი, შეხედეთ, რამდენი სამეფოც არის თქვენს ქვეყანაში, იმდენი დიდი ტოტი აქვს, ყველა ერთი ზროდან ამოზრდილი. მაგრამ ამ ჭადარს ბედმა მყუდრო ადგილზე ყოფნა არგუნა, სადაც ქარიშხლები ასერიგად ვერ შეაწუხებდნენ, სადაც არ არსებობს მეხის საშიშროება, რადგან ცივის მხრიდან ვახვახიშვილების გორა გადმოჰყურებს, ზედ მდგარი ხეებით, ეს კი აქ არის მოყურებული, შემოფარებული, ყოველგვარ საფრთხეს გამორიდებული, სიცოცხლის მარადიულ ფერხულში ჩაბმული. რა ბედნიერება იქნებოდა, თქვენი ქვეყანაც ამ ჭადარივით ყოფილიყო დაცული და ოთხსავ კუთხივ ქარებს არ ექროლათ. სხვა მხრივ კი, მეფეო, ნება მიბოძეთ ამ ჭადარს შეგადაროთ, სიდარბაისლით, შეუპოვრობითა და თავმდაბლობით... ღირსი დიდი მინდვრისა და ვრცელი ჰორიზონტებისა, ამ ჭადარივით განგებამ ეს ადგილი რომ მოგიჩინათ...“ თიკომ ხელები გაშალა და თავი დაუკრა ბ-ნ შალვას. „ეს თქვენ შეთხზეთ, ქალბატონო თიკო?“ ხუმრობის კილოთი იკითხა ბ-მა შალვამ. „დაახ, მე შევთხზე.“ „მერე, ერეკლემ რაო, მოუნონა სიტყვა გიულდენშტეტს?“ „ერეკლემ მხოლოდ გაუღიმა სტუმარს, გუნებაში კი გაიფიქრა: ღმერთო, ჩემს ქვეყანაში რომ იყოს თუნდათ ათი ამისთანა განათლებული, შინაგანად გაფაციცებული, გულისყურგახსნილი, გაგებას მონყურებული, და თან უაღრესად თავაზიანი ახალგაზრდა, ნამდვილად ავშენდებოდიო.“ „ოჰ, ერეკლე მაგას ვერ გაიფიქრებდა, რადგან ათი გიულდენშტეიდტისნაირი მაშინ დიდ რუსეთშიც არ იყო.“

„კარგით, მეც ავდგები და ხუთს დავწერ, ნებას მაძლევთ?“ „თუმცა ხუთიც მეტია, არ ძალმიძს ნება არ მოგცეთ!“ თქვა სიცილით ბ-მა შალვამ და დიდ, რუხ თვალეში ნაპერწკალი გაუკრთა, მაგრამ მაშინვე საქმიან კილოზე გადავიდა: „მე მგონი, ორი რეფლექტორი სრულიად საკმარისი იქნება.“ „რა თქმა უნდა,“ მყისვე დაეთანხმება თიკო, „ოთახში ჰაერი რომ მოტყდება და ერთი და ერთი დათბება, მერე შეიძლება მეტიც კი იყოს.“ „ნავედით აბა,“ ბ-მა შალვამ პალტოს საყელო აინია, და კარისკენ გაიკვლია გზა.

გარეთ ცივი ქარი უბერავდა... კიბეზე რომ ჩამოდინდნენ ნაძვების გაბარჯლულ ტოტებს ქარი ერთმანეთს ახლიდა.

თიკო სახლში ფრთაშესხმული დაბრუნდა, სიხარულით იყო სავსე, ენერჯის მოზღვავებას გრძნობდა. ქურქი არცკი გაუხდია, ისე შევარდა სამზარეულოში, მაცივარი სწრაფად გამოაღო, გეგონებათ მწყურვალა და სულის მოსათქმელად რაიმე დასალევს უნდა ეცეს და დაენაფოსო, მართლაც, ქვედა განყოფილებიდან ლიმონი გამოიღო, გაჭრა შუაზე, ონკანიდან ჭიქაში წყალი ჩამოასხა, ლიმონი ჩაიწურა და ყლუპ-ყლუპით დალია.

„ქურქი მაინც გაგეხადა, რა ვქნა?!“ თქვა ბებია თინათინმა და ბუფეტის კარი გამოაღო ჭურჭლის გამოსალაგებლად და სუფრის გასაშლელად.

„არა, ბები, არა, შენ ხელი არ ახლო, დღეს მე უნდა მოგემსახუროთ!“ მოაძახა თიკომ და კორიდორისკენ გაიქცა, ქურქი გაიხადა, სააბაზანოში ხელები სახელდახელოდ დაიბანა და გაჩქარებული დაბრუნდა სამზარეულოში. სიყვარულის მოზღვავებას გრძნობდა, იცოდა, ნიკოსთვის სადილობა მხოლოდ და მხოლოდ ჭამა-სმა არ იყო, არამედ საოჯახო რიტუალიც, რომელიც ოჯახის ყველა წევრს ერთად და ერთდროულად უნდა შეესრულებინა; იცოდა რომ ნიკო, მიუხედავად იმისა, ძალზე ბევრს მუშაობდა და დილიდან საღამომდე ხშირად დაკავებული იყო, თავის წმინდათანმინდა მოვალეობად თვლიდა ოჯახის წევრებთან ერთად ტრაპეზის გაზიარებას, და არ უყვარდა, თუ ამ საოჯახო ანსამბლს რომელიმე ხმა გამოაკლდებოდა და დაირღვეოდა ერთობლივი და სრული საოჯახო ხმოვანება; აბა, რაღაა ის ოჯახი, თუ დღეში ერთხელ მაინც ყველა ერთად არ მოიყრის თავს და ერთმანეთს სიტყვას არ გაუზიარებენო. ჰოდა, უნდოდა თიკოს, გულით უნდოდა თავისიანებისთვის ესამოვნებინა. სხვა დროს უკვე გაშლილ სუფრაზე რომ მობრძანდებოდა და ყველა მის შეციცინებაში იყო, ახლა თავი მოიქაჩლა, იაპონური, გვირილიანი ჭურჭელი

გამოალაგა, რომელსაც მხოლოდ სტუმრია-ნობისა და ზემების დროს შლიდნენ, და ისე სწრაფად გარბი-გამორბოდა, და გორგორები-ან პატარა მაგიდასაც ისეთი ძალით უბიძგებდა და მიათრულებდა, რომ ფაიფურის ქურქელს, ვერცხლის კოვზებს, დანა-ჩანგალსა და ბროლის ფუფერებს წკრიალი გაჰქონდა. თავისიანები ღრმა რევერანსებითა და თავის დაკვრით მოინვია მაგიდასთან, ნიკოს კი გადასხვაფერებული კილოთი მოახსენა: „ბატონო მამა, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი კოლექციიდან ერთ ბოთლ საუკეთესო წითელ ღვინოს შეეღიოთ.“

ნიკოს უყვარდა თავის შვილთან შეხუმრება და ასევე უპასუხა: „რაკი ასეთი ძალით გაიღვიძა შენში, შვილო ჩემო, დიასახლისის დაუცხრომელმა სულმა, მზად ვარ გემსახუროთ,“ და ნაირნაირი სასმელებით სავსე შემინულ კარადასთან მივიდა, „აბა, რას ინებებდით, ქალბატონო, შვიდი წლის ახაშენს, ათი წლის ოჯალეშს, თუ უნგრულ ტოკაის?“

„ოჯალეშსა და ტოკაის!“ შესძახა თიკომ. „თუ ხათრი გაქვს, ნიკო, ჩემთვის ახაშენი გამოიღე, თუ ქეიფია, ქეიფი იყოს!“ თქვა მარიკომ.

„ოოჰ, აბა, რა არის ქეიფი უსტუმროდ? ადექი, მარიკო, თქვენებს დაურეკე, დედაშენი თუ დაიზარებს, დარეჯანი მაინც ახლავე წამოვიდეს!“ უთხრა ნიკომ ცოლს. უყვარდა ნიკოს უხვი სუფრა, სტუმარი და გამასპინძლება. მართლაც, ისინიც მალე შემოემატნენ და ნამდვილი ქეიფი გამოუვიდათ. თიკომა და ღვინომ ყველა გაამხიარულა. „თქვენ რას იტყვიან,“ ეუბნებოდა ნიკო თავის მეინახეებს, „მოგდით თუ არა ქორწილის სუნი? ისე მოიქაჩლა თიკომ თავი, ღმერთმანი, უნდა გავათხოვოთ! წარმოგიდგენიათ? ჩანისთვის ალაღებიც უნდა გამოვაცხოვო, თავის სიცოცხლეში რომ თეფში არ გაუწევია...“ ყველა ერთხმად დაეთანხმა ნიკოს. თიკომ კი თვალელები სასაცილოდ აახამხამა, ხელები გულზე მიიჭდო, ვითომ მორცხვად თავი დახარა და მიკნავებული ხმით წარმოთქვა: „მე როგორც მორჩილი შვილი... თანახმა ვარ...“ მერე კი ხელები გაშალა, ისე დაიჭირა თითქო ფანდურს უკრავსო და გატყლარჭული ხმით სიმღერა დაიწყო: „რაატო აღარ გამათხოვებ მამაჩემო ღვთისავარო, გაანა ბატაარაილა ვარ ოცდახუთი წლისა ვარო, თორო ძმა-ქმარას შავირთაავ, ქალ ისითაა ჭკვისაა ვარო...“ ხელებს გამუდმებით ათამაშებდა, აქაოდა ფანდურს ვუკრავო, თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, ვითომ კდემამოსილებითა და მორცხვობით, ხმასაც ისე აკაკანებდა, ყველა სიცილით შესცქეროდა, მაგრამ ეჭვიან

ნიკოს მხიარულებასთან ერთად გაუელვებდა ხოლმე ფიქრი: ისე სპეციფიურად არის ატაცებული, ნეტა ვინმე ხომ არ შეუყვარდაო. არც იყო საკვირველი ნიკოსაგან ასეთი დაეჭვება, რადგან საკუთარი შვილის სისულელების გამო ბევრი გულისხეთქვა ახსოვდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თიკო არავითარ ნდობას არ იმსახურებდა, - მას ხომ თავის დღეში ჩვეულებრივი, ე.წ. „დადებითი პიროვნება“, წესიერი და მათი ოჯახის შესაფერისი, არც მოსწონებია და არც ჰყვარებია (მე ასეთები არც მალეღვებენ და არც მაინტერესებენო,) - ნიკოს დღედაღამე რომ ეფიქრა, თავისი ეჭვიანობის მიუხედავად, შალვათი გატაცებას და შალვას სიყვარულს ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, შალვა ხომ, მისი უახლოესი მეგობარი, მამასავით იყო თიკოსთვის, შალვას ხელში იყო თიკო გაზრდილი. განა წარმოსადგენი იყო, რომ თიკო ახლაც, დანოლის წინ, ჯაგრისით თმებს რომ ივარცხნიდა, სარკეში თავის თავს სწორედ შალვას თვალთ უყურებდა და აფასებდა, „არ ვაჭარბებ, მოსაწონია თიკო“, მღელვარედ ამბობდა თავის გუნებაში, „თანაც იცით, რა მოქნილია? არ გჯერათ?“ ჯაგრისი მიაგლო, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ფეხები ზევით ასწია, აათვალ-ჩაათვალა, მერე ყირაზე გადავიდა, მეორე მხარეს წამოხტა, ფეხები განზე გადგა, ხელები შემართა და ნელნელა გადაწევა დაიწყო, „არ მიშველოთ, არ მიშველოთ მეთქი! მე თვითონ! აი, ხედავთ?“ თიკო თითის წვერებით იატაკს შეეხო, ცოტაც და ხელის გულელებითა დაეყრდნო. მერე მოსხლეცით შეინაცვლა ხელები, შემობრუნდა და სხარტად წამოდგა. „ხომ გეუბნებოდით?!“ გაიცინა, „თუ გინდათ შპაკატსაც გავჭიმავ და თავზედაც დავდგები!“

სასადილო ოთახიდან დიდი საათის რეკა მოისმა. „რა დამაძინებს? არა, რა დამაძინებს? ბებერი ჭადარიო, ნამდვილად თავისი თავი იგულისხმა... შეგიხედავთ ელექტრო მრიცხველისთვის, როცა სახლში ყველაფერი ჩართულია? ყველაფერი, ყველაფერი, ყველა ნერტილი, უთოც, ტელევიზორიც, მაცივარიც, რეფლექტორებიც, სარეცხი მანქანაც, ჭალებიც, ტორშერებიც და ყველაფერი... სასახლის ანთია ჭალები, ანთია, ანთია, ანთია, სასახლის ანთია ჭალები!!! ყველაფერს ჭახჭახი გააქვს და მრიცხველის რგოლიც სწრაფად, სწრაფად, სწრაფად ტრიალებს და წითელი ზოლიც თეთრ რკალზე ისე ელავს, ერთ ნუთში თვალს მოგჭრით... ჰოდა, ასე ვარ ახლა მეც, გესმით? გესმით? და თუ არ გესმით, მამ, გაიგეთ!!!“

ნიკოს ყოველ შემთხვევაში, ესმოდა. ვინ და რა, ამას, ცხადია, ვერ მიხვდებოდა, მაგ-

რამ თავისი მოხიბლული შვილის აფეთქებულ გულსთქმას თუნდ ცხრა მთას იქით იგრძნობდა. ახლაც, თავის კაბინეტში სპეციალურ ჟურნალებს ათვალთვლებდა თან გულისყური თიკოსკენ ჰქონდა. მარიკო გვერდით, სასადილო ოთახში საკონტროლო რვეულებს ასწორებდა, წელან, საქმეს რომ მორჩა, თიკოსთან შევიდა, მაგრამ მაშინვე გამობრუნდა და აბაზანისკენ გასწავა. ეტყობა ან სძინავს, ან რაღაცას საქმიანობს, და არ უნდოდა ხელი შეშლოდაო, გაიფიქრა ნიკომ. სხვა დროს, თუ ორივე მოცლით იყო, ძილის წინ უყვარდათ ურთიერთობა. ნიკოსაც ხომ არ შეეძლო ისე დაწოლილიყო, თავისი შვილისთვის არ დაეხედა. ახლაც ადგა, ფეხაკრეფით გამოვიდა კაბინეტიდან, ჩუმი ნაბიჯებით გამოიარა გრძელი დერეფანი და სასტუმრო ოთახის კართან გაჩერდა. თიკოს ოთახი სახლის ბოლოს, კუთხის ოთახი იყო, ერთი სამკარიანი ფანჯარა და ორი კარი ჰქონდა, რომელთაგან ერთი აივანზე გადიოდა, მეორე კი სასტუმრო ოთახში, დერეფნის კარის მოპირდაპირედ, დარბაზს გადაღმა. ეს კარი არასოდეს მიხურულიც არ ჰქონდა თიკოს, მითუმეტეს ზამთარში, როცა ფანჯარასა და აივნის კარს სიცივის გამო ვერ ალებდა; სივრცე უყვარდა თიკოს, არ უყვარდა დაგმანულ ოთახში ყოფნა. ის კი არა, ჯერ კიდევ სულ პატარამ, სასტუმრო ოთახის დიდი სარკე, სადაფებით მოჭედილი, შავი ხის ჩარჩოიანი მშვენიერი სარკე, რომელიც ნიკომ ომის შემდეგ ვენიდან დაბრუნებული ერთი პოლკოვნიკისაგან იყიდა, დარბაზის სიღრმეში ისე დაადგმევინა, რომ მისი ოთახიც ხელისგულივით ჩანდა და სივრცეს სივრცე ემატებოდა. უყვარდა ნიკოს თავისი შვილის დანახვა ამ სარკეში, თიკოს ბავშვობიდან შემორჩა ნიკოს ეს ჩვეულება... დერეფნიდან შემოსულ მკრთალ შუქზე დაინახავდა საბანი თუ ჰქონდა გადახდილი, ფეხაკრეფით გადაივლიდა დარბაზს, მივიდოდა, ამოუკეცავდა საბანს ფრთხილად და ასევე ფეხაკრეფით გამოვიდოდა. თუ არ ეძინა, ერთ წუთს შეხედავდა რას აკეთებდა და რას საქმიანობდა, ვინიცობა გვიანობამდე ან კითხულობდა, ან წერდა, თავს დაადგებოდა და სინათლეს გამოუთიშავდა. ახლაც ნიკომ უჩუმრად შეალო დერეფანში გამოშავალი კარი, ხავერდის ფარდის კიდეები გადაწია და სარკეს გახედა... და მაშინვე დაინახა თიკო... მკაფიოდ, როგორც განათებულ ეკრანზე... საწოლის კიდეზე იჯდა და რაღაცას წერდა. არა, ეს არ იყო ის დავთარი, რომელშიც მეფე ერეკლეზე თხზავდა. ცალი ფეხი შეეკეცა, მოხრილ მუხლზე დაკეცილი წიგნი ედო. დაწერდა ერთ-ორ სიტყვას, გაჩერდე-

ბოდა, იქვე გადაშლიდა, თავს აიღებდა, დაძაბულ მზერას სივრცეს მიაპყრობდა. ზოგჯერ გაილიმებდა... ზოგჯერ უკმაყოფილოდ გაიქნედა თავს, ფანქრის ტარს კბილებით დაუნწყებდა ღრღნას... მერე ისევ იწყებდა წერას... ტუჩების ცმაცუნს მოჰყვებოდა, დაწერილს, ეტყობა, კითხულობდა... სხვა დროს ნიკო აუცილებლად შევიდოდა, გვიანია და დაიძინეო. მაგრამ ახლა ეჭვებმა მოიცვა, ნამდვილად სასიყვარულო წერილს სწერსო, და ნეტავ ვის უნდა სწერდეს, ვისო... ამ შუალამისას... სანახევროდ გახდილი და შალმოხვეული... რომ გაცივდეს... არა, მაინც ვინ უნდა იყოს, ვინ? და ის, რომ თიკო ვილაცის გამო ძილს იკრთობდა, ის რომ სასონარკვეთილი სახით ვილაცას სიყვარულს ეფიცებოდა, ეჭვიან ნიკოს გულს უკოდავდა, გამოცნობის წყურვილით ავსებდა. უნდა იცოდეს, აუცილებლად უნდა იცოდეს, მამამ ყველაფერი უნდა იცოდეს შვილისა! მითუმეტეს ისეთი გიჟმაჟი შვილისა, როგორიც თიკოა. შენ დღედაღამე იმის ფიქრში იყო, ფრჩხილი არ წამოსტკივდეს, არიქა, ცივი ნიავი არსაიდან მოხვდეს და გამოვარდება ვილაც მუტრუკი, გაუფრთხობს ძილსა და დაუკარგავს მოსვენებას, ერთხელ და ორჯერ არ დაჰკარგვიათ ძილიცა და მოსვენებაც... სიფრთხილეა საჭირო, თვალი უნდა მიადევნოს... მთავარია გაიგოს ვისა სწერს. თიკო უცებ წამოაღგა. ნიკო შეკრთა, აქეთ ხომ არ აპირებს გამოსვლასო, ის იყო კინალამ გამოტრიალდა, მაგრამ თიკომ საწოლს შემოუარა, ფანჯარასთან მივიდა და დარაბა გამოალო, ფანჯრის მინებში ვარდისფერ-აბაჟურიანი, განათებული ტორშერი აირეკლა. თიკო გადმოიხარა, ტორშერის ზონარს ხელი ჩამოჰკრა და სინათლე გამოთიშა. ერთბაშად ჩამობნელდა. ნიკომ მზერა დაძაბა. სარკის სიღრმეში დათოვლილი ნაძვის მკრთალი სილუეტი აღმოცენდა. თიკო ორივე ხელით რაფას დაეყრდნო, გადაიწია და სახე ლამის მინას მიაბჯინა... თითქოს დათოვლილ ბაღში, გადათეთრებულ ბილიკზე ვილაცის გამოჩენას ელისო...

მეორე დღით თიკო ადრინადადვე წავიდა, სამსახურამდე ნადიკვარზე მინდა თოვლში ვირბინოვო. მას მარიკოც მიჰყვა, პირველი გაკვეთილები ჰქონდა და ცხრის ნახევარზე უკვე სახლიდან გავიდა. ნიკო კი ფეხს ითრევდა. ჯერ დრო ჰქონდა კიდეც, დედაც წელა დგებოდა, ისე რომ მარტოს შეეძლო ებუდარავა თიკოს ოთახში, იქნებ რაიმესთვის მიეკვლია კიდეც. რაც მთავარია, წუხანდელი წერილისთვის... ნიკომ საგანგებოდ, თუმცა შეუმჩნეველად მიადევნა თვალი თიკოს, წუხანდელ დაწერილ წერილს ჩაიდებდა თუ არა

ჩანთაში და წაიღებდა თუ არა თან. დერეფანში ქურქს რო იცვამდა, ნიკოც გამოვიდა, ჯიბიდან თუმნიანი ამოიღო და სთხოვა: იქნებ სახელგამში შეიარო და ხელმონერის წიგნები თუა მოსული, წამოიღოვო. თიკომ ჩანთა გახსნა, ფული ჩაიღო, დასრესილი ცხვირსახოცი ამოიღო ჩანთიდან და ერთი წუთით შინ შებრუნდა ახალი ცხვირსახოცის გამოსატანად; გადახსნილ ჩანთაში ქალაღდის ნასახი არ ჩანდა. და მართლაც, არაფრის ძებნა არ დაჭირდა ნიკოს, რადგან წუხანდელი წიგნი, ზედ დადებული აჭრელებული თაბახით საწერ მაგიდაზე იდო. ნიკოს გული შეუტოკდა, სასწრაფოდ ამოიღო ჯიბიდან სათვალე და თაბახს დახედა. მთელი თაბახი დანერილი და გადახაზული იყო, მაგრამ აქა-იქ ჩანდა გადაუხაზავი ფრაზები, თიკოს წვრილი, წვრილი ხელით ნანერი. ნიკომ საგულდაგულოდ ჩაათვალიერა თაბახი და დაინახა, რომ გადაუხაზავი ფრაზები თაბახის ერთ კიდეზე ლექსად იყო გამოკრეფილი. აი, თურმე რას წერდა თიკო. ნიკო ეცადა ნელა, დაკვირვებით წაეკითხა და აი, რა წაიკითხა:

სამოსი შენი განუძარცვავთ
ნოემბრის ქარებს,
გაშიშვლებული და გათოშილი, -
მიაპყრობ მზერას ზეციერის
აღსავლის კარებს,
მამა-უფალმა გადმოგხედოს
კვლავაც წყალობით,
გაშოროს ყინვა ულმობელი,
დაგიცხროს დრტვინვა,
შეგიმსუბუქოს კირთება და
გაგიქარწყლოს აღსასრულის
მწარე ლოდინი...

კვლავ მოგივლინოს გაზაფხული,
კვლავ მოგანიჭოს შენ აღდგომა,
და ზურმუხტის შესამოსელი...

ო, მე კი... მე კი...

შენი დობილი,
გადამაქციოს მგალობელ ჩიტად,
შენს გრილ უბეში დამიდოს ბინა,
რომ გიგალობო,
გიგალობო დიდო ჭადარო,
სიყვარულის საგალობელი.

ნიკომ შევებით ამოისუნთქა. ეს არამცთუ სასიყვარულო წერილი, სატრფიალო ლექსიც კი არ იყო. ჭადარი! ჩვენი ჭადარი! ალბათ, მოულოდნელობისაგან, ლამის გულიც კი აუჩუყდა. თვალი რომ გაახილა და ქვეყანა დაინახა, ეს დიდი ჭადარიც ხომ მაშინ დაინახა, ვინ მოთვლის პატარა ბიჭობაში ამ დიდი ჭადრის ქვეშ რამდენჯერ ლახტი და კაკლაობა უთამაშია... მის გაბარჯლულ, ამოკუზულ ფესვებზე რამდენჯერ ასკინკილით უხტო-

მია. ერთხელ, სანაძლეოზე ოცჯერ შემოუარა ასკინკილით ისე, რომ არც ფეხი შეუნაცვლებია, არც ფესვებიდან გადმომხტარა... აღარც კი ახსოვდა ნიკოს, და ახლა ამ ლექსმა გაახსენა... თიკომ გაახსენა... როგორ უყვარდათ ჭადარზე ასვლა და იქ აჭრიახებული ბელურებივით ტოტიდან ტოტზე ხტომა... ახლა ისე აუვლ-ჩაუვლის, იქნება არცკი შეხედოს... დათუმცა მას ბებერი ჭადარი სიცოცხლეზე მლოცველად არასდროს წარმოედგინა, ახლა, ამ ლექსის წაკითხვისა და ჩაკირკიტების შემდეგ, ისე ეგონა, თითქოს ოდესღაც, ადრე სიყმანვილეში, ზამთრის დადგომისას მასაც შეუხედავს ჭადრისათვის ამ თვალით, მასაც დასწყვეტია გული მის მარტოობაზე, სიშიშვლეზე, სასონარკვეთაზე, და ამ ლექსმა მხოლოდ და მხოლოდ გაახსენა ადრე განცდილი და შემდეგ დროთა სვლაში მივიწყებული შთაბეჭდილებები და წარმოდგენები. შორი მოგონება ამოუტივტივდა ნიკოს: ზამთრის პირის ერთ გაცრიატებულ საღამოს დედამ პაპიდა დაროსთან მოსაკითხი ნობათით რომ გაგზავნა და პაპიდა კი მკვდარი დახვდა... ბუხრის წინ, ლურჯი ხავერდის ფოჩებიან სავარძელში იჯდა და გეგონებათ მოლუდლუდე ნაკვერჩხლების ყურებასა და ქარვის კრიალოსნის თვლაში ჩასძინებიაო. ჩიხტიკობი ჰქონდა მხოლოდ გვერდზე მოქცეული. ჭადრის უბანში ცხოვრობდა პაპიდა დარო და იმ გაცრიატებულ საღამოს უკან მობრუნებულ, შეშინებულ ნიკოს განსაკუთრებით მკაფიოდ (ან შეიძლება ახლა, ამ ლექსის კითხვისას ეჩვენებოდა ასე) დაახსომდა ჭადრის სველი, დანერნაქებული ფოთლებით სავსე ორღობე და თვითონ ჭადარი, უზარმაზარი, მართლაც გაშიშვლებული და გათოშილი, ჩიტებისაგან, ბავშვებისაგან მიტოვებული, გაზაფხულზე და სიცოცხლეზე მლოცველი და მავედრებელი.

ნიკომ თაბახი საწერ მაგიდაზე დადო და სასაუზმოდ სამზარეულოში გავიდა. დედა უკვე მონესრიგებულიყო კიდეც და ნიკოს გაგუზგუზებულ ქურაზე ერბოკვერცხს უკეთებდა. „დედა, აბა, თუ გახსოვს, აკაკი წერეთელი რომ ჩამოვიდა, ნადიმი სად გაუმართეს?“ და ნიკომ გაფუფუშებული, ამიშხინებული ერბოკვერცხი გადმოაბრუნა. მაშინვე გადმოდგა დასადგარზე და დედას ღიმილით შეხედა. მოხუცმა ქალმა ნიკოს თითი დაუქნია: „ვითომ არ იცი, დიდი ჭადრის ქვეშ.“ საქმე ის არის, აკაკის ჩამოსვლა მათი ოჯახის სანუკვარი მოგონება იყო, მრავალჯერ მოყოლილი და ნაამბობი. ზეპირად იცოდა ნიკომ, რომ დედა მაშინ წმინდა ნინოს სასწავლებელს ამთავრებდა, რომ გოგონები ყვავილების გვირ-

გვინებით შეეგებნენ აკაკის ეტლს ქალაქის შემოსასვლელში და კიკუშა სულხანიშვილის ლოტბარობით „მიჯაჭვული ამირანი“ უმღერს... რომ დიდი ჭადრის ქვეშ გამართულ ნადიმს, აკაკის ლექსებზე გაზრდილი, თექვსმეტი წლის გულაჩქროლებული გოგონა პაპიდა დაროს აივნიდან ბინოკლით გაჰყურებდა და სწორედ მაშინ მოეწონა და შეუყვარდა ერთერთი მონადიმეთაგანი, თავისზე ოცი წლის უფროსი, კაზმულსიტყვიერების მასწავლებელი გიორგი, ნიკოს მამა.

„უყურე შენ, მამაშენი ვნახე ნუხელ სიზმარში და აი, ამაზე ამიხდა, იმ ნადიმზე რომ ჩოხა ეცვა, ლურჯი, წმინდა მაუდსა, იმ ჩოხაში ვნახე სწორედ...“

„ვინ იცის, დედა, ასეთი სანიმუშო ჭადარი რომ არ ყოფილიყო ჩვენს ქალაქში, ნადიმს ჭადრის ქვეშაც ვერ გამართავდნენ და მეც ვერ მოვევლინებოდი ამ ქვეყანას.“

„რა უცნაურად ლაპარაკობ, შვილო, რვა-ასი წელია ეგ ჭადარი დგას და რალა მაშინ უნდა გადაშენებულიყო?!“ ლამის შეიცხადა თინათინმა, „და მე გიორგი არ მენახა?! მართლა, რა უცნაური კია, ერთ ქალაქში ვცხოვრობდით, და თვალი არ მომეკრა...“ „მამა ხომ ვაჟთა გიმნაზიაში ასწავლიდა, შინ კიდეც მკაცრი მამა გყავდა, წარამარა არ გიშვებდა სახლიდან და მიკვირს კიდეც ამდენად უფროსს როგორ გაგაყოლა!“ „მარტო უფროსს? სამშვილიან ქვრივს!“ სიამოვნებით და რალაც თავმონონებითაც წარმოთქვა თინათინმა, „გადიარია სანყალი... მუხლებზე შემოვეხვიე, ჩემს სიცოცხლეში არც ქმარზე ვიფიქრებ და არც შვილზე მეთქი... ნავალ შუამთაში, მონაზვნებთან, და მკვდარსაც დამკარგავ და ცოცხალსაც მეთქი!“

„კი იყო მამა სიყვარულის ღირსი“. თქვა ნიკომ.

„ხომ მითქვამს, მაშინ აკაკის ისეთი სადღეგრძელო უთხრა, თან ლექსად, ყველა იცრემლებოდა...“ თინათინი ადგა, კარადის უჯრიდან თავლის სანთელი ამოიღო, პანია სასანთლეში ჩადგა, აანთო და მაგიდაზე გადმოდგა.

ნიკო საუზმობას რომ მორჩა და წასვლა დააპირა, ის იყო უნდა გასულიყო, დედას გამოხედა: „თუ მოასწრებ, დედა, შვინდის შეჭამანდიც გააკეთე, ხომ იცი, თიკოს ძალიან უყვარს...“ კარი ფრთხილად გაიხურა და წავიდა.

თიკო კი დარბოდა ნადიკვარზე თოვლში და ისეთ მოზღვავებულ ენერგიას გრძნობდა, ასე ეგონა, მთელი დღე რომ ვირბინო, არ დავიღლებიო; თან ნუხანდელ შეთხზულ ლექსს იმეორებდა და იმეორებდა... რა სიამოვნებით

მიუძღვნიდა შალვას, დიდი, გრძელ წარწერით... ვუძღვნი შალვას... ბავშვობიდან ხომ შალვას ეძახის და... ოღონდ ბავშვობიდანვე თქვენობით ელაპარაკება... მუზეუმში კი, როგორც სხვები, ისიც ბატონობით მიმართავს... ოჰ, როგორ გაუჭრელებდა მიძღვნას... ახლა ამ მიძღვნის ტექსტმა გაიტაცა, როგორ მიუძღვნიდა... შალვას, სიძველეთა მოჭირნახულეს... ძეგლთა მფარველს... გაახსენდა კოჭი რომ გაიტეხა, მეცხრე კლასში იყო მაშინ, ჯერ ისევ ყავარჯნებით დახანხალებდა სახლში, შალვა მოვიდა აღელვებული, ძეგლზე მივდივართ, გურჯაანის ყველანმინდაზე და თიკო მინდა წავიყვანოვო, ამხელა გოგოა და ყველანმინდა, ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლი არ უნახავსო. ჭყიტა თვალები ნიკომ, რას ამბობ, ვერ ხედავ, ყავარჯნებით არის და ჯერ არც გასულაო, მერე რაო, ყავარჯნებით წამოვაო, მარიკომაც მხარი აუბა და წავიდნენ ყველანი... არა, არა, „მფარველს“ არ ვარგა, საჭიროა უფრო ამალვებული სიტყვა... ჰო, ქართულ ძეგლებზე გამიჯნურებულს... იმიტომ რომ, ვისაც არ უნახავს შალვა ძეგლთან, ის ნურც იტყვის ვიცნობო, ოო, რა პათოსი დაეუფლებოდა ხოლმე, რა ზეანეული კილოთი, რა მაღალი შტილით შეამკობდა ხოლმე ამ ძეგლებს, ფშავლის „კოხტა ღვთისმშობელი“ იქნებოდა ეს, თუ ქვემოთ ხოდაშნის „მამა დავითი“, მწყაზარი და კოკროჭინა კვეტერა, თუ ძველი შუამთა... ხოლო რაც შეეხება ალავერდს, წელიწადში რამდეჯერმე რომ არ ენახა, არც შეეძლო და რომლის გამო ამბობდა ხოლმე: „რაც ანთეოსისთვის იყო დედამინა, ძალღონის აღსადგენად, ის არის ჩემთვის ალავერდიო... განსაკუთრებით, როცა შემომწოლია დარდი ჩვენი ქვეყნის უბედო ბედის გამო, როცა შევეუპყრივარ სასონარკვეთას ჩვენთა მოძმეთა ზნედაცემულობის გამოისობით, წამოვსულვარ ალავერდში, ვითარც განსანმენდელში, რომ კვლავ მეგრძნო ქართული ნიჭის აელვარება, კვლავ განმეცადა ამ დიდებული ტაძრის სიდიადე და ერთობლიობა, ჰაეროვნება და სწრაფვა ზეცისკენ“. თვითონაც მოუნდა ალავერდის დანახვა, თუნდაც შორიდან, ნადიკვრიდან ხომ კიდევაც ჩანდა; ფერდობისკენ გაიქცა, საიდანაც დიდი პანორამა იშლებოდა, მაგრამ დაბურული იყო ალაზნის ველი, თვალები მოწკურა, მაგრამ ვერაფერი დაინახა... რამდენი ხანია ძეგლზე არ ყოფილან, ბ-ნ შალვას ერთი წუთი დრო აღარა აქვს, დილიდან საღამომდე ჩაბმულია მუზეუმის რესტავრაციის, გაფართოებისა და მოწყობის საქმიანობაში, სადოქტორო თემაზე მუშაობაც კი დროებით შევწყვიტეო, ჩივის ხოლმე. მაგრამ თიკოსთვის კი რა კარგად მოეწყო, რა

შესანიშნავად... მოანესრიგოს მეციხოვნის ოთახი?! გადააქციოს მყუდრო ბუდედ?! სიყვარულის ბუდედ... ოო, ეს სიგიჟეა... მაგრამ რა ანდამატი აქვს საიდუმლო სიყვარულს?! რა მტანჯველია... რა ბორგნეული... უკიდურესად გამძაფრებული... მაჰალია ჯეკსონის სიმღერასავით... ჰო, რა თქმა უნდა, პატარა მაგნიტოფონს წაიღებს, ლუი არმსტრონგისა და მაჰალია ჯეკსონის კასეტებით... მათი სმენისას ისედაც განცდით ივსები... სიყვარული გეუფლება... სახე უხურდა, თოვლი მიისვმოისვა, ხელსახოცით გაიმშრალა, მაგრამ მაშინვე მიიხედ-მოიხედა, ნადიკვარზე არავინ იყო და თოვლიან ფერდობზე დაგორდა, როგორც ბავშვობაში, გორიგორით ჩავიდა ბოლომდე... მერე თოვლში „კაციც დახატა“. ქურქი გაიხადა, დაბერტყა, თოვლი გააცალა... ფონდების მცველებმა, ლიზიკომ და დარეჯანმა უთხრეს კარადები სულ მარქსიზმის კლასიკოსების აურაცხელი ტომებით არის გამოჩურთულიო, ცხადია, იძულებით გამოწერილი ტომებით... ჰოდა, პირველ რიგში სწორედ ამ ტომებს გადაიტანენ ფლიგელში, ფანერის დაფხავებულ კარადებს ჩაიტანენ ქვევით, დროებით ჭიმკრის შესასვლელთან მიაყუდებენ და ჭიაკოკონობას ერთ კარგ კოცონს გააჩაღებენ... საბოლოოდ გახედა და თოვლილ კავკასიონს და სრიალ-სრიალით დაეშვა ნადიკვრის ქუჩისკენ... მონადირეთა კავშირთან, საავადმყოფოსკენ მიმავალმა ნიკომ თვალი მოჰკრა თავის შვილს, რომელიც სწრაფად მისრიალებდა დაღმართისკენ, გაბადრული და თვალეზანთებული. ნიკოს რომ გაეგო რა ამოძრავებდა კიპარისის ტანს და ჩუმი შრიალიც საიდან ისმოდა, გულიც შეუწუხდებოდა, მაგრამ რადგან ახლა მაინც ვერ გაიგებდა, ლამის ნეტარი მზერა გააყოლა თავის „მშფოთვარე და დაუდეგარ“ თიკოს.

მართლაც, სულ მალე მეციხოვნის ოთახს ველარ იცნობდით. რაც გადასატანი იყო, გადაიტანეს ფლიგელში, ძველი ყუთები, დაფხავებული კარადები ქვევით, დასაწვავად ჩაიტანეს, დამლაგებელმა იქაურობა დაასუფთავა, ძველი ჟურნალ-გაზეთები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა კარგად განმინდა, მტვერი გააცალა და კედლებთან ირგვლივ წყობისად მიილაგა, ფანჯრები, წლობით გაუნმენდავი, დაამარმარა, ჰაერმა გაინავარდა, დახამული, მძიმე სუნი გააქარწყლა, რეფლექტორებმა გაათბეს და გამოაშრეს ოთახი, შუაში კარგა ადგილმა მოიცალა, თიკოს მომცრო მაგიდა, ტაბურეტი და სკამი ამოუტანეს, თვითონ კი სახლიდან ერთი ძველი, გადაგდებული სავარძელი მოიტანა, ამას მოაყოლა პანია ელექტრო ქურა, საყავე, ყავა

და პარკით შაქარი, მაგნიტოფონი და კასეტები; იქნებ საღამოობითაც მომიხდეს მუშაობაო და ფერადი ქაღალდებისაგან აბაჟური გამოჭრა, წვრილ-წვრილი ნაკეცები გაუკეთა და ისიც ჩამოკიდა... და ბოლოს და ბოლოს დიდი ხალისით შეუდგა მუშაობას. კიდევ ის ახარებდა, რომ ეს გამოცალკეებული, ფანარით ოთახი, შესანიშნავი, ირგვლივი ხედით, ეგრედწოდებული შემოქმედებითი მუშაობისთვისაც განაწყობდა. ადრინადად მოვალე, ფიქრობდა, როცა კი შევძლებო, და სამუშაოდ დღის დაწყებამდე ჩემთვის, წყნარად ვიმუშავებო, ზოგჯერ კი საღამოთიც დავრჩები, შალვაც ხომ რჩება ხოლმეო... და მთავარი ხომ ეს იყო, თიკო ხომ ამ ფიქრითა და განცდით იყო მოცული, შალვასთან რაც შეძლება ხშირად დარჩენილიყო მარტო... სრულიად მარტო...

ბ-მა შალვამ ქალები რომ ამოიყვანა აქაურობის სანახავად, თიკო ყავითა და ფრენკ სინატრას გულშიჩამწვდომისიმღერითაც გაუმასპინძლდა. იცოდეთ, ყავის ბარს ვხსნიო და ვისაც როდის მოგესურვებათ, მობრძანდით და მოგართმევთო. სიცილით ეუბნებოდა ყველას. მუზეუმში ახლა დიდი მუშაობა მიდიოდა, ყველაფეხჩაუკრეფავადშრომობდა, ინსტიტუტის გადასვლის შემდეგ მოსანესრიგებელი იყო მუზეუმის მდიდარი ფონდები, აქამდე, სივინროვის და უადგილობის გამო ორივე ეკლესიაში, პატარა კარის ეკლესიაშიც და დიდ ტაძარშიც დახვავებული, მჭიდროდ, საძრაობა რომ არ იყო ისე, თავი ფეხს მოიტეხდა ამ მიჯრით მიწყობილ სკივრებსა, კარადებსა და მაფრამებს შორის, აქიყო არქეოლოგიური მასალა, ადგილობრივი მეთუნეობის საუცხოო ნიმუშები, ფარდაგები და ხალიჩები, სურათები, ადგილობრივი, ძველი ოსტატების გაკეთებული ჩუქურთმიანი კარადები და ტახტები, ეთნოგრაფიული ტანსაცმელი, აურაცხელ საქალაღდეებში დაბინავებული ფოტო-მასალა, და კიდევ ვინ მოთვლის რა. ეს ყველაფერი განიავებას, განმენდას, გასუფთავებას, სათანადო მოწესრიგებასა და დალაგებას და შემდეგ კი განთავისუფლებულ დიდ ფლიგელში განთავსებას, მოითხოვდა, ანუ დიდ გარჯასა და ძალისხმევას, ამიტომაც ფონდის ქალები, ლიზიკო და დარეჯანი თავაუღებლივ შრომობდნენ, თუ მუზეუმში დამთვალაიერებული არ იყო, მათ მცველებიც ეხმარებოდნენ ხოლმე. ერეკლეს ოთახში მხოლოდ ქ-ნი ნინო რჩებოდა თავის საწერ მაგიდასთან. რაც შეეხება ბ-ნ შალვას, მას ხომ ერთი წუთი დრო აღარ ჰქონდა, მისი დიდი მეცადინეობით, მუზეუმის გაფართოებასთან დაკავშირებით გადაწყდა სასახლის რესტავრაცია, რისთვისაც საჭირო იყო პირველ რიგში სასახლის



ნაწილის გამოვლენა, ანუ, მიშენებული, მოშენებული, დაშენებული და ჩაშენებული ნაწილისგან მისი განთავისუფლება, ხოლო შემდეგ აღდგენა... ამასთანავე მიმდინარეობდა ფლიგელისა და სამრეკლოს რემონტი, ისე რომ ბ-ნი შალვა დილიდან საღამომდე დაკავებული იყო ხან არქიტექტორთან, ხან დურგლებთანა და მღებავებთან, ხან კი თანხებისა და მასალის მოსაპოვებლად მიდი-მოდიოდა თელავსა და თბილისში... ასეთი დაკავებულობის გამოც ყველა მიეღწეოდა ერთი ნუთით თიკოსთან არბენას, სულის მოთქმას, შექაქანებას, და ცხელი, სურნელოვანი ყავით მომაგრებასა და გახალისებას. თიკო ყველას სიამოვნებით ხვდებოდა, მაგრამ გულის კანკალით ბ-ნი შალვას გამოჩენას ელოდა... და თუმცა ხანმოკლე იყო ეს შეხვედრები, მეტისმეტად ხანმოკლეც, იქნებ სწორედ ამის გამო, კიდევ უფრო სანუკვარი და ამაღელვებელი. სანამ თიკო ყავას უტრიალებდა, ბ-ნი შალვა აღრიცხულ წიგნებს თვალს ჩაავლებდა, კატალოგებს დახედავდა, მერე მოშორებით ფანჯარასთან სავარძელში ჩაჯდებოდა ყავის ფინჯნით ხელში და ნელა, სვენებ-სვენებით, გემოს ჩატანებით წრუპავდა ყავას... აი, რა კარგია, რომ სავარძელი მოიტანა თიკომ სახლიდან, ასე მყუდროდ სკამზე ხომ ვერ მოკალათდებოდა... გეგონებათ დიდი ხნით აპირებს დარჩენასო... სიამოვნებდა აქ ყოფნა, ყავაც და თიკოსთან ურთიერთობაც... „იცი, თიკო“, ხუმრობის კილოთი ამბობდა, განგებ მაღალი შტილით, „ჩვენ ხომ მარადიულობის მსახურნი ვართ... აბა, როგორ, მუზეუმი ასე ვთქვათ, ნავთსაყუდელია მარადისობისა, და ალბათ, ამიტომ ყოველი ტაიმაუტი გაბრუნებს წამიერებასთან, გაგდებს წამიერებაში, რომელიც ასეთი მომხიბლავია გაბრუნებს და გატყვევებს, გავსებს სიცოცხლით, გმატებს ძალღონეს...“ „რომ შემდეგ გაათქვეცებული ძალით შეუდგეთ სარესტრაციო სამუშაოებს, და მითხრათ როგორ შემოსავთ იმოდენა სატახტო დარბაზს, სადაც ინსტიტუტს სააქტო დარბაზი ჰქონდა, ან როგორ მოაწყობთ კარის ეკლესიას? გამოგიტყდებით, თუ აქამდეც არ მითქვამს, მე რალაცას ვჩხაპნი და მინდა ცოცხლად წარმოვიდგინო...“ „ხალიჩები, ძირითადად ხალიჩები, ყარაბალის, შირვანის, ისპაჰანის, სუზანები და ფარდაგებიც თახჩებში ვერცხლის ჭურჭელი... ალბათ, ჩუქურთმიანი სკივრები და რიკულებიანი თახჩები... თანდათანობით, ნელნელა შევიძინეთ ყველაფერს... გარდა ხატებისა... კახეთის მეფეებს კარგი საოქრომჭედლო სახელოსნოები ჰქონდათ ხატების შესამოსადა და შესამკობად, შესანიშნავი ხატმწერებიც იყვნენ ამ ჩვენს

თელავში...“ „და ყველაფერი განიავდა არაა? აღარც ერთი ხატი არ შემორჩა სასახლეში“. „დარეჯან დედოფალს მოენერა პეტერბურგიდან, სავარცხლები და კალმები გამომიგზავნეთო, თან იმასაც ინერებოდა თურმე, მე რალა საკითხავი ვარო. ასრუებოდა გული მღვდელ თურქესტანიშვილს, და ისე ასრუებოდა, წასულიყო პეტერბურგს, სავარცხლებიც წაელო, კალმებიც, ჩურჩხელებიცა და ტყლაპებიც... დარეჯანს თელავიდან ჰქონდა თურმე წაღებული ძვირფასი ხატი წმინდა გიორგისა, ჯერ კიდევ ქეთევან დედოფლიდან მომდინარე, სანიშუმოდ შემკული, ტიხრული მინანქრითა დაპატიოსანი თვლებით; ეთქვა თურმე თურქესტანიშვილს: „მწუხარებს ხატი, თავის ადგილს მოცილებული, თავის ტაძარს დაშორებული, ტყვეობაში მყოფი... ნუ დაუკარგავთ საუნჯეს ჩვენს ქვეყანას, დააბრუნეთ თელავს ეგ წმიდა გიორგი, დედოფალო, ჰყავდეს მფარველად ერეკლეს ქალაქს, თავის ადგილას სულ სხვა ძალას მოიკრებს, სულ სხვა მადლს დააფრქვევსო“... წარბები შეყარა თურმე დარეჯანმა, მასეთ ქართულს როგორ მეუბნები მე საწყალს და საცოდავსო. ოჯახ-დამხობილსო, ჩემ ქვეყანას მოცილებულს, ჩემს მინანყალს, ჩემს ქალებსო... ეს წმიდა გიორგია ჩემი სალოცავი, ჩემი ირაკლი ლოცულობდა ამ ხატთან და მეც, სანამ ცოცხალი ვარ ამ ხატს გვერდიდან ვერ მოვიცილებო... აბა, მამაო, ნაბრძანდით იოვანე ბატონიშვილთან, იქაცა ნახავთ უძვირფასეს ხატსა, ღვთისმშობლისასა, ლეონ კახთა მეფის შემკულსა, თელავის კარის ეკლესიიდან წამოღებულსა, ჩემი ირაკლის უსაყვარლეს ხატსა და იმასა სთხოვე, რას გეტყვისო...“

თიკომ ტაში შემოსცხო: „რა კარგად იამბეთ!? მე ამას აუცილებლად გამოვიყენებ სადმე, კარგით? ხომ ნებას მაძლევთ?“ „რა თქმა უნდა, მაგრამ კარის ეკლესიის შემოსვას რომ ამბობდი, აბა, რით უნდა შევმოსოთ და გავაპატიოსნოთ? ერეკლე იყო ღარიბი მეფე, მაგრამ ძვირფასი ხატები და ოქროს ნანარმი საკმაოდ მოეპოვებოდათ... აქედან კი ყველაფერი წაღებულია, ჯერ მაშინ და შემდეგ კი რევოლუციის დროს...“ „მე მოვიფიქრე!“ შესძახა თიკომ, „ბიჭიას უნდა შევუკვეთოთ რამდენიმე ხატი, ღვთისმშობლისა, წმინდა გიორგისა, წმინდა ნიკოლოზისა... ხომ კარგი იქნება?!“ შალვა ილიმებოდა, შეხაროდა თიკოს ახალგაზრდულ ენთუზიაზმს: „მაგის დროც მოვა... ჯერ სასახლის გამოვლენაა საჭირო და რესტავრაცია...“ თიკო ერთბაშად ახალი ძალით აენტო: „რომ იცოდეთ, მე დამჭირდა და ერთგან აღწერილი მაქვს, ისე, მცირედ, დანვრილებით კი არა, თელავის სასახლე, და

ძალიან მაინტერესებს, დაშენებული სართულის მონგრევისა და სასახლის გამოვლენის შემდეგ ოდნავ მაინც თუ დაემთხვევა ჩემი წარმოდგენილი სასახლე თქვენს მიერ აღდგენილს? ხომ საინტერესოა, არაა?" „ოოო, ძალიან!“ გულიანად იცინოდა ბ-ნი შალვა.

იმ მცირე დროის განმავლობაში, იმ ტაიმაუტების დროს რაღაზე არ საუბრობდნენ, რაღაზე არა, ბ-ნი შალვას მიერ გამოვლენილ კახეთის უცნობ ძეგლებზე, ელიზბარისა და შავლეგოს წერილებზე, ორსართულიან შენობაში სურათების გალერეის გახსენებაზე... მაგრამ ამასთანავე, ბ-ნი შალვას რატომღაც ახალისებდა თიკოს ბავშვობის გახსენება, ხან იმისა, ლელიკოსთან ფორტეპიანოზე რომ დადიოდა, რას უკრავდა და როგორ უკრავდა... თვითონ ბ-ნი შალვა ბავშვობიდან სწავლობდა ფორტეპიანოზე, მოყვარულის დონეზე კარგადაც უკრავდა, განსაკუთრებით უყვარდა ბეთჰოვენის სონატებისა და შუმანის საფორტეპიანო ოპუსების დაკვრა. თავის ცოლთან, ლელიკოსთან ერთად მოცარტის სიმფონიებსაც უკრავდნენ ხოლმე ოთხი ხელით... ერთხელ კი ის გაიხსენა, შუამთაში რომ წავიდნენ, მაშინ თიკო ხუთი-ექვსი წლის იქნებოდა, და რომ დაიკარგა. ეძებენ, ეძახიან, მაგრამ ამოდ... „მარიკოც კი, ისეთი მშვიდი და აუღელვებელი, ლამის თმებს იგლეჯდა. აღელვებისაგან ყველას დაგვაფიცუნა, რომ ხეებზე ძრომიალი გიყვარდა, ჰოდა, იჯექი უზარმაზარი წიფლის კენწეროზე, ჩამოჰყურებდი ჩვენს ალიაქოტს და ხმას არ იღებდი.“ „თქვენ და მამა ფიჩხზე წახვედით, ელიზბარიც აგედევნათ, დედამ და ლელიკომ პირი პირს ჩააბეს და ჭორაობა გააჩაღეს, მეც ავდექი და ჩუმადა ავძვერი ხეზე, სულ მთლად კენწეროზე ვიდექი, წიფელი ხომ ძალიან მოქნილი და დრეკადია, სულ აქეთ-იქით მაქანავებდა და მახსოვს ახლაც ისე მსიამოვნებდა, ისე, ისე, მეტი რომ არ შეიძლება...“

„შენ გსიამოვნებდა და ჩვენ კინალამ გავგიჟდით...“ ამბობდა სიცილით შალვა. იმდღესაც ჩაჯდა თუ არა სავარძელში და დათოვლილ ბურჯს გახედა, „იცი, ახლა რა გამახსენდაო,“ თქვა, „ამ ბურჯიდან რომ ეშვებოდი, მოჰქროდი ცალ ფეხზე, და მე და ნიკო შიშით შემოგყურებდით... არა, მაინც რა მჩქეფარე იყავი...“ და თიკოს ღიმილით შეხედა... „ეგ იცით როდის იყო?“ აიტაცა თიკომ მაშინვე ეს შორეული მოგონება, „ძია თორნიკე რომ გარდაიცვალა, ქეთინოს მამა,“ ისეთი აღფრთოვანებული ამბობდა, თითქოს ამაზე სასიხარულო არაფერი იყო, „მართალია, ეს ის დღე იყო, თორნიკეს დასაფლავების დღე, მე ჯერ მუზეუმში უნდა შემეველო და ნიკო მომ-

ყვებოდა, მერე კი პანაშვიდზე უნდა ჩავსულიყავით“. „მე და ციალამ წინა დღეს თოვლი დაეტკეპნეთ და წყალიც დავასხით, ჰოდა, სარკესავით ლაპლაპებდა საცურაო. მე ადრინადავე გამოვუარე ციალას, რომ დასაფლავებამდე გული კარგად გვეჯერებინა. მაგრამ სრიალით გულის მოჯერება ჩვენთვის ხომ არ არსებობდა?! „ოჰ, ღმერთო ჩემო, ამბობს ციალა და გალიბულ ბურჯს თვალს არ აცილებს, ამ მშვენიერ თოვლიან ამინდში რა დროს სიკვდილი ჰქონდა ძია თორნიკეს? ქეთინოც დააობლა და ჩვენც ველარ უნდა ვიცურაოთ!“ „რას ვიზამთ, აბა?!“ მეც ამოოხვრით ვუთხარი.

წავედით ქეთინოსთან და ნამტირალევი ქეთინო რომ ვნახეთ, - აივანზე იდგა, ბოძთან მიყრდნობილი და ჩვენს დანახვაზე პირი მიიბრუნა, - ისე შეგვეცოდა, ორივე ავლრიადლით, მივედით და სიტყვის უთქმელად ამოვუდექით. ერთხანს თავჩაღუნული, ჩაჩუმებული, ხმას არ იღებდა, მერე თავი აიღო, განზე გაიხედა, თითქოს რაღაცის ერიდებო, არც შემოუხედავს, ისე გვითხრა: „თქვენ, ალბათ, გეგონათ ორზეა გამოსვენება, ბიძაჩემი უნდა ჩამოვიდეს დღეს და სამისთვის გადაიტანეს, ჰოდა, წადით ბურჯზე, იცურავით და სამისთვის ჩამოდით.“ ჩვენ შევიცხადეთ, რას ამბობ, რა დროს ცურაობაო.

„გეხვენებით, წადით რაა, აი, მამას რომ შეეძლოს თქმა, აუცილებლად გეტყობათ, კისერს მოვიჭრი, თუ არ გეტყობათ, ხომ იცით, როგორი იყო, არაა? მეც მეტყობა, დარწმუნებული ვარ და იცით როგორ მინდა ვირბინო!? უხერხული რომ არ იყოს, დაოსებამდე ვირბენდი და ვისრიალებდი ისე, ისე, ისე რომ ჰაა, და გეხვენებით ჩემს მაგივრადაც ისრიალეთ, ღცოდეთ!“ და სულ ძალის-ძალად გამოგვრეკა.“

„და თქვენც ისრიალეთ და ისრიალეთ, არაა?!“ ბ-მა შალვამ სანახევროდ დაღეული ყავა იქვე ტაბურეტზე დადგა და პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, „სიკვდილმა კიდეც დაგმუხტათ მოძრაობის წყურვილით, ხომ ასეა?“ „თქვენ სიგარეტს ენევით?“ შეიცხადა თიკომ.

„იშვიათად და განსაკუთრებულ შემთხვევებში,“ გაიცინა ბ-მა შალვამ, თითქოს თავის თავს დასცინისო, „ელიზბარმა ჩამოიტანა ალჟირიდან და წასვლისას ორი კოლოფი დამიტოვა, სუსტი სიგარეტი და ხანდახან გაერთობიო...“

„მერე, ლელიკომ როგორ დაუშვა?“ „ლეიკოს არც გაუგია, ხომ იცი, რაც ჯანმრთელობას ეხება, ყველაფერს აზვიადებს და ელიზბარმაც ეს ძალიან კარგად იცის, თვი-

თონაც კი დედის თანდასწრებით ცდილობდა თავი შეეკავებინა...“

„რა მშვენიერი სურნელი აქვს თქვენს სიგარეტს... იცით, ჩემი დაკვირვებით, ლელიკოს უნდა თქვენ ნაადრევად დაგაბეროთ... ხან ეჩვენება რომ წნევა გაქვთ, ხან ეჩვენება რომ გული ისე აღარ გიცემთ, როგორც საჭიროა... ხან რა და ხან რა...“ თიკომ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი, ბ-მა შალვამ კი გულიანად გაიცინა: „ჰო, ჰო, მართალი ხარ, ლელიკო დაინტერესებულია, ბებერი და ავადმყოფი ქმარი ჰყავდეს... რა პატარა და სულელი გოგო ხარ... ნიჭისა და განათლების მიუხედავად“ „დიახაც რომ თქვენ ახალგაზრდა, ჯანმრთელი და მშვენიერი მამაკაცი ხართ...“ „კარგი აბა, გადავცემ ლელიკოს და გავახარებ, რომ არც ისე ცუდად არის ჩემი საქმე...“ შალვამ როგორღაც ნაჩქარევად ჩააქრო სიგარეტი, კოლოფში დააბრუნა, ერთი-ორი ყლპოი ყავა მოსვა და წამოდგა. „უკვე მიდიხართ? ასე მალე? ამდენს მუშაობთ, ცოტა მაინც დაგესვენათ?!“ არქიტექტორი უნდა მოვიდეს... სულ მალე გამოჩნდება ჩვენს ღარიბ მეფეს რა ღარიბი სასახლეც ჰქონდა... ეგრეთწოდებული სასახლე...“ პალტო მოისხა, თიკოს შეხედა, აღერსიანად გაუღიმა...

ბ-ნი შალვას წასვლის შემდეგ თიკო ერთხანს გარინდებული იჯდა თავის მაგიდასთან და შალვას ყოველ სიტყვას, ყოველ გამოხედვას, ყოველ გაღიმებას, თავისებურად, სიყვარულის ნიშნით „ჩითავდა...“ ოჰ, რა მიმზიდველად, მომწუსხავად ეჩვენებოდა ყველაფერი, შალვას „შევერცხლილი“ თმაც, რუხი, მომწვანო თვალებიც, ელეგანტური მიხრა-მოხრაც... და რაც მთავარია ღიმილი... ღიმილი... ასე რომ „აცისკროვნებდა“ მის დახვეწილ, კეთილშობილ სახეს... ერთხელ კი ბ-მა შალვამ წარმოუდგენელი რამ ჰკითხა: „მახსოვს, ამ სამიოდე წლის წინ, უნივერსიტეტს რომ ამთავრებდი, მოსკოვში გინდოდა წასვლა, ასპირანტურაში, თუ ლიტერატურის ინსტიტუტში, და ხომ არ ნანობ, მოსკოვის ნაცვლად ჩვენს მუზეუმში რომ აღმოჩნდიო...“ თიკომ ეს შეკითხვა ისე შეიცხადა, ისე შეიცხადა, ლამის გადაფიჩინდა, რას ამბობთ, რა გასაოცარ რამეს მეკითხებითო, ვერც ერთი წუთით ვერ წარმომიდგენია ვიყო სხვაგან, მოსკოვი კი არა, სამოთხე რომ იყოსო... და სამოთხეშიც რომ ვიყო, კისრისტეხით გამოვიქცეოდი, რათა ვყოფილიყავი აქ, აქ, და მხოლოდ აქ, სადაც... სადაც...“ უნდოდა ეთქვა „სადაც თქვენა ხართ და მეფე ერეკლეო“, და უცებ გაჩერდა, მცირე პაუზის შემდეგ კი განაგრძო: „სადაც მე ლამის ყოველდღე მეფე ერეკლეს ვხედავ!“

„მართლაა? აბა, უყურე?!“ ვითომ გაცუებით გაიქნია თავი ბ-მა შალვამ, „მერე როგორ ხედავ, როგორც ჩვენს სურათზეა? საზეიმოდ შემოსილი, წითელი წაღებით“ „ოო, არა, სრულებითაც არა! ახლა მას ჯვალოს მოსასხამი აქვს მოსხმული, ახლა ის უღარიბესი მეფეა, ტახტიც, სკეპტრაც, გვირგვინიც და სასახლეც იავარქმნილია, და მისი სატახტო ქალაქი ზის წყლის პირას, გულმდულარე და ცრემლებჩამომდინარე, ვითარც ქვრივი ქალი, უპატრონო და ოხერტიალი...“

„აა, შენ ხედავ მეფე ერეკლეს კრწანისის შემდეგ?“

„ეს ოთახი ხომ ფანარითაა, ფანჯრებით სავსე, ჰოდა, გავიხედავ ხოლმე და დავინახავ როგორ ბრუნდება მეფე ერეკლე კრწანისის შემდეგ, მწუხარე და სასოწარკვეთილი...“ „ოო, ხომ იცი, როგორი თავის მობოჭვა შეეძლო, სასოწარკვეთას და მწუხარებას არ დაიმჩნევდა...“ „გეგონოთ!“ შესძახა თიკომ და ბ-ნი შალვას თვალები გაუელვარა, „ფასანაურისკენ გაქცეულს ხოჯამ ჯარი გაუსია, ოთხიათასი კაცი, ცოცხლად რომ ჩაეგდოთ ტყვედ, და ცხადია, გახსოვთ, ანანურთან კრწანისისკენ მომავალი სამასი ხევსური დახვდა სპარსელებს, მათ გადაარჩინეს ერეკლე, შეაკვდნენ მტერს, სისხლით მორწყეს იქაურობა, თავი გასწირეს თავისი მეფისა და თავისი მიწანყლისათვის, დუშეთიდან მობრუნებულმა ერეკლემ მუხლი მოიყარა სისხლით გაჟღენთილ მიწაზე და მოკლულთა სულელები შეავედრა ღმერთს... მერე თიანეთს გადავიდა და ბატონის ციხეში სწორედ თიანეთიდან დაბრუნდა, დაღლილ-დანყვეტილი, მწუხარე და სასომიხდილი, და ამ მძიმე განცდებს უმძაფრებდა თითქოს ის, რომ დაუბანელი იყო, დიდი ხნის დაუბანელი, ცხენზე ჯდომით, მთავორიან გზაბილიკებზე ხეტილით, ოფლითა და მოხუცი იყო უკვე — ხშირი შარდვით გვემული, ამასთანავე ქართა და წვიმით შემცივნილი და შეინრებული, და მაინც ყოველ ტაძართან ჩამომხდარი ცხენიდან, მუხლმოყრილი და მხურვალედ მლოცველი, ბოლოს და ბოლოს თელავამდე მოღწეული დაბანაზელა ფიქრობდა, თავისი მშვენიერი აბანო რომაული ჰეპოკაუსტის წესით გამართული, ედგა თვალწინ... ამიტომაც ბატონის ციხეში მოსულს ვახშობა რომ შესთავაზეს, საგანგებოდ წავიდნენ ბიჭები ალაზანზე, საუცხოო ლოქო მოგართვეს და იქნებ ფარფლები ინებოთ ქინძქმრით მომზადებულიო, პურის მცხობელმა მაიამაც დღეს გამოგიცხოთ სანიმუშო პურ-ნაზუქიო, არაფერი არ ინება, არაფერი, სასწრაფოდ აბანო გამიხურეთო! დამე, ამის შესახებ ლექსი დავწერე და თუ გნე-

ბავთ, ნაგიკითხავთ, თუ გეტყვით კიდევ...“ და თიკომ ბ-ნ შალვას ლამის სასოებით შეხედა. „შენს ცოდოს ვერ დავიდებ, ჩემო თიკო, სიამოვნებითაც მოგისმენ...“ თიკომაც, ბ-ნი შალვას ალერსიანი კილოთი გულმოცემულმა, დიდი განცდით წარმოთქვა თავისი ლექსი: „ჰეი, გამიხურეთ მე აბანო ჰიპოკაუსტის, ჩამოვირეცხო სისხლი და ჭუჭყი, ლეგა ღრუბლებით დაითალბა კავკასიონი, ალაზნის ველზეც ჩამონვა მწუხრი. (წინაპართ სულთქმა შემომესმის საფლავთა წიაღ, და მომავალთაც ამავსეს მდურვით, პატარა კახი მე აღარ მქვია, თავს გადამემსხვრა ფარი და შუბი, ჩემს ტახტს და გვირგვინს შეეპარა სამარის ჭია, სასახლის მუხას ეხვევა მუმლი...) სად, სად წავიდე, რომელ წმინდანს შევთხოვო შვება, ვით ავარიდო ჩემს ქვეყანას მტრობა და შულღი, ვინ, ვინ მოიღებს წყალობას ჩვენდა, ვის მოვუყარო უღონო მუხლი?! ო, ღვთისმშობელო, გვედრებო, ყოველთა დედავ, შენ გაუთენე ჩემსა მამულს, გაფანტე მწუხრი. ვით დავიჯერო, რომ განქარდა ის სიჩაუქე, ვით დავიჯერო, რომ მე დამრჩა მხოლოდ აუგი, ჰეი, გამიხურეთ მე აბანო ჰიპოკაუსტის!“

ლექსის თქმითა და შეფასების მოლოდინით აღელვებულმა თიკომ განზე გაიხედა. „ყოჩაღ, თიკო, ყოჩაღ! აბა, სხვა რა მეთქმის? ყოჩაღი გოგო ხარ!“ ალერსიანად იღიმებოდა ბ-ნი შალვა. „ოჰ, ნეტავ მომეხვიოს და გულში ჩამიკრასო...“ მწუხარედ გაიფიქრა თიკომ, ხმამაღლა კი გამომწვევად წარმოთქვა: „თქვენ კიდევ მეკითხებოდით ხომ არ ნანობ აქ ყოფნასო! იმ დროს, როცა მსახური თედო ბოღჩით ხელში მისდევს ერეკლეს და ძველთაძველი თანშეზრდილი მსახურის უფლებით ურჩევს: „მეტად ცხელი წყლით დაბანას ნუ ინებებთ, დიდო ბატონო, შიგანისთვის არ არის სარგო, გამობრძანდებით თუ არა აბანოდან, ნაყენები მოგიმზადეთ, დიდო ბატონო, ასკილისა, კუნელისა, ვარდკაჭაჭასი, ნიახურისა... ინებეთ აუცილებლად... თქვენ კი მოგართმევთ ყავასა და ხმელ ნამცხვარს, აი, ყავა ადულდა კიდევ...“ და თიკომ ეს არის ადულდებული ყავა ფინჯანში ჩამოასხა, და მიაწოდა ბ-ნ შალვას.

„ოჰ, რა მაიმუნი პატარა გოგო ხარ, თიკო.“ გაიცინა ბ-მა შალვამ და მაშინვე გაიფიქრა რა არის ეს, რამდენს ვიცინი პატარა ბიჭვითო, და თითქოს დამნაშავე ყოფილიყოს ამ ალერსიანი განწყობისთვის, ამ სიცილისთვის, ისე დაამატა: „მოდით და ნუ გახალისდები, როცა ასეთ ლექსებს გიკითხავენ და ასეთ ყავას გთავაზობენ...“ „თან ასეთ ჯადოსნურ მეციხოვნის ოთახში, საიდანაც შეგიძლიათ თვითმეფე ერეკლე დაინახოთ...“ შესცინა თი-

კომაც. „რაც მართალია, მართალია, უნარი გაქვს ისე განიცადო და წარმოაჩინო ის ადგილი, სადაც შენ ხარ, თითქოს ქვეყნიერების ცენტრი იყოს...“ თიკომ გადაიკისკისა: „რა კარგ რამეს ამბობთ, დიდო ბატონო, ეგ ხომ კულტურის თვისებაა, მე კი შემძლია ვთქვა, რომ მთელი ჩემი არსებით მსურს კულტურის მატარებელი ვიყო...“ „ამას წინათ შთაბეჭდილებების ნიგნს გადავხედე და ჩვენი დამთავალიერებლები მაღლობას მაღლობაზე გამოვითქვამენ... რაც შეეხება შენი ისტორიული წრის ბიჭებს, ისე შემოგციცინებენ, მე მგონი ყველა შეყვარებულია...“ და ბ-ნ შალვას უცებ სევდა შემოაწვა. თიკო კი ლამის გადაფიჩინდა: „რომ იცოდეთ, მაგას ჩემთვის არავითარი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.“ ბ-ნი შალვა ერთბაშად წამოდგა, ჭიქა და ფინჯანი მაგიდაზე გადადგა, ყველაფრისთვის მაღლობით და აბა, ახლა საქმეს მივხედოთო და სწრაფად წავიდა.

მაგრამ ამ ტაიმ-აუტებით (როგორც ბ-ნი შალვა უწოდებდა მათ შეხვედრებს) მოგვრილი სიხარული რაღაც ხნის შემდეგ თიკოს სულ აღარ აკმაყოფილებდა... სულ აღარ აკმაყოფილებდა ეს ფრაგმენტული და ეფემერული გაელვებანი... არა, არა, ჩვენს ურთიერთობას არავითარი ძვრა არა აქვსო, ფიქრობდა თიკო, და შეიძლება სულ ასე გაგრძელდესო, ნამდვილად ისევე ბავშვად მთვლისო, იმიტომ უყვარს ეს მოგონებები, თვითონაც ახალგაზრდა იყო მაშინ და ახალგაზრდობის გახსენება ხომ ყველას ახარებსო... და იტანჯებოდა... ეჭვებით იყო მოცული... შორით წვა და შორით დაგვა შეურაცხყოფდა... სიახლოვის სურვილი აწვალებდა... ალერსი და აღმოდებული სიტყვები სწყუროდა... სამწუხაროდ, სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ბ-ნი შალვა არასოდეს თავს ნებას არ მისცემდა ზღვარს გადასულიყო და თიკოსთან სიყვარული გაეჩაღებინა. განსაკუთრებით ერთმა შემთხვევამ დაარწმუნა თიკო ამაში. აღარ უნდოდა აღარც ბავშვობის გახსენება, აღარც მუზეუმის გეგმებზე ლაპარაკი, აღარც ალჟირიდან ელიზბარისა და ათი წლის შავლეგოს წერილების კითხვა და სურათების თვალიერება... ამიტომ დაუსხა თუ არა ყავა ბ-შალვას, მოდიოთ მაჰალია ჯექსონი მოვისმინოთო, თქვა და მაგნიტოფონი ჩართო. და მაშინვე აივსო სივრცე მაჰალია ჯექსონის უჩვეულო ხმითა და სულისშემძრავი სიმღერით. ეს ხმა აღსავსე იყო მუდართითა და სიყვარულით ბ-შალვას ყავით სავსე ფინჯანი ჰაერში გაუჩერდა, თითქო რაღაც მკრეხელობაა ამ ხმის წინაშე უმცირესი მოძრაობაცო, მერე უჩუმრად დადგა ლამბაქზე და გაყურებული სავარძლის

საზურგეს მიეყრდნო... მერე სიმღერა რომ დამთავრდა, გაგრძელებული ყავა ერთბაშად გადაჰკრა და წამოდგა: „ასე მგონია, მხოლოდ ზანგებს აქვთ რალაც ამოუცნობი იდუმალე-ბითა და უღრმესი განცდით სავსე ხმა...“ თან დაკვირვებით, ჩაცვიბითაც კი უყურებდა თიკოს, „დამატყვევებელი და დამათრობელი, მომაჯადოებელი მომხიბლაობით აღსავსე...“

„თან რა არის, იცით, არაჩვეულებრივად მომნუსხავი, და შეიძლება ითქვას, ღირებუ-ლი, რომ სიყვარული და ვედრება ასეთი მა-ღალი სულიერებით შეიძლება იყოს გამსჭვა-ლული რატომ ადექით, არ გნებავთ კიდევ მო-ვისმინოთ?“ და თიკოს ის იყო ხელი უნდა და-ეჭირა ღილაკისთვის „ო, არა, არა, არავითარ შემთხვევაში, არც ახლა და არც სხვა დროს!“

„როგორ მიკვირს?!“ შეიცხადა თიკომ, „თქვენ ისე გიყვართ კარგი მუსიკა და კარგი სიმღერა...“ „ოო, თიკო, როგორ არ გესმის...“ და ბ-მა შალვამ დამცინავად ჩაიცინა, „ჩემი ასაკისთვის მავნებელია ასეთი გამაბრუნებ-ლი სიმღერების მოსმენა...“ გაიხურა კარები და წავიდა.

თიკომ კი აღარ იცოდა რა ექნა და რა ელო-ნა. მაგრამ როგორც ყოველი აქტიური ადამი-ანი, და თანაც შეყვარებული, ასე ადვილად ის ხმაღს ქარქაშში არ ჩააგებდა, მითუმეტეს, ერთი შემთხვევის შემდეგ მიხვდა კიდევ რა უნდა გაეკეთებინა და რა ნაბიჯი გადაედგა.

მალე ბიჭია გამოჩნდა. მოდიოდნენ ისა და ნენე მუზეუმის შემოსასვლელში, ახლად გაფოთლილი ხეივნის ქვეშ, რალაცას ხალი-სიანად ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს შე-ლიმოდნენ. „უქრობი სიყვარული,“ გაიფიქრა თიკომ, რომელმაც ეს არის ექსკურსიის დამ-თვალეირებლები გაისტუმრა. დარბაზის ფანჯრიდან მოჰკრა მათ თვალი და შესახ-ვედრად გაემართა. აბრეშუმის ამოფუჭუ-შებული ყელსახვევი ეკეთა ბიჭიას, ხელში კი მოზრდილი სურათი ეჭირა, შავჩარჩოიანი. სა-ჩუქარი მოგართვითო, რიხიანად შემოსდახა თიკოს, დამანახვე ერთი რა არისო, და თიკომ ხელი გაიწოდა სურათისკენ. „მხოლოდ საზე-იმო ვითარებაში, ყველასთან ერთად“. „შესა-ნიშნავი გამოუვიდაა, თიკო, ყველას ისე მო-ენონაა, დედასაც, მამასაც, მამაჩემსაც კი...“ ნენე წამღერებით ლაპარაკობდა, თითქოს ჟღერტულეზსო. სწორედ ყველანი მუზეუმში იყვნენ, ბ-ნი შალვა, დარეჯანი და ქ-ნი ნინო ერეკლეს ოთახში მაგიდასთან ფოტო-ფონ-დის მასალებს არჩევდნენ... ბიჭიამ ლიზიკოს და მცველებსაც დაუძახა, ყველა დარბაზში შემოლაგდა.

„აბა, ვაჟბატონო, რა მოგვართვი?“ ხუმ-რობის კილოთი წარმოთქვა ბ-მა შალვამ. უყ-

ვარდა ბიჭია ბ-ნ შალვას, მის თვალწინ გაზ-რდილი, ნიჭიერი, გულგახსნილი, ლოთიფო-თი და თავგადაკვლით ნენეში შეყვარებული. ბიჭიას არქიტექტურული ჰქონდა სამხატვრო აკადემიაში დამთავრებული, მერე კი ავთო ვარაზის სახელოსნოში მუშაობდა ორი-სამი წელი და კარგი მხატვარიც დადგა. მოსწონ-და ბიჭიას ნამუშევრები ბ-ნ შალვას, თვითონ ორი პეიზაჟი ჰქონდა, „გორიჯვრის ქუჩა“ და „წვიმიანი დღე თელავში“, ორივე თავის კაბინეტში, საწერი მაგიდის მოპირდაპი-რე კედელზე გაკრული და მუშაობის დროს თავს რომ აიღებდა, სიამოვნებით შეავლებდა ხოლმე თვალს გორიჯვრის მოკირწყლული აღმართის, მზემომდარი კოხტა სახლების, გალავნებიდან გადმოშორალი იასამნები-სა და აღმართის თავში პანია ეკლესიის ის მდიდრულ კოლორიტს... ან თუნდაც წვიმი-ანი დღე... თურმე რამდენი ფერი შეიძლება ჰქონდეს ნაცრისფერს, რა აურაცხელ ფერს შეიცავდეს, ნამდვილი ფერთა გამამოქურ-ხებელი ცისა და წვიმის ღრუბლების, სველი ქვაფენილის, ნაწვიმარი სახლების და წვიმით გაჟღენთილი სივრცის... და ამ დომინირებულ ნაცრისფერში გამომკრთალი ხასხასა მწვანე ბალახი ქვაფენილის პირას და წინა პლანზე, მარჯვნივ, ფანჯარასთან მომდგარი თოჯი-ნის ვარდისფერი კაბა, ეს სიცოცხლით მფეთ-ქავი ლაქები... ყველაფერი მშობლიური იყო ბ-ნი შალვასთვის, თითქოს გაჟღენთილი ამ ქალაქისა და ამ მიწის სიყვარულით...

„რა მოგართვით და აქეთ უნდა მობრძან-დეთ!“ ბიჭიამ დარბაზი გადაჭრა, სურათი მოატრიალა და ერეკლეს დიდი ფერწერული პორტრეტის ქვეშ მიაყუდა, ამისი ადგილი მხოლოდ და მხოლოდ ერეკლეს ფეხებთან არის!“ ბრძანებასავით წარმოთქვა. „ვაიი, მე რომ შეგიკვეთე ისტორიის წრის მეცადინეო-ბისთვის!“ სიხარულით თქვა თიკომ. ყველა სურათს მიაჩერდა, ალა მაჰმად ხანის პორტრე-ტი იყო, ის ცნობილი პორტრეტი მალკოლმის ალბომიდან, იასე ცინცადის წიგნში გადმოტა-ნილი. მართლაც მეტად შთამბეჭდავი გამოს-ვლოდა ბიჭიას, ალბათ, კონტრასტულობისა და მსუყედ დადებული მკაფიო ფერების გა-მო: გაბღღვრიალებული პორფირი და ნაირ-ფრად მოციმციმე, ძვირფასი ქვებით მოკირ-წყლული ქვაბუნა გვირგვინი დაუნდობლად წარმოაჩენდა ლელვის კენკრასავით დალე-ულ, უფერო სახეს, ღრმა ფოსოებიდან, თით-ქოს ორმოებიდან, ეჭვით, უნდობლობით, სი-სასტიკითა და სასონარკვეთით გამომზირალ თვალეებს და ქოსა საჭურისის მტკივნეულად მოკუმულ პირს.

ერთხანს ყველა გაჩუმებული დასცქერო-

და ხოჯას პორტრეტს...

„ოჰ, რა სასტიკი და უბედური კაცია...“
თქვა ბოლოს ბ-მა შალვამ, „ყოჩაღ, ბიჭი, ძა-
ლიან საინტერესო პორტრეტი გამოგსვლია.“

„მამასაც ისე მოეწონა, ისე მოეწონა, ვერ
წარმოიდგენთ...“ დაიჟღერტულა ნენემ და
თავისი დალაღკავებით მოფენილი კოხტა
თავი ნაზად გაარხია.

ქალებმაც დიდი აღტაცება გამოხატეს.
თიკო თვალს ვერ ამორებდა პორტრეტს, შუბ-
ლშეკრული დასცქეროდა, ხელებიც ისე ჰქონ-
და მომუშტული, გეგონებათ ცოცხალ ხოჯას
გამოუხატავს აღფოთებას და სიძულვილ-
სო, მერე კი მშფოთვარედ შესძახა: „მძულს
მძულს, მძულს! რაც დაიმსახურა, ის მიიღო
კიდევ და სულ არ მეცოდება, სულ არა რომ
ამის მოკვეთილ თავს განჯაში თუ ზაქათა-
ლაში ბავშვები და ძაღლები დაათრევდნენ...“
„ბ-ნო შალვა, მე მინდა ერეკლეს ფეხებთან
ჩამოვკიდოთ,“ თქვა ბიჭიამ, „ყოველგვარი
გადაჭარბების გარეშე, მაშინ ხომ ერეკლეს
დონის წინამძღოლი და სახელმწიფო მოღ-
ვანე არც კავკასიაში და არც ახლო აღმოსავ-
ლეთში არავინ იყო?! რას წარმოადგენდნენ
ჩამორჩენილი ირანის შაჰები? ან თურქეთის
სულთანები? უნიგნური, დამყაყებული და
სასტიკი მმართველები! ხომ ასეა თიკო?!“

„ოო, რა თქმა უნდა, აგერ თეიმურაზ ბატო-
ნიშვილი, ნახეთ რაებს ამბობს ირანის კარზე,
პირდაპირ შეძრწუნებულია მათი კარჩაკეტი-
ლობით, ღრმა პროვინციალიზმით და ხალ-
ხთან წარმოუდგენელი სიშორით... სად ჩვენი
განათლებული, გულღია და მხიარული კარი
და სად ისინიო...“ „ეჰ, რას ვიზამთ,“ და ბ-მა
შალვამ თიკოს შეხედა, „ჩვენ ყოველთვის მძი-
მემეზობლები გვყავდა, კაცთმოყვარებასთან
რომ მწყრალად იყვნენ...“ „და ყველაფერი ეს
სახეზე აწერია ხოჯას, ხომ ასეა?“ ბიჭიამ თა-
ვი ასწია და რა თქმა უნდა ხუმრობით, ვითომ
ძღვეამოსილად გადახედა ყველას, „რა ვქნა,
შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, თორემ
ნამდვილად ჯილდოს ღირსი ვარ“, „მოდის
ჩემგან გლინტვეინი, ხაჭაპური და ტორტიანი
ჩაი.“ თქვა თიკომ. ჩვენ კიო, ქალებმა თქვეს,
უნდა შევკრიფოთ ფული და ბიჭიას ყელსახ-
ვევების კოლექციას ერთი კარგი ქალაღიაც
მივუმატოთ.

„რომ იცოდეთ, ეს აბრეშუმის ყელსახვევი
მამაჩემმა უყიდა საჩუქრად...“ დაიჟღერტუ-
ლა ნენემ და ბიჭიაც ისე შეაჩერდა ნენეს ბავ-
შეურად გამობურცულ, ვარდისფერ ტუჩებს,
გეგონებათ ამ ტუჩებიდან მარგალიტი დაიფ-
რქვაო. ქალებმა კი სიხარულის ნიშნად ლამის


ტაში შემოჰკრეს. ვინ აღარ იცოდა, რომ ნენეს
მამა მიტო სასტიკი წინააღმდეგი იყო ბიჭიას
სიძობისა, რა სიკეთესა ნახავს ჩემი გოგო
ჯიბეცარიელი და მოქეიფე მხატვრის ხელ-
შიო. მაგრამ შეუპოვარი იყო ბიჭია და სულ
არ ეპუებოდა სასიამაღროს შეყრილ წარბებსა
და კოპებგამოკრულ შუბლს, წარამარა ბარა-
თებს უგზავნიდა ხან შაირად, ხან პროზად და
გულზე ხეთქავდა. თანაც ყველამ იცოდა ამ
შაირებისა და ბარათების ამბავი: „ძია მიტო,
რად მიელტვი სიმდიდრეს და ოქროს ყუთ-
სა, განა არ სჯობს აფასებდე სიყვარულით
მფეთქავ გულსა.“ „ძია მიტო, იციით რა კარ-
გი ბიჭი ვარ?! მე თქვენს ეზოში მოკაკანე
ქათამიც მიყვარს, და ჩემი სასიამაღრო ხომ,
მიუხედავად იმისი უღმობლობისა, მიყვარს
და მიყვარს!!“ ბარათების გარდა წითელ-ყვი-
თელი საღებავით გაღავანზეც მიუწერა: „მე
ნენე მიყვარს და სხვა არავინ ჩემ სიცოცხლე-
ში არ მიყვარება!“ თანაც ფიროსმანის გავლე-
ნით იყო, თუ მათი ბალის ვარდნარის წყალო-
ბით, სისხამ დილით დაკრეფდა ვარდებს, ნა-
ვიდოდა და ნენეანთ გაღავანიდან მათ ეზოში
მწვანე ბალახზე მიმოაბნევედა, სასიამაღროს
შეუწელებელი ბობოქრობის მიუხედავად.
ამიტომაც იყო ქალებმა რომ ერთხმად გაიცი-
ნეს, ეჭვიც არ გვეპარებოდა, ბოლოსბოლოს
ბიჭიას არ გაუჭირდებოდა მიტოს გულის
მოღობაო.

„რა თქმა უნდა“ დაიჭიკჭიკა ნენემ, „ისე
არ წავა მამა მივლინებაში, ბიჭიას საჩუქრები
არ ჩამოუტანოოს...“ „ბ-ნო შალვა!“ და ბიჭი-
ამ თავისი მრგვალი შავი თვალები შეაჭყიტა
ბ-ნ შალვას, „უნდა გითხრათ, რომ თქვენგან
ველი სულ სხვაგვარ საჩუქარს...“ „მაინც რა
საჩუქარს?“ დაინტერესდა ბ-ნი შალვა.

„აი, ეს წერილი ბებო ელომ გამოგიგზავ-
ნათ და მეც ჩემს სათქმელს ხვალ მოგახსე-
ნებთ...“ ბიჭიამ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო
და ბ-ნ შალვას გადასცა.

ქალები წავიდ-წამოვიდნენ, თიკო და ნენე
განზე გადგნენ, ბიჭია ჩაქუჩისა და ლურსმის
მოსატანად წავიდა, ბ-მა შალვამ კი წერილი
გახსნა და შემდეგი წაიკითხა: „ჩემო შალვა,
ხვალ ვახტანგის დღეა და მინდა მოხვიდე სა-
მი საათისათვის, სუფრასთან დიდხანს არ და-
გაყოვნებთ... სხვა საჭირო საქმეცა მაქვს და
შენი იმედითა ვარ, ხომ იცი, и жить торожиться
и чувствовать снежит. შენი დეიდა ელო.“ აკან-
კალებული ხელით იყო დანერილი ბარათი,
გეგონებოდათ ყოველი ასო თრთის და კანკა-
ლებსო.

/გაგრძელება იქნება/



და ერთიორი ვინმე თუ შემხვდა,
ვინც მოწონების შეძახილი ამოიბღავლა!

გული არავინ არ აჩუქა
არაგვიანის
ძველ ენაზე შექმნილ სიმღერებს!
ამ ენაში ხშირად მიგრძენია
გამწარებულ ჟამთა ზუზუნი...
და მრავალჯერ
შხამის სუნი შემეცნოსია!
და ბევრჯერ შემხვდა იმის მერმე
სულ სხვადასხვა ენის კედლები:
უფსკრულები გადასალახი!..
და არაფერი გამკვირვებია!..

ხანდახან ეხლაც კი მომინდება,
რომ იმ ენაზე დავწერო რამე:
გავიხსენო არაგვის ენა, —
ქართული სიტყვის მწვანე მინდორზე
რომ მიდის,
ზვირთებს რომ მიაქანებს,
ნაპირებს რომ ეტოტავება!

2006წ.

ზაკის პანთეონი. 2002. 13 ივნისი.

წარსულის ბინდი აწევს საფლავებს.
ჩიტების ჰაერს სტვენიტ თაფლავენ...

ელავს შავეთის ცაზე ათი მზე.
ილხენენ სულნი საღვთო ნადიმზე.

თვალი დაეძებს ადგილს, ნატაძრევს...
აქვე, ახლოს წევს შოთა ჩანტლაძე.

გადაღვრი ღვინოს: მინამ შეიშრო...
აი, ქართულო ლექსო, შენი შნო!

„რაც შენ გეკუთვნის, ნუ ღვრი, აოე!“
შოთას ხმა სწვდება სასაფლაოებს.

უკვდავი სიტყვა... პური... მარილი...
„ლუდს პრიმა უხდება ხინკალივით“...

ლექსს იტყვი: მიწის გრძნობას შეიძენ.
აი, ქართულო ლექსო, შენი ძე!
ხმა სამარიდან... ქვებიც შეინძრენ!

სიტყვაც და ღვინოც მინამ შეიშრო...
აი, ქართულო ლექსო, შენი შნო!..

2002წ.

ქართული
ფილოსოფია

24373

არაგვის ენა: არაგვიანი...

ჩემს შორეულ ბავშვობაში
მე ვისწავლე არაგვის ენა...

გეუბნები:
იმის მერმე არაფერი გამკვირვებია!

ეს იყო
მთების ძუძუნაწოვ ჩანჩქერების თეთრი
შრიალი,
მეხით გაპობილ ხის ჭრიალი
და ასხეპილ ტოტების გმინვა...
დიდთოვლობისას
ლომისახოს ვინრო რუვზე მოხეთქილი
ზვავის გუგუნი...

ეს იყო ენა უსასვენნიშნო...

და ესეც იყო:
ამ ენაზე შექმნილ სიმღერებს
არ მიბეჭდავდენ რედაქციები!..

საქართველოს
პარლამენტის
ქართულ
ბიბლიოთეკა

ადამის ხმა

წარსულმა სისხლი გადამისხა:
ჩემში გაიღვიძა ადამის ხმამ...

ის მოვიდა იმ სტუმარივით,
ვისაც უამთა ქარაშოტში
გრძელი გზები გამოუვლია...
იმის თვალელებში ჩანოლილი
შემზარავი ღამეები
გულს აბერებენ...

ის კვნესა არის,
ხსოვნის გზებზე ქვიშად დაყრილი:
ის სისხლივით შორიდან მოდის...

ის მოვიდა იმ დევნილივით,
ვინც მწარედ სცოდა და
იმ ცოდვას გაურბის ეხლა,
ვინც სამოთხის კარს
უკვე ველარ მიაკაკუნებს,
რადგან იქ მხოლოდ
მწუხარების ზღვა ელოდება...

ის მგზავრი შენში შემოვიდა:
გზას გაჰყურებს შენი თვალელებით,
შენი ბაგიდან ყმუილს გამოსცემს
და შენი ლექსით
ის პირშეკრულ ცას ევედრება!

2000წ.

დღეებმა ცაზე მიგახატეს,
მერმე ნაგშალეს...

უცხო თვალეებმა დაითავისეს
შენი შავი ნატერფალები...

რაც ეკუთვნოდა, ქარმაც წაიღო,
ნისლმაც შეიშრო...
ღამეებმაც შავად შეღებეს...

შენს თვალეებში ატივტივდენ სიტყვები,
როგორც უდაბნოს ყვითელი მარცვლები...
და შეხვედი უდაბნოში
და დამარხე შენი წარსული
თვალეებში: ქვიშის იმპერიასში...

2001წ.

დღეს შენი ლექსი ისე უცხოა,
როგორც პირშავ ღამის ცაზე
უთავბოლოდ წაჩხაპნილი ირმის ნახტომი...

იმის სტრიქონებს
ჭოგრიტებით კითხულობენ
ძილგამკრთალი ასტრონომები...
და თანდათან
საიდუმლოს გრძელ გვირაბში იკარგებიან,
სადაც დრო წვრილად,
მოსანყენად მიედინება
ერთფეროვან პოემასავით...

2003წ.

თავი ჩამოიხრჩვეს ნათურებმა:
დაბნელდა ქალაქი...

სახლებში ღამე შემოვიდა,
ძაძითშემოსილი,
და აქვითინდა ნათურების ჭირისუფალივით...

ოთახში ანათებს ერთადერთი სიტყვა:
ვცდილობ, მივუახლოვდე,
ვცდილობ, ჩემკე მოვახედო...
ამ სიტყვის შუქზე მინდა,
სხვა სიტყვები რომ დავინახო...
ვფიქრობ, მაგიდასთან მივიპატიჟო:
მოდის, შევსვათ თითო ჭიქა დარდი,
ჯაჭვით დაბმული
ბოთლის მრუდე სივინროვეში...

თავი ჩამოიხრჩვეს ნათურებმა:
დაბნელდა ქალაქი...
დაბნელდა ოთახი. დაბნელდა სიტყვა.
დაბნელდა ბოთლი...
დაბნელდა ღამე: ნათურების ჭირისუფალი...

2005წ.

საოპლეთს

1
მიდი, ასესხე დარდი უდაო
სანვიმარ ღრუბელს, ქარის ანაყოლს...
იქნებ ეს ლექსიც დაახურდო:
ჯავრის ლოდები ქვიშად დანაყო
და გზებს აჩუქო ავებს, ხრიოკებს,
დროს დაუყარო: ფეხით გათელოს...
სამშობლოს დარდი ვერ დაიოკე,
ცა ვერ მანახე, სულის ნათელო!



2

ვხედავ: აქ შენზე აღარ დაობენ,
სამოთხის ძაფებით დასართველო,
შურმა დაფარა შენი ცა ობით,
იქით უღრანებო, აქათ ველო...
შენ ხარ მამული: შენ ხარ საობლე,
შენ საობლეთო: საქართველო!

2001წ.

ჯვარზე გაკრული პერიოდული სისტემა:
სამყართა ქიმიური იეროგლიფები...

მინის კოლბებში
დამწყვედელი ბუნების ენა...
ნივთიერებები
სისხლდამდინარ პლანეტების
ცრემლს რომ ირევენ,
ცაში რომ ზრდიან ვარსკვლავყვავილებს...

ესეც კი ვფიქრობ,
რომ აქ ჩახმა პოეზიის დიდი სიმწვანე...
და ცეცხლმა დანთქა სამარადისოდ
სიძულვილით გადახავსული
გულები,
როგორც ხმელი ფოთლები...

2006წ.

დავხურე გული

დავხურე გული: ჩემს კუნაპეტ შუალამეში
ველარავინ შემოიხედავს...

ვერც კაცი და...
ვერც წვიმები, ვერც სიზმრები,
მონყენილები...
და ღამეც ველარ შემოიხედავს,
და მგელიც ველარ შემოიხედავს,
და მთვარეც ველარ შემოიხედავს,
და სიტყვაც ველარ შემოიხედავს
ჩემს კუნაპეტ შუალამეში!

2006წ.

დღეს ერთმა ლექსმა მე მიკადრა და
ეხლა მე იმის შექმნას ვიკადრებ:
ჯერ ფურცელზე მივახატავ მელნისფერად,

მერმე ავლოკავ
და ავკრიბავ
ასოასო თვალისგუეგებით!..

2005წ.

ის შორეთიდან მოვიდა ჩემთან:
ის,
ვისაც ერქვა ისიკავა ტ...

და რაღაც მკითხა ქართულ ენაზე...

ეს უცნაური ამბავი ხომ
სიამაყეს ააჯეჯილებს
იმათ გულებში, ვისი სამშობლოც
მსოფლიო რუკას ძლივს რომ ემჩნევა:
შემთხვევით დაღვრილ მელნის წვეთივით...

2005წ.

კარი გავაღე, შევედი...
და უცებ უკან გამექცა თვალი:
თითქოს იქ, გარეთ ვიღაცა დამრჩა...

ჰო, ასეც იყო:
მტკივან გულში ჩახუტებული
უზარმაზარი შუალამე
სახლის კარში მაშინ ველარ შემოეცია!

2005წ.

ცაში

ძველი სიზმრები ცაში გელიან.
მოგდევს უდაბნოს ავი სიცხე და:
დღეს შენთვის უფრო ახლობელია
ეს საქართველო: ცრემლის სიცხადე!

ცის ზღვა ღრუბლებით გადაიცრიცა...
ცაში ათროთლებს ზღვისას მზე მორევს.
ცაში რომ ახვალ: იხილავ ცის ცას
და კიდევ სხვა ცას ცის ცის ზემორე...

მინაზე ყოფნა იყო საშიში:
აქ შენი გული ობლად ხმაურობს...
ბოლოს და ბოლოს ახვალ ცაში: შინ,
შინ დაბრუნდები ცის მოგზაურო!

2005წ.

სტუმარი

თ. კიკაჩიშვილს



ფარნით კი არა,
სანთლით ვეძებ ნამდვილ ქართველებს,
ტაძრის მშენებლებს, ღვინის მსმელებს,
ჯვრის ამღმართველებს!
ჩოქით ვიარე, არე-მარე შემოვამტვერე,
რომ დამინახეს დაჩოქილი —
თოფი გატენეს!
სტომაქის მეტი არაფერი ახსოვთ გარენრებს,
სტუმარს კარები შიგ სახეში შემომალენეს!
სახლთან მისული გოგოთური ქაჯად მიმიღეს,
მეც სამდურავი ლოცვასავით ჩავილიღინე!
ლიღინი ესე, გინებად და წყევლად ჩათვალეს,
მერე შემოიპყრეს,
ფიცარივით ლამის გამთალეს!
ეს რა ჭირი გჭირთ,
რა გიშველოთ,
რა გზას დავადგე!
რა ფუჭად გეძებთ
ვისაც გეძებთ — მე ვარ თავადგე!!!

კოჩა
ხარასნაუნი

ქართველები

ქეიფობენ ქართველები!
მზესა ჰგვანან, ბზეს.
გაარჩევენ ფქვილს ქატოსგან,
შეურევენ მზეს.
ლალად მიმოღიმელობენ,
თან ლესავენ წარბს,
ხელგაშლილებს დალოცავენ,
აგინებენ ხარბს.
წუთისოფლის მიეთ — მოეთს
უღერებენ ტორს,
მართალს გაიფრიალებენ,
იჯერებენ ჭორს.

და... თვრებიან ქართველები,
და... თვრებიან კვლავ,
მათ სიკვდილი ფეხებს მოსჭამთ,
მათ სიცოცხე კლავთ!

ჰოვატი

მე ვარ სიმაღლე და
სატაძრე ქვებად მიჯრილი,
მე ვარ ჯეზირი, მე ვარ კვერთხი,
ანუ გვირგვინი!
მე ვარ მახვილი ორღესული,
ვისთვის ისარი,
ვარსკვლავთ მრიცხველი,
უამთა მხედი, ბრძენი მისანი!
ვარ ჩუმი ლოცვა,
და სიცოცხლის ვარ ნაკვერცხალი,
მე ვარ სიკეთე,
გაზაფხულის მე ვარ მერცხალი!
მისთვის შვება ვარ
ვინც ოცნებას ელტვის ონავარს,
მე ვარ ვენახი
და ვენახის ფესვის მონა ვარ!
ვცოცხლობ, ზოგივით უსულგულოდ
როდი ვარსებობ,
ბრბოს ვერიდები იმთავავითვე
მრუდე ვნებიანს,
და ვერ ამჩნევენ
რომ სიკვდილი როგორც ტყვექმნილი
დამზავებია, მორჩილ ქმნილა, დამნებებია!
მერგო ღმერთების ნადიმთაგან უხვი ნამუსრი,
პანანკინტელაც მიმაჩნია რადგან დიდად,
მივალ ქუჩაში
ხორცშესხმული სინდის — ნამუსი,
როგორც ბრალდება და ამბოხი ადამიანთა!
ვარ აღმაფრენა და ნაპერწკლის უბით ტარება,
და ამიტომაც დედამინა მეცოტავება!!!

მე და სამყარო

მე და სამყარო
 სხვადასხვა გზით მივემართებით,
 მივალ მორჩილი,
 არც არაფერს არ ვემართლები.
 ვიცი მარტო ვარ,
 მექუფრება ზეცის კამარა,
 მაგრამ არ ვიცი, ეშმაკის თუ ღვთის ანაბარა.
 ასე ძნელია... უფრო მეტიც — შეუძლებელი,
 ცხადზე ცხადია, მე არა ვარ მისი მძლეველი.
 მესიზმრებიან ოცნებები ბალად გაშლილი,
 ბოლო ხანებში უფრო მტკივა ბარათაშვილი.
 სიყმანვილეში წყალს უფრონოდ გადავდიოდი,
 ბოლო ხანებში უფრო მწყდება გალაკტიონი.
 თუმცა გრძნეული ვაჟა
 ლექსებს ქონით პოხავდა,
 ეპოქა ესე ქვესკნელია იმ ეპოქასთან.
 კვლავ გაებმება აპრილები მარტებს სიმებად,
 მაგრამ რა ვუყო პოეტების გათახსირებას!
 ვერ შევურიგდი, ვერ დავნებდი ასე იოლად,
 აქეთ მე დავრჩი —
 იქით მთელი კაცობრიობა!!!

!!!

სიკვდილი ფეხზე დავიკიდე,
 შენთვის გადავდე თავი კიდე,
 კაცის სახელი დამიმკვიდრე
 შორის მგელთა და კრავთა!

წყლულებზე წამლად დაგენაყა,
 ნაქცეული არ დაგენახა,
 დაგეჩოქე და დაგეხარე,
 თან ჩემი ღვიძლი მკლავდა!

ახლა შეთიბულ — შეცელილი,
 ორმოცი ზამთრით შევერცხლილი,
 ასე ამაყი და შერცხვენილი
 სულეთის ვდგავარ კართან!!!

ქართველო

სადმე ღვარცოფი გამრიყავს,
 ისე ვკიდივარ ხავსზე,
 ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
 თორემ დაგკრავენ ხმალსვე!!

ქართველო, შენთვის მოვკვდები,
 ოღონდ შენ მოდი გონზე,
 ვიდრე ხე და ქვას მოხვდები,
 ადი ლაშარის გორზე!

შოთას და თამარს გაფიცებ,
 მადლს შენი დედა ენის,
 სადმე ფეხი არ დაგიცდეს,
 გოჯი არ დასთმო რწმენის!

არ დასთმო ფრესკა ყინწვისის,
 არც არსაკიდის მაჯა,
 საფლავში არ გადაბრუნდეს
 სულკურთხეული ვ ა ჟ ა!

არ შეარცხვინო გამჩენი,
 არ დაახანო ხანი,
 მე თუ გინდ შუა გამჭერი
 ოღონდ გალესე ხმალი!

ოღონდაც ისევ დასჭევე
 გამარჯვებულის ჟინით,
 არ გამაყოლო სულეთში
 ქონდრის კაცების ჯინი!

დეგმა ურჩხულად ქცეულმა
 არ მოგიქნიოს კუდი,
 შენა ხარ ჩემი მამულის
 სინდის-ნამუსის ქუდი!!!

ბესიკ ხარაზაულს

ჩემო ბესიკ! ჩემო ძმაო,
 ეს რა მოგვდის ქართველებს,
 მარადიულ ბავშვებსა
 და ასწლეულთა დამთვლელებს!

ხან ცელი ვართ, ხან ბალახი,
 ხან ორივე თანაბრად,
 ხან ყოველი ერთადა ვართ,
 ხან საერთოდ არა ვართ!

ზენაართან გამობმული,
 ელვის შოლტით ნაცემი,
 იღუმალი ეტრატიდან
 სისხლით გადმონანერი.

ყველას ნაცვლად ჩვენ ვტირივართ,
 ყველას ნაცვლად ჩვენ გვიყვარს,
 ვიდრე მიქელ — გაბრიელი
 ცხრაკლიტულში შეგვიყვანს.

უზრუნველად მოვიჩხეთ ფრთები,
 ხოხვა ვარჩიეთ,
 ღმერთი ჩვენგან წამებული
 ვეღარ გადავარჩინეთ!

ხედავ! — მოსვლით არვინ მოდის,
ნასვლით უხვად მიდიან,
ჩვენსას ვყიდით,
სხვისთვის ოდით თავი გადაგვიდია.

დავუშინეთ წარსულს ქვები,
მომავალს არ ვაცალეთ,
ქართველის დედის ძუძუები
ქარვასლებზე გავცვალეთ,

ძროხებს ვკაზმავთ, ხარებს ვწველავთ,
წავეხარეთ მძარცველებს,
ფეხით თელავს ნინოს რწმენას
და სატანას ავრცელებს,

ჩვენ სტუმარ — მასპინძლობით
ყმად გავუხდით ნაძირლებს,
პირში ჩაჩრილ მანოვარით
ჩვილებივით გვაძინებს,

ჩემო ბესიკ, ჩემო ძმაო,
ეს რა მოგვდის ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს!
მარადიულ ბავშვებსა და
ასწლეულთა დამთვლელებს!

დემოკრატია

შეშლილის მონოლოგი

ვინც მე შემხორხლა მონდომებით ხორციტ
სნეულით,
ვირების ჯოგი მომაჩვენოს უნდა რაშეზად.
ამ სიბინძურეს, სადაც მე ვარ ჩამოთრეული
ჭირდებოდა კი კიდევ ჩემით გადამლაშება!

გამომძლარია დედამინა ხორციტ დამპალით,
რა ბედენაა მძიმედ ივლი, გინდა მსუბუქად.
გარეგვნებული სახეებით ნაზად დამფალით,
ვსუქდები მისთვის, მატლის გავხდე ბოლოს
ულუფა!

ამ უნიჭობამ თავში როგორ მოუქრიალა,
ვინც მე დამწურა, რომ დამწურა, რისთვის
დამწურა.
არა ჯობია ასეთ ყოფას ყოფნა ფიალად,
ჰა, დიდი — დიდი მიგამსხვრიონ ქვაზე
კაცურად!

რა ჯანდაბაა, რა გაცინებთ სირაქლემებო,
ბრიყვულ ფაფხურით ლამის ჭერი
ჩამოაქციოთ,
თუმცა რას გერჩით, ისე ჰქენით როგორც
გენებოთ,
თქვენ უნდა ჭამოთ, რათა მერე ნახვად
აქციოთ!

ვილაც ოცნებობს რალაც ჩხირი სადლაც
შეჩაროს,
შეთხვლევს ქვეყანას მიეცემა ამის თუ ნება,
ჩაქვრება შუქი — ვილაც ცდილობს მეტი
შეჭამოს,
ვილაც ვილაცას ბარძაყებზე ეფათურება!

ვილაც შიმშილობს და სიცოცხლის იხდის
იჯარას,
ვილაც ბობოლამ უკანალი დროშად ასწია,
ვილაც მათხოვრობს, ვილაც ართმევს, ვილაც
იპარავს,
ირგვლივ ათასი თალღითი და პედერასტია!

მხოლოდ სიზმრების ხილვის დამრჩა ოდენ
უფლება,
ხოლო სიზმრებშიც წერია და ლამის ხატია,
„სალამი სიკვდილს — ამ ჭეშმარიტ
თავისუფლებას!“
„სალამი სიკვდილს — ამ ჭეშმარიტ
დემოკრატიას!“

!!!

შოთას კალამს ვფიცავარ, ილიასას გულს,
მართალ კაცებს ვუწოქებ, არაკაცი მძულს!
ვაჟას ნამუსს ვფიცავარ, სააკაძის ხმალს,
ასე არ გათენდება სანატრელი ხვალ!

ყველას თავის ფუა ჭირს, გადასულან ზღვარს,
მოვექეცი შუაში უგულობის ზღვარს!
არც იმედი იმედობს, დანა ეძებს ყელს,
ჩემი მტერი მიენდოს ამათ გათხრილ ხვრელს!

სუყველაზე ლამაზი დედა მარგუნეს,
დედა დამისახიჩრეს,
მერე გამგუდეს!!!



აქსიომა

არ სჭირდება მტკიცება
და არც მტკიცებულება —
— მაქვს ქართულად სიცოცხლის
და სიკვდილის უფლება.
წმინდა ნინოს საფლავი
ბოდბეს თუ მეგულება,
მე ქართულად ლოცვის და
გალობის მაქვს უფლება.
სანამ ზვიადაურსაც თვალი მიელულება,
ქართულად მასპინძლობის გამაჩნია უფლება.
სანამ ნანატრ სულიკოს ვარდი ებუღბულება,
ქართულად რომ მიყვარდეს,
ნამდვილად მაქვს უფლება.
და რადგანაც მავანი მწარედ მედიდგულება,
სწორედაც რომ დუმილის
ალარა მაქვს უფლება.

ნინო
სიხარულაძე

სიმნრის ლექსი

ჩემი შვილი არ კითხულობს წიგნებს —
— გზას ინტერნეტ-თამაშებით იგნებს.
პულტზე დაქრის მისი ხელი მარდი,
სულ არა აქვს ხმელი ნიფლის დარდი,
არ დაგიდევთ არც შვლის ნუკრის ნალველს,
მთვარის თრთოლვას ველარ არქმევს სახელს,
ველარ ისმენს ვარსკვლავების სიცილს,
მოუნუსხავს მონიტორის ციმციმს,
ვერ პურდება, ვერა, ტატოს ლექსით,
ურჩევნია „სნიკერსი“ და კექსი.
ზღაპრის გუდას მიუხურა კარი,
წყლის ნაყვან მასთან საუბარი
და სიზმარშიც, სავალალოდ ჩემდა,
ამირანის ნაცვლად ბეტმენს ხედავს.
მახსენდება ჩემი „აი ია“
და ამ ლექსსაც სიმნრის ლექსი ჰქვია.

დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია,
ოცდაოთხი მოფრთხილვე ჩიტი,
ოცდაოთხჯერ ოცდაოთხი ლალატია
ამ სეზონის უმთავრესი ჰიტი.
გულისკარზე ეჭვის ჭია მახატია,
მაგრამ არვის დაცდენია კრინტი,
ეს ლექსიც ხომ უგზოუკვლო ბარათია —
— თოვლში გამოტყუებული კვირტი.
გარშემო სულ ქიშია და შამათია,
საფლავში კი კვნესის სერაფიტი,
დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია,
ოცდაოთხი ფრთებდაჭრილი ჩიტი.

ირიზი პლუზი

მე ის წვეთი ვარ, შენ რომ არ დაგცდა
ცაო, ცაზედაც უფრო მაღალო,
ლოდინმა სული ამომიშანთა,
მინდა, ღრუბელი ღრუბელს ვახალო,
ჩამოვიქცე და ჩამოვღვარცოფდე,
ზეციით მოსული სტუმარი მერქვას,
მთელი ქალაქი, მინდა, ისმენდეს
დილა-სისხამზე ჩემს გულისფეთქვას.
შენც გაგაღვიძო და გაგიმხილო,
რაც მენატრება და რაც მაკლია:
სხვა გაზაფხული, სულ სხვა ღიღილო,
მაგრამ ნატვრასაც რომ არ მაცლიან?!
უკუღმართად რომ ჩააწყო კარტი
მეფედქცეულმა ფლიდმა პაიკმა?!
თვალმოვერცხლილი მომტირის მარტი,

მარტი, რომელიც ქარში გაიბნა.
იმას კი, ვისაც სხვა მადლი ახლავს,
ვისაც სამეფო უხმობდა ტახტი,
პაიკადქცეულს ვუცქერი ახლა
და კვლავ უკულმა იშლება კარტი.
მეტი რა გითხრა, სიტყვაც ისევე შემაშრა,
როგორც ცრემლი მდულარე,
გაქვავებული ჩემი ცრემლები
გულგაქვავებულ ბრბოს მივუყარე
და სანამ ისევ გაიკვირტება
სიტყვები ნალდი და ჭეშმარიტი,
წვეთად ვიქეცი, წვიმამწყურვალი,
ცად დავესახლე — ცის მარგალიტი.
მაგრამ ლოდინმა სული დალია,
ლამის ღრუბელი ღრუბელს ვახალო,
ნუთუ შენ ჩემთვის აღარ გცალია
ცაო, ცაზედაც უფრო მაღალო.
ნუ, ნუ გამწირავ, სულკურთხეულო,
გამანვიმე და ამახშიანე,
ვერ დავიჯერებ, რომ არ მეღიან,
რომ უსაშველოდ დავაგვიანე,
რომ ზედმეტი ვარ, ვით ვიოლინოს
ეზედმეტება მეორე ხემი,
რომ დამიგმანავს ყველა დარაბას
ნალალატევი ქალაქი ჩემი.
ნუ, ნუ გამწირავ, სულკურთხეულო,
მინდა, ზედ გულზე დამეცეს ტუზი
და დავარწიო ქუჩაბანდებში
ლამეულ წვიმის ირიბი ბლუზი.
ჯერ კი სახელად ის წვეთი მქვია,
ცაო, ცაზედაც უფრო მაღალო,
შენ რომ არ დაგცდა და სულდაშანთულს,
მინდა, ღრუბელი ღრუბელს ვახალო.

კარმენის მონოლოგი

რატომ შეკრთი?
მიტკლისფერი რად დაგედო სახეზე?
მზე ბრიალებს
და ისევ შენს საოცნელად მაქეზებს.
რად დაჰყურებ დაზაფრული
ამ დანყველილ იარას, —
— ბრონეულის ყვავილები ბრწყინავს,
სისხლი კი არა.
ბრონეულმა ძონისფერი წამიკიდა ხანძარი,
შენი დანის ნაკვალევზე ამოფეთქავს ზღაპარი,
მეც ამ ზღაპარს გაუყვებო
ბინდში ბილიკ-ბილიკად,
რა ვქნა,
მიქელ-გაბრიელმა მაინც გამაქილიკა,
მაინც დამასრულებინა ჩემი იწილ-ბინილო,
მოდი, ბოლო კავალერი შენ იქნები, სიკვდილო!
მოდი, შავეთს გამაქანე

ღრუბელ-ღრუბელ, ქარდაქარ,
შენს შმაგს მკლავებს
მინდობილი დავცხრე იქნებ...
ს ა დ ა ხ ა რ ?
ყველას ვსურდი,
მიმელოდნენ სანუკვარს და თავნებას,
ჰოი, რამდენს აუბნია თავგზა
გიშრის თვალეზმა,
ამ თვალებით სვამდნენ ეშხს და
უფრო ხშირად, სამსალას,
მაინც ვერვინ შემელია,
სხვაზე ვერვინ გამცვალა
შენ კი ისე მენაზები,
ისე მზვერავ შორიდან,
ვით მატადორს სახელოვანს
უმზერს მთელი კორიდა.
ოლე! მოდი, ბოლო წამი მაინც გამიიოლე,
თორემ ძალზე გამანამა დანყველილმა იარამ;
წვეთ-წვეთობით ვთავდები და
სისხლისაგან ვიცლები,
სისხლი ბრწყინავს მზეზე,
მართლა ბრონეული კი არა.
შენ კი, ხოზე, მოდი გონზე,
ახლა მაინც დამინდე,
თორემ ბედიც არ დაინდობს
შენისთანა რაინდებს,
მომარიდე ეგ ცრემლები
და კვლავ მტრების ჯინაზე
უკანასკნელ კოცნის ცეცხლით
ბაგე გადამირაზე.
ღალატს ნულარ გამიხსენებ,
არ გიხდება გოდება,
ის, რაც იყო, ზღაპარს ჰგავდა,
აღარ განმეორდება —
— ზღაპარს ჰგავდა,
ტრფიალების დროშას ვაფრიალებდი,
შენთვის, მარტო შენთვის მენტო
მოგიზგიზე თვალეზი,
მაგრამ შობილი ვარ ბოშად და ის,
რასაც ქარი როშავს,
სამუდამოდ დავივინყო, განა ასე ადვილია —
— სამარემდის შენი ვიყო?
სამარემდის გიერთგულო?
ბორკილებზე გადაცვვალო
ჩემი ჭრელი მანტილია?
არ გამოვა, არ იქნება, ბედისწერას ასე ნებაგს,
ბედისწერის ყველა წამი კი
წინასწარ გათვლილია,
შენთან რომ არ მეტილისმა,
გული რომ არ დამენყვიტა,
მაშინ აღარ ვიქნებოდი
საოცნებო კარმენსიტა —
— ახლა, ვიცი,
აღარ დაცლი დავინყების ფიალებს,



ახლა შენი დანის წვერზე
სიყვარული წრიალებს
და სანამდეც იარსებებს ამურის სიამენი,
გეყვარები,
გენდომები,
გეხსომები
კ ა რ მ ე ნ ი.

ბაბრაზაბული ლექსი

... იუდა თოკზე მაინც დაეკიდა,
თქვენ კი ისე როგორ ტყიურდებით,
რომ ანგელოზად ჩანან უკვე
სხვადასხვა ჯურის იუდები.
იმან რალაც მაინც შეინანა
და თუმც საშინელი ცოდვა ახლავს,
გამოსავალი რომ ვერსად ნახა,
წავიდა, შავეთს დაესახლა.
თქვენ კი — რა სიამე! რა განცხრომა!
რა თვითკმაყოფილი სიფათები!
იმასაც ვერ ხვდებით, უგუნურნო,
რომ ჯოჯოხეთისთვის იბადებით.
იუდა თოკზე მაინც დაეკიდა...

ძილში

მძინავს და ძილში ვდედოფლობ,
მახლავან სეფე-ქალები,
სიზმარგრეხილებს ვეშვილე
და მზისკენ მივექანები.
სურვილთა ბადე დავხლართე
და კალმახივით სხმარტალამ
ჩემმა ნატვრამ და ოცნებამ
ბადეში გაიფართხალა.
რაც კი გულს მოეგუნება,
არ დავიკელი მისხალი,
დედოფლის კალთას ვამთხვიე,
დავიმეგობრე იღბალი.
მზედ რომ შემასვეს ზედაშე
ანგელოზებმა უფლისამ,
დაინკრიალა საათმა
და მწარედ გამაგულისა —
— მორჩა! გაქრა და განქარდა!
სიზმარს გაუნყდა საკინძე,
იქ ვდედოფლობდი, აქ ვმხეველობ —
ვაი, რად გამომალვიძე!

ქალაქის პორტრეტი

ქალაქი წვიმაში
და მე შენს წინაშე...
ლამპიონები — მშვიერი მგლის თვალები,
უღიმღამობს სინათლე ღამის,
ქუჩის ძაღლებს ადევენებული
შავბნელობს ქუჩა,
მაჯის საათზე წუთებია ორის თუ სამის.
ჩვენ ველოდებით,
როდის ჩაიცვამს თბილისი გაზაფხულს,
წუგეშის სიტყვებს, მზის ფერებში
გაკვირტულ დილას,
სულწასულნი ველოდებით
და ლოდინი გაგრძელდა რადგან,
თავს ერთმანეთში შევაფარებთ,
შევიყუჩებით
და გაზაფხულს გამოვიგონებთ.
... სულ გაილუმპა ქალაქი წვიმაში
და მე შენს წინაშე.

სარკესთან

შენ არასოდეს მომატყუებ.
სწორედ ამიტომ,
ზოგჯერ ფარდა რომ ჩამოგაფარო,
წუ გენყინება...

* * *

მუსიკა,
ქარი,
რძისფერი დილა —
— შორეთში სიზმრის ბილიკით მივალ.
ირწევა თოვლი, როგორ გელოდე!
ჯოჯოხეთმოვლილ სულში ბნელოდა.
მტკვარზე ფარფატით დაჯდა თოლია,
ცივა და ცივა, ირგვლივ თოვლია.
მივარღვევ ზამთარს, სიონი ელავს,
ვისხენებ ცას და ვივინყებ ყველას —
— როგორ გელოდე თებერვლის ქარში,
დრო განა ყველა ნაკვალევს ნაშლის.
გადვურჩი გრიგალს, დღე დამლლის წყნარი,
არსად — მუსიკა და არსად — ქარი...



გ ა მ ა

ქონკრეტული

ლიონისა და ლაიონის თამაეები

პიკასო მხ მოქმედებაზე

მოქმედი პირები

- ღვთისო უფლისაშვილი - ფოლკლორისტი, ცნობილი თამადა, 45 წლის.
- ღვინება ბანგია - მსახიობი, ცნობილი თამადა, 35 წლის.
- გური გურიელი - პედაგოგი, ცნობილი თამადა, 35 წლის.
- პორფილე არახამია - მარის მამა, ლერის თანამშრომელი.
- გიორგი დადვანი - გურის და ლერის თანაკლასელი.
- ბაგრატი დადიანი - ხანში შესული კაცი.
- ლერი კაპანაძე - გურის თანაკლასელი, საქმოსანი.
- თამარი - ღვთისოს მეუღლე.

- გიო - ახალგაზრდა თამადა, სტუდენტი.
- ჯეკი - ამერიკელი მეცნიერი და საქმოსანი, 40 წლის.
- მარი - ყმანვილი ქალი.
- მეგი - ღვინება ბანგიას ცოლი.
- მირანდა - ქვრივი ქალი.
- მართა - ბაგრატის მეუღლე.
- თემური - ლერის თანამშრომელი.
- ნუგზარი - ახალგაზრდა, დამწყები ქილერი.
- ექიმი, ბავშვები, I, II ახალგაზრდა და სხვები.

I მოქმედება

I სურათი

სცენის წინა კუთხეში მუდმივად ჩანს მაღლარი ვაზი.

ჯეკი ზის მაგიდასთან, ჩასცქერის ქაღალდებს, ერთმანეთს უდარებს, აღელდება, წამოდგება, გაივლ-გამოივლის, უცებ ტელეფონს დასწვდება და ნომერს აკრეფს.

ჯეკი ალო! ჯიმ, მე ვარ! მომისმინე, მეგობარო და მოემზადე დიდი სიურპრიზისთვის. იცი, რა წერია ოთხი ათასი წლის თიხის ფირფიტაზე, კუნძულ კრეტაზე რომ აღმოაჩინა არტურ ევანსმა და რაზეც, სხვებთან ერთად, ჩვენც ვიმტვირეთ თავი? დიას, ერთი მათგანი გავშიფრე! ეს დიონისეს დიდი ტაძრის მთავარი ქურუმის საიდუმლო წერილია, რომელიც გვამცნობს, რომ სამმაგად დაცულ-დაბეჭდილი, თორმეტი დიდი ქვევრი სავსეა განძით და რომ ისინი, შენახვიდან ოთხი ათასი წლის შემდეგ, უნდა გაიხსნას მისტერიაზე ამ ღვთაების სამშობლოში, სალოცავ მუხასთან, ზაფხულში, მთვარის ავსებისას. სად? რა თქმა უნდა, იქ, სადაც ჩვენ და კავკასიელი მეცნიერები ვვარაუდობდით, - საქართველოში, კოლხეთში. რაო? იქ მრავალი ასეთი მუხაა? კონკრეტულად სად? აბა, ეგ რომ ვიცოდე, მაშინ რაღა გვიჭირდა? რა თქმა უნდა, ძნელი მოსაძებნი იქნება! თუმცა, ფირფიტაზე საყურადღებო მინიშნებაა, - ყოველი თაობის ხელდასხმული ქურუმები ღვინის სერობისას ქარაგმულად იტყვიან ამ ადგილის მისამართსო. რა თქმა უნდა, ვიცით, თუ ვინ არიან ღვინის ქურუმები იქ. დიას, ჯეკ, დღევანდელ საქართველოში, თავიანთ ჭყეტელა, სიმბოლოებით სავსე სადღეგრძელოებში, თურმე, მსოფლიოს უდიდესი საგანძურის საიდუმლოსაც გვამცნობენ თამადები! რა? სწორედ რომ თორმეტი დიდი ქვევრი! გესმის, რა სიმდიდრეა?... რაო? მეცნიერებს ხომ არ შევატყობინოთ? - არავითარ შემთხვევაში! ჯერ ჩვენ ვცადოთ! აკი თავად ევანსი, თითქმის ნახევარი საუკუნე უმაღლავდა კრეტული დამწერლობის ნიმუშებს კაცობრიობას?! ჩვენ ახალი ჩედვიკ-ვენტრისები ვართ, მაგრამ გამდიდრების შანსიც გვაქვს! ხომმეთან-

ხმები? მაშ, კარგი, ჯიმ, ხვალვე გავფრინდები საქართველოში. იქ მეგობარი ფოლკლორისტი მყავს, განთქმული თამადა, ღვთისო უფლისამ-ვილი, მას მივმართავ. არა, განძზე არაფერს ვეტიყვი! რაც არ უნდა მოხდეს, კიდეც ერთხელ გიხბდი მაღლობას იმ ბრწყინვალე აზრისათვის, „ა“ დამწერლობა რომ რამდენიმე ენის ნაზავად წარმოიდგინე, რომელშიც ერთ-ერთი არქაული, კოლხურია. ამის გარეშე არაფერი გამოვი-დოდა! აბა, ნახვამდის, მეგობარო!

ჯემი დაკიდებს ყურმილს.
სცინა ბნელდება.

II სურათი

ქუჩაში დგანან ექიმი და თემური.

ექიმი შეხედე! ღვთისო, გური და ღვინება მოდიან! ამათ ვენაცვალე! რა მადლიანები არი-ან! ხომ გახსოვს ღვთისოს ერთი სადღეგრძე-ლო: „თუ გამვლელი შორსაა, გულში დალოცე და კეთილი გზა უსურვე! თუ ახლოსაა, სუფრას-თან მოიწვიე და სიტყვით დალოცე!“ ქეიფის ხასიათზე მოვედი, ფული კი ცოტა მაქვს. შენც ხომ არ მოგეძევა რამე, რომ ერთად დავპატი-ჟოთ სამი დიდი თამადა?

თემური სამწუხაროდ, მეც ქესატად ვარ.

ექიმი აფსუს!

შემოდინ ღვთისო, გური და ღვინება.

თემური დილა მშვიდობისა, ბატონებო!
ღვთისო (გულზე ხელს დაიდებს.) – ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!
ღვინება (კოცნას გაგზავნის.) – თქვენ გენაც-ვალეთ!
გური (მომუშტულ ხელს აწევს.) – გაგიმარ-ჯოთ, ძმებო!

ექიმი და თემური გადიან.

ღვინება კაცო, ნუხელ შეზარხოშებულმა რესტორანთან, ბაღში, მგონი, რომელიღაც ბი-უსტეს ვაკოცე, ძალიან ცივი იყო.
გური მუდრეგო, ბიუსტი კი არა, მე ვიყავი, გავიყინე შენი ქადაგების მოსმენაში.
ღვინება ჰოო? მეც არ გამიკვირდა? შენი ტვი-ნის ტემპერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კი გექნებოდა ცივი თავი! (იციინის.)
გური შენ რა გაქვს სათქმელი? მოდი, დავ-ნაძღვევდე, აგერ ღვთისომ ორივეს მოგვახ-რახნოს თავები და ჰაერში შეაგდოს: ნახე, თუ ჩემი სიმძიმისგან მიწაზე არ დავარდეს, შენი კი ბუშტივით გაფრინდება.
ღვთისო (ღიმილით.) – მაგისთვის მემეტე-ბით? (ვაზს ახედავს.) დალოცვილი! (უცებ გა-

ფრინდება, მიბრუნდება.)
ღვინება რა მოხდა?
ღვთისო მისალმება დამავინყდა.
ღვინება ვისთან? აქ ხომ არავინაა ჩვენს მე-ტი?
ღვთისო ეს არავინაა? (თავს დაუხრის ვაზს). „ვაზო, შვილივით ნაზარდო, მოვკვდები მე შენს ძირშია, შენით ვარ მხნე და გულადი, იმედო გა-საჭირშია!“
გური ჯიგარი ხარ! (გური და ღვინება თავს დაუკრავენ ვაზს.) ჰო, მართლა, ახლა გამახსენ-და, - ბიჭო, ღვინება, არ გრცხვენია შენი გუშინ-დელი საქციელის?
ღვინება ვინვი სირცხვილით!
გური მე არ გეხუმრები!
ღვინება არც მე!

გური მკერდში ჩაარტყამს მუშტს ღვინებას.

ღვინება გაგიჟდი?
გური სუფრასთან ჩემი მეგობრის ქვრივს სხვაგვარად შეხედე!
ღვინება შარზე ხარ? შენ რა იცი, როგორ შევხე-დე?
გური ვიცი!
ღვინება (საყელოში ჩაავლებს ხელს გურის.) – არ დამანებებ თავს?
ღვთისო (გააშველებს.) – გეყოფათ!

პაუზა. ნელა განაგრძობენ ვაზს. ღვთისო და გური გამომცდელად შეჰყურებენ ღვინებას. ეს უკანასკნელი თვალს გაუსწორებს გურის, შუბლს გახსნის.

ღვინება მართალი ხარ! მომეწონა! (პაუზა.) ცოდვა ასეთი ქალი ქვრივობისათვის.
ღვთისო გლოვის ჟამის შემდეგ კიდეც უნდა გათხოვდეს, თუ ღმერთი ინებებს.
ღვინება მეც მაგას ვამბობ, ჩემო ღვთისო! (ნიშნის მოგებით გახედავს გურის.) ხანდახან მუსლიმანების მშურს. რა იქნებოდა, ჩვენც რომ შეგვეძლოს სამი-ოთხი ცოლის ყოლა? ერთი კერძებს მოამზადებდა, მეორე ოჯახს და შვი-ლებს მიხედავდა, მესამე მოგეფერებოდა! შემ-დეგ (ელღებდა.) ერთმანეთს შეენაცვლებოდნენ, - ჯანსაღი კონკურენცია იქნებოდა ოჯახში, ბატონო! ხომ ხედავთ, ნელნელა როგორ დავი-ლიეთ ქართველები! განა ოდესღაც ელინები, იაპონელები ორცოლიანობას არ მისდევდნენ, ხალხის გასამრავლებლად?
გური შენი საშველი არ არის! იქნებ, უფ-რო ადრინდელი, წარმართული ადათი სჯობ-დეს, - ინდოეთში ერთ ქალს რომ რამდენიმე ქმარი ჰყავდა? ნეპალში, მგონი, ახლაც ასეა. ჰა, ამაზე რას იტყვი?
ღვინება საზიარო ცოლი რად მინდა? საზი-არო სიდედრია კარგი, ხანდახან გადააბარებ ქვისლს.

ღვთისო ბრძენებო, მეც მაქვს ერთი წინადადება.
ღვინება გისმენთ!
ღვთისო კარგი „ჩინური“ მაქვს შინ! გეპატიუებით!
გური აგაშენა ღმერთმა!
ღვინება სამი დიდი თამადა ერთ სუფრაზე მინისძვრას უდრის, ძმაო! გური გურიელო, იცოდე, დღეს სმაში შენი დამნდობი არ ვარ, ამიტომ გირჩევ, წინასწარ შეარჩიო სარწყევი ადგილი!
გური მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის მოუგროებს კისერს!

სამივე ბაღის სცენიდან.

III სურათი

სუფრას უსხედან: ღვთისო, გური და ღვინება. კუთხეში ათლიტრიანი, დაცლილი ბოცა ჩანს. ხუთლიტრიანი, ღვინიანი ჭურჭელი მაგიდაზეა.

ღვთისო აბა, გური, შენი ჯერია! გვითხარი რამე, ნაპერწკლიანი!
გური (ასწევს სასმისს.) – გაუმარჯოს ჩვენი კაცობის იმ მძიმე საპალნეს, რომლის ერთ ჩანთაში ცოლ-შვილი გვისხია, მეორეში – მეგობრები, ახლობლები, ხოლო მესამეში, ყველაზე მძიმეში, – მთელი ქვეყანა, თავისი ჭირითა და ლხინით!
ღვინება გაუმარჯოს!
ღვთისო ამინ! (დალევს, ჩაფიქრდება.) გუშინ ქუჩაში ვილაცის ბოლმიანი ხმა მომესმა: „ერთხელ გავჩნდი ამ ქვეყნად, ამას რატომ შევესწარი!“ ვინ იცის, რა ანუხებდა? ძნელია ცხოვრება, როცა გულში ჩირქია ჩამდგარი. როგორმე უნდა მოვიშოროთ ის ბოლმა-ღვარძლი, ბოლო ხანებში რომ დაგროვდა ხალხში.
გური ყველა დროისა და ხალხის სატკივარია ეგ, მეტნაკლებად. მსოფლიოს რელიგიები სიკეთე – სიქველისკენ მოგვინოდევენ, ე.წ. წმინდა ომები მაღალი იდეალებისათვის ხდება, თითქოს, მაგრამ სინამდვილეში პლანეტის ისტორია ქონების გადანაწილებისათვის ბრძოლის მატიანაა. ბოროტებამ ეპიდემიასავით იცის გავრცელება, სიკეთე კი, აცრასავით, წელი და ხანგრძლივია.
ღვინება თქვენ რომ გისმინოთ კაცმა, ტირილი მოუნდება და ქეიფის ნირს დაკარგავს. ახლავე გამოგიკეთებთ ხასიათს! (შეავსებს ჭიქას.) ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზ ზღაპარს – იმედს გაუმარჯოს! ახლა კი მშვიდობით, სიფხიზლევ! (დაცლის სასმისს.)
გური ანი აუშვებს ოფოფებს!
ღვინება შენს მწყრებს მაინც ვერ ვაჯობებ! გამომართვი, დამილიე!

ღვთისო „ღვინოვ, შე ჭაჭანაის ძევ, უცეცხლოდ ამაზღულდები,
 „ჭკვიანთაი ხარ სასმელი, უჭკოსთან ამაშულდები!“
ღვინება თქვენ არხეინად იყავით! (მაღიანად ჩალუკმავს ხორცს.)
გური ამ ხორციელაპიას რომ ვუყურებ, სულიელაპიების არსებობაც მჯერა. ისეთი კუჭი აქვს, ჰუსეინის ჩამოგდებულ ძეგლსაც მოინელებს.
ღვინება დიდი ნაჭერი გამოდგა ეს ხაშლამა.
გური შენცადექი და ნამოუნქეი, მურიასავით! (იციინან.)
ღვინება ვითომ შენ მყავხარ მუცელშენახული? შენც კარგად ადოლაბებ, ხოლმე, მაგ ლოჯებით ხორავს! ამოდ მიქცევ ყბას!
გური შენ ყბას ბულდოზერიც ვერ მოგიქცევს, იმხელა გაქვს! ხუმრობა იქით იყოს და მოდით, იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც გაჭირვებულია, თუმცა, გაჭირვების ღირსი არ არის და ღვთის იმედი აქვს! იმასაც გაუმარჯოს, ვინც დაეხმარება, თუმცა არავისგან სამაგიეროს არ ელის! იმედს გაუმარჯოს, ჩემო ღვინება! (სვამს.)
ღვთისო ქვეყნად ყველაზე იმედიან სიტყვას: „გაუმარჯოს“ გაუმარჯოს!
ღვინება ჩაგეთვალა! (ჩაფიქრდება.)
გური სად წახვედი, ღვინება? აქ დაბრუნდი!
ღვინება ცხონებული ბაბუაჩემი გამახსენდა, ბრძენი კაცი იყო, სამი განძი დამიტოვა ანდერძად.
გური ცოტას არ გვინილადებ?
ღვინება დააფასებთ კი?
გური გეკადრება?
ღვინება კარგი, ბატონო! პირველი განძი ის იყო, რომ ბაბუა მეგრულად მეტყოდა: „ტიბუ ღვინი დო ცინი ოსური, ჟირ ხოლო ართო უგემური!“ იცით, რას ნიშნავს? – თბილი ღვინო და ცივი ქალი, ორივე უგემურიო!
გური მართლა ბრძენი ყოფილა! მეორე ანდერძიც გაგვაცანი ერთი!
ღვინება მეორე ანდერძი ის იყო, რომ გარდაცვლილისთვის დასაფლავებამდე პირში ცოტ-ცოტა ღვინო უნდა ჩამესხა.
ღვთისო რაო? გარდაცვლილისთვის?
ღვინება ჰო!
ღვთისო მერე ასხამდი?
ღვინება აბა, რა! სათითურებით ვასხამდი! უნდა გენახათ, რა ნათელი გადაეფინებოდა სახეზე ცხონებულს. საფლავში ღვინით სავსე ხუთი ბოთლიც ჩავატანე. ათი წელი გავიდა მას შემდეგ. ვინ იცის, ახლა ყველა დაცლილი აქვს. მოუკვდეს ჩემი თავი! მეტი ვერ ჩავატანე?
გური მაგაზე ადვილი რა არის, ბურღით ჩახვრიტე საფლავი და წვრილი შლანგით ჩაუთქიშინე ღვინო!
ღვინება მოიცა, კაცო, ბევრიც არ შეიძლება, ვაი, თუ გადასცდეს და დაიხრჩოს!

ყველა იცინის.

გური მესამე ანდერძი მთლად უნიკალური იქნებოდა.

ღვინება ოო, ეგ იყო, რაც იყო, ჯიმა! რომ შეატყო ცხონებულმა, ვკვდებიო, ახლობლებს უთხრა: „ყველამ დამტოვეთ! მხოლოდ ჩემი ალიკვალი, უსაყვარლესი შვილიშვილი ღვინება დარჩეს!“ უნდა გენახათ, როგორი შურიანი თვალებით შემომხედა ყველამ. დავრჩით მარტო. ახლოს მოდიო, მანიშნა ბაბუამ. მივუჩოჩდი და სუნთქვა შევიკარი, ვიფიქრე, ახლა მაინც დამიტოვებს რამეს ხელშესავლებს-მეთქი. უცებ მეუბნება ცხონებული: „შვილო, იცოდე, არ დაიჯერო, თითქოს, შუმი, წითელი ღვინის სმა მართლა ამაღლებდეს წნევას. თუ სმისას ცივ წყალში ჩააწყობ ფეხებს, მშვენივრად მიდის!“ (ღვთისო და გური იცინიან.) თქვენ იცინეთ და რამდენი კაცი შეეწირა ამის არცოდნას! მე აქამდე ამით მიდგას სული!

თამარი ხაჭაპურს შემომამატებს სუფრას.

ღვინება უჰ! ჩემო თამარ, რაღა შენი გამომცხვარი ხაჭაპური და რაღა ცივი „კამური“ ან „პუმპულა“ ნამთვრალევეზე!

თამარი ჩემო ღვინება, რაღაცას კარგს რომ ამბობ, კი ვხვდები, მაგრამ, იქნებ, მითხრა, რა არის „კამური“ და „პუმპულა“.

ღვინება ძველი, კოლხური ვაზებია! განსაკუთრებით უყვარდათ დადიანებს! ახლა გადაშენების პირასაა, ათეულობით სხვა ჯიშთან ერთად.

ღვინება ხაჭაპურის ნაჭერს სულუგუნს დაადებს და ჩალუკმავს.

გური ღვინება ბანგიავ, თუ შენ სახლშიც მასე ჭამ ხაჭაპურს, ღმერთმა აგაშენოს! თუ არა და დაგექცეს ოჯახი! რას ერჩი უფლისაშვილებს?

თამარი ღმერთმა შეარგოს! სტუმრის სიამოვნება მასპინძლის სიხარულია!

გური დღეს ძალიან მადაზუა, ადრე ამგვარი რამ არ შემიმჩნევია.

ღვინება ერთხელ იყო, სულ სამი ვიყავით სუფრაზე და ორი გოჭი შევჭამეთ.

გური მეორე ვინ იყო?

ღვინება გოჭი!

გური მესამე?

ღვინება მეორე გოჭი! (იცინიან.) მართალი არ გეგონოთ, მოვიგონე, ძმებო! ხუმრობაში აგყვივით!

გური სასმისს შეავსებს.

გური ღვთისო, თუ ნებას მომცემ? მოდით, ჩვენს დედაკაცებს გაუმარჯოთ! როგორც

ვაზი და ჭიგო, ისე ვამაგრებთ ერთმანეთს კაცები და ქალები. რომ დავაკვირდი, რაღაცით ადამს მაგონებს ჭიგო, ხან ევასავით ეკვრის ვაზი, ხანაც გველივით ეხვევა და ემაცთურება, - სიბრძნე და გრძნობიერება ერთნაირად მშვენიერია ქალებში! შენი თამადაობით ვსვამ მანდილოსნების სადღეგრძელოს, თამარ, დაიავ!

თამარი დიდი მადლობა, ჩემო კარგო!

ღვთისო (იღებს სასმისს.) - ოჯახის საძირკველი სიყვარულია, შრომა დედაბოძია, მოთმინება კედლებია. ბედნიერი ვარ, ჩემო თამარ, შენი თავი მეუღლედ რომ მარგუნა განგებამ. გაგიმარჯოს! შენთან ერთად მთელი დედამიწის დიასახლისებს ვლოცავ! თქვენს მანდილოსნებს ვადღეგრძელებ, ძმებო!

გური გაგიმარჯოთ, პლანეტის მესამე ნახევარსფეროებო, - ყველაზე მზიანო, ლამაზო, ნაყოფიერო კონტინენტებო!

ღვინება ეგ მომენონა! სადმე გამომადგება!

ღვთისო (ცოლს.) - გვითხარი რამე!

თამარი პატარა ჭიქა შემვივსეთ! ქალის სიმდიდრე კრძალულებაა, რასაც მამაკაცის ვაჟკაცობა განაპირობებს. კრძალული სიყვარული ყველაზე ხანგრძლივია. თქვენით და თქვენთან ერთად გაგიმარჯოს! (თამარი სვამს ღვინოს.) ახლაც კარგი ღვინო გამოგსვლია, ღვთისო! (გადის.)

ღვინება (სინანულით.) - ჩემმა მეგიმ კი ამასწინათ საუკეთესო ღვინო დამიწუნა. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: „შენი სისხლი მიჩვენია!“ იხუმრა, ვითომ, მაგრამ... შენ კი, გური, იმ მშვენიერი ქვრივის შეხედვაც დამიშალე. რა იცი, რა მაქვს გუნებაში?! (ღვინებას მობილური ტელეფონი დარეკავს.) ა, ძალი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო! გისმენ! რაო? ბავშვს ცეკვის ფული უნდა? ხვალ მოგცემ! ისე, მე დღეს უფულოდ ვაპირებ ცეკვას. რაო? თეატრშია წასაყვანი? - წაიყვანე მერე! კიდევ რაო? ცხრა თვე მუცლით ატარებდი და უნდა დაგიფასო? შე ქალო, მე მთელი ცხოვრება, თვეში ორჯერ მაინც, ხუთ-ექვს ლიტრ ღვინოს ვატარებ მუცლით და რა დიდი ამბავია, თუ სამ კილოგრამიანი ღლაპი ერთხელ ატარე? ჰო, კარგი, კარგი! ახლა არ მცალია, შურივე! ნახვამდის! (თიშავს ტელეფონს.)

ღვთისო „სტუმარნო, სტუმრების მზემა, არცრა უსტუმროდ ლხინია, უსტუმროდ პური და ღვინო მწარეა, განა ტკბილია? მზეიმც ნუ მავა უსტუმროდ, მავიდას, განა თბილია?“

შემოდის თამარი გიტარით, შემოყვება ბიჭუნა.

ღვთისო გენაცვალეთ, ჩემო ტკბილო ცოლ-შვილო! აბა, თქვენებურად დამამშვენეთ და გამახარეთ! ჩემი საყვარელი ლექსი დაამღერეთ!

თამარი მღერის. კაცებიც აჰყვებიან.

თამარი (გიტარის თანხლებით.) -

„ღვინო ვშობეთ და მსოფლიო დავიპყარით სრულიად, ყველგან, სადაც ღვინოს სვამენ, ქართველების რჯულია! სააქაოც ჩვენია და საიქიოც ჩვენია, როცა გვინდა, ნავალთ, მოვალთ, ყველგან მოსალხენია! როცა გულით იხედები, გონი ვერ მოგერევა, ჩვენ ღვინო და სიყვარული არასდროს დაგველევა!“

ისმის კარის ზარის ხმა. თამარი გადის და შემოჰყავს ჯეკი.

ღვთისო ოო, ჯეკს ვახლავარ! მობრძანდი, ძმაო! კარგ დროს მოხვედი! ბატონებო, ყველა იცნობთ ჯეკ ვილსონს, ჩემს ამერიკელ კოლეგას. კარგა ხანია, ჩვენს ყოფა-ტრადიციებს შეისწავლის და ქართულსაც მშვენივრად ასერხებს. პური გატეხე ძმაო! აბა, შევავსოთ სასმისები! შემოსწრებულს გაუმარჯოს! ჯეკ, დიდი ქვეყნის შვილი ხარ, დიდი ანწყო და მომავალი გაქვთ! ჩვენ, ქართველებს, ჯერჯერობით, დიდი წარსული, პატარა ქვეყანა და მომავლის იმედი გაგვანია! კეთილი იყოს ჩვენი ხალხების დაძმობილება! გაგიმარჯოს, მეგობარო, ალალი იყოს შენზე ქართული მიწის და პურ-ღვინის მადლი! (სვამს.)

ღვინება, გური მოკლედ აღღეგრძელებენ შემოსწრებულს.

ჯეკი გმადლობთ, ბატონებო! ნება მომეცით, ამ განსხვავებული სასმისით შემოგიერთდეთ! თქვენს წარმოთქმულ სადღეგრძელოებს გაუმარჯოს! (სვამს ყანწს.)

ღვინება ასე ადვილად ვერ გამოხვალ, ეგ ყანწი უკვე სამჯერ დავიცალეთ ცერზე!

ჯეკი ნელ-ნელა წამოგენვეით!

ღვთისო ჯეკ, ხომ გეუბნებოდი, ქართველობა ძნელია-მეთქი!

ჯეკი გაცეებული ვარ საქართველოთი! ცოტას მუშაობთ, ცოტა შემოსავალი გაქვთ და მაინც უმეტესობა ქეიფობს. ჩვენთან პირიქითაა, მაგრამ დროსტარებისთვის ნაკლებად გვცალია. დრო ხომ ფულია? რა ხდება? როგორაა ეს ყოველივე? აჰა, კიდევ გაგიმარჯოთ! აკი თქვენებური ანდაზაა: „სადაც მიხვალ, ქუდიც იქაური დაიხურეო!“ (ჯეკი ღვინის სმისას შეისვენებს და ყანწში ჩაიხედავს.)

გური სწორად აკეთებ! კარგად ჩახედე შიგ და ბევრ ისეთ რამეს დაინახავ, თქვენთან რომ არაა! დრო ფული კი არა, სიცოცხლის ჯილდოა, ძმაო! დრო უნდა გაატარო, გაახალისო, აამღერო, თუნდაც, მოკლა, მაგრამ კი არ მოეკვლევირო!

ჯეკი საინტერესოა! (ღვინოს დაგემოვნებით სვამს.) ასეთი კარგი ღვინო ჩვენთან ფუჟე-

რებით ისმება, ყლუპებით, აქ კი... ნუთუ ამდენი გაქვთ?

ღვთისო აბა, რისი საქართველოა! სიმართლე რომ ვთქვათ, ჩემო ჯეკ, ზოგჯერ ღვინოს ჩვენშიც აწყალებენ და აყალბებენ, მაგრამ ისეთი ჯიშინია ეს დალოცვილი ვაზი, რომ ყველაფერს იტანს. ეს ღვინო კი ნათესავის მოკითხულია, თავანკარი, შუმი „ატენურია“, - იგივე „ჩინურ-ჩინებულია!“! მოგეწონა ხომ?

ჯეკი დიდებულია! ნაზი, ხალისიანი, შინა-არსიანი! შამპანურადაც ივარგებს.

ღვთისო ყოჩაღ! მაგასაც სწორად მიხვდი, - „ციცქასთან“, „ცოლიკაურთან“ ერთად „ჩინურიდან“ მშვენიერი შამპანური მზადდება.

ღვინება შენ, ძმაო, როგორც ვატყობ, მოქართველო ამერიკელი ხარ! დაიმახსოვრე, ის ღვინოა კარგი, ლამაზი ქალივით რომ გაგაშეშებს ადგილზე და გაფიქრებინებს: „აგაშენა ღმერთმა! რა მადლიანად მიდიხარ, შე დალოცვილო!“

ჯეკი საინტერესოა!

ღვინება ჯეკ ბატონო, შენს წელანდელ შეკითხვაზე მეც მინდა ორიოდ სიტყვის თქმა. არსებითად, ეს ისეთივე შენიშვნაა, როგორსაც ისმენდნენ ჩვენი წინაპრები, სხვადასხვა დროს, ეგვიპტელებისგან, ასირიელებისგან, ბერძნებისგან, რომაელებისგან, ხეთებისგან, ირანელებისგან, არაბებისგან, თურქებისგან, რუსებისგან. - აუჰ, რა გაგვიძლია! ყველა იმპერია თუ პარტნიორი, შეგნებულად ან ძალაუნებურად, თავის ყოფას, ზნე-ჩვეულებებს გვთავაზობდა და ხშირად კვალსაც ტოვებდა, მაგრამ თუ ერს ერობის შენარჩუნება სურს, არა მხოლოდ - კენწეროს, არამედ თავის ფესვებსაც უნდა ხედავდეს! წინაპრები წინ ლამპრებად უნდა გაინათო, ისე აღღეგრძელო, რომ ჩვენი სულების გადაძახილი ცასაც მიწვედეს და მიწასაც!

ჯეკი ე.ი. ვატრიალოთ ყანწები, ვიქეიფოთ და ნაბახუსევზე ერთმანეთისგან ვისესხოთ ფული?

(ღვინება ხელს ჩაიქნევს.)

გური არა მხოლოდ ფული ვისესხოთ, არამედ - გულიც, ღიმილიც, სიკეთეც და თუ გაჭირდა, სულებიც უნდა გაუზიაროთ ერთმანეთს, ბატონო ჯეკ! ადამიანო, ეს ნუთისოფელი მართლა ნუთისოფელია: ხრწნაა, უბადრუკობაა, განსაცდელის სადგურია და კიდევ ზედმეტი, ამო სურვილებით გავიმწაროთ? სული სურვილებს შევნიროთ? სულ ვიპრომოთ და ვიბრძოლოთ? - რა, სიზიფები ვართ თუ თემურ-ლენგები?! არა, ძმაო, ვიპრომოთ და ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ვილოცოთ, ვიხაროთ, ვიმღეროთ, ვილექსოთ ისე, რომ ცაში ღმერთს უხაროდეს, დედამიწაზე - ადამის მოდგმას! წინაპართა ადათისამებრ, ჩვენთვის სუფრა მისტერიაა! ზემხილვარებაა! ღვთივზვარაკი და ზეიმია! ზეი-

შემოდის თამარი.

მის გარეშე კი ცხოვრება ქვევრში მივიწყებულ, ნაკლულ ღვინოს ჰგავს, - აძმარდება და მასთან ერთად სულიც აძმარდება, გულიც დაღუბება! (ამოიხუნტებეს.) გაშრა ყელი, დამისხით, თუ ღმერთი გნამო!

ღვინება (ჯეკს.) - როგორც ჩანს, შენი მოქართველება ძნელი საქმეა, ამიტომაც, მოდი, დროს ნუ დაგვკარგავთ, ჩვენ ვცეცალოთ! აჰა! (ანვდის ღვინით სავსე დიდ ყანწს.) ნუ გეშინია, მე შენთან ვარ!

ჯეკი მე არ მეშინია, მაგრამ რატომ მაძალებს სმას? მებრძვი?

ღვინება კი არ გებრძვი, სიყვარულში გეჯობებები.

ჯეკი ჯიბრი და ბრძოლა ერთია ხშირად, ეს კი მხოლოდ მტერთან შეიძლება.

ღვინება ღვინო იმისთვისაა მოგონილი, რომ მტრის გული მოაღბოს, დაიმოყვროს, ხოლო მოკეთესა და მეგობარს სიყვარულში, ერთმანეთის საქებრის ძებნაში გაეჯიბროს! ამიტომაც არ შეიძლება მისი ჩუმად დაღევა, უნდა გაალო, გაამზიანო და გაამჟღავნო გული!

ჯეკი გულის გამჟღავნება მეტად სახიფათოა ამ სამყაროში.

ღვინება ჰო, მაგრამ ამ სამყაროს ჩვენც ვქმნით, ძმაო!

ჯეკი დასაფიქრებელია.

ღვთისო ახლა კი, ჩემო ძვირფასებო, მშობლების სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთ. მადლობა მათ, რომ ეს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, დედამიწა და ერთმანეთი გვაჩუქეს! დედის ძუძუების სინმინდეს და მამის მოჭირნახულე მხარ-მკლავს გაუმარჯოს! გარდაცვლილების ხსოვნა-განათლება იყოს! ცოცხლებს დღეგრძელობა ვუსურვოთ! შენ მშობლები გყავს, ჯეკ?

ჯეკი მშობლები? მე?

ღვთისო დიახ, დედ-მამა ცოცხლები არიან?

ჯეკი გარდაცვლილები გახლავთ.

ღვთისო ღმერთმა მათი სული გაანათლოს! ეს ღვინო დასარწყულებლად მიუვიდეთ საიქიოში! ყველას, ვისაც ჩვენი ხელიდან შენდობა ეკუთვნით, ცხონება შევეუთვალეთ! როგორც ხევსურეთში იტყვიან, ჩვენს შემომხედავ - შემომბრუნებლებს: გარდაცვლილებსა და მომხსენებლებს გაუმარჯოთ!

ყველა წამოდგება, პურზე ღვინოს დაანვეთებენ და სასმისებს დაცლიან.

ჯეკი (აღელვებულია.) - რამდენი ხანია, მშობლები არც კი გამხსენებია. სახლი, განათლება, ბიზნესი და ღვთისოს ნათქვამის არ იყოს, ეს სამყარო მათ დამიტოვეს. მე კი?... ჰმ! ღმერთო!... გმადლობთ, ბატონებო!

ღვინება (ჯეკს მხარზე ხელს მოუთათუნებს.) - მგონი, მაინც ჩვენი ხარ!

ღვთისო შეგარგოს, ჯეკ! „ღვინო დაღიე, ღმომი დაძლიე!“

თამარი ღვთისო, ტელეფონთან გთხოვენ!
ღვთისო უკაცრავად, ძმებო! ახლავე მოვალ!

ცოლ-ქმარი სცენის კუთხეში გადიან, ღვთისო ყურმილს დასწვდება, მოუსმენს და გაკვირვებული ცოლს შეხედავს.

თამარი ტელეფონი მოვიმიზეზე, ღვინო გვითავდება, რა ვქნათ?

ღვთისო თუმანი მაქვს, აჰა, გამომართვი და იქნებ, ერთი ამდენი ისესხო მეზობლებში, თამარ.

თამარი ოცი ლარი მეც მაქვს, მაგრამ ხვალ მუსიკის მასწავლებლისთვის უნდა დამემატეზინა.

ღვთისო თეოზე ცეცხლი დავანთე, ზედ დავაყარე დეკაო, კაცი რომ იხარჯებოდეს, აღარას არგებს დრეკაო!“ ეგ ფული ახლა შემოგვაშველე, სტუმრებთან არ შევრცხვეთ და ხვალ რაღაცას გავახერხებ.

თამარი კი, ბატონო!

თამარი გადის. ღვთისო სუფრასთან ბრუნდება.

გური ხომ მშვიდობაა?

ღვთისო კი, ჩემო გური! ნაცნობმა დამირეკა რაღაც საქმეზე. (აიღებს ღვინიან ჭიქას.) ახლა სიცოცხლის მოგაზაფხულე მერცხლებს, - ბავშვებს გაუმარჯოთ! ბევრი რამაა ქვეყნად მშვენიერი, მაგრამ ახალი თაობის აჯეჯილებას არაფერი სჯობს. კურთხეული იყვნენ ჩვენი შვილები დედამიწაზე!

ყველა შესვამს ერთიანი შეძახილით: „გაუმარჯოთ!“

ღვთისო აბა, დაუკარით საცეკვაო! ქორბელეა უნდა ვიცეკვო ჩემს ნაბოლარა ბიჭთან! უფროს ვაჟკაცს ზურაბსაც ასე ვგეშავდი ბავშვობაში, ახლა უცხოეთშია, ორი წელია, არ მიხახავს. ამათ ენაცვალათ მამა! „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამონყდებიან, ჯავრი შეჭამონ მტრისანი!“ აბა, მოდი, ჩემო მართვევ!

თამარი მაგნიტოფონს ჩართავს. თანამეინახენი ტაშს დაუკრავენ. ღვთისო ჯერ ფერხულს ცეკვავს შვილთან, შემდეგ მხრებზე შეისვამს და ისე როკავს. შემფოთებული ჯეკი წამოდგება.

გური ნუ გეშინია, ჯეკ, არწივი თავის მართვეს მხრიდან არ ჩამოაგდება! ერთი შეკითხვა მაქვს: იცი, რა არის ყველაზე დიდი სიმდიდრე ქვეყნად?

ჯეკი (გაფაციცდება.) – რა?
გური მშვენიერი ფიქრების და საქმეების ერთობა, რომლებიც ლხინით დაგვირგვინდებიან.
ჯეკი ჰოო?
გური ჰო, ძმაო! ჰო! შენც ხომ არ იცეკვებ?!
ჯეკი მეექვსება, შევძლო თქვენებური, ჯერ უნდა ვისწავლო.

თამარი სუფრას ღვინოს შემომატებს და კამპანიას შეუერთდება. დარეკავს ტელეფონი. დიასახლისი იღებს ყურმილს, ვილაცას ესაუბრება, ეტყობა, რომ უსიამოვნო ცნობაა. წყდება მუსიკა, სიჩუმე ისადგურებს.

გური რა მოხდა, თამარ?
თამარი ბაგრატი დადიანს ერთადერთი შვილიშვილი ჭაბუკა დაღუპვია ავარიში.
ღვთისო ეს რა მითხარი! მზეჭაბუკი იყო, ნაუყვანია უფალს თავისთან.
ღვინება მთლად დაღუპულა უბედო ბაგრატი, შვილი ადრე გამოეცალა ხელიდან, ავადმყოფობით, ახლა ბადიშიც გარდაცვლია. რაღა მისი სიცოცხლე?
თამარი ერთი ძნელი საქმეც გთხოვთ, - თქვენ სამთავან რომელიმემ უნდა ითამაძოთ გასვენებაში.

პაუზა.

ღვინება მე ვერ შევძლებ.
გური რაღა დაგიძალოთ და ვერც მე. (გახედავს ღვთისოს.) შენ?
ღვთისო არ ვიცი. (ნამოდგება, ბოლთას ცემს, შეჩერდება, რაღაცას ჩაიფიქრებს.) – ვილაცამ ხომ უნდა ვითამაძოთ? ვითავებ ამ საქმეს, ოღონდ ერთი პირობით, - რაც არ უნდა გავაკეთო, მხარი უნდა დამიჭიროთ და ჭირისუფალიც უნდა შემითანხმოთ ამაში.
გური ასეთს რას აპირებ?
ღვთისო ჯერ არ ვიცი, მაგრამ უნდა მენდოთ.
გური შენ არაფერი შეგეშლება.
ღვინება შენი ხმალი, ჩვენი კისერი!
ღვთისო გადანყდა!

IV სურათი

სცენაზე ჩანს კულისებში შემავალი საქელეხო სუფრის კიდე. ჭირისუფლები: ბაგრატი და მართა დგანან კუთხეში. იქვეა: ღვთისო, გური, ღვინება, ჯეკი, გიო, თამარი, მეგი. ისმის ოღნავი ხმაური ხალხისა.

ბაგრატი ღვთისო ბატონო, თქვენ იცით!
ღვთისო ბაგრატი ბატონო, სთხოვეთ საზოგადოებას, დადგნენ სუფრასთან სასმისებით და

სანთლებით.
ბაგრატი (არ შეიმჩნევს გაკვირვებას.) – ბატონებო, გთხოვთ, მოზრძანდეთ სუფრასთან, აავსეთ სასმისები, აანთეთ სანთლები და მოუსმინეთ თამადას: ბატონ ღვთისო უფლისამვილს!

ყველა გამწკრივდება ტრაპეზთან და შეაჩერდება ღვთისოს.

ღვთისო მანდილოსნებო და დარბაისლებო! სამასი ხართ აქ და სამასი სანთელი გიპყრიათ ხელთ, უფლის სიმბოლური სისხლით, - ღვინით ავსებულ სასმისებთან ერთად. მრავალჯერ ვყოფილვარ ჭირის სუფრის თამადა, მაგრამ ახლა რაღაც ძალამ შთამაგონა, რომ დღეს, ანგელოზისდარი მზეჭაბუკის გასვენებაში, არ ეგების დანა-ჩანგლის ჩხარაჩხური, კერძთა დაგემოვნება, ღვინის სმა, არ დაემსგავსება ეს ქრისტიანულ გლოვას. მოდით, ჩვენი მდუმარე სასოება იყოს ღვთისმოყვარული და ღვთის მიერ წაყვანილი ახალგაზრდის სულის გასანათლებელი, შესანდობარი! ერთი გულმდულარე სადღეგრძელოთი შევავედროთ ზეციერს და დავიშალოთ! (პაუზა. ერთმანეთს მდუმარედ გადახედავენ დამსწრენი.) ოღონდ, ყველას გთხოვთ, გარეთ გასვლისას, ხმა მიანვდინოთ გაჭირვებულებს, ხეიბრებს, უპოვარებს და გამოგზავნეთ ამ ტრაპეზზე, - მათი პოვნა დღევანდელ ქუჩებში, სამწუხაროდ, ძნელი არაა. ეს იქნება მისავალი, მადლი გარდაცვლილის სულის საცხოვნებლად და მარადისობაში სასიცოცხლოდ! დიახ, სასიცოცხლოდ! ღმერთო, ულხინე ჭაბუკას!

ღვთისო დაღვეს ღვინოს, სხვებიც ამას გაიმეორებენ და გადიან. პაუზა. სცენა, ოდნავ შებნელებდა, წინა პლანზე რჩებიან ბაგრატი, მართა და ღვთისო. შემოდიან ხეიბრები, კოჭლები, დაძონძილი, აბგამოკიდებული ადამიანები, მიიჩქარიან, შემოუსხდებიან სუფრას. ერთი ჯერ მოწყალეების თხოვნას აპირებს, შემდეგ ტრაპეზისკენ გაემართება.

ბაგრატი ახედავს ზემოდან ჩამომავალ ნათელს.

ბაგრატი გმადლობ, ღვთისო ბატონო!
მართა ღმერთო, შენ გებარებოდეს ჩემი შვილი!

სცენა ბნელდება.

V სურათი

შემოდის ღვინება, საპირისპირო მხრიდან შემოხვდებიან პორფილე და მარი.

პორფილე ოო, რა გამართლებაა! გამარჯობა, ღვინება ბატონო!

ღვინება გამარჯობა!

პორფილე მომილოცე, ჩემს ქალიშვილ, მარის ვათხოვებ კვირას და თამადაობა უნდა გთხოვო! ამაღამ ვაპირებდი დარეკვას, მაგრამ ღმერთმა აგერ შემახვედრა შენი თავი.

ღვინება გილოცავ, ჩემო კარგო! გილოცავ, შვილო! ბედნიერები ყოფილიყავით! სიყვარულის მზე არასდროს ჩაგსვლოდეთ შენ და შენს გულის სწორს!

მარი (ნაღვლიანად.) – გმადლობთ, ძია ღვინება.

პორფილე რა მოქარგული ენა გაქვს, უპირველესი თამადა ხარ, ჩემო ღვინება. იცოდე, მალარიჩიც კარგია, ოთხასკაციანი ქორწილის თამადაობისთვის ოქროს საათი მაქვს დაწესებული.

ღვინება კი, ბატონო, ცდას არ დავაკლებ! (მარის შეათვალიერებს.)

პორფილე ესეც ასე! ეტყობა, კარგ ფეხზე ვარ ამდგარი, ამ დილაადრიან რომ შეგხვდი. (კულისებში გაიხედავს.) ქალბატონო ნორა! ერთი ნუთით! მაპატიე, ღვინება ბატონო, ახლობელი მანდილოსანია, დავპატიჟებ და ახლავე აქ გავჩნდები.

ფილიპე გადის.

ღვინება შვილო, რაღაც, სიხარულს ვერ გატყობ.

მარი მე სხვა მიყვარს, ძია ღვინება.

ღვინება მერე ვინ გატანს ძალას?

მარი მამაჩემი. საქმრო მისი არჩეულია, მდიდარი, გავლენიანი კაცია... თან მამას ფინანსური პრობლემები აქვს.

ღვინება უყურე შენ!

მარი რა კარგად თქვით წელან: „სიყვარულის მზე არ ჩაგსვლოდეთ.“ ეჰ!

ღვინება შვილო, სიყვარული ის მზეა, მხოლოდ ჩვენს გულს რომ ეკითხება ამოსვლა-ჩასვლას.

შემოდის პორფილე.

პორფილე ესეც ასე! აბა, ჩემო ღვინება, შევთანხმდით! კვირას გელოდებით!

ღვინება დიდი ბოდიში, მაგრამ მე ვერ ვითამადე ამ ქორწილში.

პორფილე რაო? რაშია საქმე? ახლა არ იყო, რომ დამთანხმდი? რა მოხდა? (მარის გახედავს.) აჰა, გასაგებია! მოასწარი გულის გადახსნა უცნობ ადამიანთან? ბავშვის აყოლა როგორ გეკადრება, ღვინება ბატონო?

ღვინება თუ ბავშვია, რატომ ათხოვებთ? თუ ათხოვებთ, ცხოვრების დასაწყისშივე რატომ უკლავთ გულს? შვილია, შე კაცო! ბიზნესი ხომ არ არის?

პორფილე აბა, აბა, ღვინება ბანგიავ, დაუკრეფავში ნუ გადადიხარ! ჩემი ოჯახის საქმეში ჩა-

რევა არავის დაუვალდება! მე რაც გთხოვე, შენ ის შემისრულე, თუ შეგიძლია!

ღვინება არ შემიძლია! მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (ღვინება გადის.)

პორფილე არა უშავს, არიან შენზე კარგი თამადებიც ამ ქალაქში! (მარის.) ნამობრძანდი, ქალბატონო, ტაქსით გაგიშვებ შინ. შე სულელო, მე ხომ შენი ბედნიერება მინდა?!

პორფილე და მარი გადიან სცენიდან. პაუზა. ისმის მანქანის გაჩერებისა და ძვრის ხმა. შემოდის გური, რომელსაც კულისებიდან დაუძახებს პორფილე.

პორფილე ბატონო გური! (შემოდის მარის გარეშე.)

გური გისმენთ!

პორფილე უკაცრავად, თქვენ მე არ მიცნობთ, პორფილე არახამია გახლავართ!

გური გური გურიელი!

პორფილე ეგ ვინ არ იცის ამ ქალაქში, გური ბატონო? დიდი ხანია, თქვენი გაცნობა მინდა და ძლივს მომეცა საშუალება, ჩემთან ოჯახში მოგინვიოთ ქორწილის თამადად.

გური დიდი პატივია ასეთი დაფასება უცნობი ადამიანისგან, მაგრამ...

პორფილე აჰ, არ გამომჭრათ ყელი! უსათუოდ მენვიეთ და დამაფასეთ! თქვენისთანა თამადა მოშურნეებს თვალს დაუყენებს, მოკეთებებს კი გამიხარებს.

გური კარგი, კარგი! როდისაა ქორწილი?

პორფილე შაბათს გახლავთ რესტორან „ნატურულეთში“, სალამოს ექვს საათზე. ძალიან საპატიო სტუმრები იქნებიან: პარლამენტარები, მინისტრები, გამგებლები.

გური მაინც ვინ?

პორფილე (ყურში ჩასჩურჩულებს, მიმოიხედავს.) – მაშ! ჰოდა თქვენი იმედიც მაქვს, გური ბატონო! ყველას უნდა დავუყენოთ თვალი!

გური (ჩაფიქრდება.) – კი, მაგრამ თქვენს საპატიო სტუმრებში ორო-სამი, უნამუსო პოლიტიკანი, ქვეყნის დამაქცევარი, დემაგოგი რომ ურევია, იმათ რა ვუყოთ? როგორ უნდა ვადღეგრძელო? რა გულით? რა ღვინით?

პორფილე ღვინო საუკეთესო მექნება!

გური აფსუს! ღვინის მაღლი გაუნყრეთ მაგათ! არა, ძმაო, მე ასეთ ადამიანებთან პურს არ გავტყებ!

პორფილე არასნორი ინფორმაცია გაქვთ, გური ბატონო, დამიჯერეთ, ყველა პატიოსანი კაცია.

გური რას ეძახი პატიოსნებას? – ვირთხებივით რომ ქურდობენ, ტურებივით რომ კნავიან და ღორებივით რომ ჭამენ, ამას? მომიტევე და ვერ გენვევი!

გური გადის. გაბრაზებული პორფილე სიტყვას დაადევნებს.

პორფილე შენგან პურ-მარილზე ნიხლის საკრავი რა მჭირს, შე ქედმაღალო მატაოცო?

შემობრუნდება განრისხებული გური, პორფილეს გულისპირში ხელს ჩაავლებს, თავს თავზე მიარტყამს და ნააქცევს, შემდეგ ნამოყენებს.

პორფილე განანებ ამას, იცოდე!
გური კიდევ არ გამომტყუო!
პორფილე ვაჰ! ეს რა თარსი დღეა! (გადის.)
გური სხვათა შორის, ქართულად „პურ-ღვინოა“ უპრიანი! (თავისთვის.) ჰმ, პურ-მარილი!... მარილი, რა, ჩიყვიანები ვართ? ან, იქნებ, ქრისტე მარილში ანებდა პურს ან, ეგებ, უწინ დიონისე იმაშხავდა ყელს მარილიანი ღვინით? პურ-მარილი!... უღვინო ხალხის მოგონილია ეს!

გური გადის.

VI სურათი

ოთახში გაშლილ სუფრას უსხედან: ღვინე-ბა, მეგი და მირანდა. ისმის ზარის ხმა, ღვინე-ბა გადის, შემოჰყავს გური და ღვთისო.

გური (გაოცებული.) – მირანდა, შენ?
მირანდა გამარჯობა, გური!
ღვთისო გამარჯობათ, ქალბატონებო?
გური მომიტევეთ, სალამიც კი დამავინყდა... გამარჯობათ!
ღვინეზა კარგი ახლა, ქვეყანა არ იქცევა. მობრძანდით სუფრასთან! შევავსოთ სასმისები! (ყველა შემოუსხდება მაგიდას.) გური, ხომ არ ითამაშებ?
გური ჯერ გამაგებინე, რა ხდება?
ღვინეზა მეორე ცოლს ვირთავ!
გური რაო?
ღვთისო ვეჟო, ხუმრობ?
ღვინეზა მეორე ცოლს ვირთავ-მეთქი! აწი ორი მეუღლე ერთად უნდა მიდღეგრძელოთ!
გური (ქალებს გახედავს.) – როგორც ვატყობ, აქ ყველაფერი გარკვეულია.
მირანდა ჰო, გური!
მეგი ასეა, ჩემო ბატონო!
ღვთისო (პირფარს გადაიწერს.) – დიდება შენდა, ღმერთო!
გური რატომ ეს მარჯვენა არ გამიხმება!
ღვინეზა მაშინ უფრო მაგრად რომ არ დამარტყი, იმიტომ?
გური პირიქით, ვნანობ! თურმე, შენს ორ-მაგ ბედნიერებას ვუშლიდი ხელს!
მირანდა გური, იცი შენ, ცხოვრებული დათო მიყვარდა და ერთგულიც ვიყავი. მას კი ყველა-

ზე უფრო მთა უყვარდა. სულ მეშინოდა, წინათ-გრძნობა მანვალედა, ვეხვეწებოდი, როგორმე შეელიე ალპინისტობას – მეთქი. ეტყობა, ბედისწერა იყო, ზვავმა იმსხვერპლა, წავიდა და დამტოვა მარტო, უშვილძირო, უიმედო. იმ დღეს, თქვენთან ერთად ღვინეზა რომ იყო, ხომ გახსოვთ? პირველად მნახა და ისე შემომხედა ამ მშვენიერმა ვაჟკაცმა, დათოს რომ არასოდეს შემოუხედავს. ვიგრძენი, ნამდვილი სიყვარული გამომიგზავნა განგებამ. შემდეგ დავახლოვდით, მისი ოჯახური ამბებიც გავიგე. ბედნიერი ვიყავი, არაფერზე ვფიქრობდი... იშვიათად, როცა გულის გარდა, გონებასაც დავეკითხებოდი, ვჭოჭმანობდი იმაზე, თუ როგორი იქნებოდა მომავალი, რად დავრჩებოდი: საყვარლად? ცოლად? თუ კვლავ მიუსაფარ ქვრივად? (გახედავს მეგის.) მოულოდნელი და საოცარი ის იყო, რომ თავად მეგიმ გადაწყვიტა ასე და აი, ახლა აქ ვართ.

მეგი ჩემი ბრალიცაა, ღვინეზას რომ მეორე ქალისკენაც გაუნია გულმა. რატომღაც, ზედმეტად თავდაჯერებული ვიყავი იმაში, რომ ასეთი ქმარი მხოლოდ მე მეკუთვნოდა. ერთი-ორჯერ ენაც შევუბრუნე, მკვახე სიტყვაც ვაკადრე და მწარედ შევცდი, თურმე. რალა დაგიმალოთ, ერთი პირობა ვიფიქრე: „კოლხური სისხლი მაქვს, მედეასავით დავემუქრები ჩემს იაზონს – მეთქი“, მაგრამ ფიქრშიაც ვერ გავბედე ჩემს ერთადერთ გოგონაზე, თუნდაც, მოჩვენებითი სისასტიკე (პაუზა.) მაღლობა ღმერთს, იმ ძველი სიყვარულის ღაღარი მთლად არ გასცივებია ჩემს ქმარს და ამითაც კმაყოფილი უნდა ვიყო. ახლა ისლა დამრჩენია, რომ ღვინეზაც შევინარჩუნო, ოჯახიც და მირანდას ქმრის სიყვარულში გავეჯიბრო, რადგან, რა ვქნა, არ შემიძლია ამ... ამ კაცის გარეშე სიცოცხლე. ბოლოსდაბოლოს, არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი ამგვარ დღეში.

ღვინეზა ჩემის მხრივ იმას დავამატებ, რომ თუ ამ ქვეყნად ორ კარგ ქალს მეუღლეობას, დედობას ვარგუნებ, არ უნდა იყოს ცოდვა! ჰა? რას იტყვით?

გური (სასმისს ღვთისოს ჭიქას მიუჭახუნებს.) – ახლა კი გაუმარჯოთ ამ კურთხეულ გადარეულებს! ამაზეა ნათქვამი, ჩემო ღვთისო, - „ფერი ფერსო, მაღლი ღმერთსო“.

ღვთისო გაგიმარჯოთ! იმისთვისაც მზად იყავით, რომ მავანნი განიკითხავენ თქვენს საქციელს.

„ფილიპემა თქვა: „ქვეყანა აშენებულა ორიოთა, ხელიხელ ჩაკიდებული სიმართლითა და ქორითა, სიმართლე უნდა იყიდო ან დაიჭირო ომითა, მეჭორეობა მუქითა, მაგრამ ერიდე შორითა!“

ღვინეზა ჩვენ არ გვეშინია იმათი, რომლებიც

ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ და მესამეს აკეთებენ. ჩვენ არ ვმალავთ სიყვარულს და გვგონებ, ამით არც ღმერთს ვლალატობთ, არც – ქვეყანას. თუმცა, რა თქმა უნდა, აქაურ ადათ-წესებსაც ანგარიშს ვუწვევთ და ამიტომაც ამ ვინ-რო წრეში აღინიშნება ეს.

გური მეგონა, ხუმრობდი მაშინ, მრავალ-ცოლიანობაზე, მეუღლეთა ჯანსაღ კონკურენციაზე რომ საუბრობდი. (ელიმება.) იმედია, ქალბატონებს ცოლ-ქმრულ განრიგზე ჩხუბი არ მოუვათ???

ღვინება (ეცინება.) – ამას, როგორმე, მოვუვლი! შენ იკითხე, ტროლეიბუსის ბიგელივით რომ ხარ გამოკიდებული ერთ ცოლს! (სხვებსაც ეცინებათ.) რას ჩაფიქრდი? გულმოსაკლავად კი – არა, კუდმოსანველად გითხარი, ბიჭო!

გური მგონი, მეც მიჯდება ჭკუაში ეს ამბავი, რით ვარ ამ გადარეულზე ნაკლები?

ღვთისო ვაი თქვენს პატრონს!

გური აბა, ღვთისო, ასეთი ვითარების შესაფერისი ლექსი თუ არის ჩვენს ფოლკლორში?

ღვთისო კი! თუნდაც, ეს:

„დათვო, ქალი აირჩიე, ჩვენო დათუნაო!
რომელიც მოგეწონება, ჩვენო დათუნაო!
თუ ეგ ქალი აღარ მოგწონს, ჩვენო დათუნაო!
ეგ გაუშვი, სხვა შეირთე, ჩვენო დათუნაო!“

ღვინება მე გაცილებით პროგრესული ვარ, ორივეს ვირთავ!

ღვთისო კიდევაც ერთი სტროფი, თუ ახალი პატარძალი არ მიწყენს.

მირანდა გთხოვთ! ძალიან საინტერესოა!

ღვთისო

„საბრალო ქვრივის ქორწილო,
უჩუმრად გინდა ღიღინი,
რა გინდ რომ იყო ლამაზი,
არ მოგიხდება გვირგვინი.“

შემოდის პატარა გოგონა.

გური ოო, თიკუნას ვახლავარ! როგორ ხარ, გენაცვალე?

თიკუნა გმადლობთ, კარგად! ძია, გური, მოგწონთ ჩემი ახალი კაბა?

გური მშვენიერია, ბიძიკო! ვინ გიყიდა?

თიკუნა მირანდა დეიდამ.

ღვინება აბა მუჭო, ჯიმაღლეფი! განა ცუდია ბავშვისთვის, ერთდროულად ჰყავდეს მოსიყვარულე დედაც და კეთილი დედინაცვალიც? მაინცდამაინც, კონკიასავით რატომ უნდა იყოს?

გური ო, შე მართლა ღვინება! ღვთისო, კიდევ ერთხელ დავულოცოთ ძველ-ახალი ოჯახი ჩვენს ძმას!

ისმის მუსიკის, მხიარულების ხმები, გური გამოდის სცენის წინა მხარეს, ტელეფონის მაგიდასთან, სივარეტს გააბოლებს, ილიმება.

გური აქ რომ ცეკვა-თამაშში ეჯიბრე-

ბიან ერთმანეთს ძველ-ახალი ცოლები, იქ რა-ღას იზამენ? ხა-ხა-ხა! შენ აგაშენა ღმერთმა, ღვინება ბანგიავ, თუ, რა თქმა უნდა, დღეს მე ჭკუიდან არ გადავცდები! (ჩაფიქრდება.) და თუ მეგის რამე სხვა არა აქვს გუნებაში?!

ტელეფონი რეკავს. ღვინება იღებს ყურმილს.

ღვინება გისმენთ! გაგიმარჯოს, გენაცვალე! ოო, მარი, შვილო, როგორ ხარ? რაო? (პაუზა.) შეყვარებულთან ერთად გაიპარე და ახლა სოფელში ხარ ნათესავთან? ვინრო წრეში აღინიშნავ თქვენს დაწყვილებას? უჰ, როგორ გამახარე! რაო? პირველი სადღეგრძელო ტელეფონით მე გითხრა? კი, შურიგე, ახლავე! (გურის.) ჩქარა სავსე ყანნი! (მიანვდიან სასმისს.) შენს გულისწორს რა ჰქვია? ამირანი? აგაშენათ ღმერთმა! მარი და ამირან, წმინდა მარიამის მადლი და დევგმირი ამირანის ძალა მოგცემოდეთ! თქვენი სიყვარულის მზეს ამასწინათ ფულიანი გველემში უპირებდა ჩანთქმას, მაგრამ ბარაქალა თქვენ, რომ ეს მზე ცაში დატოვეთ! მალე ვარსკვლავებით დაგხვეოდეთ შვილები და გეხართ, გემღეროთ, გელალოთ, ჩემო მაფშალებო! ჩემთან ერთად ქალაქის ორი უდიდესი თამადა, პატარა თიკუნა და ჩემი ორივე ცოლი გილოცავთ ბედნიერებას!... რაო? ორცოლიანობაზე არ ვილაპარაკო? შენს ქმარს არ გავაგონო? (იცინის.) კი, თოლიგე, კი! შენი ეჭვიანობა ჯერ ადრეა! აბა, გაიხარეთ, მარი და ამირან! ისე მტერი დაგეცალოთ, როგორც მე ამ ყანს დავცლი!

დაკიდებს ყურმილს და სვამს ღვინოს. გური მარცხენა საჩვენებელ თითს მოკაკავავს, ხოლო მარჯვენა ცერს მალლა სწევს.

VII სურათი

შემოდის გური. საპირისპირო მხრიდან შემოხვდება ლერი კაპანაძე, რომელსაც ორი დამცველი მოჰყვება.

ლერი გური!

გური გისმენთ!

ლერი რაო, ვერ მცნობ?

გური უჰ, ლერი, ძმაო! (გადახვევიან ერთმანეთს.) რა გამახარე! სკოლის დამთავრების შემდეგ არც კი შევხვედრივართ ერთმანეთს! უცებ ვერ გიცანი.

ლერი არა უშავს, კარგა ხანი გავიდა. სხვა, რას შვრები? როგორ ხარ?

გური კარგად, ძმაო!

ლერი იმედია, ახალ დროს არ ჩამორჩი, ალბათ, შენც გამდიდრდი!

გური მე მასწავლებელი ვარ.

ლერი გიცნობ, მახსოვს შენი ოინები, ალბათ, რომელიღაც უნივერსიტეტის რექტორი ხარ და თავს კი ისაწყლებ.

გური მასწავლებელი ვარ! გესმის? – მასწავლებელი!

ლერი უბრალო მასწავლებელი?

გური შენ რაღაც დიდ გულზე ხარ! ესენი ვინ არიან?

ლერი ჩემი დაცვაა.

გური რას ამბობ, ბიჭო?

ლერი მამ! ეგრეა საქმე! გახსოვს, სკოლაში თითოთი საჩვენებელი რომ იყავი? რომ აკვებობდი სწავლას? რა გამოვიდა მაგით?

გური ძალიან გაინტერესებს?

ლერი კი!

გური ჯერ ამათ უთხარი, მიდგენენ გვერდზე, ლოკატორებივით რომ გადმოშლიათ ყურები, ესენი ჩემთვის უცხოები არიან. (ლერი ანიშნებს მცველებს, მოშორებით დადექითო.) ახლა გაგცემ პასუხს იმაზე, თუ რა გამოვიდა ჩემი სწავლით.

ლერი ჰო!

გური რა გამოვიდა და შენზე ბედნიერი ვარ!

ლერი როგორ, კაცო, რით?

გური ჯერ ერთი, ქუჩაში თავისუფლად დავდივარ, შენსავით დაცვა არ მჭირდება და არ მაკანკალებს ყველა გაფაჩუნებაზე; მეორეც, ხშირად თამადა ვარ, პურ-ღვინო არ მაკლია; მესამე, - უგემურ საქმელსაც კი შენზე გემრიელად ვჭამ, შენზე ბევრად ცუდ ბინაში და საწოლში შენზე ტკბილად ვცხოვრობ და მძინავს; მეოთხეც – დიდი ხნის უნახავ ამხანაგს როცა შევხვდები, კი არ ვედიდგულები, არამედ ვუთანაგრძნობ და მეცოდება; კიდევ ჩამოვთვალო?

ლერი რა ენაკვიმატიც იყავი, ისეთი დარჩენილხარ! კარგად იყავი!

გური მოიცა, ბიჭო! ტკბილი იყო სკოლის წლები. ჰოდა თუ ოდნავ, მაინც, ღვივის შენს გულში ჩვენი ბავშვობის ღაღარი და სითბო, დამითმე ერთი საათი, თითო წიქა ავნიოთ.

ლერი ვერა, ძმაო, ისეთ საქმეზე მივდივარ, მილიონი ღირს. კარგად იყავი! მოაყენეთ მანქანა!

ლერი და მისი მხლებლები გადიან.

გური რა კარგი ბიჭი იყო და როგორ წამხდარა. (საათს დახედავს.) მე კი მამაჩემის ნაჩუქარი საათის დაგირავებას ვაპირებდი. ეჰ, ღმერთმა უშველოს!

ბური ბადის.

VIII სურათი

რესტორანი. ერთ კუბეში სხედან: გური, ლეთისო, ღვინება, ჯეკი, ვიო, გიორგი და ნუგზარი. მეორე კუბეში არიან: ლერი, თემური, პორფილე და ექიმი.

პორფილე ბატონო ლერი, პირადად თქვენი

სადღეგრძელო მინდა დავლიო. თქვენ ბრძანდებით ჩვენი სუფრის თავი და მშვენება! სირცხვილი კია, მე რომ ვთამადავ აქ, მაგრამ ეს თქვენ ისურვეთ, თქვენი ნება კი უზუნაესია! გაგიმარჯოთ, ოქროს კაცო, დიდო პოლიტიკოსო და ბიზნესმენო, ქართველობის ნიმუშო!

თემური (ექიმს.) – რა გაუტია ამ ქლესამ.

პორფილე რამდენ სიკეთეს აკეთებთ, ლერი ბატონო! მარტო ჩვენი კოლექტივი რად ღირს, რამდენი კაცი დაასაქმეთ, რამდენი ოჯახი გააბედნიერეთ! თქვენი მზეგრძელობა იყოს, ღმერთკაცო!

თანამეინახენი ადღეგრძელებენ ლერის, რომელიც წამოდგება და უცებ თვალს მოკრავს მეზობელ კუბეში მყოფ გურის.

ლერი თქვენც გაგიმარჯოთ, ბიჭებო! (სათზე დაიხედავს.) სამწუხაროდ, სამინისტროში უნდა წავიდე. თქვენ გააგრძელებთ და ხვალ დილით კი სამსახურში დროზე მოდით!

პორფილე უჰ, გვლუპავთ, ნიკალავეჩი? უთქვენოდ რა ეშხი აქვს ქეიფს?

ლერი ჰოდა ძალიანაც ნუ გადაყვები მუცელს! კარგად იყავით! წავედი! (გადის.)

პორფილე ბიჭო, თემურა, საუკეთესო ზუთხის ნაჭრები რომ გიდევეს წინ, ვერ ხვდები, რომ ეგ სუფრის ბოლოში არ უნდა იყოს? მომანოდე აქ!

თემური შე აფერისტო, აკი წელან ეს ადგილი სუფრის თავი იყო?

პორფილე მოიტა! მოიტა! გასკდეს ლერის მუცელი, კიდევ კარგი, მთლად არ ჩახეთქა!

პაუზა. მეორე კუბე.

გური ძმებო, უპირველესად, მინდა გაცნოთ ჩემი ბავშვობის ამხანაგი გიორგი დადვანი, დიდი ხანია, არ შევხვედრილვართ. მის გვერდით მყოფ ახალგაზრდას, იმედია, თავად წარმოგვიდგენს.

გიორგი ნუგზარი ჰქვია, კოლეგაა! (გახედავს ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავს ჩახრის.)

გური კარგი და პატიოსანი! ბატონებო, ნება მომეცით, ამჯერად ასეთი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ: „დადემქელიანურ საჩუქარს გაუმარჯოს!“

ღვინება რაღაც კარგი იქნებოდა.

გური მერე და როგორი! რამდენიმე საუკუნის წინ აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე სტუმრებია დადემქელიანს, დიდი მეგობრობა ჰქონდათ ვაჟკაცებს. აფხაზი უშვილძირო იყო, სვანეთის მთავარს კი სამი ვაჟი ჰყავდა, მეოთხე, ჩვილი, ბიჭუნა, აკვანში ლულუნებდა. „ნეტავ, ჩემთვისაც მოეცა ღმერთს გვარის გამგრძელებელი!“ - უნატრია შერვაშიძეს. დადემქელიანს ბევრი არ უფიქრია, „მოგიკვდეს ჩემი

თავი“! - უთქვამს, აუღია აკვანი, ჩვილითურთ, უჩუქებია მეგობრისთვის. აი, ამისთანა საჩუქარს გაუმარჯოს!

ყველა ფეხზე წამოდგება და შესვამს. პორფილეს სუფრასთან თემურიც მოწონებით გაილიმებს. უცებ ორი მთვრალი ახალგაზრდა შემოიჭრება დარბაზში. ერთი მათგანი მალლა ისვრის რევოლვერს. ღვინვა წამოიჭრება, გური ხელს მოკიდებს, გააჩერებს, თან ანიშნებს, გიორგის შეხედო. ამ უკანასკნელს ცხვირსახოცგადაფარებული რევოლვერი მიუბჯენია გვერდით მყოფი ნუგ ზარისთვის.

I ახალგაზრდა კამპანიას გაუმარჯოს! (მიმოიხედავს.) სადაა ჩვენი სუფრა, შე ჩემა?

II ახალგაზრდა მგონი, შეგვეშალა, აქ ჩვენებს ვერ ვხედავ!

გური დიდ თასს ღვინით შეავსებს.

გური შვილებო, ერთი წუთით აქ მოდექით!

I ახალგაზრდა ვა, ბიძაჯან, ეგ ქვაბი რად გინდა?

გური ქართული ხომ გესმის?

I ახალგაზრდა მა რა!

გური ჰოდა ახალგაზრდებს გადღეგრძელებთ! ღმერთს ჯიში, ჯავარი მოუცია და სიკეთეში, კაცობაში, ღვთისა და ქვეყნის სამსახურში მოგეხმაროთ! გაგიმარჯოთ!

გური დაცლის სასმისს, შეავსებს და გადაანვდის მეორე ახალგაზრდას.

II ახალგაზრდა გმადლობთ, ბატონებო, დღეგრძელობისათვის! მოგვიტყვეთ, თუ შეგანუხეთ, დარბაზი შეგვეშალა. იცოცხლეთ! თქვენ გაგიმარჯოთ! (სვამს.)

I ახალგაზრდა (ისევ ისვრის რევოლვერს.) - ქეიფია!

II ახალგაზრდა მოიცა, რა!

გური შვილებო, ჩვენ ყანწს მაშინ უფრო მოვკიდეთ ხელი, როცა აფხაზეთში, სამაჩაბლოში და თბილისში ავტომატის ლულები გავვიცივდა. რახან ბრძოლებში, დროებით, ხელი მოგვეცარა, ისევ არქაულ რჯულს, - ღვინისა და ნაყოფიერების ღვთაების შეგონებებს დავუბრუნდით, როგორც ჩვენს წინაპრებს სჩვევიათ მშვიდობისას. დღევანდელი თანამეინახენიც ვიდექით ერთ დროს სანგრის სხვადასხვა მხარეს, მაგრამ უფსკრულის პირზე მისვლამ გამოგვაფხიზლა და ახლა ერთად ვართ კვლავ. გთხოვ, ეგ იარაღი შეინახო, დაილოცე და მშვიდობით გველოს! (მიანვდის ღვინიან თასს პირველ ახალგაზრდას.)

I ახალგაზრდა აუ, ჩემი დედა მ.....ნ! ამას რა დალევს?

გური რაო?

ღვინვა შეგარცხვინა ღმერთმა! ეს რა თქვი?

ღვთისო ვაიმე, შვილებო! ვაიმე, საქართველოვ!

გური (თასს ჩამოართმევს.) - მიბრძანდი, ახალგაზრდავ, შენი გზით! შენ ამ თასის ღირსი არ ხარ!

I ახალგაზრდა თუ არ ნავალ?

გიორგი (წამოდგება, რევოლვერს მიაშვერს I ახალგაზრდას.) - თამადის სიტყვა კანონია!

II ახალგაზრდა (ამხანაგს რევოლვერს წაართმევს, ჯიბეში ჩაიდებს.) - კიდევ ერთხელ მოგვიტყვეთ, ბატონებო! მივდივართ! (თან გაჰყავს ამხანაგი.)

I ახალგაზრდა რა ეწყინათ? ასეთი რა ვთქვი? ნახევარი საქართველო ასე არ ლაპარაკობს? (გადიან.)

ღვთისო ვაი, რომ ასეა!

გური საბედნიეროდ, მეორე ნახევარს ჯერაც ერევა გული ამისთანებზე.

გიორგი (შეინახავს იარაღს.) - მომიტყვეთ, ბატონებო!

გური ყველაფერი კარგადაა, ქეიფი გრძელდება!

ღვთისო ვგონებ, არც იცის იმ ყმანვილმა, თუ რას ნიშნავს სავსე ყანწის სახალხოდ ჩამოართმევა, - ღვინის მადლის განყრომა. ნუთუ მხოლოდ ნამსხვრევები ვართ ნამდვილი საქართველოსი?

გიო არამც და არამც, ძია ღვთისო! მერწმუნეთ!

ღვთისო ღმერთმა გისმინოს, შვილო!

„შაუპატიჟეთ კას ყმასა
ჯარზედა დიდის თასითა,
რახან გაჭირდას,
კაი ყმა საყიდ არს დიდის ფასითა!“

მოქმედება გრძელდება მეორე კუპეში.

პორფილე ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოთ! ჩვენ ხომ რუსთაველის შთამომავლები ვართ! არ გავჩერდეთ ამ დონეზე, სულ წინ ვიაროთ!

თემური უკუსვლა აჯობებს!

პორფილეს მობილური ტელეფონი რეკავს.

პორფილე გისმენთ! დიახ,ნიკალაევიჩი! კი, ბატონო! ახლავე გეახლებით! (გათიშავს ტელეფონს.) ამის კაცობა შევარცხვინე! პურის ჭამას არ გაცლის! რალაც საქმე გამოჩნდა და აქ მოდიო. კარგად იყავით, ერთმანეთს მოეფერეთ, რაც მთავარია, მე რომ აქედან გავალ, არ შემაგინოთ! აბა, თქვენ იცით! (ხორცის ნაჭრის ლეჭვით გადის.)

თემური ესეც თამადაა და ისიც? გური თამადაა, პორფილე კი - ტრაკადა!

ექიმი ამაზეა ნათქვამი, ყვავები გაფრინ-

დნენ და არწივები ქეიფობენო. რა ვქნათ? ხომ არ შევუერთდეთ იმ ვაჟკაცებს?
თემური სწორედ მაგას ვფიქრობდი. წავედით!

ექიმი და თემური შეუერთდებიან პირველი კუპის მონადიმეებს, რომლებიც მხიარულად შეეგებებიან.

თემური ჩვენს ძმობა-ერთობას გაუმარჯოს! (დაღვეს ღვინოს.)

ჯეკი კარგი ხალხი ხართ, მაგრამ რატომ საუბრობთ ამდენს სუფრასთან?

ღვთისო მამ როგორ გინდა, დალოცვილო, ისე ჩავუშვათ ლუკმა-ყლოპი პირში, რომ არც ღმერთს ვუთხრათ მადლობა და არც – კაცს? ჯერ ერთი, ამ მადლიანი სასმელ-სანოვანის მოყვანას რამდენი ჯაფა-დაგვა უნდა, მეორეც, გაიხსენეთ, რამდენი გაჭირვებული, მშიერ-მწყურვალთა ქვეყნად. ამიტომაც არა მუცელ-ლორას, არამედ მუცელმგელას გაუმარჯოს: ზომიერს ჭამაში, დაუღლელს ჯაფა-ბრძოლაში, შეუვალს თრობაში და მგზნებარეს სადღეგრძელოში!

თემური კარგად ბრძანეთ, ღვთისო ბატონო!

ღვინება გარდა ამისა, ჩემო ჯეკ, ადამიანი ხომ, მუდმივად, თავდავიწყებას მიეღობო. ყველამ ვიცით, რომ ოდესმე გარდავიცვლებით, მაგრამ გამუდმებით ვივინყებთ ამას. სიცოცხლე დავინყებულნი სიკვდილია, ხოლო ქეიფი ორმაგად დავინყებულნი სიკვდილია. ალბათ, ამიტომაცაა თავმძიმედ გამოფხიზლება ძნელი.

გიორგი მე მგონი, პირიქითაა, სიცოცხლე სიკვდილის ხსოვნაა.

გიო ქართული სუფრა რთული ფენომენია, მსოფლიოს კულტურულ-ეთნოგრაფიულ ნაკრძალს მაგონებს. თუ ქვეყნად რამე სალოცავ-სათაყვანო აქვთ ხალხებს, თითქმის, ყოველივეს ვადღეგრძელებთ ქართველები. ეს არაფრით იქნება შემთხვევითი.

ექიმი ნება მომეცით, შეგედავოთ, ჭაბუკო.

გიო კი, ბატონო!

ექიმი ავილოთ, მაგალითად, მაზდეანიზმი, რომელიც თვით ირანში აღარ სუფევს და შორეულ ინდოეთში შემორჩა მცირედად. რა საერთო გვაქვს მასთან?

გიო ჯერ ერთი – წარსული, მეორეც – დუალიზმი: ბოროტებისა და სიკეთის დაპირისპირების იდეა, რაც თვით მსოფლიო რელიგიებმა გაიზიარეს.

ექიმი კარგი და რა გვაკავშირებს ათასგვარ შამანიზმთან ავსტრალიაში, აზიაში ან აფრიკაში?

გიო უამრავი რამ, ჩემო ბატონო: ტოტემები, ადგილის დედის, წინაპრების კულტები, მათრობელა სასმელ-საყნოსავებით ეგზალტაცია. ყველას მოგეხსენებათ, რაც გვაკავში-

რებს უძველეს, დიდ ცივილიზაციებთან: მზის, მთვარის, ვარსკვლავების, ნაყოფიერების, მესაქონლეობის, ქვესკნელ-ზესკნელის კულტები, მითები, დამწერლობათა ვარიაციები, ცეკვასიმღერები, სიმბოლოები და რაც მთავარია, უძველესი მისტიკები. მოგეხსენებათ ისიც, რომ, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ქართველები მცირე ხნით, მაგრამ ხშირად, ქრონიკულად, ვახერხებდით სახელმწიფოებრივ – ეროვნული ენერჯის სრულ მობილიზებას, რაც ქვეყნის აღორძინებას განაპირობებდა. ამ დროს ჩვენი უმთავრესი რჯული-ენა, სადღეგრძელოების, პოეზიის, სიმღერების, ლოცვების წყალობით, სასწაულებს ახდენდა, რითაც მეობა, სულიერება გადავარჩინეთ. სუფრა საყოველთაო რიტუალად გადავაქციეთ. რომელი რელიგიაა ქვეყნად, თითქმის, ყოველდღე, ოც-ოცდაათ ლოცვას რომ ჩაგაბუღებულბინებს? – ეს მხოლოდ ქართულ სადღეგრძელოებს შეუძლიათ, თუ მათ შინაარსებს ჩააკვირდებით. დაილოცოს მისი მადლი!

ღვთისო აგაშენა ღმერთმა, ყმანვილი! „კარგი სიტყვა-კარგი მთქმელი, კარგი ღვინო-კარგი მსმელი!“

ყველა შესვამს ენის სადღეგრძელოს.

ღვინება კარგი ქურუმის – თამადის ხელში ნადიმი, მართლაც, ჰგავს დიონისეს მოსვლას, ხოლო „პახმელია“ დიონისეს წასვლას! ჩვენ ყველა, წინაპრების მსგავსად, ვინაწილებთ დიონისეს დიდ განძს!

ჯეკი სად? სად არის დიონისეს განძი?

გიო რაო, ბატონო ჯეკ, განა ეს საკითხავია?

ჯეკი თუ იცით, თქვით, ღვთის გულისათვის!

გიო (მიუთითებს ღვინიან თასზე.) – აქ გახლავთ, ჩემო ბატონო! მოდით, იმას გაუმარჯოს, ვინც ახლა აღმაცერად უყურებს სამყაროს, რადგან სწორად უპყრია ხელთ სასმისი და შიგ სამზეოს დიდ საიდუმლოს ჭვრეტს!

ჯეკი (იმედგაცრუებული.) – დიას! რა თქმა უნდა! (გურის მიუბრუნდება.) გური, შენ რომ ამერიკელი იყო, როგორ დაღვედი ჩემი ქვეყნის სადღეგრძელოს?

გური (ჩაფიქრდება.) – ალბათ, ისევე, როგორც დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის შთამომავალი იტყოდა მონღოლების განდევნის შემდგომ: „ჩვენი ქვეყნის გაბრწყინებას გაუმარჯოს!“

ჯეკი რაღაც რთულად თქვი, სად დავითის, თამარის საქართველო და სად მონღოლები?

გური საქმეც მაგაშია, ამერიკას დღეს ოქროს ხანა უდგას, მაგრამ მონღოლიზმი გადასატანი აქვს. სხვათა შორის, თამარის დროს, როცა მსოფლიოში სულ ორასი მილიონი კაცი

ცხოვრობდა, ჩვენ, ქართველები, პლანეტის მეოცედი ვიყავით. სადღაც წავიკითხე, მაშინ-დელი ბიუჯეტი, თურმე, ათი მილიარდი ოქროს მანეთი იყო, - ვგონებ თქვენს დღევანდელ საფინანსო მიმოქცევას უტოლდება. აი, რა უცნაურია ცხოვრება!

ჯეკი კარგი რა, ნუთუ ამერიკაც იმპერიად მიგაჩნია?

გური რა თქმა უნდა! მხოლოდ - ნეოიმპერიად.

ჯეკი ის ხომ მსოფლიოში თანასწორობას, ძმობას, დემოკრატიას ავრცელებს?

გური ძველი იმპერიებიც, უმეტესად, პროგრესსა და ცივილიზაციას ავრცელებდნენ.

ჯეკი კარგი და მონღოლები ვინ იქნებიან?

გური ეგეთებიც გამოჩნდებიან. მსოფლიოს ისტორია ხომ ხალხების დანიანაურება-ჩამორჩენის ისტორიაა! ეს ლმერთის (სამყაროს მომწესრიგებელი ენერჯის.) საყოველთაო, ცენტრალური წესრიგია, - რალაცნაირად, სპირალურად ბრუნავს ბედი და უსათუოდ აწონასწორებს ყოველივეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფები მოგვიმრავლდებოდა.

ჯეკი ძმობილო, გაითვალისწინე, რომ ჩვენ ამერიკა ვართ, ა-მ-ე-რ-ი-კ-ა!

გური რალაც მაგის მსგავსს ამბობდნენ უწინ სხვებიც.

ჯეკი როგორ, ამერიკასაც, ძველი იმპერიებივით დანგრევა ელის?

გური შეუძლია, კარგ, მშვიდ, მდიდარ ქვეყნად დარჩეს, თუ...

ჯეკი თუ რა?

გური თუ „უფროსი ძმის“, „მსოფლიოს კურატორის“ მაცთურ ამბიციებს არ აჰყვება, თუ, დღევანდელი ბერძნებივით, იტალიელებივით, მონღოლებივით, გერმანელებივით, იაპონელებივით, საკუთარ კალაპოტში ჩადგება. იზამთ ამას?

ჯეკი რთული შეკითხვაა, - მე მგონი, ვიზამთ!

გური აი, ახლა მომწონხარ!

ჯეკი მაშ, დიონისეს განძის ადგილი არ იცით? ჰო, კარგი, კარგი! ვიხუმრე!

გური (ღვინებას.) - არ გეჩვენება, რომ ეს კაცი ზოგჯერ უცნაურად იქცევა?

ღვინება მთელი შენი დღე და მოსწრება უცნაურად იქცევი, სხვისი რატომ გიკვირს?

გური არ გეხუმრები, მართლა, უცნაურად იქცევა, თითქოს, რალაცას გამუდმებით დაეძებს ჩვენს შორის.

ღვინება აკი თქვა, დიონისეს განძიო.

გური ვითომ? ეგ ხომ ამერიკელია, მან საიდან უნდა იცოდეს? მე მგონი, სხვა რამ უნდა იყოს.

ღვინება რა სხვა?

გური ეგ ვერც მე გამიგია.

„მრავალჟამიერი“ სიმღერით შეზარხოშებული მონადიმეები სუფრიდან მიდიან. სხვა კუბედან გაღეშილი კაცი აჩქარებით გაბანდალდება გარეთ.

ღვინება ბატონებო, დროა დავიშალოთ, თორემ ხომ ხედავთ, ზოგიერთი ისეთ დღეშია, აღარ იცის, რომელი მხრიდან მიუდგეს უნიტაზს.

ღვინების „მთას ირემი არა დგება, ბარში იკეთებს ბუნავსა, თუ ჩემი ღვინო არა სჭრის, სტუმარი რათა ბლუნავსა?“

ღვინება, მოდი, თამადა ვადღეგრძელოთ. შენი გამარჯვების იყოს, გური გურიელო!

ღვინება გეთამადას! გეთავადას! სიყვარულის გამარჯვების გექადაგოს!

გური მადლობელი ვარ, ძმებო, მაგრამ ცოტა ხნით უნდა შევყოვნდე, საქმე მაქვს გიორგისთან! ხვალამდე, ბატონებო!

ღვინება ნახვამდის, გური! ვინც ამ მოკლესამიერ წუთისოფელს „მრავალჟამიერი“ მოუგონა, გენიოსი იყო.

ყველა გადის გურის, გიორგისა და ნუგზარის გარდა.

გური ამას წინათ ქუჩაში ლერი კაპანაძე შემხვდა. ხომ გახსოვს? ერთად ვსწავლობდით სკოლაში.

გიორგი ამჟამად მდიდარი მდაბიორია. ბოლო ხანებში მოგვიმრავლდნენ ასეთები. სხვათა შორის, წელან გვერდითა კუბეში იყო, თვალი მოგკრა თუ არა, უმალ აორთქლდა. მე ვერც მიცნო.

გური ჰოო? მე არ შემემჩნევია, შენ კი დაკვირვებული ყოფილხარ.

გიორგი ყველას თავისი გზა აქვს სიკვდილამდე.

გური სიკვდილამდე?

გიორგი გური, ერთი სადღეგრძელო მეც მათქმევიწინე.

გური კი, ძმაო!

გიორგი სიკვდილის იმედს გაუმარჯოს!

გური ვაჟა-ფშაველამ თქვა სიკვდილზე: „სიცოცხლე შევნობს შენითა!“-ო.

გიორგი გააჩნია, როგორი სიცოცხლე. ჩემი ჯოჯოხეთად გადაიქცა, ამისი (ნუგზარს გახედავს.) შეიძლება, კიდევ გადარჩეს. (პაუზა.) რალა ბევრი გავაგრძელო, ჩვენ მკვლელები ვართ, გური!

გური მკვლელები?

გიორგი უფრო სწორად, მე ვარ მკვლელი, მას შემდეგ, რაც, ბიზნესში დაპირისპირებული გარეწების დავალებით, რუსეთში მანქანა ამიფეთქეს და შიგ ცოლ-შვილი ამომიბუგეს. მაშინ შემთხვევით გადავჩი. ყველაზე შური ვიძიე. ომიდან გემახსოვრება, რომ კარგად ვისვრი.

გური საოცრად.

გიორგი გუშინ ეს ბიჭი მომიგზავნეს. როგორც კი შევხედე, მივხვდი, გამოუცდელი რომაა, განვითარდა და ახლა აქ მყავს. წელან, შემთვრალი ახალგაზრდები რომ შემოვიდნენ, ამისიანები მეგონა და იმიტომაც მივაბჯინე იარაღი.

გური (ნუგზარს) – შენ რატომ დაგავალეს ამის მოკვლა?

ნუგზარი სხვა გზა არ დამიტოვეს, სახლ-კარს გამიყიდნენ, მამაჩემის ვალების გამო. ავადმყოფი მშობლები და და-ძმა ქუჩაში დარჩებიან.

გური ეს რა დრო დადგა! მე ომშიც მიჭირდა კაცის მოკვლა.

გიორგი იმიტომაც წავაგეთ ომი. ბრძოლაში მტრის დამნდობი მოძმეებს სწირავს. ომი რომ იყოს, ამას არც მე დავინდობდი, მაგრამ ახლა სხვაგვარადაა საქმე, - გამოვტყეხე და ვიცი, რომ ჯერ კაცი არ მოუკლავს. მეცოდება იმ განცდისთვის, რასაც პირველი მსხვერპლი გამოიწვევს (თუ, საერთოდ, გადარჩება.), ახალგაზრდაა, ცხოვრება წინ აქვს, მგრძნობიარეც ჩანს. (ჩაფიქრდება.) თანაც, როგორმე, მინდა, ოდნავ, მაინც, შევიმსუბუქო ღამეული კოშმარები. იქნებ, ამის სულის გადარჩენამ მომიფონოს გულზე?!... რაღა ბევრი გავაგრძელო, ცოცხალსაც გავუშვებ, ფულსაც მივცემ, ვალების გასასტუმრებლად, და შენთან ერთად პირობას ჩამოვართმევ, რომ მკვლელი არ გახდება.

გური შენ? ისინი შეგეშვებიან?

გიორგი მე გავქრები.

გური რას ამბობ, ბიჭო? არ ქნა ეგ!

გიორგი გადაწყვეტილია! მეც მინდა, ცხოვრებაში ერთხელ, დადეშქელიანური საჩუქარი ვუძღვნა ვინმეს.

გური იქნებ, ეკლესიაში მიხვიდე?

გიორგი კარგი რა! ჩემი ცოლ-შვილის შემდეგ აღარაფერი მნამს! არ იმსახურებდნენ იმ ჯოჯოხეთს, არა! (პაუზა.) ერთიც ცხადია, ადამიანები უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ვიდრე – ღმერთები.

გური შე კაცო, სული, სიკეთე გნამს და ღმერთ-ეკლესია – არა?

გიორგი ღმერთი ყველგან მყოფი ენერჯიაა, რომლის თავბოლო ვერ გამიგია, თუმცა, ვგრძნობ, ერთ მხარეს მყოფი ყოველი ძალის მეორეთი განეიტრალებას ცდილობს მუდამ. ჩემი ავი ძალისგან და ცოდვებისგან, ალბათ, კეთილი სიკვდილი გამათავისუფლებს.

გური არა მგონია!

გიორგი მე კი მგონია! (პაუზა.) რა უცნაურია ეს ქვეყანა: ცალ-ცალკე ყველაფერი მნიშვნელოვანია, ხოლო ერთად, თითქოს, უაზრობაა!...

გური, კიდეც გთხოვ, დავლიოთ სიკვდილის სადღეგრძელო! (სვამს.)

გური (უნადინოდ.) – გაუმარჯოს! დადეშქელიანურ სადღეგრძელოს დღეიდან შენს გვარს დავუმატებ, ძმაო.

გიორგი მართლა?

გური დადვან-დადეშქელიანის საჩუქრებს გაუმარჯოთ! მგონი, კარგად ჟღერს.

გიორგი სიცოცხლე, თუნდაც, ამისთვის ღირდა.

ნუგზარი (ატირდება.) – გიორგი ბიძია, არ მინდა ეგ მსხვერპლი! შენი ჭირიმე, რაც იქნება, იქნება, გავყიდით სახლს, ნაქირავებში გადავალთ, ვიმუშავებთ და გავიტანთ თავს!

გიორგი ჩემი მეუღლის, შვილების და ჩემს მაგივრადაც უნდა იცოცხლო! იცოდე, ეს ვალია! შენს ჯავრს, მაინც, ნუ გამატან! შემომხედე! მაძლევ პირობას?

ნუგზარი (მძიმედ.) – კი, ბატონო!

გიორგი კარგია! იმედია, ღირსი იქნები, სიბერემდე იცოცხლო. აკი ამბობენ, სიბერე კარგად გავლილი ცხოვრების ჯილდოაო. ახლა კი, ჩემო გური, მოდი, ორი, შავ-თეთრი ხარის სადღეგრძელოც დავლიოთ. ხომ ასე გიყვარდა შენ?

გური მახსოვს, ძმაო, - სიკვდილ-სიცოცხლის ბულრაობას გაუმარჯოს!

ყანებს ვახტანგურად დაცლიან გური და გიორგი, შემდეგ შუბლზე მიიღებენ, თითქოს, ხარები არიან, ხუმრობით ერთმანეთს წაურქენენ, გაეცინებათ, ერთმანეთს გადაეხვევიან. აცრემლებული ნუგზარი პირველს გადაიწერს. სცენა ბნელდება.

II მოქმედება

IX სურათი

ღვინება და გური ტელევიზორს უყურებენ ოთახში.

ღვინება ოთხი რამ არ უნდა იყოს სუფრასთან, ქეიფში: ლოთი, ბუზი, ბავშვი და ტელევიზორი.

გური ვითომ რატომ?

ღვინება ლოთობა რა ქართველის საკადრისია? ნარკომანის არ იყოს, ასეთების ადგილი საავადმყოფოშია; ბუზი რატომ არ უნდა იყოს, გასაგებია; ბავშვისთვის ნადიმის მისტერია ადრეა და უჯობს, სათამაშოებთან იყოს; რაც შეეხება ტელევიზორს, ოო, ეგაა ურთიერთობათა სიხარულის ყველაზე დიდი მტერი სუფრასთან, არ გასვენებს, სულ გეტყნება და ჩაგჩიჩინებს: „შეხედე, რაები ხდება! შეხედე, როგორია ცხოვრება! რა გექვიფება?“

გური ასეა!

ღვინება ბავშვები, - ვენაცვალე მაგათ! – კიდეც იმიტომ არ ვარგა სუფრასთან, რომ თავიანთი გულუბრყვილობით, ძალაუნებურად, შეიძლება, ჩემსავით ცუდ დღეში ჩაგაგდონ. ერთხელ, ახალ წელს, რომელიღაც ოჯახში ვთამაობდი, ვქადაგებდი, ვმგზნებარებდი, ცალ

ხელში კამფეტები მეჭირა, მეორეში – ყანნი და მასპინძლის ბიჭუნას ვადღეგრძელებდი. იმან კი უცებ, ყველას გასაგონად, მომაცხა: „ძია, არ მინდა შენი სადღეგრძელოები! ეგ კამფეტები მომეცი!“ აბა, ასე იყო, ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ დამინუნეს თამაძობა.

გური სხვათაშორის, ამ დილით ტელევიზორში პრეზიდენტი საუბრობდა, მალე არჩევნები იქნებაო. გვეშველება, ვითომ?

ღვინება ვნახოთ! უნინ პრეზიდენტების ნაცვლად მეფეები იყვნენ. მაშინაც ხან გვილხინდა, ხან გვიჭირდა.

გური მეფე მუდმივი პრეზიდენტი, პრეზიდენტი დროებითი მეფეა. ახლა სხვა დროა.

ღვინება ქვეყნისთვის რა სჯობს: ცუდი დემოკრატია და პრეზიდენტი თუ კარგი მეფე და მონარქია?

გური (ჩაფიქრდება.) – კარგი პრეზიდენტი და დემოკრატია.

ღვინება გამიირიბე პასუხი ხომ? კარგი, მაშინ ახლა ასე შეგეკითხები: როცა ხალხი ნამხდარია, მაშინ რაღა სჯობს: დემოკრატია, მონარქია თუ დიქტატურა?

გური დემოკრატია, მონარქია, დიქტატურა, ოლიგარქია, თეოკრატია და კიდევ ათასი ტია-ტია ხალხის ენერჯის სასიკეთოდ წასამართად უნდა გამოვიყენოთ, დროის მიხედვით. თუ ერთის მხრივ, დემოკრატები: თემისტოკლე, ლიკურგე, სოლონი, რუზველტი, დე გოლი, ჩერჩილი გამოადგენ სახელმწიფოს, მეორეს მხრივ, დიქტატორები: მაკედონელი, ჩინგის ყაენი, დავით აღმაშენებელი, პეტრე პირველი და სტალინი აღორძინებდნენ ქვეყანას.

ღვინება გასაგებია ეგ, მაგრამ ისეთი წყობა და მმართველი როდის გველირსება, რომელიც კეთილი, სამართლიანი და ძლიერი იქნება.

გური ასეთი ქრისტიანებისთვის მაცხოვარი იყო, მუსლიმანებისთვის – მუჰამედი, ბუდისტებისთვის – ბუდა, ინდუისტებისთვის – კრიშნა, მაგრამ რა მერე? ხომ სვდები?

ღვინება კი, ვხვდები და არ იქნებოდა საშველი, კიდევ ერთი რომ არსებობდეს, იმთავითვე, დუნიაზე.

გური ვის გულისხმობ?

ღვინება (ანევს ღვინიან თასს.) – ამას, შურიგე! ამ დალოცვილს!

გური აგაშენა ღმერთმა!

ღვინება

„მიგრეხილო, მოგრეხილო,
ზედ მიკრულო მაგრა ხეო,
ცოცხალი ვარ, შენ მაცხოვრე,
მოვკვდები, შენ დამმარხეო!“

აი, მარტო ღვთისომ კი არ იცის ხალხური ლექსების ჩაბეჭდის თვლება!

ღვინება და გური შესვამენ.

გური ბოლოსდაბოლოს, რა არის ჭეშმარიტება? რაღა სიცოცხლის აზრი?

ღვინება იქნებ, იმაში, რომ ეგეთი შეკითხვები ხანდახან, მაინც, დავსვათ?!

გური აბა, მე ვიტყვი ერთსაც. არისტოტელესთვის რომ გეკითხა, კაცობრიობას სულ ოთხნაირი საზოგადოებრივი წყობა წარმართავს: დემოკრატია, ტირანია, მონარქია და ოლიგარქია. სხვათაშორის, ნელინადის ოთხ დროს ჰგავს: ტრიალებენ, ბრუნდებიან, მიდიან და ა.შ. (ჩაფიქრდება.) მაგრამ, მე მგონი, მეხუთე ფორმაცია უფრო მთავარია.

ღვინება ეგ რომელია?

გური ქია-ქია!

ღვინება რაო?

გური ქია-ქია ამათი ნაზავია. თუ დააკვირდები, წმინდა სახით არსად არასოდეს არსებულა რომელიმე საზოგადოებრივი წყობა. თუ, მაინცდამაინც, შემოკლება გვინდა, სულ ორი ფორმაციაა სახელმწიფოში: წესრიგი და ანარქია. მაგრამ ამათაც აქვს თავისი ქია-ქია: არ არსებობს წესრიგი, ანარქიას რომ არ მიეღტვოდეს და არ არსებობს ანარქია, წესრიგი რომ არ სურდეს. ასეა! ყველაზე უფრო კანონმრავალი და კანონარული ცხოველია ადამიანი დედამიწაზე. მოკლედ, ქია-ქიას გაუმარჯოს!

ღვინება კარგი, ბატონო, მასე იყოს! აგაშენა ღმერთმა, რა კარგად გამოვდივარ ნასმურევეზე. საოცარია, ხალხს ჰგონია, ნაბახუსევზე უხასიათობა ალკოჰოლის ბრალია, მიზეზი კი სულ სხვაა, – რეალობასთან დაბრუნებაა ძნელი.

გური იცი, გურულები რას ამბობენ, ზოგჯერ, ღვინის სმაზე?

ღვინება არა.

გური ძამა, ღვინის სმის აზრი, თუნდაც, ის არის, რომ დათვრები, გამოთაყვანდები და თავი ბრძენი გეგონება.

ღვინება შენ მაგისთვის დათრობა არც გჭირდება, ჯიმა!

გური მიდი! მიდი!

შემოდის მოღუშული ღვთისო.

ღვთისო გამარჯობათ!

გური გაგიმარჯოს! რა იყო? რაღაც ვერ ხარ ხასიათზე. რამდენადაც ვიცი, ნასმურევეზე თავმძიმედ ყოფნა არ გჩვევია. დაგვილიე ერთი ჭიქა!

ღვთისო არა, არ მინდა.

გური შენი ნებაა, მაგრამ რა მოხდა?

ღვთისო ერთ სამგლოვიარო ტრაპეზზე თამადად მიმიწვიეს.

ღვინება ხარს თივით აშინებდნენო. მერე რა? ცხონებული ჭაბუკა დადიანის გასვენებისას რომ ითამადე, იმაზე მეტი რა უნდა იყოს?

ღვთისო შენ, მგონი, ტელეპათიკ ხარ, ღვინება, სწორედ დადიანებმა მიმიწვიეს.

ღვინება რაო? კიდევ რამე უბედურება დაატყდათ თავს?

ღვთისო არა, მთლად ქელეხიც არ არის... იმავდროულად ქორწილიცაა, მგონი.

გური რას ამბობ, კაცო?
ღვთისო თავადაც არ ვიცი კარგად, რას ვამბობ და რა საქმეც ვიტვირთე, მაგრამ ეტყობა, ბეღია.

ღვინება ნუ გაგვათავე! თქვი, რა ხდება!
ღვთისო ბაგრატ დადიანს და მის მეუღლეს, რამდენიმე დღის წინ, ერთნაირი სიზმარი უნახავთ: ცხოვებული ჭაბუკა მისულა მათთან და უხარებია, კვირას სულეთში ქორწილი მაქვსო, ამა და ამ ქალიშვილს ვირთავო.

გური ეგ ხომ სიზმარია და მეტი არაფერი?

ღვთისო საქმეც ისაა, რომ კვირას აღანიების ოჯახში, მართლაც, კრძალავენ ჭაბუკას თანატოლ, ულამაზეს ქალიშვილს, ცისიას, რომელიც სიცოცხლეში მისი შეყვარებული ყოფილა. მის მშობლებსაც იგივე ხილვა ჰქონიათ.

გური და ღვინება პირჯვარს გადაინერენ.

ღვინება (ბოლთას სცემს.) – კარგი და ეს მითხარი, შენ ქელეხის თამადად გეპატიჟებიან თუ?... თუ?... არც კი ვიცი, როგორ ვთქვა.

ღვთისო მგონი, აქაც და იქაც მეპატიჟებიან, ჩემო ღვინება, აკი შენ იყავი სუფრის თავი ჭაბუკას გასვენებაშიო.

პაუზა.

გური ხუმრობ თუ მართლა ამბობ?
ღვთისო მათ არ უთქვამთ, იმქვეყნიურ ქორწილშიც უნდა ითამადაო.

გური აბა, რა გაშინებს, შე კაცო?
ღვთისო საქმეც ისაა, რომ სულ არ მეშინია და მგონი, თავად ვარ ამის მოსურნე. ერთი საგულისხმო რამეც უთქვამს სიზმარში გამოცხადებულს: „კაცი გაჭირვებამდე უნდა მივიდეს ტაძრად!“-ო.

გური ღვინება, გვიშველე რამე! ხომ ხედავ, ცხოვრებაში პირველადაა თავმძიმედ ნასმურეზე.

ღვინება ჰოო? მაშინ მე ვიცი, მაგას რაც უნდა! ტერენტი გრანელის არ იყოს, „არა სიცოცხლე! არა სიკვდილი! არამედ რაღაც სხვა!“ ჰოდა სწორედ ნუხელ გამომიგზავნა ბიძაშვილმა სალხინოდან ორმოცი ლიტრი, მირონივით „ოჯახლეში“. გაძლევთ პირობას, ერთ საათში აღარც ცოცხლებში ვიქნებით, აღარც – მკვდრებში და სულ ღრუბელ-ღრუბელ ვიფრენთ „რაღაც სხვაში“! აბა, ინყება თავდავინყება!

ღვთისო ანუ გადიონვესება!

გური რას ნიშნავს ეგ სიტყვა?

ღვთისო სულხან-საბა ასე განმარტავს: „ეს არს სურვილთა და ვნებათა მაერთებელი.“ უთუოდ, დიონისესთანაა დაკავშირებული.

ღვინება გადიონვესება! კარგი სიტყვაა.

გური (თავისთვის.) – იქით გიორგი დაიკარგა, აქეთ ღვთისოს თავზე იყრება ღრუბლები. რა ხდება? ღმერთო, მშვიდობა იყოს!

სცენა ბნელდება. ისმის სევდიანი მუსიკა. ცოტა ხანში განათდება სცენის კუთხე, სადაც გამოვლენ გიო და თემური.

თემური გაიგე, რა მომხდარა უფლისაშვილებში?

გიო არა!

თემური გუშინ ღვთისოსთვის გულის ინფარქტს დაურტყამს.

გიო ვაიმე, ღვთისო ძია!

თემური აბა! საცოდაობაა! დღეს გადმოუყვანიათ რეანიმაციიდან პალატაში.

გიო არიქა, გავვარდეთ! მოვინახულოთ!

X სურათი

საავადმყოფოს პალატა. სანოლზე წევს ღვთისო. მასთან არიან: ექიმი, თამარი, ღვინება, გური, თემური, გიო.

ექიმი (პულსს უსინჯავს ავადმყოფს.) – უკეთესობაა! არ გადატვირთოთ, დასვენება და კარგი ემოციები სჭირდება. (გადის.)

ღვინება თავზე ხელს დაიდებს, იქექება, თითქოს, შიგ რაღაცას ეძებს.

გური რას შვრები, კაცო?
ღვინება კარგ ემოციებს ვეძებ თავში!
ღვთისო (ელემბა.) – გიპოვნია და ეგაა!

ღვინება ჩემს ბავშვობაში მეზობლად ერთი მუსუსი კაცი, ჭიჭიკო გაბისონია ცხოვრობდა. ლამაზი, იერიანი ვაჟკაცი იყო, ისეთი თვალები ჰქონდა, ქალებს რომ შეხედავდა, რძესავით იჭრებოდნენ. ეროტიკული სნაიპერი იყო, რაიონის არცერთი მოხალისე ქალი უპატივცემოდ არ გაუშვია. კარგა ხანია, გარდაიცვალა ცხოვრებული. ამას წინათ შეიღებმა ახალ, პრესტიჟულ სასაფლაოზე გადასვენეს. კუბო რომ გახსნეს, ცარიელი აღმოჩნდა, წერილი კი დაეტოვებინა ცოლისთვის: „ჩემო ციცინო, ვიცი, ადრე თუ გვიან მომაკითხავ, არ გენყინოს, შემცივდა მარტო ზამთარში და მეზობელ საფლავში მარგალიტასთან გადავედი. მარად შენი ჭიჭიკო.“

ყველა იცინის.

გური ღმერთმა ასი წლის მოგყაროს და, მგონი, შენს მომავალზე გველაპარაკები. ამქვეყნად, უკვე, გყავს ორი ცოლი, თანაც, თვალები ისეთი მარლი გაქვს, თუ ჭიქაში ჩამიხედე, ღვინო მიძმარდება.

ღვინო შენი არ ვიცი და, მე ღვინო კუჭშიც არ მიძმარდება.

ღვთისო თამარ!

თამარი ბატონო!

ღვთისო რა დღეა?



თამარი კვირა.
ლეთისო რა დროა?
თამარი დილის თორმეტი საათი.
ლეთისო (ნაღვლიანად.) – ჩემი ზურაბი, ეტყობა, ველარ ჩამომისწრებს.
თამარი სამაგისო რა გჭირს, გენაცვალე?
ლეთისო ჩემო ძვირფასებო, რალაც უნდა გითხრათ. (პაუზა.) ყველა მიყვარხართ! როცა გაგშორდებით, იცოდეთ, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთია, მხოლოდ სხეულს იცვლიან სულები.
თამარი რას ამბობ, ლეთისო? ხომ თავად გაიგონე, რა თქვა ექიმმა, კრიზისმა გაიარა.
ლეთისო ეს უკვე ექიმს აღარ ეხება. წინაპრებს ვესაუბრე წელან, აქვე! თქვენ ვერც კი შეამჩნიეთ. (პაუზა.) ჰო, იმას ვამბობდი, სიკვდილსიცოცხლე ისეთი არ არის, ჩვენ რომ გვგონია – მეთქი. ახლა ერთი ჭიქა ღვინო მინდა!
თამარი როგორ შეიძლება შენს მდგომარეობაში?
ლეთისო შემისრულეთ უკანასკნელი სურვილი!

დამსწრენი ურთიერთს გადახედავენ. გიო იატაკზე დადებული ჩანთიდან ამოიღებს ღვინიან ბოთლს, შეავსებს ჭიქას და მიანვდის ლეთისოს.

გიო სიღნაღიდან გამომიგზავნეს ჩემებმა, „რქანითელისა“ და „ხიხვის“ კუპაუთა, ჩვენს მამა-პაპას რომ უყვარდა უნინ, ისაა, ლეთისო ძია.
ლეთისო (აკვირდება.) – კარგი თაობა მოდის. მაღლობა, გიო! „ხარ განდობილი თამადა, ყან-ნოსან-არწივოსანი! ხარ ხალხის გამხარებელი, ღმერთის და ღვინის მგოსანი!“ - ეს ლექსი კი ჩემია. გური!
გური გისმენ, ძმაო!
ლეთისო ამ შემოდგომის მიწურულს გურიასში „კამური“ ჩემს სახელზეც უნდა დანურო!
გური მოგიკვდეს ჩემი თავი! აბა რას ვიზამ!
ლეთისო ღვინება!
ღვინება ბატონო!
ლეთისო შენ ამაღამ პრემიერა გაქვს ხომ? წინასწარ გილოცავ წარმატებას!
ღვინება რა მეპრემიერება? არსადაც არ წავალ!
ლეთისო თუ გიყვარვარ, ეგ აღარ გამაგონო! არც ქურუმებმა უნდა უღალატონ ტაძრებს, არც ერისკაცებმა – ხალხს, არც თამადებმა – პურ-ღვინოს და არც მსახიობებმა – სცენას.
ღვინება კი, ძმაო!
ლეთისო ყველა მიდით იმ რთველზე! შენ ორივე გოგონა წაიყვანე, ღვინება!
ღვინება მე ხომ ერთი მყავს.
ლეთისო დაიმახსოვრე, რასაც გეუბნები.
ღვინება მესზუმრები, ალბათ, მეორე შვილი ბიჭი მინდა!
ლეთისო ლეთის ნებაა ყველაფერი. თამარ!

თამარი რაო, საყვარელო?
ლეთისო (ილიმის.) – თამარ, გპირდები, ჩემი საფლავიდან არსად გადავიპარები. (პაუზა.) ძმებო, რამდენი სადღეგრძელო გვითქვამს! როგორ ფიქრობთ, რომელია საუკეთესო?

თამადები დუმან.

გური ვერ გეტყვი.
ღვინება ძნელი სათქმელია.
ლეთისო მეც ასე მგონია. ამიტომ, მოდი, გაუმარჯოთ ჯერაც უთქმელ სიტყვებს და გაუკეთებელ საქმეებს!

ლეთისო ნელა სვამს ღვინოს. შემოდის ექიმი.

ექიმი რას სჩადით? გესმით, რას სჩადით? (ავადმყოფს პულსს უსინჯავს, სინანულით გადააქნევს თავს.)
ლეთისო მცივა! (თამარი საბანს შეუკეცავს.) არა, შიგნით მცივა, თუმცა, ნელ-ნელა ნათდება და დათბა კიდეც. ძმებო, ამებანეთ! (მღერის.)
 „ღვინო ვშობეთ და მსოფლიო დავიპყარით სრულიად, ყველგან, სადაც ღვინოს სვამენ, ქართველების რჯულია! საიქიოც ჩვენია და სააქაოც ჩვენია, როცა გვინდა, წავალთ, მოვალთ, ყველგან მოსალხენია! როცა გულით იხედები, გონი ვერ მოგერევა, ჩვენ ღვინო და სიყვარული არასდროს დაგველევა!“

კაცები აჰყვებიან სიმღერაში. ბნელდება. ძლიერდება მუსიკა და აგრძელებს სიმღერის მოტივს. პაუზა. სცენის კუთხეში განათებულ ადგილზე გამოვლენ ღვინება და გური.

გური ხედავ, რა ხდება? თავად რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი.
ღვინება მესამე დღეა, გარდაიცვალა და თვალები ბოლომდე არ ეხუჭება, თითქოს, ვილაცის ნახვას ელის.
გური ექიმებმა ვერ ახსნეს ეს მოვლენა.

სიბნელეში, კულისებში ისმის ახალგაზრდა კაცის – ზურაბის ხმა.

ზურაბის ხმა მამა! შენი ჭირიმე! ვაიმე, მამა! (ტირის.) (თამარის ხმა) შენ გაიხარე, შვილო, რომ როგორც იქნა, ჩამოხვედი!... ხედავთ, ხალხო? დახუჭა თვალეები ჩემმა ლეთისომ... როგორ დაუმშვიდდა სახე!... დიდება შენდა, ღმერთო!

სცენა ბნელდება.

XI სურათი

ღვინება, გიო და ჯეკი მიდიან ქუჩაში. ისმის

მატარებლის დაძვრის ხმა. ფარდა ნახევრად დახურულია.

ჯეკი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ღვთისოს დაკრძალვისას ქვეყნიერების კიდეზე ვიყავი გადაკარგული. ნეტავ, გური მაინც დაგხვდებოდეს კარგად!

გიო სტუდენტობის შემდეგ არ ვყოფილვარ ლანჩხუთში, რალა ასეთ დროს მომიწია ჩამოსვლა?

ლვინება მე შარშანწინ ვიყავი ბოლოს. ო, რა გაეხარდა გურის, - „ჩხავერის“, „კამურის“, „კაჭიჭის“, „ადესის“ ნერგებს უტრიალებდა, ფილოქსერაგამძლე ძირზე დაამყნო ვაზი და ისე ხარობდა, თითქოს, ნობელის პრემია აეღო. თავანკარა ღვინით გამიმასპინძლდა. საოცარი იყო „კამური“, ლამის ჭიქა მეყლაპებოდა. ბალი, ყანა, ზვარი, მშობლიური კერა, ტყე-ჭალა, ძველი ნაციხარები, მარანი, მოყვრები, მეზობლები, თევზაობა, ნადირობა, ნადიმობა. - ბედნიერი კაცი იყო! სუფრაზე ბაბუამისის, განთქმული თამადის ნათქვამს ხშირად იმეორებდა: „ბაბუ, ახალგაზრდობაში საღამოდან დილაამდე ფუთზე მეტი ღვინო დავლიე და შინ ფეხით მივედი. მეორე დღეს, სხვა ნადიმში, ერთი თამადა იყო, სულ ორი ლიტრი ღვინო დალია, მაგრამ ისე ლამაზად იქადაგა, ისე მოალხინა ხალხი, რომ მაშინ მივხვდი, რა ყოფილა ნამდვილი ქურუმობა პურ-ღვინისა!“

გიო საოცარია, ხარივით იყო, ასე უცებ რა უნდა მოსვლოდა?

ლვინება არ ვიცი, დეპეშაში მოკლედ ეწერა: „გური მძიმედაა ავად, სასწრაფოდ ჩამოდი!“ მობილური ტელეფონიც გამორთულია. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, შენ გვიშველე! მაინც, ამ ბოლო ხანებში როგორ მოგვიმრავლდა ჭირი: იქით ღვთისო გამოგვეცალა ხელიდან, აქეთ გურის ამბავია, გიორგი დადვანის ასავალ-დასავალიც ვერ გავიგეთ. აჰა, მოვსულვართ კიდეც!

გაიხსენება სცენის ერთ მხარეს სანახევროდ დახურული ფარდა. ტახტზე სუდარა გადაფარებული ცხედარი ასვენია. ღვინებას, ჯეკს და გიოს ძაძებიანი ჭაბუკი და მანდილოსანი დახვდებიან.

გიო არა, შეუძლებელია! (თავს ხელებში ჩარგავს, ტირის.)

ლვინება არ მჯერა!... როგორ? რა მოხდა, ხალხო?

პაუზა.

ჭირისუფალი ჭაბუკი - ერთხელ თქვენთვის საიდუმლოდ უთქვამს: „თუ რომელიმე საიქიოში ერთმანეთს გავასწრებთ, კუბოსთან ცოცხლად დარჩენილმა სიტყვა უნდა თქვას!“

ჭაბუკი ღვინიან ჭიქას მიაწვდის ღვინებას,

რომელიც გაოგნებულია, ენას ვერ ძრავს. უცებ „ცხედარი“ შეინძრევა, სუდარას გადაიხდის, ხითხითით წამოჯდება გური, ყანწს მოიმარჯვებს და შინაურებს ანიშნებს, გამივსეთო.

გური არ გრცხვენია, ბიჭო, ღვინება? მაგ მოცქინტული ჭიქით მაცხონებლი?

კარგა ხანს მდუმარედ შესცქერიან მეგობრები გურის, შემდეგ გახალისდებიან.

ლვინება ერთი ეგ ყანწი არ გეჭიროს ხელში და ღვინის მაღლი არ მაკავებდეს, კი უნდა გაჭამოს კაცმა სილა!

გური რა ვქნა, ძმაო, სხვაგვარად ვერ ჩამოგიტყუეთ გურიაში საქეიფოდ! ისე, ნამეტანი გეცვალათ ფერი და შემეცოდეთ! მაპატიეთ, ბიჭებო, მგონი, ცუდი ხუმრობა გამომივიდა!

ჯეკი რახან ცოცხალი ხარ, ყველაფერი კარგადაა. მდაა, ასეთი რამ არც მინახავს და არც გამიგია.

გური შენი ცრემლების ჭირიმე, ჩემო გიო! მაპატიე ხუმრობა!

გიო შენ გენაცვალე, გური ბატონო!

გიო გადაეხვევა გურის. ეს უკანასკნელი ყველას შეუვსებს სასმისებს.

გური დიდი და უძველესი დღესასწაული გველის წინ. მოდით, ჩვენს მამულს გაუმარჯოს! მტერმოძალებულ, მაგრამ მტერმოურველ ქვეყანას გაუმარჯოს! მისი სიტყვა და სიმღერა რომ ისმის, იმიტომ დაილოცოს! მისი დრობა, გერბი და ჰიმნი რომ აქვს, იმიტომ იდღეგრძელოს! ყანწ-ფიალებზე არანაკლები ხმალი და ტყვია დაგვიხლია მისთვის, თავანკარ ღვინოზე უმეტესი სისხლიც დაგვიღვრია, მაგრამ ესაა ჩვენი მზიან-ღრუბლიანი წუთისოფელი, რომელიც არც ხვალ გამოგვიღვეს საჯაფს, საბრძოლს, სალხენსა და სადავიდარაბოს! ამის ხსოვნით ვართ ვაჟკაცები. პირდაპირ, გულადად ვუყუროთ ცხოვრებას თვალეში, რადგან სასაცილოა ცრუ ტირილი და სატირალია ცრუ სიცილი. ყოველთვის გვახსოვდეს, რომ დამარცხების კვამლსა და გამარჯვების ცეცხლს შორის შრომის ქარბუქია. შრომით, შემოქმედებით კვლავ ავლორძინდებით! მოძმენო, მოვუაროთ ერთმანეთს! მოვუაროთ ტაძარს, ვაზს, ენას, სიმღერას, გუთანს! მოვუაროთ მამულს და დედამიწას! დავკვირნოთ ავსულებს და ჭირის დღეებს, შევაშინოთ, გადავკარგოთ! შევუძახოთ ზეიმებს, მოვიზიდოთ, მოვამრავლოთ! სამშობლოს უკვდავებას გაუმარჯოს!

ყველა აპყვება შეძახილით: „ამინ!“ „გაუმარჯოს!“ ისმის სიმღერა, კრიმანჭული, ჟრიათული, რომელიც ნელ-ნელა მინავლდება. პაუზა. ბნელდება. სიჩუმე. სცენის სიღრმეში ნელა ნათდება, ამოდის მზე. გიო გამოვა და ვაზთან დადგება. გამოჩნდებიან: გური, ღვინება და ჯეკი.

გური გიო, ნადვინევეზე როგორ ხარ?
გიო მშვენივრად! დიდებული ღვინო იყო! მე ასე მჩვევია, მზის ყურებით გამოვდივარ ნასმურევზე. მზის ამოსვლა სჯობს ყველაფერს ქვეყნად!

გური ასეა! (ვაზს მიმართავს.) დილა მშვიდობისა, ბატონო!

ღვინება ყურს დაადებს ვაზს.

ღვინება აბა, ყური დაუგდეთ, რალაცას გვეუბნება დალოცვილი!

*გურიც ყურს დაადებს ვაზს და ილიმება.
ყველა შეჰყურებს ამომავალ მზეს.*

გიო ვინ იცის, იქნებ, ახლა რომელიღაც შორეულ გალაქტიკაში, ვიღაც, ჩვენსავით, ნაქეიფარია და თავისი მზის ყურებით იხალისებს ალიონს?

ღვინება ჰოდა იმათ გაუმარჯოთ! ჰეი, სამყაროვ, შენთან გადმოვდივარ ალავერდს!

*უცებ მაღლიდან გაისმის გრუხუნის, ჭერიდან ჩამოვარდება ოვალური, მტკავლისხელა ქვა.
გიო ნელა აიღებს.*

გიო თბილია! მგონი, მეტეორია!
ღვინება ალავერდიც ამას ჰქვია! ხედავთ, სად მიწვდა ჩემი სადღეგრძელო?

გიო გუმანით ვგრძნობ, დიონისეს ნობათია.

ჯეკი ღმერთო ჩემო, ეს ხომ იმ ტაძრის ადგილსამყოფელია! რუკა ახატია! ეს ხომ კოლხური კვირბია!

გური რას ამბობ, ჯეკ?

ჯეკი (შეცბება.) – არაფერი, რალაც მომეჩვენა!

ღვინება ჯეკ, გამისწორე თვალი!

ჯეკი რაშია საქმე?

ღვინება (გურის გახედავს.) – დამალვას აზრი არა აქვს. ჯეკ, რასაც შენ ეძებ, იმას ხვალ ასობით თამადა მოაკითხავს, რადგან, ღვთის ნებით, ჩვენსავით, სიზმრად იხილავენ უძველესი ტაძრის ადგილს, სადაც ათასწლოვანი, სანთლით დალუქული ქვევრები უნდა გაიხსნას და ვინადიმოთ დიონისეს ქურუმებმა.

ჯეკი რა, თქვენ განდობილი თამადები ხართ? თუმცა, ჰო! განა თამადები არა ხართ დიონისეს ქურუმები?

გური ყველა წყალ-წყალა თამადუკა, მითუმეტეს, ლოთბაზარა, ვერ იხილავს იმ განძს.

ჯეკი რა განძს, ადამიანებო? რა განძს? აღარ იტყვი, ბოლოსდაბოლოს?

გიო წამობრძანდით! გაჩვენებთ!

გიო და ჯეკი გადიან. ღვინებას მობილურ ტელეფონზე ურეკავენ.

ღვინება ალო! ჰო, მამიკო! რა იყო? რატომ ტირი, შვილო? რა?... დედები სახლიდან წავიდნენ? მიგვატოვეს?... ორცოლიანობას ვერ ავიტანთო?... ჰმ! მერე შენ?... იხუმრეს, ალბათ, ნუ გეშინია, შვილო! ახლავე გადავურეკავ მარო მამიდას და მოგაკითხავს! მე ზეგ ჩამოვალ! დედაშენიც მალე დაბრუნდება! ხომ გჯერა ჩემი? დამშვიდდი, გენაცვალე! აბა, ყოჩაღად! ყველაფერი კარგად იქნება, მამიკო!

ღვინება ტელეფონს გათიშავს, ერთხანს დაჰყურებს, შემდეგ გურის მზერას დაიჭერს.

გური ხუმრობ თუ?
ღვინება ისეირე! ისეირე! ახლა კი ვარ უბიგელოდ დარჩენილი ტროლეიბუსით, მაგრამ არა უშავს, ეტყობა, დიდი სექსიდან წასვლის დრო დამიდგა, ანა პატარაზე უნდა გადავიდე.

გური რას გულისხმობ?

ღვინება უფრო ახალგაზრდა ცოლი უნდა შევიერთო!

გური კი, აბა! „მის საქართველოების“ რიგი დაგიდგება, შენმა მზემ! კარგი ახლა, გეყოფა ხუმრობა! გადარეკე შენს დასთან! თუ საქმე გართულდება, ნუ მომერიდები, ვეცდები, შეგარიგო ქალები! (ჩაფიქრდება.) თუ მეტი არაფერია?!

ღვინება მეტი რა უნდა იყოს?

გური არაფერი, ისე ვთქვი.

ღვინება რალაცას მეხუმრებიან ქალები, ალბათ, თავიანთი მოკლე ჭკუით.

პაუზა.

გური გამახსენდა! როგორც იქნა, გამახსენდა!

ღვინება რა?

გური ის ქვა, წელან რომ ჩამოვარდა, ბავშვობაში ვიპოვე ძველი ნასახლარის ორმოში, სიგლუვით, უცნაური ხაზებით მომენონა, კარგა ხანს ვათამაშებდი, შემდეგ სხვენზე მიმავინყდა. ვგონებ, ასეთები მრავლადაა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ღვინება ჰო, ასე უნდა იყოს. (ტელეფონს დაჰყურებს. ქრება შუქი).

XII სურათი

ტაძრის ეზოში, მუხასთან, დიდი ნადიმია. ბოცებით, ტიკებით, დოქებით, სურებით არიგებენ ღვინოს. ჯეკი დგას გალავანთან და მობილური ტელეფონით ლაპარაკობს.

ჯეკი ჯიმ, ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. იმ ვეება ქვევრებში არავითარი განძეულობა არ არის, მხოლოდ ღვინოა! მართალია, ღვთაებრივად გემრიელი და სურნელოვანია,

მაგრამ მხოლოდ ღვინოა. შენ წარმოიდგინე, სამ წყებად, ერთმანეთში ჩანყობილი, სანთლით და კიდევ რაღაც, უცნობი ნივთიერებით შემოგოზილ-განცალკევებული, შუა ჭურჭლებში ესხა. რაო? (პაუზა.) მერე რა, რომ ოთხი ათასი წლისაა? რაო? ასე წლის კონიაკი უძვირესია, ხოლო ოთხი ათასი წლის ღვინის თითოეული წვეთი ოქროზე მეტი ეღირება? ღმერთო ჩემო! ჯიმ, ეგ თავად როგორ ვერ მივხვდი? ეს ხომ ფანტასტიკაა? სასწაულია! მართალი ხარ, ჩემო მეგობარო, სწორედ ესაა უდიდესი, არნახული განძი! ჰო! ჰო! ახლავე მივდივარ შესასყიდად!

შემოდინ გური, გიო და ღვინება.

ღვინება ჯეკ, სად დაგვეკარგე?
გური (ანვდის ღვინიან ყანწს.) – დაუჯერებლად კარგი ღვინოა! მიირთვი, ძმაო!
ჯეკი (აღელვებულია.) – ეს?... ეს დავლიო? იცით, რომ ეს ოთხი ათასი წლისაა?
გური ვიცით!
ჯეკი მერე ამისი ფასი იცით?
ღვინება ვიცით!
ჯეკი მერე სვამთ?
გური მომისმინე, მეგობარო! მწყურვალნი ირმების ჯოგი რომ მდინარესთან მივიდეს და არ დარწყულდეს, რა მოუვა? ქრისტემ რომ ათასობით ადამიანს პური და თევზი გაუჩინა, ის რომ არ ეჭამათ, რა მოხდებოდა? (პაუზა.) ჩვენ რომ ეს ღვინო არ დავლიოთ, ქართველები აღარ ვიქნებით! ჩვენი ჯვარი ვაზისაა: მასში ხალისი და სიყვარულია გაერთიანებული, ამიტომაც არ გვახასიათებს ფანატიზმი, ინკვიზიცია. ჩვენი თრობა ფხიზელია, ჩვენი სიფხიზლე მისტერიულია. მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ხალხის უმეტესობა სვამს ღვინოს, რომელიც ჩვენი ეროვნული, არქაული რჯულია, მეგობარო! კიდევ ვერ ხვდები, ჯეკ?
ღვინება რომ მიხვდეს, ეტყობა, რამე ხელმოსაჭიდი სჭირდება.
გური მართალი ხარ! ახლავე! (კულისებში გასძახის: „მახარე!“ და გადის.)
ღვინება დალიე, ჯეკ! რა სულ თვალებით იყურებით ამერიკელები.
ჯეკი აბა რით უნდა ვიყურებოდეთ?
ღვინება გულით, ძმაო! გულით!
ჯეკი (ჩაჰყურებს ყანწს.) ვემზადები! (პაუზა.) არ შეიძლება ამ ღვინის შესყიდვა?
ღვინება არა!

შემოდის გური, დიდი, სავსე ტიკით.

გური აჰა, ჯეკ, ეს საჩუქარია! ახლა კი დასცალე ეგ ყანწი!
ღვინება მეც გინილადებ ჩემი არჩივიდან!
გიო მეც!
ჯეკი (აღტაცებულია.) – ვერ წარმოიდგენთ, ეს რა განძია! (მიმოიხედავს.) ღმერთო, ნუთუ ამდენი ღვინო სულ უნდა შესვას ამ

ხალხმა?
გური არც მასეა საქმე: სამეურნეო მუზეუმს, ეროვნული მემკვიდრეობის უნივერსიტეტს კოლექციებისთვისაც დაეგზავნება, უმეტესობა კი, უსათუოდ, აქ, სახალხოდ, შეისმება. შემოდგომაზე ახალი ზედაზე კვლავ ჩაისხმება და შეინახება. ასეთი იყო ნება ჩვენი წინაპრებისა, დიონისეს ქურუმებისა!
ჯეკი კი, მაგრამ დიონისე ხომ ბერძნული ღმერთია?
გიო ბერძნულიც გახდა ისევე, როგორც შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა ჩვენი სიტყვები: „ღვინო“, „მედიცინა“, „გეორგია“, „მასკარადი“, „კორიდა“. აბა, ქართულის გარდა, გაშიფროს ვინმემ სიტყვა „დიონისე“!
ჯეკი როგორ იშიფრება?
გიო „დიო“ უძველესი, მატრიარქატიდან მომდინარე ღვთაებაა. გავისხენოთ სიტყვები: „დიოფალი“, „დია“, რუსთველისეული „დიღმერთო“. შემდგომ ეს ღმერთის, მათ შორის, ზევსის, სინონიმი გახდა.
ჯეკი „ნესე“ რაღაა?
გიო ეგ არის, თუ არის! „ნე“ დღესაც, კოლხურად, ყურძნის წვენს ნიშნავს, რომელსაც ბიბლიურად „ნუ“ იგივე „ნუნუა“ შეესაბამება. ბიბლიური ნოეს სახელიც აქედან უნდა მომდინარეობდეს. „ს“ კი მიცემითი ბრუნვის ნიშანია ქართულში, რომელიც, უძველეს დროში, მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელდა. „ე“ ემფატიკური მარცვალაია. ახლა დავაჯამოთ სიტყვა „დი-ო-ნე-ს-ე“: - „ღვთაება ყურძნის წვენისა!“
ჯეკი დიდებულია! იქნებ, ისიც იცი, სიტყვა „ღვინო“ რას ნიშნავს ეტიმოლოგიურად? ესეც გაუშიფრავია დღემდე.
გიო „ღვინო“ - „ღვინო“ - „ღვინო“: ესაა თავდაპირველი ვარიანტი. „ნე“ უკვე ვიცით. „ღუი“ კი გაღუებას ანუ გაღვივებას ნიშნავს ჩვენში. ერთად გამოდის „გაღვივებული ნე“ ანუ „დადუღებული ყურძნის წვენი!“
გური ყოჩაღ, ძმაო! ამას ვერასოდეს მივხვდებოდი!
ჯეკი (მიიახლოებს სასმისს.) – გური, გახსოვს? ერთხელ შენ თქვი, სუფრა მისტერიულა, ზემხილვარებაა, ღვთივზვარაკიაო! რა დიდებული სიტყვებია! მე კი, არ ვიცი, რა წარმოვთქვა.
გური სიტყვებზე ძალიანაც ნუ გაინვალებ თავს, რადგან იმაზე ღვთაებრივს ვერვინ ვიტყვით, რაც დიონისეს მარნის ქვევრების საიდუმლო წერილში ეწერა.
ჯეკი რა წერილი? რა საიდუმლო?
ღვინება აი, ეგ კი ერთეულ, საუკეთესო თამაღებს შორის დარჩება კიდევ ათას წელიწადს და მხოლოდ სადღეგრძელოების ქარაგმებით გადაეცემა შთამომავლობას. ამის საყოველთაოდ გამხელა-გაშიფვრა არ შეიძლება, რადგან ქართველების სიცოცხლის საიდუმლოების გასაღებია შიგ.

ჯეკი სვამს ღვინოს.

გური ინყება!

დიდ მუხაზე ჰკიდებენ მზის სიმბოლოს – ბრინჯაოს, ცხრა ქიმიან, მრგვალ ბორჯღალს. გაისმის ქოროს სიმღერა. შემოდინ მისტერიის მონანიღენი, ხის ძირში დგამენ მაღალ სამფეხზე მოთავსებულ, დიდ, საზვარაკო ლანგარს, რომელსაც ღვინით სავსე რქებით, რიგრიგობით, მიეახლებიან მონესეები, ზედაშის ნანილს ჭურჭელში ღვრიან, ნანილს მუხის ძირში ასხამენ და გადიან. მოხუც, ხანჯლიან ქურუმს გამოჰყავს ვაცი და მუხის უკან უჩინარდებიან.

ჯეკი რა ხდება?

გური ასე სწირავდნენ დიდმუხის ღვთაებას ზედაშეს ჩვენი წინაპრები ოთხი ათასი წლის წინათ.

ჯეკი რა ბედნიერებაა, რომ ამის მხილველი ვარ!

ღვინება გური, გიო, ჩვენც გვთხოვეს მონესეებმა ამ რიტუალის ჩატარება. ჯეკ, ცოტა ხანს აქ დაგველოდე, მალე მოვალთ!

ღვინება, გური, გიო იმეორებენ რიტუალს და ამერიკელთან ბრუნდებიან. შემოდის მოხუცი ქურუმი, რომელიც საზვარაკე ლანგარზე ჯვარედინად გადებს ორ, შავტარიან სატევარს, შემდეგ ზედ ანთებულ კელაპტარს დაამაგრებს, პირჯვარს გადაიწერს.

ჯეკი ეს როგორ? სად დიონისე და სად ჯვარ-სანთელი?

გიო ბატონო ჯეკ, ჩვენ ხომ უძველესი ქრისტიანები ვართ. ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ, ჯვრისა და ვახის დაწყვილებით, დიონისე და ქრისტე გააერთიანა. რელიგიების ყოფასთან შერწყმა ისეთივე ცხოვრებისეული რეალობაა, როგორც სხვადასხვა რჯულის ხალხების მეზობლობა და ურთიერთგავლენა. თანაც, როგორც ვატყობ, ამ რიტუალში, დიონისეს გარდა, ნაყოფიერების დედა-ღვთაების კულტიც გამოსჭვივის.

ჯეკი სატევრები რაღა შუაშია?

გიო ჩვენ ხომ უძველესი მეტალურგების ხალიბების შთამომავლებიც ვართ, იქიდან მოდის ეს ადათიც. სიტყვა „ლითონის“ ძირი ქართული „ლოდ“-იდან უნდა მომდინარეობდეს, მეცნიერთა აზრით.

ქურუმი (შეჰყურებს მუხას.) – ჰოი, დია! ღვთაებაო, წყალობდას!

ხალხი წყალობდას!

ქურუმი ღვწოდეთ! ბრძოდეთ! მღერდეთ გულით! წყალობდას!

ხალხი წყალობდას!

ქურუმი გვალონიერე, გვალვინიერე, გვაგონიერე გულით! წყალობდას!

ხალხი წყალობდას!

ქურუმი ჰოი, დია! ღვთაებაო! შეინიერე ზედაშე! წყალობდას!

ხალხი წყალობდას!

მუხიდან კაშკაშა სხივი ჩაეშვება ქვაბში.

ჯეკი ეს რაღა იყო?

გური არ ვიცი!

გიო (კულისებში იყურება.) – შეხედეთ, ვინ მოდის!... თუმცა, ლანდს ჰგავს, მაგრამ, აშკარად, ისაა!

ჯეკი მე ვერავის ვხედავ.

გური ვერც მე.

ღვინება ღმერთო!... ნუთუ ეს შესაძლებელია?

გიო თქვენც ხედავთ?

ღვინება ვხედავ, ძმაო! მაგის სულს ვენაცვალე!

გური ვაიმე, მეც ვხედავ, ნისლეულად!

ჯეკი აღარ იტყვი, რა ხდება?

ღვინება ჯეკ, ცოტა ხნით იყურე! შემდეგ აგისხნით ყველაფერს!

თეთრი მოსასხამითა და თეთრი თავსაბურველით, ნელა შემოდის ღვთისოს აჩრდილი, რომელიც მხოლოდ საზედაშე ლანგარს შეჰყურებს, მივა მუხასთან, თავს დაუხრის და გადის.

გიო სხვა ლანდებსაც ვხედავ! ალბათ, ძველი მოზვარაკეები არიან!

ღვინება და გური ერთმანეთს გახედავენ, ეტყობათ, რომ თავად ვერ ამჩნევენ სხვა ლანდებს. პაუზა.

ჯეკი ვინ და რა ნახეთ?

გური ღვთისოს აჩრდილი.

ჯეკი ნუთუ? მართლა?

ღვინება მართლა, ჯეკ! გიომ კი სხვებიც დალანდა, ეტყობა, ჩვენზე უფრო ხელდასხმულია. ასეც უნდა იყოს! ახალგაზრდობაა სვალის იმედი, ქვეყნის უღლის გამწევი! როგორც ჩანს, სულები ინფრანითელ და ულტრაიისფერ სხივებში ჩანან.

მუხის გულიდან ვიწრო სხივი გამოვა და გიოს გაანათებს. მოხუცი ქურუმი მიეახლება გიოს, სანთელდამაგრებულ, ზედაშიან თასს მიანვდის.

ქურუმი რაც თავი მასსოვს, ღვთაებას ასეთი ახალგაზრდა კაცი ჯერ არ აურჩევია მთავარ, მომავალ მოტარიგედ!

გიო ღმერთო! ნუთუ?

ქურუმი დღეს წმინდა ხეში ზეცი-ერისა და ქვეყნი-ერის სულია დავანებული! იგი ყველა დროის სურათს ინახავს და ამბობს: ხე, ქვა, თიხა, ლითონი იმასსოვრებენ ყოველივეს და ერთ დღეს ცხადდებიანო! მუხასთან პირის-

პირ დადექი, რომ მან, შენს თავს ზემოთ, ერის სულს მიაშუქოს! როცა ღვთაებას უზედამებ, ეს ლოცვა ხმამაღლა წაიკითხე!

ქურუმი გიოს ქვის მცირე დაფასაც გადასცემს. გიო მუხასთან დგება.

გიო სულო ზეცი-ერისაო და ქვეყნი-ერი-საო, ჯვარ-ვაზის ფრთებით ურთიერთშევიანებულნო, დაგვიფარეთ! სულო ერისაო, წყალობდას! დედავ, მინისაო, წყალობდას!

მუხიდან გამომავალი სხივი ნელა, ჯვარედინად მოივლის მაყურებლის დარბაზს, ადის მალა და ქრება.

გაისმის „ოღოია“. გიო ზედამეს ხის ძირში დაასხამს, ნაწილს კი შესვამს.

ჯეკი სულ ერთი სიტყვაა და მთელ სამყაროს იტევს! აი, თურმე, საიდან მოდის ღვთაებათა სახელები: ოდი, ოდინი, დიოსი, საზეიმო – სარიტუალო გამოთქმები: ოდა, ოდენი!

გიო არც ქართული სიტყვები დავივიწყოთ: ოდელია, ოდოში, ოდითგან! რაც მთავარია, გავიხსენოთ სიცოცხლე-ნაყოფიერების ღვთაებები: ოდო და დია! დააკვირდით ამ სიტყვის ვარიანტებს სიმღერაში!

ჯეკი დიახ! დიახ! საოცარია!

ღვინება ნეტავ, დღეს თუ წააქცევს ვინმე ხატის კუროს?

ჯეკი ეგ რა პრობლემაა?

ღვინება განა დასაკლავ ზვარაკზე გეუბნები? ასეთ დღესასწაულებში იმართება კურულობა იგივე კურატობა, - ესაა ერთი ვაჟკაცის ხართან მიშველი ხელებით შებმა.

ჯეკი როგორ? არც ხმალი, არც თოკი და ბადე უნდა იხმაროს?

ღვინება ეგ ხომ კორიდის მსგავსი იქნება.

გიო ბატონო ჯეკ, არ გეცნობათ სიტყვების: „კორიდისა“ და ქართული „კურულ-კურატის“ ძირები?

ჯეკი ნუთუ?

გიო ეს ხარის იგივე კუროს უძველესი კულტის გამოძახილია, რომელიც კოლხეთიდან ესპანეთამდე გავრცელდა. შუა გზაზე კრეტული ხარის მისტერიები იყო, - მოგეხსენებათ, იქაური მონესეები მხარზე ახტებოდნენ ამ ცხოველს. ჩვენში კი, აიეტის მსგავსად, რქებში უნდა ჩაავლო ხელები, კისერი გადაუგრიხო და წააქციო.

ჯეკი მერე? ახერხებენ ამას?

ღვინება ყოველთვის ვერა, მაგრამ, ზოგჯერ, გამოჩნდებიან, ხოლმე, ასეთი ვაჟკაცებიც.

ჯეკი საოცრების ქვეყანაა! წმინდა გიორგის ხარის კულტიც აქედან ხომ არ მოდის?

გიო რა თქმა უნდა! წმინდა ანუ თეთრი გიორგი ხომ ადრე მთვარის ღვთაება იყო.

გური (ღიმილით.) – უწინ, ყოველ გიორ-

გობას, ღამით, ტაძარში რომ დასაკლავი ხარი ჩნდებოდა, იმასაც წმინდა გიორგის მიანერდა ხალხი. ერთხელ, თურმე, სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი გამოუტყდა მისიონერებს, ხანდახან ჩუმად, ჩემი ბრძანებითაც შეჰყავთ ხარი ეკლესიაში.

ღვინება მაინც გურული ხარ, შე ურჯულოვ! იქნებ, მისიონერებმა მოიგონეს ეგ?

გური ჰო, კარგი! ვისუმრე!

ქურუმი მემღერ-მასხიობლებო, ჩაებით ფერ-სულში!

გური ღვინება, მსახიობი ხარ, - მემღერ-მასხიობლების სულიერი შთამომავალი. შენ არ იცეკვებ?

ღვინება სწორედ ახლა ვაპირებდი! აი, ნახე, როგორი ნილაბი მაქვს!

ღვინება იკეთებს სუროს ფოთლებითა და ვაზის მტევნებით რქადამშვენებული ვაცის ნილაბს და უერთდება მოფერხულეებს. სალამურის, სოინარის (ლარჯემის), გუდასტვირის, ბუკის და დაფდაფების ხმაზე ფერხულობენ ადამიანები, რომლებსაც უკეთიათ ძაღლის, ირმის, ხარის, ვერძის ნიღბები. ერთ ქალს მკლავებზე გველებიც შემოუხვევია.

გური ჩემო გიო, მთლად ეშმაკს არ ჰგავს ჩვენი ღვინება, ვაცის რქებით?

გიო თქვენ ხუმრობთ და ვაცის გაეშმაკება კი იმათი მოგონილი უნდა იყოს, ვისაც კავკასიური რასის ეს მისტერიები აღიზიანებდა ან შურდა.

გური (თავისთვის.) – ნეტავ, რას ფიქრობენ და რას აკეთებენ ახლა შენი ცოლები, ღვინება, ძმაო?

სცენა ბნელდება.

XIII სურათი

ოთახი. ისმის ზარის ხმა. გური გაეგებება, შემოდის თამარი.

თამარი მაპატიე, გური! შემაგვიანდა.

გური არაფერია, ჩემო თამარ!

თამარი რა ხდება?

გური მთელი თვეა, ღვინება სახლიდან არ გასულა. რამდენჯერაც მოვინახულე, ორი სიტყვა ძლივს დავაცდენინე, უთავბოლოდ ეწევა სიგარეტს, უაზროდ უყურებს ტელევიზორს, შვილს თუ გამოელაპარაკება ზოგჯერ, მაგრამ როგორც კი ბავშვი დედას ახსენებს, ყურებს ჩამოყრის და დუმს. რა არ ვცადე, ვერაფრით გავიტყუე გარეთ, ვერაფრით მივახვედრე, რომ სიბრძნე გაბედულ, მაძიებელ განმარტობაშია და არა – შიშიან, უმოქმედო მარტოობაში. რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ თეატრიდანაც დაითხოვეს.

თამარი სმას ხომ არ მიეძალა?



გური არა! მაგდენი ქართველი კია! თითქმის, არც ჭამს. რამდენჯერმე სათამადოდ მიინვიეს, მაგრამ ამის გაგონებაც არ უნდა, ასე მითხრა: „სახელშეშინებული კაცის თამადობა ვინ თქვაო!“

თამარი სახელშეშინებულიო? მოუკვდეს ჩემი თავი! რა ვქნათ? რა ვილონოთ? იქნებ, მივიდე ქალებთან და შევარიგო?

გური თამარ, მე მგონი, უფრო რთულადაა საქმე. არა მგონია, ქალები გაქცეოდნენ ღვინებას, რალაც გეგმა უნდა ჰქონდეთ... ვაი, თუ ერთ-ერთი მათგანი შურისძიებას იზრახავდეს?! – ეს, ალბათ, მეგი იქნება, მას უფრო ჯავრიანი გული აქვს.

თამარი ვისზე უნდა იზრახავდეს შურისძიებას?

გური ქმრის სიყვარულის მოზიარეზე – მირანდაზე. მიზეზი საკმარისზე მეტია.

თამარი ღმერთო, ალბათ, ასეა!

გური ვფიქრობ, ბავშვიც იმიტომ დატოვა მამასთან, რომ თავად ოჯახში მალე დაბრუნების იმედი არა აქვს. ვილაცამ ხომ უნდა მიხედოს შვილს?

თამარი ახლავე წავიდეთ, გური! ვნახოთ მეგი და მირანდა!

გური სადაცაა, აქ მოვლენ. ორივე ცალცალკე დავიბარე, არ იციან, ერთმანეთს რომ შეგახვედრებთ. ქალი ხარ, უფრო მიხვდები მათ გულისთქმას, რამე ვილონოთ.

თამარი ჭკვიანი კაცი ხარ! ნუ გეფიქრება, რალაცას მოვახერხებთ. ჰო, მართლა, ძალიან მენყინა, რომ, მოულოდნელად, უმუშევარი დარჩი. შენისთანა სპეციალისტისათვის ეს არ უნდა ეკადრებინათ.

გური ეს უფრო თამადობის ბრალია, ჩემო თამარ. ერთ სუფრაზე რომელიღაც უვარგისი მინისტრი არ ვადღეგრძელებე, გულში ჩაიხვია, ჩემს ხელმძღვანელობას უთხრა და შემამცირეს.

თამარი არ იდარდო! ღმერთი რალაცას გამოაჩენს.

გური ღვთის ნებაა ყოველივე.

ისმის ზარის ხმა. გური გაეგებება, შემოჰყავს მეგი.

თამარი გამარჯობა, მეგი!
მეგი გამარჯობა! ხომ მშვიდობაა?
თამარი ჯერჯერობით.
მეგი ჯერჯერობით? ეს რას ნიშნავს?
თამარი ცოტაც მოვიცადოთ, სადაცაა მირანდა მოვა.
მეგი ეს ვისი მონყობილია?
გური ჩემი!
მეგი უცნაურია!

ისმის ზარის ხმა. გური შემოიყვანს მირანდას.

მირანდა გამარჯობათ! მგონი, ვხვდები, რა-

ტომაც შევიყარეთ.

მეგი მე ვერ ვხვდები.

თამარი (მირანდას შეათვალიერებს.) – მოდი, დაჯექი! ნუ დგახარ!

გური (თავისთვის.) აი, თურმე, რა.

მირანდა გმადლობ! (ჩამოჯდება.)

თამარი რაო, მეგი, რისთვის გამოიტყუე მირანდა სახლიდან?

მეგი გამოვიტყუე? არა! თავად გადაწყვიტა, ერთად წავსულიყავით ღვინებადან.

თამარი ასეა?

მირანდა ჰო, ვერ გაფუძელი იმ ვითარებას.

თამარი მერე ვინ დაგაძალა? ვიცი, ვიცი, – მეგიმ! ახლაც მან გირჩია, მოდი, დროებით, მივატოვოთ ღვინება, ვნახოთ, ვინ უფრო მოენატრება, ვისთან მივაო. ხომ ასეა?

მირანდა შენ რა იცი?

თამარი ვხვდები! (პაუზა.) უკაცრავად, რამდენი ხნის ფეხმძიმე ხარ?

მირანდა ხუთი თვის.

თამარი მეგი, შენ, რა თქმა უნდა, ამას უფრო ადრე მიხვდებოდი!... შემომხედე!

მეგი აჰა!

თამარი (მკაცრად.) – დედაკაცო, თვით მედეას არ მოუკლავს სხვისი შვილები!... მითუმეტეს, დედის მუცელში!!!

გური რაო?

მეგი რას სულელობ?

თამარი ენა დაიმოკლე და თვალი გამისწორე, შე მართლა სულელი! (ხელებს ჩაავლებს.) შემომხედე!... ჰო, ასეა!... (პაუზა.) განა თავად არ შესთავაზე გაჯიბრება ღვინებას სიყვარულში? მირანდა, ამ, ერთი თვის მანძილზე, რამდენჯერ ნახეთ ერთმანეთი?

მირანდა კვირას შემომიარა.

თამარი მერე? ჩაი ან ყავა შესთავაზე?

მირანდა რა თქმა უნდა!

თამარი ალბათ, თავადაც მიგინვია? (მირანდა თავს დაუქნევს.) მეგი, მაინც, რის ჩაყრას უპირებდი ჩაიში ან ყავაში? – ჯადოს? სანამლავის? მუცლის მოსაშლელის თუ?...

მეგი (ყვირის.) – გაჩუმდი, თუ ღმერთი გნამს!!! (ტირის.)

პაუზა.

თამარი გური, დროზე მოვეუსწართ ამ საბრალოებს! ქალებო, იცით თუ არა, რომ, თქვენი მდებარეული კაპრიზების გამო, ღვინება ბანგია განადგურების პირასაა? ჯერ სიყვარულს ეფიცებოდით, ახლა კი მიატოვეთ! ვის გაუგია სიყვარულში ასეთი უაზრო, სასტიკი თამაში? არ გეცოდებათ ისეთი ვაჟკაცი? კი, ბატონო, დაფუშვათ, რომ სიყვარული თქვენი საქმეა, მაგრამ სიყვარულის ნაყოფი, ჯერაც გაუჩენელი ბავშვი ხომ ღვთისაა?... როგორ შეიძლება მის სიცოცხლესთან თამაში? მოიცა!... მირანდა, ალბათ, შენც ხვდებოდი რალაცას?... შენც ხომ არ გქონდა მოფიქრებული რამე, საპასუხო სვლა? **მირანდა** გეფიცებით ყველა წმინდა საფი-

ცარს! არა! არა, ხალხო!

თამარი ჩემმა ღვთისომ საიქიოში მყოფთა სიყვარულისთვის დატოვა სააქაოს სიყვარული, ოჯახი, ახლობლები... მოუკვდეს ჩემი თავი! (პაუზა.) თქვენ კი აქვე, ამ ღვთივკურთხეულ ქვეყანაზე გაქვთ ბედნიერება და რაღად ანგრევთ? თუ კაცი ვერ გაგიყვიათ, ბოლოსდაბოლოს, დარჩით ცოლად და საყვარლად! არ დაინგრევა ამით ქვეყანა! თუმცა, ნურც ადათნესებს დაივიწყებთ! გინდათ თუ არ გინდათ, ქართველები ხართ! ქართველობა მოვალეობაცაა, მარტო სიამოვნება როდია? მოკლედ, გადანყვიტეთ, დროზე დაბრუნდით თქვენს ადგილებზე და შეიცოდეთ ერთმანეთი. (აცრემლდება.) ჩემო ღვთისო, ნუთუ ისიც იცოდი, რომ ღვინებას და მირანდას გოგონა ეყოლებათ?

გური გამახსენდა, საავადმყოფოში, სიკვდილის წინ, უთხრა ღვინებას, - შენი ორივე გოგონა რთველზე ჩაიყვანო... საოცარია!

მეგი (თამარს გადაეხვევა.) – თამარ, რამხელა ცოდვიან სიგიჟეს დამხსენი!... მოჯადოებულებით ვიყავი ეს დღეები!

თამარი გახედავს გურის, რომელიც გაუღიმებს.

გური ნავედით ღვინებასთან!

ძრება შუქი.

XIV სურათი

ოთახში არიან ღვინება და თიკუნა. შემოდინან: გური, თამარი, მეგი და მირანდა.

თამარი გამარჯობა, ღვინება!
მეგი გამარჯობა, საყვარელო!
მირანდა ღვინება, შენი ჭირიმე, გვაპატიე! ქალურად გამოგცადეთ, გვანტერესებდა, ვინ უფრო მოგენატრებოდით.

ღვინება უძრავადაა, არაფერი ეტყობა.

გური (ღვინებას მხარზე დაადებს ხელს.) – რა მოგივიდა, ბიჭო? თქვი, რამე!

პაუზა. ღვინება ამოიგმინებს, წამოდგება, გაღიმებას ცდილობს, თავს იმაგრებს, გურის შეხედავს.

გური გაფიცებ ჩვენს ძმობას, თქვი რამე! ნუ გამათავე კაცი!

ღვინება მივა განჯინასთან, გამოიღებს ორ ყანწს, ღვინით შეავსებს.

ღვინება ღვინება ბანგიას დაბრუნებას გაუ-

მარჯოს! (სვამს.)

გური (გახარებულია.) – თქვენი ოჯახის ძლიერებას გაუმარჯოს!

ღვინება მე ეგ არ მითქვამს! ღვინება ბანგიას დაბრუნებას გაუმარჯოს ხალხში და ქვეყანაზე! დღეიდან ჯიქივით თავისუფალი ვარ! (შვილთან მივა.) შენ ნუ გეშინია, მამიკო! შენ არაფერს მოგაკლებ! (აკოცებს, გულში ჩაიკრავს.) ესენი კი ჩემთვის მკვდრები არიან! (შეხედავს მეგის და მირანდას.)

გური რას ამბობ?

თამარი არა, ღვინება! არ გინდა!

ღვინება გური გურიელო, ღვინო მინდა! გამომყევი!

ღვინება გადის. გური გაედევნება. დარჩენილები გაოგნებულები არიან. სცენა ბნელდება.

XV სურათი

რესტორანში მაგიდასთან სხედან გური და ღვინება. სუფრაზე ორი ბოთლი ღვინო უდგათ.

ღვინება (ნალვლიანად.) – ცოტა ხნით დავივიწყოთ ადამიანები და ეს მითხარი, ღვთის იქით რა არის?

გური ღვთის იქით? რა უნდა იყოს? – ან უსასრულობა ან არაფერი.

ღვინება მგონი, ეგ ორივე ღვთის შექმნილია. შენ ის მითხარი, მას იქით რა უნდა იყოს, უმეტესად?

გური არ ვიცი!

ღვინება მე მგონი, მოწყენილობაა! უსასრულო მოწყენილობა! წარმოიდგინე, რა მოწყენილია ღმერთი, რომელმაც ზეპირად იცის, თუ როდის, სად, როგორ და რატომ მოხდება?! რა საშინელებაა!... (პაუზა.) ადამიანებმა არ ვიცით, როდის რა გველის და ამიტომაც ვართ უფრო მხიარულები. ძველმა, ქურუმმა თამაღებმა მოგვიგონეს ღვინით თავის გამაგრების, უბადრუკი სიცოცხლის გახალისების საიდუმლოება, რადგან ჩვენ, ადამიანები, მოწყენილთა საზოგადოების ნევრები ვართ დედამიწის ზურგზე.

გური თურმე, როგორია ნამდვილი ღვინება. რა ცოტა ვიცით ერთმანეთზე ადამიანებმა?!

ღვინება ოოჰ! იმ ცხოვრებას რა ვუთხარი, როცა ღვინოც აღარ გადადის ყელში!

გური კარგი ახლა! ღმერთი მოწყალეა! გამოიდარებს!

ღვინება გამოდარებამდე რა ვქნათ? თავი რით გავიტანოთ?

პაუზა. შემოდის ჯეკი და გიო.

ჯეკი როგორც იქნა, გიპოვეთ! გამარჯობათ, ბატონებო!

გიო გამარჯობათ!

გური ჯეკს და გიოს ვახლავართ! როდის

ჩამოდი ამერიკიდან?

ჯეკი გუშინ.

ლვინება მოზრძანდით, ძმებო, ჩვენს ღარიბულ სუფრასთან!

ჯეკი და გიო ჩამოსხდებიან.

ჯეკი გავიგე თქვენი ამბავი. ძალიან მწყინს! იმედია, ყურებს არ ჩამოყრით, მითუმეტეს, თქვენმა ერთმა საქმემ ცოტა მოგება გვანახა.

გური რომელმა საქმემ, ჯეკ?

ჯეკი როგორ, არ გახსოვთ, მუხასთან რომ ღვინიანი ტიკები მომეცით?

ლვინება ეგ ხომ საჩუქარი იყო! საქმე რა შუაშია?

ჯეკი რა უცნაურები ხართ! მაშ, თქვენი აზრით, საჩუქარი არ შეიძლება საქმედ იქცეს?

გური რა გითხრა!

ჯეკი ბატონებო, იმ ღვინის უმეტესი ნაწილი ფლაკონებით გაიყიდა, ფანტასტიკურ ფასად. ეს კი თქვენი წილია! (ჯეკი ამოიღებს ორ კონვერტს და მაგიდაზე დადებს.) თითოეულში ათი ათასი დოლარია. გიოს, უკვე, მივეცი მისი არჩივი.

ლვინება რაო? ათი ათასი?

ჯეკი დიახ!

გური იცი, რა, ჯეკ, ჩვენ მოწყალეობა არ გვინდა!

ლვინება ჰო, არაა ლამაზი!

ჯეკი გეუბნებით, საქმეა-მეთქი და თუ ღმერთი გნამთ, მორჩით კუდაბზიკობას, ქართველებო! ოცდამეერთე საუკუნეა! იქნებ, სხვებისგან კიდევ შევიძინოთ ის ღვინო, დამერწმუნეთ, დიდ სარგებელს ვნახავთ! ჩემს სამშობლოში აჟიოტაჟია მასზე, მითუმეტეს, თქვენი ცეკვა-სიმღერების ანსამბლის გასტროლებიც დაემთხვა. თუ იმ ჯიშის ვაზსაც აღმოვაჩენთ სადმე, მაშინ ხომ მთელი მსოფლიო გადაირევა! რას იტყვით? (პაუზა. ყველა დუმს.) დალოცვილებო, სხვებივით, რჯულის და ენის შეცვლას ხომ არ გთხოვთ? კომპანიონობას გთავაზობთ! ბოლოსდაბოლოს, ამერიკელი ვარ!

გიო იმედია, არც მომავალში მოგვთხოვენ სხვები გაყვითლებას ან გაშავებას.

ჯეკი რატომ, მაინცდამაინც, გაყვითლება-გაშავება?

გიო თუმცა, ჯერ ადრეა ამაზე ფიქრი, ბატონო ჯეკ.

ჯეკი რას იტყვით ჩემს წინადადებაზე, ბატონებო?

გური (ფიქრობს.) – მაშ, ათი ათასია? „ჩხავერის“, „კამურის“, „ჯანის“ ზვრებს ავაცვავებ. იქნებ, ის საოცარი ვაზიც ვიპოვოთ?

ლვინება მივიწყებული „ოჯალეში“, „პუმპულა“, „ჩეჟიპეში“, „პანეში“ და სხვა ვაზები გაიხარებენ ჩემს დედულეთშიც.

გიო ბოლშევიკების აფეთქებული, საგვარეულო ეკლესიის აღდგენა წამოვიწყეთ სოფელში. შევეწევი!

ჯეკი (ელიმება.) – ჰო, ბატონებო! ჰო! საქმე და ხალისი ერთად სასწაულებს ახდენს!

ლვინება უფრო სწორად, სიყვარული, საქმე და ხალისი ახდენს სასწაულებს!

გური ოფიციატო, დაყარე პურ-ღვინო! აბა, გადავურეკოთ ბიჭებს, ღვინება! (რეკავს მობილური ტელეფონით.)

ლვინება დღეს მე გეპატიჟებით!

გური არა, მე გეპატიჟებით!

ლვინება მე პირველად ვთქვი!

გური ეგ მე არ ვიცი!

ლვინება მენწყინება!

გური აჰა, მე გასწრებ!

გური გარბის კულისებში ფულის გადასახდელად. ჯეკს და გიოს სიცილი აუტყდებათ. ღვინება გურის დადევნებას აპირებს, მაგრამ მასაც გაეცინება, შეჩერდება. შემოდის გური. ისიც იცინის. უცებ გრძელი ვაზი ჩამოვარდება და მაგიდას დაეცემა. შემოდის ოფიციატო.

ოფიციატო უკაცრავად, ბატონებო! ახლავე მივამაგრებ თალარზე! ნეტავ, რა ჯანდაბამ ჩამოაგდო?

ლვინება იყოს, ძმაო, იყოს! ჩვენ მივხედავთ! აქ მოიტა ეგ დალოცვილი!

ოფიციატო გადის.

ჯეკი ბატონებო!... ჰმ! ძმებო! დიახ, ძმებო, გმადლობთ, რომ გულით ყურება მეც მასწავლეთ!

ღვინება ვაზის ტანს მხარზე გაიდებს და ხელს გადახვევს, იმასვე გაიმეორებენ სხვები და დასხდებიან.

გური ღვინება, ვატყობ, რალაცის თქმა გინდა!

შეავსებენ სასმისებს.

ლვინება (მაყურებლებს მიმართავს.) – ღმერთს დიდება! მრავალჟამიერ, თანაწუთი-სოფლელეებო!!!

მუსიკა.

ფარდა.



ალექსანდრს
ჩაკსი

ლაბე ქალაქში

ჩემ სარკმლის მიღმა
არ ტრიალებს რეზედის სუნი,
ფუტკარიც არ ბზუის ცაცხვებთან,
ეზოს კუთხეში
შეშასავით მიყრილ-მოყრილა
ავტოს¹ რეზინი, საბურავები.

როგორც ყვავილი –
შუალამით რომ გადაიხსნის
იდუმალ სარქველს –
თავმოხდილი სანაგვე ყუთი –
სიმყრალეს აფრქვევს
და ელოდება
სტუმრად მოსულ ვირთხებს, ყურბელებს,
ჰა, მანანნალა ძაღლიც აქეთ მოეშურება.

ქვაფენილიდან
მოჩქრიალებს საამო სითბო,
როგორც ახლახან გაცივებულ ფილაქურადან;
რა უცნაური,
აღგზნებული მყუდროებაა,
რომ შენც გნადია – მდუმარება უდასასრულო.

დრო-დრო
მხოლოდ თუ მეფეზოვე ამოიხრებს,
როდესაც იგი გასაღების მძიმე აცმით
გვიან ბინადარს –
შიგ შემოუშვებს – სახლში...
ლამის შრიალში ჩაიქროლებს ქუჩაში ავტო;
ზურგს უკან – ნითელი მიხაკით,
წინ – ორი ვარდით.

რა უნდოდა მას ამით ეთქვა?

დღე – სიცხე სულის შემხუთველი, პაპანაქება.

ერთი საპყარი,
ჩამოფლეთილ-ჩამოკონკილი ინვალიდი
უცებ დაეცა სქელჯიბიანთა
მარმარილოს საფეხურებთან,
სადაც ცხოვრობდნენ
გახოზებულ-გაბოზებული მდიდრები.

ვითომ უბრალო დაღლა იყო? არა,
მოიჭრა უმალ სიკვდილი –
ერთადერთი გარდუვალობა.
ხეიბრის სახე თეთრი იყო, როგორც

...ალექსანდრსჩაკსი/ჩადარაინისი/დაიბა-
და 1901 წლის 27 ოქტომბერს ქალაქ რიგაში.
დაამთავრა გიმნაზია და მოსკოვში გაემგზავ-
რა: სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის
სამედიცინო ფაკულტეტზე... გარდაიცვალა
1950 წლის 8 თებერვალს.

1928 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების
პირველი კრებული „მე და ეს უამი“, რომელ-
საც მოჰყვა „გული ტროტუარზე“, „აპაში
ფრაკში“, „სამყაროს სამიკიტნოში“, „ჩემი
სამოთხე“, „წარმოსახვის სარკეები“ და სხვა
წიგნები, რომლებმაც უაღრესად მნიშვნელო-
ვანი როლი ითამაშეს მეოცე საუკუნის ლატ-
ვიური პოეზიის განახლება-განვითარების
საქმეში. დაწერა და გამოსცა საინტერესო
ნოველების კრებული.

ალექსანდრს ჩაკსი დიდი პოეტია. მან ვერ
მიატოვა სამშობლო და ვერ წავიდა ემიგრაცი-
აში, რაც სულ მალე სიცოცხლის ფასად და-
უჯდა.

მთარგმნელისაგან

1 XX საუკუნის 20-იან წლებში ავტომობილი სიახლე
იყო ბალტიისპირეთშიც: ალ. ჩაკსი წერს „ავტო“ და
რიგის კოლორიტის შესანარჩუნებლად დავტოვეთ
/მთარგმნ. შენიშვნა/.

ეკრანი, ხოლო სუნთქვა
ფილტვებიდან არ ამოდიოდა,
არც აპირებდა ამოსვლას – უკვე დააგვიანა.

ის მძიმედ იწვა საფეხურებზე პირალმა.
გამურულ ჭიპთან,
სადაც შარვალი იწყებოდა —
მოუჩანდა ურცხვად გამხდარი
და მოლურჯო-მოყავისფრო
დამჭლევებული სხეული. პირლია
ინვა – სილურჯისკენ დაელო პირი —
გაქვავებული, როგორც
უძირო და მდუმარე ჭას,
ან სულაც ჩამქრალ ვულკანის ყელს
— საბედისწეროს, — მითაჟამიდან
აქამომდე რომ ამოანთხევდა
წყევლა-კრულვას უსწორმასწორო
ნუთისოფლისას და
ოცნებობდა ბედნიერ დღეზე.

მკერდზე ესვენა სუსტი ხელები,
— ლურჯი ძარღვებით
დასერილი და ჩამოშვებული —
ხომალდის ძველი, გაცრეცილი
ბაგირებივით, და ჭუჭყიან,
მყრალ ხელისგისულეებზე, როგორც
ნოქრები და მიკიტნები მარდად
დარბოდნენ გასიებული ბუზები.
ხომ არ ცდილობდნენ ისინი ნეტავ,
რომ მოეძებნათ და აენაპნათ
გარდაცვლილისთვის უკანასკნელი
სენტიმები¹, რაც კარზე მომდგარ
აღსასრულის წინ მლაშე
ოფლით და ჯაფით იშოვა სანყალმა?

ბრბო ირგვლივ იდგა,
მკვდრის გარშემო — არაფრის მცოდნე
და თავს უაზროდ აქნევდა,
შემდეგ ვილაცამ ენა ამოიდგა,
ჩაიდუდუნა — სასწრაფო დახმარების
ავტოს საჭიროა გამოვუძახოთ.
— ფუი, — ამბობდნენ გავასქელი დედაკაცები,
— უმჯობესია მისი
წაღება ქალაქის მორგში,
რათა გაკვეთონ, აუცილებლად გამოიძიონ.
ამას ეტყობა, სწეული იყო,
იქნებ ეგ გადამდები სენია...

— რა სისულელეს ამბობთ,
— ერთ-ერთმა ჩაიბუტბუტა პირქუშად,
— ეს ხომ უბრალოდ გაჭირვებაა,

ხელმოკლეობა — თითოეული
ჩვენთაგანისთვის გადამდები
გალღეტილობა, — შემდეგ მივიდა
და დაიხარა და ცხედრის სახეს
დააკვირდა – განცვიფრებული.

— მე ვიცნობ ამ კაცს, — თქვა უცნობმა,
— მასხოვს, ოდესღაც იგი
იბრძოდა ბერმონტ-ავილოვის¹
ნაძირალების წინააღმდეგ, ბოლო
ხანებში კი ცხოვრობდა ხანდაზმულთა
თავშესაფარში. მე ვიცნობ მას,
რადგანაც იმ დანესებულების მეეზოვე ვარ.

და ბრბო გასწი-გამოსწია
ფერმკრთალ ბუჩქივით, ხოლო შემდეგ
გაეშურა დამხმარე ხალხის მოსაძებნად,
რათა როგორმე ცხედარი
მანც წაეღოთ მორგში.
ბიჭების გუნდი კვალდაკვალ მიჰყვა და
მონინებით უთვალთვალეზდა;
თუ როგორ აზის მეეზოვეს ვეება
ქუდი — მძიმე თავზე ან რა ფართოა
თითოეული მისი ნაბიჯი — სიარულისას.

ხოლო ცხედარი? ის იწვა მშვიდად.
მხოლოდ გამხდარი და სახიჩარი
ფეხები — მუხლქვეშ წაწყვეტილები,
ნაჭრილთან ტყავის ბუნიკებით —
უცნაურად ზეანეული და შემართული იყო
ბრბოსკენ და გახოზებულ-გაბოზებულ
სქელჯიბიანთა ფანჯრებისკენ,
როგორც ქვემეხის ორი
ლულა – ორი მრისხანე მუქარა.
რა უნდოდა მას ამით ეთქვა?

ბომბის ქორნილი

შრეინბუშსმი² ბომბები იხდიდნენ ქორნილს,
ჰაიდა, ჰარალე,
იხდიდნენ ქორნილს: ჰარი-ჰარალი.

ეს იყო მხიარულ-დიდებული ქორნილი,
ჰაიდა, ჰარალე,
დიდებული ქორნილი: ჰარი-ჰარალი.

სამი დღე ჭამდნენ და სამ ლამეს
მძლედ სვამდნენ,
ჰაიდა, ჰარალე,
სამ ლამეს მძლედ სვამდნენ: ჰარი-ჰარალი.

¹ სენტიმი (ლათვ. სენტიმს) – ფულის ერთეული ბურჟუაზიულ ლატვიაში.

¹ ბერმონტ-ავილოვი – თეთრგვარდიელი გენერალი, რომელმაც 1919 წელს ალყა შემოარტყა ქ. რიგას.
² შრეინბუში — ადგილი რიგის გარეუბანში.

ბედნიერ ნეფეს თავი გაუჩიხეს,
ჰაიდა, ჰარალე,
თავი გაუჩიხეს: ჰარი-ჰარალი.

მასპინძელმა კიბესთან ფეხი მოიტეხა,
ჰაიდა, ჰარალე,
ფეხი მოიტეხა: ჰარი-ჰარალი.

მთვრალმა მაყარმა ჩიბუხი მოისროლა,
ჰაიდა, ჰარალე,
ჩიბუხი მოისროლა: ჰარი-ჰარალი.

დაირას, ვიოლინოს უკრავდნენ, მღეროდნენ,
ჰაიდა, ჰარალე,
უკრავდნენ, მღეროდნენ: ჰარი-ჰარალი.

ცეკვავენ ლალად და
ფერხულში შევარდა
კოსტა პატარძალი — ნითელი თავსაფრით:
ჰაიდა, ჰარალე.

ილხენდნენ სტუმრები,
სქელნი და გამხდრები —
არყის ბოლინონი თუ ღვინით წამხდრები,
ლუდის კასრებივით თახთახა პალეებით,
მღეროდნენ ასე:
ჰაიდა, ჰარალე,
შემოდით ფერხულში!
იცეკვეთ... იცეკვეთ...
ჰარი-ჰარალი.

უკანასკნელი ტრამვაი

უკანასკნელი ტრამვაი
გარეუბნის გაჩერებიდან გადის რიგისკენ,
ზარს არ იძლევა თანაც.
უკანასკნელი ტრამვაი რიგაში მიდის.
შიგ მხოლოდ სამი დედაკაცია,
მე — მათ პირისპირ ვზივარ,
ხოლო კუთხეში,
რომელიღაც მთვრალი მოხუცი ამთქნარებს.

უკანასკნელი ტრამვაი მიდის,
მიხრიგინებს სხვა დანარჩენზე უფრო ჩქარა და
ტორტმანებს იგი, თრთის და გრიალებს...
კონდუქტორი კი ბაქანზეა, —
არწევს ვაგონის ჩქარი სვლა და თვლენა ერევა,
მას არც კი ესმის,
თუ როგორ ბუბუნებს
ტრამვაისთან ერთად მოხუცი
თავის ძველთაძველ სიმღერას — ბებრულს —

ლოყებლაჟლაჟა და ბრგე ჭაბუკზე,
რომელსაც ომმა წაართვა ფეხი,
ხოლო საცოლე —
ბითურმა ქუჩამ;
კონდუქტორს აღარ ესმის,
დედაკაცები თუ რა ცხარედ
კამათობენ ბაზრის ფასებზე,
რომელიც ახლა,
ყველდღიურად მატულობს, იზრდება,
როგორც გულისწყრომა,
ლანძღვა,
წყევლა-კრულვა,
როგორც მღელვარება დამშეულ ხალხში...

ვზივარ და მათი საუბარი მჩხველტს,
გულს მიკანრავს —
შიშის ნამცეცხა ნამსხვრევებივით
ან, როგორც მიშველ ტერფებს
სუსხავს — გზა ნაყანევი
და ერეკება ჩემი ტანიდან —
ფიქრებიდან —
მოთენთილობას,
ვარდისფერ ბრუჟს და გაოგნებას,
რაკი ნადავლიც ვიყავი ერთჟამს ბანგისა —
უცხო ქალწულის ბაგეებით გაბრუებული, —
ვამლის ხეების ქვემოთ.

სიხარული

ანაზდეული სიხარული
ჩვენს სისხლს აამღვრევს,
როგორც ანკარა და გამჭვირვალე
წყაროს მიმდგარი
ბებერი და მწყურვალე ძროხა;
როგორც სარკის ზედაპირზე
ნოტიო სუნთქვა,
ჩვენი ნათელი სიხარულიც
უცაბედად უჩინარდება.
ჩვენი წილხვედრი სიამოვნება,
იგივეა, რაც მხეცთა ხვედრი...
სიამოვნება — პირსაქმებაა,
ისეთი, როგორც აეროპლანი,
ტელესკოპი,
ანდა ლიფტი და ტკივილები —
მალლა სწრაფვაა —
აღმა სვლაა — უდასასრულო,
როგორც ვედრება —
სივრცის იქით — შორეულ გზებზე.

ლატვიურიდან თარგმნა რენე კალანდია

"აჰ, შენს ბაბაებს ნიღვებით
ოქრო და ხალხს აი ყაყაჩო და თაფლი."

Salve aeternum
კრასინსკი



ოქრო

პირში ოქრო მაქვს,
ყაყაჩო და თაფლი კი ხელში,
მე ეს მერგუნა,
გავეცალე ამ სოფელს ხვნეშით.

რომაელივით არ მინდა,
რომ ცეცხლმა დამნაცროს,
მინის წიაღში დავდებ თავს
და ძვლებსაც დავანყობ,

რომ გაზაფხულზე
ლორთქო მარცვლად ამოვანათო
და შევეურთდე
ვარსკვლავებით მბრუნავ კაბადონს.

ყაყაჩოს მინა ჩააჭკნობს
და ამოშრეტს თაფლსაც,
ოქროს მონეტას
პირის ღრუში უკუნი დაფლავს.

წლების შემდეგ კი
მავანი რომ მინას მოჩხრიკავს
და ძვლებს დაანყობს
გადარჩენილს ჩემი ჩონჩხისას;

თავის ქალაში,
რომ გაიპო ორად ნიჩაბით —
ოქროს მონეტას
წაანყდება ძვლების მსინჯავი;

და ის მონეტა,
უკუნეთმა რომ ვერ გათელა, —
გაიბრჭყვიალებს
ჩემი სულის გამონათებად.

მარცვლის გზით

ხნულში მარცვალი რომ ჩააგდო,
აჰა, ესერა,
წინაპართა გზა გააგრძელა
ამით მთესველმა.

მის ხელში ელავს მარცვალი
ვით ოქროს ნამცვრევი,

ვლადისლავ
ხოდასევიჩი

ვლადისლავ ხოდასევიჩმა (1886-1939) 1922 წელს დატოვა რუსეთი; ცხოვრობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, აღესრულა პარიზში. სადღეისოდ ის რუსული ემიგრაციის უპირველეს პოეტად იწოდება. ლიტერატორებმა ხოდასევიჩს XX საუკუნის ყველაზე გამოჩენილი რუსი პოეტების გვერდით მიუჩინეს ადგილი. ლექსებთან ერთად საყოველთაო აღიარება პოვა მისმა კრიტიკულმა წერილებმა და ესეებმა. ხოდასევიჩის ლექსების მიღმა ჩანს სკეპტიკურად განწყობილი, პარადოქსებით მოაზროვნე, შინაგანად უაღრესად თავისუფალი, ნატიფი სულის პიროვნება. ის წარმოშობით პოლონელი იყო, მისმა შემოქმედებამ განუმეორებელი შტრიხი შემატა რუსულ პოეზიას.

მთარგმნელისაგან

მინაში აგდებს ბეჯითად
და ხნულებს ჩასცქერის.

ვით ჭიაყელამ ბნელ წიაღში
გზა გამოძებნა
ოქროს მარცვალმა —
ჯერ მოკვდა და კვლავ აღმოცენდა.

და ჩემი სულიც უნდა დანთქას
მინის უკუნმა,
რომ ჯერ მოკვდეს და მერე აღდგეს,
როგორც შუქურა.

ჰოდა, ხალხნო და ჯამაათნო,
წლეულს, იცოდეთ,
უნდა მოკვდეთ, რომ
მერე კვლავაც პოვოთ სიცოცხლე.

აკი ამასვე გვეუბნები
სიბრძნევ, ზიარო,
ყველა სულდგმულმა
ამ მარცვლის გზით უნდა იაროს.

აკრობატი

აკრობატია, სახლებს შორის
გაბმულ ბაგირზე,
რომ მიაბიჯებს და სიმშვიდეს
იჩენს საკვირველს;
სასწორს მიაგავს
თარაზულად ჯოხშემართული,
ჯამაათი კი ცხვირს იბზუებს
ცქერით გართული.
აჰა, საცაა მონყდებო,
გვითქვამს მართალი,
ჩურჩულებენ და მოლოდინი
არის ზღართანის.
აქეთ — ფანჯრიდან ილანდება
თავი დედაბრის,
იქით — ლოთია ღვინის ჭიქით
ხელში შემდგარი.
მაგრამ კრიალა ცისქვეშ მდგარი
მტკიცე ბაგირზე,
დუმს აკრობატი და ნაბიჯებს
ადგამს საკვირველს;
და თუკი მონყდა ოინბაზი
და დაენარცხა,
და პირჯვრისწერით ყალბმა ბრბომ
ის მსხვერპლად შერაცხა -
წარბს ნუ შეიხრი
შენ, პოეტო, ქედუხრელობა
აჩვენე ყველას,
შენც ხომ მსგავსი გერგო ხელობა?

კატა მურის ხსოვნას

თამაშში ბრძენი, სიბრძნეში კი
გამრთობი იყავ,
შენგან მოგვრილი
შთაგონების ფრთა დამეხურვის,
შენს გვერდით ვხედავ
ცეცხლოვანი მდინარის მიღმა
დერჟავინს მერცხლით
და კატულუსს თავის ბელურით.

რა ბალებია ცეცხლოვანი
მდინარის მიღმა!
იქ არ ჭაჭანებს საძაგელი,
ფლიდი მდაბიო,
პოეტებსა და ცხოველებს
რომ უყვართ და ხიბლავთ,
ის აჩრდილები თითქოს
ამკობს მუდმივ დაფიონს.

მეც როდის წავალ?
არ მინდა რომ გავეყვე გადაღმა
ჟამთა სიავეს ნაჩქარევად
და გამომწვევად,
მაგრამ იმათკენ,
ვინც იდუმალ ბაღეს გადაჰყვა,
მე ახლა ხშირად
მიმაქანებს ჩემი ოცნება.

შენსვედრა

ჯერ დილა იყო, როცა Santa Margherita-სთან
ვიხილე უცხო ქალიშვილი. ის ხიდზე იდგა
ზურგმქეცევით მოაჯირისკენ და ყვავილის
ჰაეროვანი ფურცლებივით ენყო თითები
ნაცრისფერ ქვაზე. შეტყუებულნი
მუხლისთავები სიფრიფანა თეთრი კაბის
ქვეშ მკრთალად სჭვიოდა... ხიდზე იდგა
და მომლოდინე რას ეზრახვოდა?
თექვსმეტი წლის ინგლისელი ყმანვილქალი
ვის ელოდა, აბა, ჩემი რა საქმე იყო.
ეს გოგონა მახსოვრობას ფუჭად
როდი ამოვაყოლე. ის ხიდზე იდგა მზით
გამთბარი და სხვიმოსილი; ნარნარი შლიაპის
რბილი ფარფლები აწურულ მხრებზე
ეხებოდა და სახეზედაც ხავერდოვანი
ჩრდილი სცემდა. იქიდან კი კამკამა
მზერა ეღვრებოდა ხევის წყალივით,
მორაკრაკებდა რუებად და ნაკადულებად.
ჰო, მაშინ იყო, რომ ვიხილე გამოხედვა
აუნერელი. ერთხელ ვნახე და ველარ
ვივინყებ. პოეტებს ხომ იმთავითვე
ეს დაგვებდა — ერთხელ ხილვა
და დახსომება სამარადჟამოდ. მხოლოდ

წამით თუ გაიღვლებს დედამინაზე ასეთი მზერა და ღვთაებრივად ფთაშესხმული ალალბედზე ჩასახლდება ცისფერ თვალბში. ამ მზერაშია მომწყვდეული ქარიშხლის ბორგვა, ცისფერ გრიგალთა გრგვინვა - გრიალი, მათი ხმა იყო და ელფერი წარუხოცელი, მოგვიანებით რომ აღწევდა ხოლმე ჩემამდე — გონდოლების ზვირთცემაში, მზის ათინათში, ცქვიტი ფრთოსნის მიმქროლავ ჩრდილში ანდა წითელი ღვინის შხეფებში გაბრწყინებული, და გვიან, როცა შინისაკენ მივაბიჯებდი, ვენეციელ ქალბატონთა ნაბიჯებიც მე იგივეს ჩამჩურჩულებდა. ამიტომაც ჩემი ფეხისხმაც უფრო მიმსწრაფი, მსუბუქი და მჟღერი მეჩვენა. და უმატა გულმა ჩქროლვასაც, როცა მძიმე გასაღები მოვარგე საკეტს, ზღურბლზე შევდექი და შემდეგ კი ცივ წინკარში ვეყუდე უხმოდ. წყვდიადი იყო და კედელთან შეყოვნებული თანდათან კიბეს აფუყვევო ხელისცეცებით, და ჩემი ღელვა სიყვარულად შევრაცხე მაშინ. ახლა კი მჯერა და მგონია: ძელგი ღვინო დავაჭაშნიკე და შევიგრძენი მძაფრი გემო იმწუთიერად. სამარადისო ზარხოში კი გვიან მესტუმრა.

მაიმუნი

ხვატი იდგა. ტყე იწვოდა და დროც ზოზინით ედინებოდა. მამლის ყივილი მოისმოდა შორიასლოს აგარაკიდან. მე ჭიშკარი გავაღე და გარეთ გავედი. იქ გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო და ზურგით ღობეს მიყრდნობოდა მდუმარე სერბი - მანანწალა, შავი, გამხდარი. შიშველ მკერდზე მძიმე ვერცხლის ჯვარი ეკიდა. მკერდზევე ასხდა ოფლის წვეთები. მის თავს ზემოთ ძველ ღობეზე მაიმუნს მჭიდროდ მოერთხა ფეხი, - მონითალო ქვედაბოლო უფრიალებდა და იასამნის მტვრიან ფოთლებს ხარბად ღეჭავდა. ყელზე ტყავის საბელი ება - მძიმე ჯაჭვით გამოწეული; ხმა რომ მოესმა, სერბი წამით გამოერკვა, შუბლზე ოფლი შეიხოცა და წყალი მთხოვა, მაგრამ ტუჩთან რომ მიიტანა და ოდნავ მოსვა, თითქოს ეცივა, მოიშორა და სკამზე დადგა ფრთხილად ღამბაქი. მაიმუნი მაშინათვე დააცხრა ჭურჭელს -

ოთხზე იდგა, იდაყვებით სკამს ეყრდნობოდა და ისე სვამდა. მოტიტვლებულ თხემს ზემოთ ზურგი წამოზნექოდა. ფიცარს ნიკაპით ეხებოდა, ალბათ ამგვარად იდგა ოდესღაც დარიოსი გამოქცეული და გუბურის წყალს ნეტარებით ეწაფებოდა, ალექსანდრეს მძლავრ ფალანგას რა გაუძლებდა. მაიმუნმა წყალი დალია და ჭურჭელი შორს მოისროლა. წამოდგა და, - იმ წუთს აბა რა დამავინყებს - ჯერ კიდევ სველი და დაკოჟრილი შავი ხელი გამომინოდა... მე ჩემი დღე და წუთისოფელი ხელს ამქვეყნად ვის არ ვართმევდი, ვისთან არ მხვდა ეს პატივი - ბელადები, პოეტები, უმშვენიერეს და უნაზეს ქალთა კრებული - ავ კაცსა და ავ თვალს რომ არ ენახებოდა, ოღონდ ეგ არის: არასოდეს, არცერთი ხელი გამომწვილი ჩემსკენ მოყვრულად, ასეთი ძმური გრძნობით ჩემს ხელს არ შეხებია. და ღმერთმანი, სულის ფსკერამდე ასეთი ბრძნული მზერა არვის ჩაუნვდენია. შორი წარსულის მშვენიერი თქმულებები ჩემს ხსოვნაში ამ ცხოველმა გამოაღვიძა. და შევიგრძენი ამქვეყნიურ ყოფნის სისრულე. ჩვენებასავით წარმომიდგა გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა და ზღვის ქარტეხილთა, საორღანო მუსიკასავით ჩამესმოდა მათი ღელვა, იმ უხსოვარ დღეებში რომ გუგუნებდა, კვლავაც ისე დაიგუგუნა.

და წავიდა სერბი თავის გზით, თან დაირას აჟღარუნებდა, მარჯვენა მხარზე წამომჯდარი მაიმუნი რწევა-რწევით, ნება-ნება გაიყოლია. იფიქრებდი, ინდოელი მაჰარაჯა წამოსკუბდა სპილოზე და ნებიერად მიიწევაო. უშველებელი ჟოლოსფერი მზე ოპალისებურ კვამლში ცურავდა. ჟღარუნის ჩქამი დამჭკნარ თავთავს აქანავებდა.

და ომიც იმ დღეს, სწორედ იმ დღეს გამოაცხადეს.

თარგმნა **ანდრო ბუარძია**



შალვა
 მშველიძე

ელიანი

გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორსა და საზოგადო მოღვაწეს, კონსერვატორიის პროფესორს, მრავალი პრემიის ლაურეატს, შალვა მშველიძეს დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოებისათვის უცნობი, მანამდე შეუსწავლელი ქართული ხალხური სიმღერების მოძიებისა, შენახვისა და მათი ნოტებზე გადატანის საქმეში. კომპოზიტორმა მოძიებული მასალა მეცნიერულად შეისწავლა, გააანალიზა და აქამდე შემოგვინახა მუსიკალური ფოლკლორის მარგალიტები, უიშვიათესი ნიმუშები.

1929-35 წლებში შალვა მშველიძე უშუალოდ მონაწილეობდა სამუსიკო-სამეცნიერო ექსპედიციებში, რომლებიც განხორციელდა სვანეთში, ქართლში, აჭარაში, გურიაში, მესხეთ-ჯავახეთში, კახეთში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში, სადაც მან დიდძალი უნიკალური მასალა შეაგროვა.

პირველად, მე-XX საუკუნის დასაწყისში ჩვენმა უდიდესმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალაშვილმა საქართველოში ევროპიდან შემოიტანა ახლადშექმნილი, ედისონის აპარატად ნოდებული, ფონოგრაფი, რომელზეც შეიძლებოდა ხმის ჩანერა. მანვე მოაწყო პირველი ექსპედიცია ხალხური სიმღერების ჩასაწერად. შემდეგ უკვე დიმიტრი არაყიშვილმა შეიძინა ფონოგრაფი კონსერვატორიისათვის და მისივე ინიციატივით მოეწყო სამეცნიერო-სამუსიკო ექსპედიციები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ერთ-ერთი ასეთ ექსპედიციას, რომელიც მოეწყო თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ხელმძღვანელობდა ჯერ კიდევ სტუდენტი ბატონი შალვა, რომელიც სრულიად უანგაროდ, შიშველი ენთუზიაზმით, ყოველგვარი კომფორტისა და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე, დიდი გულმოდგინებით შეუდგა დაკისრებული მისიის შესრულებას. მის აღტკინებას ძალას მატებდა ის ნდობა, რაც ახალგაზრდა სტუდენტის მიმართ გამოხატა დიდმა, მისთვის სათაყვანებელმა კომპოზიტორმა, დიმიტრი არაყიშვილმა.

1929 წლის 8 აგვისტოს ფონოგრაფით შეიარაღებული შალვა მშველიძე მიემგზავრება ექსპედიციაში და თავის დღიურში წერს: “მივემგზავრები თუშეთში და ფშავ-ხევსურეთში. ამ ექსპედიციის ხელმძღვანელიც მე ვარ, ასისტენტიც და მექანიკოსიც“?!

ეს საექსპედიციო ჩანაწერები, რომლებიც ახალგაზრდა სტუდენტს ეკუთვნის, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი არაჩვეულებრივი სიყვარულით და ცოდნით აკეთებდა თავის საქმეს, გულწრფელი და ობიექტურია მისი ყოველი შეფასება. ტაქტიანად მიუთითებს ნაკლებზე და ღირსებაზეც. ასევე ცდილობდა რაც შეიძლებოდა ხანდაზმული მომღერლებისაგან ჩაენერა სიმღერები, რათა ახლოს ყოფილიყო პირველწყაროსთან.

კომპოზიტორის ხუთწლიანი ექსპედიციის მონაპოვარია ფონოგრაფზე ჩანერილი ორი-ათასზე მეტი ხალხური სიმღერა, რომელთა დიდი ნაწილი თვითონვე გაშიფრა და სანოტო ჩანაწერებში გადაიტანა. ეს პრომები დაცულია ხალხური შემოქმედების სახლში და შესულია ქართული ხალხური სიმღერების სხვადასხვა კრებულებში. დანარჩენი 189 ლილვაკი, წლების განმავლობაში ელოდა დღის სინათლეს. იმის მიუხედავად თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ უნიკალური მასალის გაშიფვრას ქართული მუსიკალური ფოლკლორისათვის, იგი დღემდე მაინც ვერ ხერხდებოდა.

სამეცნიერო-სამუსიკო ექსპედიცია თუშეთში, ფშავ- ხევსურეთსა და კახეთში (1929წ.)

ბოლო წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ვენის ფონოგრაფ არქივთან, რომელსაც მე-XX საუკუნის პირველ ათწლეულებში ფოლკლორული ექსპედიციების დროს ფონოგრაფით ცვილის ლილვაკებზე ჩანერილი სიმღერები ციფრულ მატარებელზე გადააქვს.

გასული წლის ივნისში, ვენის ფონოგრაფ არქივის ინჟინერ-კონსულტანტის ბატონ ფრანც ლეხტლაიტნერის თბილისში ვიზიტის დროს, შესაძლებელი გახდა მისთვის ეჩვენებინათ თბილისში არსებული გაუშიფრავი ლილვაკების დიდი კოლექცია, რომლის ნახვისა და გულდასმით შემონახვის შემდეგ მან შესაძლებლად ჩათვალა ამ სამუშაოს შესრულება კონსერვატორიაში არსებულ ციფრულ აპარატურაზე.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, თბილისის რექტორის ქ-ნ მ. დოიჯაშვილისა და პრორექტორის ქ-ნ რ. ნურნუმიას დიდი მონდომებითა და ძალისხმევით საბოლოოდ მოხერხდა საქართველოში არსებული ლილვაკების უდიდესი ნაწილის გაშიფვრა და მისი გადატანა ციფრულ დისკებზე.

შალვა მშველიძის შემოქმედებას საფუძვლად უდევს საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მუსიკალური ფოლკლორის ინტონაციები, რიტმული, კილო-ჰარმონიული თავისებურებანი, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერია მისი ინტერესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების, თუშების, ფშავ-ხევსურების მუსიკალური შემოქმედებისადმი. მანამდე შეუსწავლელ ფშაურ კილოში კომპოზიტორმა აღმოაჩინა ფრიგიული კილო, აუმაღლა მას მე-6 საფეხური და უწოდა ფშაური კილო. მუსიკოსები კი ამ კილოს ხშირად მშველიძის კილოს უწოდებენ.

შალვა მშველიძემ ქართულ პროფესიულ, როგორც საგუნდო, ისე ინსტრუმენტულ მუსიკაში პირველმა გამოიყენა ფშაური კილო. კომპოზიტორი კი არ ეწევა კილოს პასიურ ფიქსაციას, არამედ ავითარებს მას და აჰყავს იგი სიმფონიური აზროვნების დონემდე.

წარმოგიდგინებ ბატონ შალვა მშველიძის დღიურს მცირეოდენი შემოკლებით, რომელსაც თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ექსპედიციის დროს წერდა.

დღიური ქვეყნდება პირველად.

ნანა მშველიძე

8 აგვისტო. გავემგზავრე თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში. ექსპედიციის ხელმძღვანელიც, ასისტენტიც და მექანიკოსიც მე ვარ. შევჩერდი დუშეთში, სადაც ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარეს გავაცანი ჩემი ჩამოსვლის მიზანი, რომ ვაპირებდი ხალხური სიმღერების შეკრებასა და ჩანერას. მანაც გაცა განკარგულება, რომ აღრიცხვაზე აეყვანათ მომღერლები და მოეყვანათ ჩემთან.

9 აგვისტო. დუშეთიდან გავემგზავრე თიანეთში. გზად გამაყოლეს არასრულწლოვანი ბიჭი. ამ ბიჭმა მთლად ამიბნია გზა-კვალი. ჯერ იყო კინალამ შუა გზაზე დამიყარა ბარგი, მერე ზემო თიანეთის მაგივრად მიმიყვანა ქვემო თიანეთში.

გაჩერება შემთავაზეს აღმასკომის შენობაში, მაგრამ ოთახი ისეთი მტვრიანი და რწყილებით სავსე იყო, რომ იძულებული ვიყავი გადავსულიყავი გელოვანების ოჯახში. აღმოჩნდა, რომ ჩემი მასპინძლის ქალიშვილი სწავლობდა ქალთა მეხუთე სამუსიკო სკოლაში და იმჟამად იგი ვ. მირზაშვილთან ერთად წასული იყო ზემო თიანეთში სიმღერების ჩასანერად.



10 აგვისტო. ზემო თიანეთი. ადგილობრივი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, ვინმე აღნიაშვილმა, გადაადგილების მიზნით ცხენი შემომთავაზა. მე ძალიან გამიკვირდა, რადგან ამ მხარეში ასეთი საქციელი უცხოა, უფულოდ არაფერს არ გაგიკეთებენ. რა თქმა უნდა ძალიან მესიამოვნა. მე მაღლიერების გრძნობის გამოსახატავად, ყოველ შემთხვევისათვის, ცხენის ქირად ფული შევთავაზე. მან კი, ყოველგვარი მორიდების გარეშე მიპასუხა: ადგილზე რომ ჩახვალ და მორჩები ყველაფერს, ჩემი შვილი გამოგართმევს (?!). ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ამით ის მინდა აღვნიშნო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არავითარი დახმარება არ მიგრძენია.

11 აგვისტო. მიმდინარეობს “საშემოდგომო თესვის კომპანია”. ხალხი დაკავებულია. ვ. მირზაშვილის და შ. ნამურადის დახმარებით დიდი გაჭირვებით მოვიყვანეთ 5-6 ხევსური სოფელ ალატიდან, საჭურედან და ჭიაურიდან. ეს ხევსურები 30 წლის წინათ გადმოსახლებულან თიანეთის ახლოს სოფლებში. აქვთ ძალიან მარტივი სიმღერები, ძირითადად ერთხმიანი.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს. გურულ, კახურ, რაჭულ, სვანურ და ხევსურულ ერთხმიან სიმღერებში ორტაქტიანი თემა მეორდება (სრულიად უვარიაციოდ) მანამ, სანამ უზარმაზარი ლექსი არ გათავდება. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურული თვალსაზრისით ეს გრძელი ლექსები პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენენ.

ერთი მოხუცი ხევსურის თქმით “ხევსურები ერთად არ მღერიანო”.

აქვთ ორხმიანი სიმღერა ლუდის სმის დროს. ორი კაცი ჩონგურზე იწყებს სიმღერას, შემდეგ გადასცემენ სხვა ორს, შემდეგ სხვა ორს და ასე მთავრდება.

მათ მიერ შესრულებული სიმღერა საშინელი მოსასმენი იყო. ეს ორი მომღერალი არავითარ ანგარიშს არ უწევენ დეტონაციის წარმოშობას, პირველი ხმა სცილდება მეორეს 3.2, დ.2 და ვითომც არაფერი, სიმღერის ბოლოც კი, რომელიც უნისონით მთავრდება, ხშირად 3.2 ან დ.2-ით.

სიმღერის მელოდები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ხევსურები ამას მაინცდამაინც ვერ გრძნობენ, რაც გამონეულია იმით, რომ ყოველი სიმღერის ტექსტი სხვადასხვაა.

ბატონ დიმიტრი არაყიშვილს თიანეთიდან გამოვუგზავნე ტელეგრამა, ხევსურების საერთო მელოდია ნოტებით. ალბათ ტელეგრაფის თანამშრომლები გაოცებული დარჩებოდნენ ასეთი სახის ტექსტის ნახვით.

ძალიან მინდა აღვწერო იქაურ ბაზრობაზე ნანახი ორი შემთხვევა. ერთმა ხევსურმა ნამგლის ყიდვის დროს, მისი სიმაგრის გამორკვევის მიზნით, ნამგალი კბილებზე გაისვა. საშინელება იყო. ერთმა ფშაველმა კი 85 მანეთი გადაიხადა ვერცხლის ქამარში, მაშინ, როცა თვითონ დაგლეჯილი ტანსაცმელი ეცვა, ხოლო დახეული ქალამნებიდან თითები უჩანდა.

12 აგვისტო. ჩავედი სოფელ საჭირეში, რომელიც თიანეთიდან 6-7 კერსით არის დაშორებული. თან მახლავს მთიელთა კულტურული საზოგადოების უჯრედის თავმჯდომარე აბრამიშვილი. ამ სოფელში ძირითადად ხევსურები ცხოვრობენ. ხევსურებმა, რომ გაიგეს ფონოგრამით მათი სიმღერების ჩანერას ვაპირებდი, დიდი სიამოვნებით მიგვიღეს. წარმოგვიდგინეს ორი საოცარი ხმის მქონე მომღერალი ქალი, ნინა ნიკლაური და

ნინა ჭინჭარაული, რომლებმაც ძალიან გვასიამოვნეს თავისი სიმღერით.

ნინა ნიკლაურს ვთხოვეთ ემღერა ხევსურული ნანა, მან კი გაიოცა და გვიპასუხა, ვერ ვიმღერებ, მე ჯერ “ბარიშნა” ვარო. სხვებმა სიცილი დაიწყეს და აგვიხსნეს: მას ჯერ ბავშვი არ ჰყავს და ნანას როგორ იმღერებსო.

სიმღერა სხვამ შეგვისრულა და ჩავინერეთ “ე ენაო ძილასაო, სამკალ გაჩენილასაო...” ნანა, ყველგან ნანაა, თბილი გრძნობით გაჟღერებული. იგი ძალიან ტკბილი და სასიამოვნოა მოსასმენად. საგრძნობლად განსხვავდება სხვა ხევსურულ სიმღერებისაგან დინამიურობის მხრივ.

ამ შემთხვევამ სვანეთის ექსპედიცია გამახსენა, სოფელ ლოხამულაში სვანური ზარის ჩანერა გვინდოდა. მომღერლებმა სიმღერა მანამ არ დაიწყეს, სანამ ერთ-ერთი სვანი მიცვალებულივით არ დანვა, გარშემო მგლოვიარეები ჩამოუსხდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს სიმღერის შესრულება.

14 აგვისტო. სოფელ საჭურეს სამიკიტნოში ხევსური კაცები და ქალები მთელი დღე ეფიფობდნენ. სვამდნენ ღვინოს და არაყს. მიიყვანეს გარმონზე დამკვრელი და მისი სმენით კმაყოფილდებოდნენ, თვითონ ხმა არ გაუღიათ. მე კი დიდი გულისყურით ვუსმენდი, იქნებ რაიმე ემღერათ, მაგრამ ამაოდ... იქაური მაცხოვრებლების თქმით “ხევსურებს სიმღერა არა აქვთ, არ უყვართ მღერაო” (!!)

სალამოს გლეხები მინდვრიდან ბრუნდებოდნენ და ტკბილად მოიმღეროდნენ, (ასრულებდნენ “მუშურს”). მე და ვანო მირზაშვილმა ავიღეთ ფონოგრამა და ფეთიანებივით დავედევნეთ მათ. დიდი თხოვნა არ დაგვჭირებია, დიდი სიამოვნებით გვიმღერეს თავიდან-ბოლომდე და ჩავინერეთ კიდეც.

15 აგვისტო. ფშავი, სოფელი ჩაბანო. იქაურ მაცხოვრებლებს მაინცდამაინც არ გამოუხატავთ სიამოვნება ჩვენი მისვლით. სოფლის თავკაცს, რომ გავაცანით ჩვენი სტუმრობის მიზანი, არავითარი ინიციატივა არ გამოიჩინა ხალხის შესაკრებად. ჩვენისით როგორღაც მოვახერხეთ რამოდენიმე სიმღერის ჩანერა. ხალხი ძალიან უზრდელად გვეპყრობოდა. ვანოს, რომელიც სიმღერის ტექსტებს იწერდა, ფურცლები აერია. ერთმა ყმანვილმა კაცმა კი ზურგზე წამოარტყა: “ბიჭო, შენ რა გადარეული რამა ყოფილხარო”, მე კი ერთმა ახალგაზრდამ (იქნებოდა ასე 17 წლის) ფონოგრამაზე მითხრა “მიდი, ერთი დაუკარი შენი პასაჟიორო”.

16 აგვისტო. ხევსურ ბებერ ლერენასთან აღმოვაჩინე ძველებური დამტვრეული ჩონგური, რომელიც მუზეუმისთვის კარგი ექსპონატი იქნებოდა. უფულოდ არ გაიმეტა, 5 მანეთი დამიფასა, ბოლოს 2-ად გამოვართვი,

თან რძე და ერბო მომართვა.(?!). ხვალ დილის 5 საათზე ხევსურეთში უნდა წავიდე.

17 აგვისტო. ფშავი. გზა არაგვის ხეობაში. საშინელი გზებია. ღამეა და კინალამ მდინარეში ჩავცვივდით. ჩემთან ერთად არიან ვარ. მირზაშვილი, შაქრო ნამორაძე და გიორგი ჭინჭარაული. ღამე ცის ქვეშ გავათიეთ. დავაგემოვნეთ ჩარგალის მჟავე წყლები.

18 აგვისტო. ენითაუნერელი სილამაზის ადგილია ორწყალი. აქ ფშავის არაგვი და ხევსურეთის არაგვი ერთმანეთს უერთდება ამიტომ ჰქვია ორწყალი, ეს ერთი სახლია გამვლელებისათვის თავის შესაფარებლად. აქედან ვინრო შესავალია ხევსურეთში. ჯორი, რომელზეც მე ვიჯექი, რაღაცამ დააფრთხო, არაგვისკენ გაიქცა და კინალამ წყალში გადამისროლა. გადავრჩი.

ჩავედით ბარისახოში. აღმასკომში დაგვხვდნენ თავმჯდომარე ბალიაური, მილიციის უფროსი გ. დინუაშვილი და ვინმე შ. ოსიტაშვილი. მათ ავუსხენით ჩვენი სტუმრობის მიზანი და დახმარება აღგვითქვეს.

შეგვახვედრეს მოხუც მომღერლებს მგელიკა არაბულს და ბერდია ლიქოკელს. ისინი ძალიან ძველებურ ხევსურულ სიმღერებს მღერიან. მათი სიმღერები უმთავრესად ერეკლე მეფეზე და ვინმე ლევანზეა.

უცნაური ხალხია ხევსურები. დიდი და პატარა ფარ-ხმალითა და ხანჯლებით არიან შეიარაღებულები. 19 წლის ყმანვილს ვკითხე რად დადიხარ ასე იარაღსხმული-მეთქი და იცით რა მიპასუხა? “ადათ არს ხევსურების, უიარალოდ ხევსური არ გაივლების, ბევრ მტერ გყავს, დაგვხვდებისო”.

იარაღი სულ ვერცხლისაა, ქარქაშები მოოქროვილი. დღე არ გავა ერთმანეთში ჩხუბი არ მოხდეს, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში დაჭრით მთავრდება, ხოლო უარესი კი სიკვდილით. აქ კაცი არ არის რომ ერთი, და ზოგჯერ მრავალი (18-20) ნაჭრილობები რომ არ ჰქონდეს. ჩემს იქ ყოფნაში მოხდა ჩხუბი. ერთმა მეორეს ხანჯლით მკლავი წააცალა. ატყდა აყალ-მაყალი. მილიცია ჩაერია და გააშველეს. დამნაშავე დააკავეს. მაყურებელი მეზობლები იმის მაგივრად, რომ დაჭრილს დახმარებოდნენ, ჭრილობის სიდიდეს თვალის ზომავდნენ და ბჭობდნენ “რამდენი ძროხა დასჭირდების ახლა ამ დაკეჯნილსო (დაჭრილსო)”. წინასწარი დასკვნით 10-12 ძროხა ეყოფაო. თურმე დამჭრელმა დაჭრილს, მიყენებული ჭრილობის სიდიდის მიხედვით, ძროხები უნდა მისცეს. ძალიან უცნაური ბუნების ხალხი არიან.

19 აგვისტო. ამ დღეს ჩავწერე ხევსურ მგე-

ლიკა არაბულის მიერ ფანდურზე შესრულებული სიმღერა “ჩონგური” და ერთი ქალის ნამღერი “ნანა”. ძალიან მინდოდა აქაური დატირების ჩანერა. ამ ქალს ვთხოვე დაეტირა, მაგრამ მიპასუხა “სახჩი ტირილი არ შეიძლებაო”. სხვებმა თხოვეს იუმორით, მიდი დედამთილი იტირეო. მან უპასუხა “დედამთილ ცოცხალი მყავს, როგორ ვიტიროო”. ბოლოს ვთხოვე, მოდი, მე დამიტირე-მეთქი. დამთანხმდა, მაგრამ გულით ვერ გიტირებო. ბოლოს, როგორც იქნა, დამიტირა: “შალვა, ჩემო მზეო, ამდენი წანალ გყავდა, ამდენი ცხვარ, ამდენი ძროხ გყავდა, სახლკარ წამოჭიმული, მთაში ვაჟყაც იყავ, ხევსურეთში კაი კაც იყავ, ლეკებ ხოცავდი, ქისტებს სდევნიდიო და ა.შ.” მისი ხმის გაგონებაზე ხალხი სახლებიდან გამოცვივდა და ყველამ აქ მოიყარა თავი. ქალებმა ტირილის გაგრძელების ნება არ მისცეს “ტირილს ცუდი რამ მოჰყვების, ტირილ სახჩი არ შეიძლებისო”. ამ ქალმაც შეწყვიტა ტირილი. მე კი ამითაც კმაყოფილი დავრჩი, რადგან შევძელი მისი დატირების ჩანერა.

სოფელი შუაფხო. აღმასკომის თავმჯდომარის ელიზბარ ელიზბარაშვილის დახმარებით მოვახერხე რამოდენიმე სიმღერის ჩანერა. სიმღერები აქაც მარტივი აქვთ, მაგრამ ხევსურულზე ცოტა რთული, რადგან უმეტესობა ორ ხმაში იმღერება.

აქ ოჯახის სიმტკიცეს, ეტყობათ, ძალიან მარტივად წყვიტავენ. ჩემი მასპინძელი ელიზბარი ახალგაზრდა კაცია, იგი ცოლს გამორებულია, რაც ასე ამიხსნა: „ჩემ ცოლ ფშავლობა არ მოიშალოს და მეც გაეუშვიო”.

20 აგვისტო. სოფელი შილდა. მოვისმინე თუში ქალების მიერ გარმონზე შესრულებული სიმღერები. აქ ძალიან უყვართ გარმონი. გავიცანი “დედას ლევანა”, რომელიც ამ მხარეში განთქმულია თავისი სიმღერით. იგი 71 წლისაა, უშველებელი, სქელი და ღიპიანი. უყვარს ოხუნჯობა და ღვინო. ძალიან ბევრს სვამს, დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. ჩემს თხოვნაზე, ემღერა რამე, მიპასუხა: „ვერ ვიმღერებ, ავად ვარო. წინა კვირას ბევრი დავლიე და ბევრი ვიმღერე, კინალამ მოვკვდი, ეხლა კი ჭაჭები მტკივაო”. როგორც იქნა, მეორე დღეს იმღერა. სულ ღვინოზე ფიქრობდა, ჩემს ფირფიტების ყუთს დაეტაკა — აქ ალბათ კარგი ღვინო გექნება შენახულიო.

სოფელში დედას ლევანაზე არანაკლები მომღერლები აღმოვაჩინე. ესენი არიან: ნაზარა, ალექსი და წინა ელოშვილები, ძმები აღნი-აშვილები, რომლებიც საუცხოოდ ასრულებდნენ სიმღერებს.



ნინო

კვიციანი

სახეობის სიმბოლიკა

სარკმლის სიმბოლიკას უდიდესი ფუნქცია აკისრია როგორც მითოპოეტურ აზროვნებაში, ასევე ქრისტიანულ სახისმეტყველებაში.

სარკმელი გარე სამყაროსთან კავშირის დასამყარებელი საშუალებაა. იგი არის დახურულ სივრცეთა გამყოფი და ამავე დროს, გამაერთიანებელიც. იგი არის როგორც ხილული, ასევე უხილავი, ღია და დახურული. მისი მხატვრული ფუნქცია ვლინდება ზემოჩამოთვლილ სემანტიკურ ოპოზიციურ თვისებებში. სარკმელი ხილია ორ სამყაროს, შავეთსა და სამზეოს შორის გადებული.

ფარნავაზის სიზმარში სარკმელს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ახალი სამყაროსკენ მიმავალი გზის სიმბოლოა: „მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა

მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მასა და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუემდაბლა, მიჰყო ხელი მასა, მოხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისასა. განიღვიძა ფარნავაზ და განუკვირდა, და თქუა: „სიზმარი იგი, ესე არს, მე წარვალ ასპანს: და მუნ კეთილსა მივეცემი“. ქვეყანას დაჰპატრონებია აზონი. უკაცური სახლი არის ის ქვეყანა, სადაც არის მტერი და არ არის შემნე, სადაც მარტოა ჭაბუკი ფარნავაზი“ — წერს ზ. კიკნაძე. მართლაც უკაცური, ბნელი სახლი ქვეყნის მდგომარეობას ასახავს, რომელიც საჭიროებს მონესრიგებას. ეს მისია კი ჭაბუკ ფარნავაზს აკისრია.

ფარნავაზი ვინრო სივრციდან გაჰყავს მზეს სარკმლიდან. სარკმელი ორ ქვეყანას აკავშირებს, შავეთს და სამზეოს, დახურულ სივრცეს და გაშლილს.

გაშლილ სივრცეში ეზიარება ადამიანი ღვთაებრივ სიბრძნეს, მზიურ ბუნებას. გაშლილ სივრცეში გასული ფარნავაზი მზის ცვარს იცხებს, ამით იგი ღვთიური ბუნების თანაზიარი ხდება. მზის ცვარის ცხება მითოპოეტურ აზროვნებაში ხელახლა შობის სიმბოლოა.

სარკმლიდან გასვლა და მზის ცვარის ცხება ახალი ადამიანის შობის, ახალი ეპოქის დასაწყისის სიმბოლოა, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს აზონის ბატონობას ქართლში.

ფარნავაზი მზის ცვარის ცხებით ხელმეორედ იბადება, ცხებული ხდება. იგი სიზმარში გაივლის კვდომა-ალორძინების გზას. ფარნავაზი სარკმლიდან გამოიყვანა მზემ. მზე მას ცხადში თავისი სწორფერის, ირმის სახით გამოეცხადა და მიიყვანა გამოქვაბულამდე. გამოქვაბული ის ადგილია, სადაც ინახება განძი. ეს განძი მხოლოდ სრულყოფილს უნდა ერგოს, უბედურება რომ არ მოიტანოს. ფარნავაზმა განძი ქვეყნის კეთილდღეობას მოახმარა. აურაცხელი ოქრო შემდგომ სამეფო გვირგვინად მარდაიქმნა.

მზეთუნახავთა კოშკებს აქვთ სარკმელი, რომელიც ხშირად მიმართულია ზღვისკენ. კოშკი მითოპოეტურ სიმბოლიკაში ხთონურ სამყაროს განასახიერებს. მზეთუნახავი მზიური საბრძნეა, რომლის დაუფლებასაც ცდილობს მზეჭაბუკი. ზღვა არის წუთისოფლის სიმბოლო. სიბრძნის მაძიებელი უნდა გავიდეს გაშლილ სივრცეში, დაინთქას ზღვაში, რათა შეიმეცნოს სიბრძნე და სულიერად ალორძინდეს. კოშკის სარკმელი მიმართულია სწორედ ზღვისკენ, წუთისოფლისკენ. იგი აერთიანებს ამ ორ სამყაროს. კოშკის სარკმლის საშუალებით აღწევს ხშირად მზეჭაბუკი მზეთუნახავთან. ზოგჯერ მზეთუნახავი იჩენს ინიციატივას: ჩამოუშვებს ოქროს ნანწავებს და ისე აჰყავს ვაჟი კოშკში. მზისფერი თმა უკავშირ-

დება თავად მზეს. „თმა მზისკენ მიმსწრაფი ყოველი ძალის სიმბოლოა“ — რ. სირაძე. რაში წმინდა ცხოველია, რომელსაც შეუძლია ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა მათრახის, სამყაროს ხის ნაწილის საშუალებით. ვაჟი რაშის მეოხებით აღწევს კოშკში მზეთუნახავთან. მზეჭაბუკი ხშირად მფრინავი ხალიჩით სწორედ სარკმლიდან შედის მასთან. კოშკი ხთონური სამყაროა. ხთონურ სამყაროში ნამყოფი ადამიანი იძენს ღვთაებრივ სიბრძნეს. მზეთუნახავის შეუღლება მზეჭაბუკთან უდიდესი ბდნიერების მომასწავებელია. „მათი ქორწინება ამქვეყნიური აღორძინების, მათი ხელახალი აყვავების საწინდარია“. (რ. ჩოლოყაშვილი)

ყამარის კოშკს აქვს სარკმელი. იგი ყამარის ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისის მაუწყებელია, რომელიც ამირანის გამოჩენის თანავე იჩენს თავს.

ქრისტიანულ სახისმეტყველებაში სარკმელი ზეციურ სინათლის წყაროს წარმოადგენს. იგი უმთავრესად სულის სარკმელს უკავშირდება. ტაძარში უდიდესი ფუნქცია აკისრია სარკმლის სიმბოლიკას. გუმბათი განასახიერებს ზეცას, ხოლო სარკმელი ზეციური სინათლის წყაროს წარმოადგენს. ტაძრის სივრცე სამოთხის სიმბოლოა. წმინდანთა ხატებს ღვთისმეტყველნი ცის სარკმელებს უწოდებენ, და არა მარტო ღვთისმეტყველნი:

„ჰოი, ხატებო, ცის სარკმელებო
გაჟღენთილებო საკმევლის სუნით“...
(ვ. ოთარაშვილი)

სარკმლის სიმბოლიკა განსხვავებული დატვირთვის მატარებელია „შუშანიკის წამებაში“. მეცამეტე თავში ავტორი მოგვითხრობს: „მოვიდა ნეტარი შუშანიკი მახლობელად წმიდისა ეკლესიასა და პოვა მცირე სენაკი და მუნ დაეყუდა და იყო სენაკს მას მცირე სარკუმელი და დაყო იგი და იყო იგი ბნელსა შინა მარხვით და ღოცვით, ტირილით“. შუშანიკმა განყვიტა კავშირი ვარსკენის სამყაროსთან. იგი დაადგა თვითშემეცნების გზას, გადავიდა ერთი რაობიდან მეორეში. მან საკუთარ სულში ამ გზით უნდა მოიძიოს უდაბნო, დაძლიოს იგი, რათა შემდგომ სულიერი ქნარით განანათლოს ბნელი სენაკი. „მან განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხეი სულიერითა მით ქნარითა“. ბნელი სენაკი მოიცვა სულიერმა ნათელმა. ბნელ სენაკში შეიძლება მოვიანზროთ ვარსკენის საპიტიახშო. ამგვარ სამყოფში წმინდა დედოფალმა ნათლის ძალით უნდა იცხოვროს. მისი სულიერი ძალა და ნათელი უნდა მოეფინოს ქართლის მკვიდრთაც, რათა შეაგრძნობოს მათ უფლის უძლეველობის ძალა.

სარკმელი რომ ორ სამყაროს აერთიანებს, ეს თვალნათლივ ჩანს ილია ჭავჭავაძის პოემა

„განდეგილშიც“. განდეგილი სარკმლის საშუალებით ამყარებს კავშირს უფალთან.

ბეთლემს მზის მხრივ ჰქონია სარკმელი, საიდანაც „თურმე გადმოდენილა შუქი მზისა და მთვარის ნათელი“. ღვთაებასთან განდეგილის კავშირი გადმოცემულია მზის სხივის ალგორითით. განდეგილი სარკმლიდან შემოჭრილ სხივზე აყრდნობს ღოცვანს.

განდეგილმა ვერ გაუძლო განსაცდელს. იგი სულიერად დაეცა. განყდა კავშირი უფალს და განდეგილს შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სარკმლის მხატვრული ფუნქცია ვლინდება სემანტიკურ ოპოზიციურ თვისებებში. განდეგილმა სცოდა. განყდა კავშირი უფალთან. სარკმლიდან შემოსულმა სხივმა არ დაიჭირა ღოცვანი.

სარკმელი განსხვავებული სიმბოლოური დატვირთვის მატარებელია „ვეფხისტყაოსანში“. იგი ახალი ჟამის, ეპოქათა ცვალებადობის მაუწყებელია.

სარკმელი უშუალოდ უკავშირდება: ნესტანს, ტარიელს, ავთანდილს და ფატმანს.

ნესტანი ძველი ტრადიციის თანახმად იზრდება კოშკში. ვ. პროპი წერს: „მეფეს სახე არ უნდა ეხილა მზეს, ამიტომაც იმყოფებოდნენ უფლისწულები მუდმივ სიბნელებში. მათი ფეხი არ უნდა შეხებოდა მიწას, ამიტომაც ცხოვრობდნენ ცადაზიდულ ციხეკოშკებში“.

„ნესტანიც მზეთუნახავის დარად იზრდება კოშკში“. (თ. ხვედელიანი)

ნესტან-დარეჯანის კოშკს, მზეთუნახავთა კოშკების დარად აქვს სარკმელი, რომელიც მიმართულია ზღვისკენ. ზღვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ნუთისოფლის სიმბოლო: „სოფლისა ზღვად აღძრული არს, ღელვითა ცოდვისათა“ — წერს წმინდა გრიგოლ ხანძთელი. ზღვაში, ნუთისოფელში დანთქმა აუცილებელია ადამიანის სულიერად აღორძინებისათვის, ვინრო, ჩაკეტილ სივრცეში შეუძლებელია საბრძნეს ზიარება. ნესტან-დარეჯანის კოშკის სარკმელი მიმართულია ახალი სამყაროსკენ, რომელიც განსხვავდება ინდოეთის ცხოვრების არსისგან. იგი ინდოეთის განახლების მომასწავებელია, მაუწყებელია ძველი ეპოქის ცვალებადობის.

კოშკში ნესტანს ზრდის დავარი. ის, რისი შეთვისებაც ვერ შეძლო კოშკში მყოფმა ნესტანმა, უნდა შეითვისოს გაშლილ სივრცეში. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომაც არ უნდა იყოს შემთხვევითი მისი ჩაშვება ზღვაში კოშკის სარკმლიდან:

„ზღვისკენ გაარნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდეს“.

კიდობანში ჩასმული ნესტანი დავარმა ზღვაში გადაკარგა. კიდობანში ჩასმა და სარკმლიდან ზღვაში ჩაშვება — ეს ორივე ფაქტი ნესტანის სულიერი აღორძინების მომასწავ

ვებელია. კიდობანი უკავშირდება ბიბლიურ ალუზიას. ნოეს კიდობანი ხსნის სიმბოლოა, მოსეს კიდობანი სჯულის სიმბოლოა... კიდობანი ღვთაებრივი სიბრძნის შემეცნების მომასწავლებელია.

ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ტყვედპრობილი მზეა, რომელიც ვეშაპს დაებნელა. ქაჯეთის ციხე ხთონური სამყაროა. მზეთუნახავი მზიური გმირის წილია. ასეთი ქალი იმყოფება მიცვალებულთა ქვეყანაში. „შეიძლება ქალი იყოს მთაში, ხევში, სასახლეში, კოშკში, ყველა ეს ერთ ფუნქციას ასრულებს“ (რ. ჩოლოყაშვილი). მზეთუნახავი ნესტანი ტარიელის წილია: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“... მიმართავს იგი ტარიელს.

ნესტან-დარეჯანი გველეშაპს ჰყავს ჩაყლაპული. გველი ემტერება რჩეულ, ნაწილიან გმირს. გველეშაპი ხთონური სამყაროა. იქ ადამიანი იძენს ღვთაებრივ სიბრძნეს. ქაჯეთში შეიძინა სწორედ მინდამ ღვთაებრივი სიბრძნე, ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ნესტანის გადაკარგვა სამყაროს ცენტრში „ზღვის ჭიპში“ (ქაჯეთის ციხეში). დავარი მოუწოდებს მონახანგებს:

„ნადით, დაკარგეთ მუნ, სადა
ზღვისა ჭიპის,
წმიდისა წყალისა ვერ ნახოს მყინვარე,
ვერცა ლიპია“.

დავარის მიერ ნესტანის ზღვაში გადაკარგვა არ არის დანაშაულის კვალის ნაშლა. იგი აღზრდის მეორე, მნიშვნელოვან ეტაპად უნდა მივიჩნიოთ. ის რაც ვერ შეიმეცნა ასულმა სასახლეში, უნდა შეიმეცნოს ხთონურ სამყაროში, „ზღვის ჭიპში“ — სამყაროს ცენტრში (იგ. საიქიო).

გარკვეულ დრომდე მან ვერ უნდა ნახოს ტარიელი, რათა გაიაზროს მომხდარი დანაშაული და შეიმეცნოს სიბრძნე.

ინდურ ეპოსში სამყაროს ცენტრი წმინდა მთა ჩითრაკუტია. ბერძნულ მითოსში-ჰადესი, გილგამეშის ეპოსში კი სამყაროს ცენტრი ზღვის შუაგულში მდებარე სიდურის ქვეყანაა. საქართველოში ზღვის ჭიპი-სამყაროს ცენტრი ქაჯავეთია, საიდანაც მზეთუნახავის გამოსსნა მხოლოდ ღვთისშვილთ ძალუძთ. ქაჯავეთზე მოლაშქრე გიორგი ნაღვარმშვენიერი საფარველდებულია. პოემაში ნესტანის გამომხსნელ გმირებს მზიური ნათელი იცავს:

„იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა
მეტითა;
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ
ნათლისა სვეტითა“

ქაჯეთის ციხის დამხობა ღვთის ნებით წინასწარ არის გადწყვეტილი. ამას მოწმობს ორი ფაქტი: 1) გამოქვაბულის საკვირველი აბჯარი, 2) სარკმელი, რომელიც აქვს ქაჯეთის ციხეს. ბოროტების დამარცხება განგებისმი-

ერია. იგი პოემაში ასტროლოგიური ნიშნით არის გადმოცემული:

„მაშინ ქაჯეთს მოაწია უსაზომო რისხვა
ლმრთისა,
კრონოს, წყრობით შეხედულმან, მოიშორვა
სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი
და სიმგრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევედეს, გადიადდა
ჯარი მკვდრისა“.

მზეთუნახავის გათავისუფლება და მისი შეუღლება მზეჭაბუკთან უდიდესი ბედნიერების მომასწავლებელია.

ტარიელი დაკარგული ნესტანის უშედეგო ძიების შემდეგ დამკვიდრდა გამოქვაბულში. ქვაბს აქვს სარკმელი: „რაც უცხო ელემენტია, მოულოდნელი და უცნაური მითო-პოეტური თვალსაზრისით“. (ნ. სულავა) სარკმელის საშუალებით ადამიანი ამყარებს კავშირს „მუნ“ სამყაროსთან.

გამოქვაბული ის ადგილია, სადაც ადამიანი ეზიარება ღვთაებრივ სიბრძნეს. გამოქვაბულში მყოფი ადამიანი ამყარებს კავშირს უფალთან. აქ გმირმა უნდა შეიმეცნოს საკუთარი თავი, უნდა ეზიაროს სიბრძნეს, რის შემდეგაც შესაძლებელია სამყაროს აღორძინება, რაც პოემაში ბოროტების დამარცხებითა და სიკეთის მარადიულობით ვლინდება.

ავთანდილი სარკმლიდან უჭვრეტს ტარიელს.

ავთანდილი, ისევ, როგორც ყველა მთავარი გმირი, უნდა ეზიაროს ღვთაებრივ სიბრძნეს, ამისთვის საჭიროა მისი დახურული სივრციდან ღია სავრცეში გასვლა. „მის მიერ ტარიელის სარკმლიდან დანახვა ახალი სამყაროსკენ მიმავალი გზის კონტურების გამოჩენაა. სამი წლის განმავლობაში უდაბურ ადგილებში ხეტიალის შემდეგ დახურული სივრციდან ღია სივრცეში ავთანდილის გასვლის დასაბამია“. (ნ. სულავა)

სიბრძნის შემეცნების გზაზე მდგომი ავთანდილი ფატმან-ხათუნის დავალებით კლავს ჭაშნაგირს.

მობდა მკვლელობა, როგორც ფაქტს, მას რა თქმა უნდა გამართლება არ აქვს, მაგრამ სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ დგება ახალი ეტაპი გმირების ცხოვრებაში (მაშინ, როდესაც ინდოეთში მომხდარ უდანაშაულო სასიძოს მკვლელობას მოჰყვა უბედურება). ფატმანის ეტლი და წერა იცვლება, სანატრელი ხდება. ავთანდილი სცნობს ამბავს „პირისა მზედ დასახულისა, დამარჩენელი ლომისა მის, ქვესკნელს დამარხულისა“.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ავთანდილმა ჭაშნაგირი სარკმლიდან მოისროლა.

ერთი შეხედვით ავთანდილმა თითქოს მკვლელობის კვალი წაშალა (ასევე ჩანს ნესტა-

ნის ზღვაში გაუჩინარების ამბავიც), მაგრამ სწორედ სარკმლედან მის გადაგდება უნდა მივიჩნიოთ ბოროტების დამარცხების მომასწავებლად. ჭაშნაგირს ფატმანი უწოდებს გველს. იგი გულჯავრიანი და ბოროტია, რომელიც ფატმანს ნესტანის ამბის გამჟღავნებით ემუქრებოდა „დამექადის, რაზომჯერცა წავიკიდნით, თავის წინა“. გველი ნაწილიანი, რჩეული გმირის მტერია:

„რომელმან დამხსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა“.

მადლობას უხდის ფატმანი ავთანდილს. მკვლელობამდე ავტორი მას „ლალსა, ბუნება ზიარს“ უწოდებს. „ბუნებაზიარი ადამიანურ დიდბუნებოვანებაზე უნდა მიუთითებდეს“ (ე. ხინთიბიძე). მართლაც, ავთანდილს გულთან მიაქვს ფატმანის გასაჭირი, კლავს ჭაშნაგირს, რომელმაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი ეტაპი მოიტანა გმირების ცხოვრებაში და შეცვალა მათი ბედი და წერა.

სარკმელი უკავშირდება ფატმანის სახელს. ფატმანის სახე არაერთგვაროვნად აღიქმება რუსთველოლოგიაში, მისი ცხოვრების წესის და იმ გარემოების გამო, რომელშიც იგი ცხოვრებდა.

ფატმანი გულანშაროს მკვიდრია, ზღვათა სამეფოში ზამთარ-ზაფხულ ყვავის ფერად-ფერადი ყვავილები. გულანშარო ეტიმოლოგიურად ვარდის სახელს უკავშირდება. იგი ვარდის ქალაქს ნიშნავს. ვარდი თავისი სიმბოლური გააზრებით უპირისპირდება ყვავილის სიმბოლიკას. ვარდი ზესთასოფლის სიმბოლოა, ყვავილი კი წარმავლობის, წუთისოფლის. ვარდის ქალაქში წარმავლობას დაუსადგურებია. ამ გარემოს მკვიდრ ფატმანის სულს კაემანი დაპატრონებია. იგი ებრძვის ბედს, რომელიც წუთისოფელმა არგუნა, მაგრამ გამოსავალის ნაცვლად უფრო და უფრო ცოდვაში ვარდება. საერთო მხიარულობის ჟამს კაემანმოძალბულ ფატმანს განმარტოების სურვილი უჩნდება.

მარტო მყოფი ფატმანი კოშკიდან გაჰყურებს ზღვას. კოშკის სარკმელი სწორედ ზღვისკენ არის მიქცეული. იგი თითქოს ზღვიდან ელის სულის ხსნას, ფატმანი ქვეშეცნეულად მიილტვის საღვთო სიბრძნისკენ. საღვთო სიბრძნეს ფლობენ მზიური გმირები. ზღვიდან, წუთისოფლიდან მოსულნი აზიარებენ ფატმანს ღვთაებრივ სიბრძნეს.

„ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნახაზობა

მე თუ დამწვავს, აჰა, მზა ვარ, აღარ უნდა ამას მზობა“, — აცხადებს ნესტანის შესახებ.

იგი ნესტანის დაკარგვას მძაფრად აღიქვას. მას საყოველთაო უბედურებას უწოდებს, მის ცხოვრებას აზრი ეკარგება:

„მომეშორვა მზე, მნათობი სრულად

ხმელთა,

სიცოცხლე და სულდგმულობა, მონაგები ჩემთა ხელთა,

მას უკუნით გაუნყვეტლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა,

ვერ გავახმე წყარო ცრემლთა, თვალთა ჩემთა გადმომღვრელთა“

ფატმანის სულიერი ხსნა ზღვიდან, გაშლილი სივრციდან მოდის, ნესტანი და ავთანდილი გზა ხსნისაა, რომელთაც ფატმანის სულიერი გადარჩენა ძალუძთ. ავთანდილი ნათლის სხივია, რომელიც ფატმანის არსებაში შემოჭრება და იქ დაივანებს. მისმა გამოჩენამ გულანშაროში შეცვალა ხათუნის ეტლი და წერა.

ფატმანი სიკეთის ქმნადობით, უანგარობით გამოირჩევა გულანშაროს მკვიდრთაგან სიკეთის ქმნადობით იგი უკვდავებას ეზიარა.

იგი მზიური გმირების გამოჩენამდე თავის ცხოვრებით წარმავლობასთან იყო დაკავშირებული. მათი გამოჩენის შემდეგ ღვთაებრივ სიბრძნეს ეზიარა. მის სულში სინათლემ დაივანა. ფატმანმა იპოვა დაკარგული მეობა. ნადილით დათმენით ამაღლდა საკუთარ ვნებებზე. სიკეთის ქმნადობით განღმრთობის გზას დაადგა. მოყვარისათვის თავდავებით იგი ჩასწვდა ღვთიურ ნებას, რომელსაც შეუთანხმდა პიროვნული თავისუფლება. მისი ბედი შეიცვალა. მისი ეტლი და წერა სანატრელი გახდა. მან დაიმსახურა ქაჯეთის საგანძური. რისთვის, მას ხომ სიმდიდრე არ აკლია? პირიქით, უშურველადაც კი გასცემს მას. განძი სიმბოლურ დატვირთვას იძენს. განძის მფლობელნი მითოსსა და ზღაპრებში გრძნეული არსებანი არიან: „გამოქვაბულიდან წამოღებული განძი სიკეთეს უნდა მოხმარდეს, ამიტომ იგი სრულყოფილს უნდა ერგოს უბედურება რომ არ მოიტანოს“ (თ. ხვედელიანი) როგორც ცნობილია იაზონის მოპოვებულმა განძმა უბედურება მოიტანა, ნიბელუნგების განძსაც ბოროტება მოჰყვა თან. ფატმანმა მზიური გმირების შემწეობით სულიერ აღორძინებას მიაღწია. იგი მზადაა სიკეთის ქმნადობისთვის, სწორედ ამიტომ გადაეცა მას განძი.

სარკმელი „ვაფხისტყაოსანში“ ახალი გზის დასაწყისის სიმბოლოა. იგი ეპოქათა ცვალებადობის მაუწყებელია, რომელიც პოემაში ერთი შეხედვით ზაფხულის მოახლოების სურათით არის გადმოცემული:

„მონურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,

ვარდის ფურცვლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,

ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა;

აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა“

„ვარდის ფურცლობა“ რუსთველოლოგიაში ახალი დროის, ახალი ეპოქის, განახლებული სულიერი ცხოვრების დასაწყისად არის მიჩნეული. ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“ — კი ეპოქის ცვალებადობას მიანიშნებს. ძველი იცივლება ახლით, მყარდება ახალი ჰარმონია, რომელიც ტრადიციულზე არის დამყარებული. „(ნ. სულავა) მარცხდება ბოროტება. ბოროტების უარსობაში, სიკეთის მარადიულობაში რწმუნდება ყველა, „ბოროტისა უმყოფოო კეთილნია შენთვის მზანი!“.

სამყაროს პირველქმნილი ჰარმონია
აღდგენილია პოემაში;,
„ოდეს მათთა საბრძანისსა თხა და მგელი
ერთად სძოვდეს“

მიხეილ ჯავახიშვილის რომან „ჯაყოს ხიზნებში“ სარკმელი ტრადიციულზე დამყარებული ახალი ცხოვრების სიმბოლოა.

საქართველოში ათეიზმი სუფევს. ქრისტიანული რელიგია შეცვალა ახალმა რელიგიამ: „შრომა ახალი დროის ახალი სარწმუნოებაა, ახალი რელიგია ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და სასარგებლოა. ვინც ეს გაიგო და მას ხორცი შეასხა, გამარჯვებულია, ვინც ვერ მოერია დაღუპულია... ჩვენ ურწმუნონი ვართ. ქართველ ხალხს აღარც ქრისტი სწამს, არც მაჰმადი, არც იეჰოვა, არც ბუდა, არც ზევსი, არც საერთოდ რომელიმე ღმერთი ან ეშმაკი... ვისაც ეშმაკი სწამს, იმას რაღაც ან ვიღაც სწამს, ესე იგი მას ჰქონია ადამიანის სული, ესე იგი თვითონაც უკვე ადამიანი ყოფილა, ვინაიდან მხოლოდ სულით და გონებით განირჩევა ადამიანი პირუტყვისაგან. ჩვენ კი ეშმაკიც აღარა გვწამს, მაშასადამე, აღარც სული გვქონია“ — აცხადებს თეიმურაზ ხევისთავი.

ქვეყანას არ ჰყავს პატრონი. ყველგან მტერი დაბუდებულია: „კოშკში, ბეღელში, მარანში ჯაყო და მისი ოჯახი ცხოვრობს“, ნაშინდარი — ნასოფლარად ქცეული ქვეყნის სიმბოლოა. ნაკაცარ თეიმურაზ ხევისთავს არ ძალუძს ქვეყნის მართვა. იგი თავისი უნიათობით უთმობს მტერს ყოველივეს.

ნაწარმოების ფინალში ვკითხულობთ: „გარეთ ხევისთავის სულივით ბნელა“. ხევისთავი სახლობს ნასახლარში. იგი ელის „მის ერთადერთ დაუფინყარ და განუყრელ მარგოს, როდის შემოვა იგი დაობლებულ ოთახში. „დაობლებული ოთახი“ უპატრონოდ დარჩენილი ქვეყანაა, რომელიც საჭიროებს პატრონს.

მარგალიტა გველექსავს ჰყავს კოშკში დატყვევებული, რომელიც გამომხსნელს მოელის: „მაღალი კოშკი შავ სივრცეში უზარმაზარ გარუჯულ ბოძივით ასვეტილა. იმ კოშკში სცხოვრობს თეიმურაზის ნაცილარი — მარგო ჯივაშივლი“

კოშკს აქვს სარკმელი, რომელიც ახალი ცხოვრების, იმედის, სასოების სიმბოლოა:

„კოშკის სარკმლიდან მოსჩანს იმედის შუქი“.

თეიმურაზის ნასახლარში არის კიდობანი, სადაც ინახება ძველი ხატი. კიდობანი როგორც უკვე აღვნიშნეთ ბიბლიურ ალუზიას უკავშირდება. თეიმურაზი იღებს ხატს, ანთებს სანთელს და „მეტანიით, სასოებით, ცრემლით ლოცულობს“.

„— ნმიდაო ღმერთო! ნმიდაო ძლიერო! ნმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ!... უფალო ძლიერო! ყოვლისა შემძლე და სათნოიანო მოგვეც ჩვენ, დავრომილთა უღირსთა ძეთა შენთა, მოთმინება უღვევლი, მშვიდობა უსაზღვრო და რწმენა უძირო. კვლავ გარეთ გაიხედავს ნუგეშისცემული თეიმურაზი.

ისევ ასვეტილა ბნელ სივრცეში ბნელი კოშკი.

იმ კოშკიდან მოსჩანს იმედის სანთელი“.

თეიმურაზს ავტორი მღვიმეში დაყუდებულ შიო მღვიმელს ადარებს: „ისევ დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“.

გამოქვევებულამდე თეიმურაზმა უდანოში უნდა იხეტილოს და შემდგომ ქვაბში დამკვიდრდეს. იცხოვროს იქ, ხანგრძლივი დროის მანძილზე სისხლის ცრემლები ღვაროს:

„მეც ვნახე, მეც განვიცადე, ეხლაც მწამს, ეხლაც ვსტირი“.

თეიმურაზი „ძაღლის მძორის“ მუდმივი ტარები თავადვე აღწევს სულიერ სიმალლეს, განწმენდას. იგი ახალ სულერ არსებობას უყრის საფუძველს. სწორედ ახალი ცხოვრების დასაწყისიდან „ძაღლის მძორის“ სუნი ქრება:


„აღარსად სჩანს ძაღლის მძორები.

აღარც მათ სუნი მოსდის იმედნაკრავ ნაკაცარს“

გამოქვაბული დაუდაბნო პირობითი ცნებებია „ჯაყოს ხიზნებში“. თეიმურაზმა „მღვიმე უნდა მიისიბრძნოს“. გამოქვაბულის დრო სპეციფიკურია. ყველაფერს ღვთის ნება წარმართავს, თეიმურაზის და მარგალიტას შეყრის უამი ჯერ არ არის მოწვეული: „ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს“. უამი მხოლოდ გამოქვაბულის მოსიბრძნების და „მღვიმური ცნობიერების“ დაძლიის შემდეგ დადგება.

როგორც ვხედავთ, სარკმელი გარე სამყაროსთან კავშირის დასამყარებელი საშუალებაა. იგი არის დახურულ სივრცეთა გამყოფი და ამავე დროს გამაერთიანებელიც. იგი არის როგორც ხილული, ასევე უხილავი, ღია და დახურული. სარკმელი ხიდია ორ სამყაროს, შავეთსა და სამზეროს შორის გადებული.

სარკმელი სიმბოლოა ახალი სამყაროსკენ მიმავალი გზისა. ტრადიციულზე დამყარებული ახალი ეპოქის.



ელენე ახვლედიანი

ნათელა
ურუშაძე

ხსოვნის სახეში

ელენე ახვლედიანი

ელენე ახვლედიანს არც მხატვრული კრიტიკის, არც სახვითი ხელოვნების მკვლევართა ყურადღება არ დაკლებია, როგორც სიცოცხლეში, ისე ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ. ხუთი წლის გარდაცვლილი იყო, მშვენიერი ალბომით რომ გაიხსენა საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს გამომცემლობამ. მის წინასიტყვაობაში ხელოვნებათმცოდნე ე.პრივალოვამ ელენე ახვლედიანის შემოქმედების თავისებურება და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ადგილი ასე განსაზღვრა:

„ადამიანი და შემოქმედი, რომელიც ჩვენი ისტორიის, მისი ხელოვნების განუყოფელი ნაწილი გახდა. ბრწყინვალე ფერმწერი და ნათელი პიროვნება. თავის თბილისს, თავის

საქართველოს დაუტოვა ელენემ თავისი განუმეორებელი შემოქმედება — ღრმად ეროვნული, თვითმყოფადი, ტემპერამენტული, გამომსახველი, დიდ ხელოვნებასთან ერთად შინაგანად მთლიანი, მიზანდასახული. ძლიერი, ოპტიმისტური შემოქმედება, რომელმაც უაღრესად ზუსტად და სრულად ასახა მხატვრის რომანტიკული ხასიათი, მისი მებრძოლი ბუნება, მისი მთრთოლვარე სული, მისი არაჩვეულებრივად მდიდარი შინაგანი სამყარო, მისი განუმეორებელი სიყვარული თავისი ქვეყნისა, თავისი ხალხისადმი და უსაზღვრო თავდადება თავისი საქმისადმი.“

ქვეყანამ, ხალხმა მხატვარს ეს ღვანლი დაუფასა: თელავის სამხატვრო სასწავლებელი მისი სახელობისაა, თბილისის ბავშვთა ნახატების საგამოფენო დარბაზიც, დედაქალაქის ძველი უბნის ერთი ქუჩაც, რუსთაველის გამზირზე მისი ძველი დგას, ლ.ქიაჩელის ქუჩაზე №12 მდებარე მისი საცხოვრებელი სახლ-მუზეუმი, სადაც ყოველი ნივთი მის შესახებ რაღაცის მაუნყებელია...

მართლაც, რამდენის მთქმელია საგანთა სამყარო... განსაკუთრებით საცხოვრებელში, რადგან ეს სამყარო მისი პატრონის შექმნილია და მისი ცხოვრების ამბავიც ამ ნივთებში ბუნებრივად აირეკლება... არ არის მხოლოდ ანარეკლების ერთი სახეობა — რაც ინახება მის ახლობელთა ხსოვნაში, რადგან ისინი იცნობდნენ არა მარტო მის შემოქმედებას, არამედ მას პირადად. და, აი, დაიბადა ახალი ქართული ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ (პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი ვაჟა ოთარაშვილი), რომელსაც განზრახული აქვს მკითხველს იმის შესახებაც მოუთხროს, თუ როგორი იყვნენ სახელოვანნი მაშინ, როდესაც არ წერდნენ ლექსებსა და მოთხრობებს, არ თამაშობდნენ სცენაზე, არ ხატავდნენ...

ის გავიცანი თბილისის სამხატვრო გალერეაში მის ქმნილებათა პერსონალურ გამოფენაზე. გამაცნო ჩემმა მეუღლემ — მსახიობმა გოგი გეგეჭკორმა, რომელიც მას კარგად იცნობდა, რადგან მონაწილეობა ჰქონდა მიღებული როგორც ამ მხატვრის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებში, ისე კინოფილმებში. თან შემამზადა — ახლა შენ გაიცნობ არაჩვეულებრივ მხატვარსა და არაჩვეულებრივ ადამიანსო. ძალიან უყვარდა.

ვისაც უნახავს ეს გამოფენა, აუცილებლად დამეთანხმება, რომ შთაბეჭდილება ნამდვილად გამოგნებელი იყო — საგამოფენო დარბაზი ფერთა ზღაპრული მშვენიერების სამყაროდ იყო ქცეული. ნამდვილად დავიბენი, მაგრამ ერთი კი შევნიშნე — ამ სამყაროში

მხატვარი! თუმცა რა უნდა ყოფილიყო გასაკვირი, ამ სამყაროს შემქმნელი ხომ ის იყო, მაგრამ ასე ხშირია შემქმნელსა და ქმნილებათა შორის ასეთი განსაცვიფრებელი მსგავსება?!

ხალხმრავლობაში სურათებთან შეხვედრა ძნელია, ამიტომ რამდენიმე დღის შემდეგ მართო მივედი. ამჯერადაც გავოცდი — მომეჩვენა, თითქოს ყველაფერში, რაც დახატულია, წარმოდგენის გამართვაა შესაძლებელი.

ასე დაიბადა იდეა ელენე ახვლედიანის სცენოგრაფიული შემოქმედების შესწავლისა. წიგნის იდეა მიიღო გამომცემლობა „მერანმა“ და გამოსცა კიდეც 1968 წელს. ჩემს ცხოვრებაში კი შემოვიდა ბედნიერება ელენე ახვლედიანთან ხშირი შეხვედრებისა ერთდროულად არსებულ მის სახლსა და სახელოსნოში.

კარგად მიმიღო. ვფიქრობ, გოგის ხათრით. იმავე დღეს მომიჩინა სამუშაო ადგილი — პატარა აივანი, რომელიც მის სახელოსნოში თავისებურ მეორე სართულს ქმნის — „იყოს ეს შენი კაბინეტი“. ეს „კაბინეტი“ მისი სამუშაო მაგიდისა და მოლბერტისაგან საკმაოდ მოშორებულია. ეტყობა, ასე ერჩივნა. ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ ზემოდან მე მაინც ყველაფერს ვხედავდი. რაც მთავარია, ვხედავდი როგორ მუშაობდა. „კაბინეტი“ კი სავსე იყო იმ ნახატებით, რომლებიც გადასაყრელად მოემზადებინა. წიგნზე მუშაობაც და მასთან მიახლოებაც ასე დაიწყო.

ელენე ახვლედიანი ეკუთვნოდა შემოქმედ ადამიანთა იმ იშვიათ კატეგორიას, რომელთა გამორჩეულობა მათსავე გარეგნობაშიც იგრძნობა: წარმოსადეგი ტანადობა, ძალიან საინტერესო სახე და არაჩვეულებრივად მეტყველი ხელები. ეს ჩანდა ნებისმიერ საგანთან მათ შეხებაში, მით უფრო — ფუნჯთან და ფანქართან. თითქმის დავიჯერე, რომ ხატვა მისთვის მათთან შეხებით იწყებოდა.

მთელს მის არსებაში იყო რაღაც განსაკუთრებული შემართება და, ამავე დროს, სისადავე. სამოსელიც კი, საყოველღეოც და საგარეოც, ძალიან სადა, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან უზადოდ იყო შეხამებული. ამგვარი სისადავე მხოლოდ იმით ხელენიფებათ, ვისაც აქვს აბსოლუტური გემოვნება და აბსოლუტური შინაგანი თავისუფლება.

დრო და ასაკი მის ამ თვისებებს არ შეეხებია, შეიძლება ითქვას, პირიქით. არა მგონია ეს საგანგებოდ ჰქონოდა გააზრებული, რადგან საკუთარი გარეგნობის ფასი ნამდვილად არ იცოდა. წინა რიგებში ადგილს არსად და-

იკავებდა, მაგრამ სადაც არ უნდა დაეკავებინა, ის ადგილი ხდებოდა ყურადღების ცენტრი. ძალიან უხერხულად გრძნობდა ხოლმე თავს ამის გამო. არადა, ვინ იყო დამნაშავე იმაში, რომ ღმერთმა გარეგნობითაც გამოარჩინა? შემთხვევითი არ იყო ის, რომ მის პორტრეტებს წერდნენ ისეთი გამოჩენილი მხატვრები, როგორც ქეთევან მაღალაშვილი და ვასილ შუხაევია.

არც ცხოვრების წესი ჰქონდა ჩვეულებრივი. დავინწყოთ იმით, რომ მის ბინაში ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ დროს შეეძლო შესვლა, რადგან კარი მხოლოდ ღამით იკეტებოდა. მის სამფლობელოში ყველაფერი ღია იყო — კარიც, კარადებიც, უჯრებიც და გულისც.

ყოველდღიურ ყოფაში უბრალო და მშრომელი, არანაირ საქმეს არ ერიდებოდა: თვითონ ამზადებდა ქვეჩარჩოებს მომავალი სურათებისთვის, ამ ჩარჩოზე ტილოსაც თვითონ გადაჭიმავდა, გრუნტსაც, საღებავის ქვეფენასაც თვითონ შეამზადებდა. რაც შეეხება საოჯახოს, ამ მხრივ დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ მწვანესა და წითელ ლობიოს კახურად ასე კარგად ცოტა ვინმე თუ ამზადებდა. მისი ძველი მეგობრები ამბობდნენ: ლობიოში ელენე რომელიღაც საღებავს ურევს და მისი მომზადებული ამიტომაცაა ასეთი გემრიელი და, რაც მთავარია, ასეთი ლამაზიცო!

ულამაზოდ პურს და ყველს არ გამოიტანდა ჩვეულებრივ სუფრაზე, რომელსაც, უკვე მოშინაურებული, ხშირად მეც ვუერთდებოდი. თავის შეხებით ყველაფერს რაღაცას უჩვეულოს მატებდა.

ბაზარში სიარული უყვარდა ძალიან. მის ხელში სადილის წინასწარ გამზადებული სია მე არ მინახავს. არც მოფიქრებული ჰქონია, რასაც ყოველ ჯერზე ადასტურებდა შექმნილი სანოვაგე — ყიდულობდა იმას, რაც მოენონებოდა ფორმითა და ფერით, თანაც უამრავს. ამიტომ ბაზრიდან დამხმარე ძალის თანხლებით ბრუნდებოდა. ეს დამხმარე ძალა იყო ქურთი ეროვნების ორი ახალგაზრდა, ერთს კაკე ერქვა, მეორეს — შელე. მათი დახმარებით შინ მოტანილ სანოვაგეს სასადილო მაგიდაზე ლამაზ ნატურმორტებად დააჯგუფებდა და ელოდებოდა რომელიმე ახლობლის მოსვლას, რომელიც გაარკვევდა, რის მომზადება შეიძლება ამ ნატურმორტებისაგან.

ვთხოვე და ერთხელ მეც წამიყვანა ბაზარში. იქ დიდხანს დავრჩით, რადგან ძალიან მოსწონდა გამყიდველთა მიერ შეთხზული „ნატურმორტები“.

ვინ არ ყოფილა ბაზარში... შევეცინიშნავს, რომ იქაც ფერთა სამყაროა? მე ეს მან დამანახვა.

სილამაზეს ყველგან ხედავდა, ამავე დროს, სწორედ იმ ბაზარში თუ რაიმე სახის უსამართლობას შენიშნავდა, აუცილებლად ჩაერეოდა ნებისმიერ უთანასწორო ბრძოლაში. უსამართლობას ვერ იტანდა. სულით იყო მებრძოლი. დამჭკნარი ყვავილი კი ნაგავში არ გადაუგდია — ალბათ იმიტომ, რომ ამ დამჭკნარშიც ხედავდა ლამაზ ფერებსა და ხაზებს, ყვავილის სიცოცხლის დასასრულის ბუნებრივ ნახატს...

ხატვა მისი არსებობის ფორმა იყო, სუნთქვასავით აუცილებელი. სულ ხატავდა, არა მარტო მოლბერტთან და სამუშაო მაგიდასთან — ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა მისკენ შეუჩერებლად მომდინარე ნაკადი, ქალღმერთად გადატანას მოითხოვდა და ისიც ხატავდა: ჩვეულებრივი საუბრის დროსაც, ტელეფონით საუბრის დროსაც, სუფრასთანაც, ქალღმერთის ნაგლეჯზეც, ხელსაწმენდებზედაც კი... თუ შეწყვეტდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ახლა ის ადგება და მივა მოლბერტთან ან სამუშაო მაგიდასთან!

მსგავსად ხატვისა, არც მუსიკის გარეშე შეეძლო არსებობა. განსაკუთრებით — კლასიკური მუსიკისა. საოცარი იყო ეს სიყვარული. სურათზე მუშაობის დროს საყვარელი მუსიკის მოსმენა წესად ჰქონდა. მის საცხოვრებელში რადიო არ ითიშებოდა — ეშინოდა, საინტერესო მუსიკალური გადაცემა არ გამომჩერდეს. მუსიკა მისთვის მხოლოდ სიამოვნების მომნიჭებელი არ იყო — მშვენიერების სამყაროში შეღწევის შესაძლებლობა იყო. და გრძნობდა იგი მუსიკის ჰარმონიას ცხოვრებაშიც მთელი არსებით — მუსიკას, როგორც ასეთს, გრძნობათა მუსიკას, ადამიანურ ურთიერთობათა მუსიკას, ზოგჯერ ასეთ რთულს...

ადამიანურ ურთიერთობებშიც თავისებური იყო: ბავშვზე მეტად გულმართალი; ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. იყო ისეთი, როგორც არის. არც ცხოვრებაში, არც შემოქმედებაში საერთო დინებას არასოდეს გაჰყოლია. ის ცხოვრობდა საკუთარ შინა-სამყაროსთან სრულ თანხმობაში.

დრო ყველასათვის მოეძებნებოდა, მოსმენა იცოდა განსაკვიფრებელი. მრავალსიტყვაობა არ სჩვეოდა. თუ სიტყვას ვერ მოძებნიდა — ნახატით გჰასუხობდა.

უყვარდა ზეიმი და ხალხმრავლობა. ასეთ ზეიმებს თვითონ იგონებდა და მათი მშვენიერი ორგანიზატორიც იყო. ამ ხალხმრავლობაში, რომელიღაც უხილავი ძალით, კეთილ-

მოსურნეობისა და ერთმანეთისადმი პატივისცემის გრძნობით გამსჭვალულ ატმოსფეროს ქმნიდა. მშვენიერებით უნდოდა ადამიანთა გაერთიანება. აღწევდა კიდეც ამას. და, ამავე დროს, მისთვის სასურველ ამ ხალხმრავლობაში, ძალიან ხშირად, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილიც მინახავს. ასეთ წუთებში ნათელი იყო, რომ მიუხედავად ქალბატონი ელენეს უბრალოებისა და გულახდილობისა, მისი სულის რომელიღაც ნაწილი მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ამ დროს მის მზერაში იკითხებოდა შორს მიმავალი სევდა. რის გამო? ამაზე ის არასოდეს ლაპარაკობდა.

რასაც ამბობდა — ეს იყო ზუსტად და გასაგებად ნათქვამი სიმართლე. ამ სიმართლისაკენ ის მიდიოდა უმოკლესი პირდაპირი გზით. ზოგჯერ ეს პირდაპირობა ძალიან ართულებდა მის მდგომარეობას, დამსწრეთა მდგომარეობასაც...

წერა არ უყვარდა, მაგრამ პირად წერილებს მისთვის სასურველ ადამიანებს წერდა დაწვრილებით, აუჩქარებლად.

ადამიანს ინტუიციით შეიცნობდა ხოლმე უცდომლად. თუ შეიყვარებდა — მთელი გულით. ყველაზე საყვარელი დედა იყო. მის სახელთან დაკავშირებული ყველაფერი — განსაკუთრებით ძვირფასი. სასთუმალთანაც ამ მშვენიერი ქალის სურათი ეკიდა.

ყველაფრის გაცემა შეეძლო. სამაგიეროს არ ითხოვდა.

უყვარდა სიცოცხლე, ამქვეყნიური მშვენიერება, ხედავდა მას ოდნავ შესამჩნევ გამოვლინებაშიც: ფერის და ხაზის, ბგერისა და მოძრაობის, სიტყვისა და მდუმარების, ღიმილისა და ცრემლის... სხვებსაც გადასდებდა მშვენიერის ამ სიყვარულს და ამით ამდიდრებდა ყველას, ვისაც ცხოვრებაში შეხვედრია. მით უფრო, ერთობლივ შემოქმედებაში.

თეატრთან მისი შემოქმედებითი შეხვედრა 1928 წელს მოხდა ქუთაისში. უცხოეთიდან წინა წელს დაბრუნებულმა პერსონალური გამოფენა გამართა თბილისში, შემდეგ თელავსა და ქუთაისში. იმ დროს კოტე მარჯანიშვილმა ქუთაის-ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა იკისრა. დიდოსტატმა რეჟისორმა გამოფენაზე იხილა ახალგაზრდა მხატვრის ტილოები: „გაზაფხული პარიზში“, „მონმარტრი“, „ძველი თბილისი“, „კახეთი“, „ზამთარი“ და სხვა. მათში თეატრის მხატვრის აშკარა პოტენცია ამოიკნო და ერთობლივი მუშაობა შესთავაზა. ელენემ ირწმუნა მისეული თეატრი — თეატრი მხატვრულად მთლიანი სპექტაკლებისა, სადაც შემოქმედთა ანსამბლი, რეჟისორის თავკაცობით, ერთობლივად ავლენს ცხოვრებაზე თავის სათ-

ქმელს. ასე აღმოჩნდა იგი იმ რეფორმატორ-თა შორის, ვინც მეოცე საუკუნის ქართულ თეატრში უმნიშვნელოვანესი ცვლილებებისათვის იბრძოდა.

მარჯანიშვილისეული თეატრის პრინციპებისათვის არასოდეს უღალატია. ასე გააფორმა ოთხმოცამდე სპექტაკლი ქუთაისსა და თბილისში, ბათუმში, თელავში, ფოთში, ჭიათურაში, სოხუმში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში... ქართული და უცხოური კლასიკა, ისტორიული და თანამედროვე პიესები, ტრაგედია, კომედია, დრამა, მელოდრამა, ოპერა, მუსიკალური კომედია, პანტომიმა, ზღაპარი...

მისეული სცენოგრაფია ნამდვილად ცოცხლობდა სცენაზე წარმოდგენის მიმდინარეობის ყოველ წუთს, რადგან განუწყვეტლივ იყო ჩართული მის ცოცხალ სხეულში.

პიესის ავტორის ხელწერას გრძნობდა და მუდამ ცდილობდა მისთვის შესატყვისი სცენოგრაფიის შეთხზვას. ამიტომაც მისი თეატრალური ესკიზები ერთმანეთისგან ასე განსხვავებული, განსხვავებულ მეტყველ საშუალებათა მომთხოვნი. დაზგური მხატვრობის ოსტატიც უხმოდა ფერწერის, გრაფიკის, შტრიხის, კონტურისა და ა.შ. შესაძლებლობებს თეატრის სამსახურად. ამის თვალსაჩინო საბუთია სხვადასხვა თეატრების მუზეუმებში დაცული ელენე ახვლედიანის ესკიზები სპექტაკლებისათვის: დ.შენგელაიას „თეთრები“, პ.კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“, კ.კალაძის „როგორ?!“ ი.ოლეშას „სამი ბლენძი“, ა.აფინოგენოვის „შიში“, ზ.ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ა.დენერის „დები ჟერარ“, ვ.ჰიუგოს „რუი ბლახი“, ა.ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, გ.ნახუცრიშვილის „კომ-

ბლე“ და სხვა. ყოველი მათგანის მოქმედ პირთათვის შეთხზული უთვალავი სამოსელი.

...იშვიათია იღბალი, ისე დაასრულო ამქვეყნიური არსებობა, როგორც ეს შენს მიერ განვლილ ცხოვრებას შეეფერება; რომ განვლილის დასასრული ლოგიკური და ღირსეული იყოს. ელენე ახვლედიანს განგებამ ეს ბედნიერებაც არგუნა. ცხოვრების გზა ჩვეულებრივ არ გაუვლია, დასასრულიც არ აღმოჩნდა ჩვეულებრივი — გზა დასრულდა ქალთა წელიწადად აღიარებულ 1975 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დარბაზში გამართულ მხატვარ ქალთა გამოფენაზე. ის წავიდა ჩვენგან ძლიერი, მშვენიერი, გარშემორტყმული ყველაფრით, რაც ასე უყვარდა — სურათებით, მუსიკით და ადამიანებით.

შემდეგ დაიწყო მეორე, უსასრულო სიცოცხლე მისი ქმნილებებისა საგამოფენო დარბაზებში, ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, კატალოგებში, მეცნიერულ გამოკვლევებში, ალბომებში, მოგონებებში... ისინი გვიამბობენ იმ მხატვრის შესახებ, ვინც უზენაესის მიერ მისთვის გაღებული ყველა უნარი და შესაძლებლობა გასცა თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისათვის...

და მაინც, მათ შორის ყველაზე უკეთესი მთხრობელია მისი საცხოვრებელი, რომელიც მემორიალურია და ამით საერთო სახალხო საკუთრებად აღიარებული. აქ ბინადრობენ მისი მხატვრული ქმნილებანი, წიგნები, ძველებური ქართული კერამიკა, წერილები, ფოტოსურათები, ჩანახატები... ვაი, რომ მათგან სურათები აღარ დაიბადება, მაგრამ ხომ ინახავენ ისინი მის ჩანაფიქრებს, სურვილებსა და ოცნებებს... აქ ცოცხლობს მისი სული, გვილიმის და აღვიძებს ჩვენში სიკეთისა და სიყვარულის უდიდეს ძალას...





თაბარი მიქელაძე

"ჯიხიონი" — ჯიხის საზოგადოებრივი ბაზარი

1885 წლის 13 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ საზოგადოებას აუწყებდა „ქართული ხოროს“ დაბადებას. „ქართული ხორო“ შეუდგენია თავის მეცადინეობითა და მხნეობით ბატონ ვლ. აღნიაშვილს. აღნიაშვილს შეუკრებია ყმანეილები და მუსიკის მცოდნესათვის, ბატონ რატილისათვის უთხოვია ხელმძღვანელობა... ხოროს დაუწყია რატილთან სიარული და სწავლა ქართული ხმებისა. ამბობენ, რომ უკვე წელიწადზე მეტია, რაც ეს საქმე იქნა დანაწევებული. ხოროს თურმე კარგად აქვს შესწავლილი ქართული სიმღერები, გურული „ოდელია“, მეგრული „კუჩხიბედნიერი“ და სხვანი.

ოდნავ მოგვიანებით „ივერია“ კვლავ ბეჭდავს მასალას „ქართულ ხოროზე“, ახლა უკვე მისი პირველი კონცერტის შეფასებას;

„ქართულმა ხორომ, თუ არ ვცდებით, 20-30 კაცი იქნებოდა, ბატონ რატილის ლოტბარობით იგალობა თეატრში 11-მდე ქართული საერო სიმღერები. დიდი მადლობა გვმართებს ბატონ აღნიაშვილისა, რომელმაც მართლა სახელოვანი საქმე იკისრა და შეჰყარა ქართული ხორო, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მივიწყებულის ხმებით...“

მივიწყებული ხმები, ჩვენი წინაპრების ნასათუთევი ჰანგები, ყველაზე მეტყველი მემკვიდრე იყო ჩვენი დიდებული წარსულისა, მისი ძირები საუკუნეებში იკარგება და ყველაზე თვალნათლივ წარმოაჩენს ჩვენს მეობას, ჩვენს სახეს, ჩვენს იდეალებს. XIX საუკუნეში, როდესაც თერგდალეულები ჰქმნიდნენ ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს, ბუნებრივია, „ქართული ხოროს“ რეპერტუარი სულიერ მოთხოვნილებებს უთუოდ დააკმაყოფილებდა. მაშინ საქართველომ ფართოდ გაუღო კარი ევროპულ კულტურას, მაგრამ ბრმად კი არ გააიდეალა იგი, არამედ ახალი სიოს ქროლვას საკუთარი სახით შეხვდა, თვითმყოფადი კულტურა დაახვედრა, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ილიამ დღევანდელისგან განსხვავებით პრიორიტეტი ეროვნულს მიანიჭა. ვფიქრობ, ამის გათვალისწინება არ გვანწყენდა დღესაც. ასეთი იყო ისტორიული წინამძღვრები მნიშვნელობით საოცრად დიდი ანსამბლის დაბადებისა, რომელიც არსებობის 120 წელს ითვლის, და რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ეროვნული ფოლკლორის აღორძინების, განვითარების და მთელი პლანეტის მასშტაბით მისი პროპაგანდის საქმეში.

ამ ანსამბლში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ქართული კულტურის ყველა დროის გამოჩენილი ადამიანები, ჩვენი ერის საამაყო მამულიშვილები; ლადო აღნიაშვილი, იოსებ რატილი, ნოე ჟორდანი, ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, მელიტონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, ია კარგარეთელი, შალვა მშველიძე, სანდრო და ლადო კავსაძეები, ჯანო ბაგრატიონი, ნოკო ხურცია, ვანო მჭედლიშვილი, ბიჭიკო გველესიანი, ჰამლეტ გონაშვილი, დავით ჯავრიშვილი, ავთანდილ თათარაშვილი, გივი კოჯორაშვილი და სხვა მრავალი.

1986 წელს ანსამბლის ხელმძღვანელად დაინიშნა ჯემალ ჭკუასელი. ანსამბლის დირექტორ-განმკარგულებელი ბატონი ოთარ ბლუაშვილი იხსენებს: „ეს შემოქმედებითი კოლექტივი ყოველთვის პროფესიონალი, ნიჭიერი მომღერლებითა და მოცეკვავეებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ბატონი

ჯემალის მოსვლას მოჰყვა რკინისებური დისციპლინა ანსამბლში. ამ დროიდან იწყება ახალი, კიდევ უფრო მეტად წარმატებული ეტაპი ანსამბლის ცხოვრებაში.

აქ მოღვაწეობდნენ და დღესაც თავდაუზოგავად იღვნიან ადამიანები, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება ილიასაგან კურთხეულ საქმეს შეაღიეს, არა მარტო თვითონ, ასეთი შეგნებით აღზარდეს შვილებიც, რომლებიც ღირსეული წინაპრების მსგავსად განაგრძობენ მამულიშვილურ საქმეს. მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით.

„ერისიონში“ მოღვაწეობენ და დიდად განსაზღვრავენ მის წარმატებას ჯემალ ჭკუასელის შვილები და შვილიშვილები, ანსამბლის სოლისტები, ეკა და ანა ჭკუასელები, სიძე ვანო ჩხაიძე. ანსამბლის დირიჟორი, მომღერალი და ლოტბარია ბატონი ჯემალის უფროსი ვაჟი შერმანდ ჭკუასელი. თავად ბატონ ჯემალს სიმღერის სიყვარული მამისგან გამოჰყვა. შერმანდ ჭკუასელი ცნობილი მომღერალი და ლოტბარი იყო.

ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფია ბატონი რეზო ჭოხონელიძე. მის დადგმულ ცეკვებში ნათლად ჩანს ქართველი ქალის ზნეობრივი კეთილშობილება და თავისუფლებასთან წილნაყარი ქართველი კაცის სიამაყე და ძლიერება. წელს მასაც ამ ანსამბლში მოღვაწეობის 30 წელი შეუსრულდა. ანსამბლის რეპეტიტორები არიან ვ. მეფარიშვილი და რ. ბინაძე, ხოლო ორკესტრის ხელმძღვანელი ი. გოგოლაური.

ოცდაათი წელია ანსამბლში მოღვაწეობს (ჯერ მომღერლად ხოლო შემდეგ დირექტორ-განმკარგულებელის თანამდებობაზე) ოთარ ბლუაშვილი, მისი უმცროსი ვაჟი თამაზ ბლუაშვილი ანსამბლის სოლისტია, უფროსი ვაჟი ანსამბლის მენეჯერი იყო, ამჟამად ამერიკაში იმყოფება. მეუღლე კი, ნანა ბლუაშვილი, ანსამბლის მთავარი მეკოსტუმეა.

ტარიელ მილაძე ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავე იყო ანსამბლში. თავის ნიჭსა და ენერჯიას ახლა უკვე ახალგაზრდებს გადასცემს და ცდილობს ისინიც აზიაროს „ერისიონის“ მდიდარ ტრადიციებს. „ერისიონის“ პედაგოგია მისი მეუღლეს, ქალბატონი ელზა კახნიაშვილი, სულ ახლახან გამოემშვიდობა დიდ სცენას მათი ქალიშვილი ნინო, რომელიც გარეგნული მშვენიერებითა და გრაციოზულობით ქართველი ქალის სიმბოლურ სახეს ქმნიდა. ამჟამად იგი სამედიცინო პრაქტიკას ეწევა.

ანსამბლს „ერისიონი“ 1999 წელს ეწოდა. კიდევ ერთი ლამაზი სიტყვა დამკვიდრდა ქართულ ლექსიკაში. სულხან-საბას განმარტებით, ეს სიტყვა ნიშნავს „მთის ზეითს“, ბუნების საუცხოო სურათს; როცა მზის ნათელი სხივები მიუწვდომელ მწვერვალებს დაანათებს და მთის თავს ხილულს გახდის. სხვათა შორის, „ერისიონის“ ცნობილი კლიპი ამ შთამბეჭდავი პეიზაჟით იწყება. სიტყვის გრაფიკული გამოსახულებაც სიმბოლურია; ერი და სიონი ერთად, სწორედ ერისა და ბერის ერთიანობით ჩაეყარა საფუძველი უძლიერესი ქართული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც დავით აღმაშენებელმა დიდებულად დააგვირგვინა. ყველა ქართველისათვის საოცნებო ეს საქართველოა წარმოდგენილი „ერისიონის“ ორსაათიან ცნობილ შოუში, სიმღერისა და ცეკვის საოცარი თანხვედრის წყალობით. ერთობა, ერთიანობა, თანწყობა, აქ გამოხატულია ქართული ძირძველი კულტურის წარმოჩენაში. სახელწოდება სრულად ასახავს ანსამბლის შემოქმედებით სახეს. ანსამბლის 120-წლიან მოღვაწეობას ერთი უმთავრესი რამ აერთიანებს, რაც განასხვავებს სხვებისაგან: ეს არის ქართული ფოლკლორული ტრადიციების გაფრთხილება და მრავალი ნოვაციის მიუხედავად, მათი მკაცრი დაცვა.

ერის სულიერი მამისაგან ხელდასმული შემოქმედებითი კოლექტივის ქართულ ბალავარზე 120 წელია, ასეთივე ნამდვილი ქართული კულტურა შენდება. ბატონი ჯემალი ხშირად ბრძანებს; „ჩვენთვის ყველაზე დიდი სიახლე ძველთან ლამაზად დაბრუნებაა“.

„ერისიონის“ ორსაათიან შოუში სიმღერითა და ცეკვით წარმოდგენილია საქართველოს დიდებული ისტორიული წარსულის ულამაზესი სურათები.

2000 წელს, როდესაც „ერისიონი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, პრესის ფურცლებზე ასეთი განცხადებები გაჩნდა; „ამერიკელებო, ყველაფერი მიატოვეთ და ნახეთ ქართული ხელოვნება“, „დაახლოებით ოცდაათი კაცი ხან ძალიან ჩუმად მღერის, ხან კი ცას სწვდება მათი ხმა“.

ამერიკის შემდეგ ანსამბლი დიდი გამოცდის წინ უნდა წარმდგარიყო. მათ მსოფლიოს ხელოვნების დედაქალაქი, პარიზი ელოდათ.

2001 წელს „ერისიონი“ პარიზში გაემგზავრა. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პარიზის ყველა კინოთეატრი ფილმის ჩვენებას „ერისიონის“ კლიპის ჩვენებით იწყებდა. ამ კლიპს ცენტრალური ტელევიზია დღეში რამდენიმეჯერ უჩვენებდა. მას ახლდა საუბრები საქართველოს შესახებ. უზარ-

მაზარი პლაკატები იყო გამოკრული მთელს ქალაქში. ყველა საინფორმაციო საშუალება ხალხს დიდებულ სანახაობაზე დასასწრებად ეპატიჟებოდა.

ქართულმა გენმა და ნიჭიერებამ მარადიული ხელოვნება სამყაროს ყველა ხალხისთვის გასაგებ ენაზე აამეტყველა, და იმდენად შთამბეჭდავად, რომ პარიზის საზოგადოება, ხალხი სერიოზულად დააფიქრა თანამედროვე მსოფლიოში ღირებულებების გადაფასებაზე. ასე აფასებს ფრანგული პრესა „ერისიონის“ გამოსვლებს უზარმაზარ კონგრესის დარბაზში:

„ანსამბლ „ერისიონის“ მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი „ჯორჯიან ლეგენდი“ საშუალებას აძლევს მაყურებელს, საფუძვლიანად გაეცნოს საქართველოს მითებს, გმირულ წარსულს, მის მიერ განცდილ ბედნიერებასა თუ უბედურებას.“

„ორანს სუარი“ 8 მარტი 2002 წ.

„კეთილშობილი და ამაყი სული ისე არსად არის შენარჩუნებული, როგორც ამ ქვეყნის ლეგენდებში; ყოველივე ეს კი საუკეთესოაა გადმოცემული სიმღერისა და ცეკვის იმ ეპოპეაში, რომელსაც „ჯორჯიან ლეგენდი“ გვთავაზობს.“

„გარსონი“ 21 დეკემბერი 2001 წ.

„ქართველი მსახიობები, მიუხედავად თავიანთი ეკონომიური კრიზისისა, საუკეთესოდ აღწევენ დაანახონ მაყურებელს მათთვის უცნობი ქვეყნის ტრადიციები და კულტურა. უდავოდ დიდ პროფესიონალიზმზე მეტყველებს ამ მსახიობთა მსოფლიო მაშტაბის წარმატებები, რასაც თვით „ზეალ ტე“-ის ვარსკვლავებიც კი შეენატრებოდნენ“.

„ფიგარო“ 2002 წ. 7 მარტი

ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიო რუკაზე ქვეყანა, სადაც „ერისიონს“ ქართული ჰანგებით არ დაუტკბია მსმენელი. უდიდესი აღიარების გარეშე არ დაუტოვებია მსოფლიოს არცერთი ქვეყანა. ქვეყნის გარეთ აღიარებულ ანსამბლს სამშობლოში პრობლემები ხდებოდა მუდამ, ხან „შატილის ასულის“ ტექსტის საკითხი აქციეს პრობლემად და ხან კიდევ ვინ იცის რა. ყველა ლიტერატურული პარამეტრის გათვალისწინებით მდარე და მხატვრული თვალსაზრისით დაბალი დონის ლექსი შედევრის დონეზე აიყვანეს სავარაუდოდ ავტორის „კეთილმოსურნეებმა“, ლექ-

სი, რომელსაც ფოლკლორის ოთხივე ნიშანი აქვს.

დღესაც არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი დაკავებული თანამდებობების მიხედვით (რომ არაფერი ვთქვათ ქართული ფოლკლორის სიყვარულზე) ნებისმიერი ფოლკლორული შემოქმედებითი კოლექტივის წარმატება ძალიან რომ უნდა ახარებდეთ, „ერისიონის“ სიმღერის გაგონებაზე ისტერიულად უხმობენ პატრულს საშველად. (იხ. ჟურნალი რეიტინგი 52, 26.12.2005 წ.).

წელს, იანვარში, ანსამბლი ჩინეთში იმყოფებოდა. სხვათა შორის „ერისიონი“ პირველი ანსამბლი იყო, რომელმაც ქართული ფოლკლორი წარმოადგინა.

კონცერტის წინ საქართველოს ელჩმა ბატონმა უკლებამ და ჩინელმა ორგანიზატორებმა ანსამბლის წევრები გააფრთხილეს, რომ ჩინელები უემოციო ხალხია და ტაში თუ არ დაუკრეს არ დაიბნეთო. მაყურებლის ოვაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ტაშით ლამის დაინგრა უზარმაზარი, 8 000 კაციანი დარბაზი. საოცრად ამაყმა საქართველოს ელჩმა ყველა ქვეყნის დიპლომატები, ელჩები დაასწრო კონცერტზე და მადლობის წერილი გამოუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს; „ჩინელი და ასევე უცხოელი მაყურებელი აღტაცებით შეხვდა „ერისიონის“ გამოსვლებს. კონცერტს ასევე დაესწრნენ ჩინეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. კონცერტების ექვმ ასე გაიჟღერა პრესის ფურცლებზე; „კავკასიური სუპერ დიდი პოემა“, „ეს არტისტები საუკეთესონი არიან ევროპიდან“, „ეს ნამდვილი ხელოვნებაა“, „საცეკვაო შედევრი საერთაშორისო სცენაზე“, და ა.შ.

2005 წელს ნოემბერში ანსამბლმა გრანდიოზულად აღნიშნა 120 წლის იუბილე. სპონსორების დახმარებით ქართველ მაყურებელს საშუალება მიეცა ენახა მსოფლიოში აღიარებული საკმაოდ ძვირადღირებული შოუ, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. სპონსორები იყვნენ მინისა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომი“, რომელიც უზრუნველყოფდა წარმოდგენის ფინანსურ მხარეს და კომპანია „ისტერნ პრომოუშენი“, რომელმაც მოაგვარა ორგანიზაციული მხარე.

ამ შოუს ნახვა ნამდვილი საჩუქარი იყო ქართველი მაყურებლისათვის, საზოგადოებამ ასე შეაფასა ეს კონცერტი:

„ერისიონმა“ გარდა ქართული ფესვებისა, ცის იერიც დაანახა მაყურებელს და „მაღალი მწვერვალებიდან“ იმ სილამაზითაც დაატ-



კბო, რასაც ქართული ჰანგი და ცეკვა ჰქვია.“
(„კვირის პალიტრა“ 14 XI-20 XI 2005 წ.)

„ერისიონის“ ქართულ ლეგენდას როდესაც ვუყურებდი, ვგრძნობდი, როგორ გავდიოდი საქართველოს ისტორიაში. რაც კი რამ არსებობს საუკეთესო, რაც ქართულ ზნეს და ჩვეულებას გააჩნია, რომელიც მიბინდულია სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგრამ ქართულ სისხლისმიერ კატალოგშია შენახული, სწორედ დღეს წარადგინა „ერისიონმა“. ეს ჩვენი სულიერი საუნჯეა, რომელიც ხუთი ათასი წლის მანძილზე იქმნებოდა, ეს ჩვენი სულის დაუღლელობის გამარჯვებაა, ეს არის შინაგანი თავისუფლებისა და მაღალზნეობის გამარჯვება, გამოხატული სიმღერითა და ცეკვით, როგორც რეჟისორული, ასევე ყველა სხვა პარამეტრის გათვალისწინებით. ეს შოუ არის ნამდვილი საოცრება.“ (რეზო ესაძე)

„კიდევ ერთხელ დავიბადე, კიდევ ერთხელ გავიხარე, კიდევ ერთხელ ბედნიერი ვარ, რომ ვარ ქართველი. ეს ანსამბლი XXI საუკუნის ანსამბლია“. (მურმან ჯინორია).


„რა გლობალიზაცია, რის გლობალიზაცია კაცო, უნდა იმღერო ასე, უნდა იცეკვო ასე. ეს ანსამბლი ქართული ცეკვისა და სიმღერის ეტალონია.“ (ჯანსუღ ჩარკვიანი).

„მე დღეს ნამდვილი საქართველო ვიხილე სცენაზე. თუ კაცს შენი ქვეყანა გიყვარს, მაშინ ადვილად მიხვდები, თუ რა როლს თამაშობს ეს ანსამბლი ჩვენს სულიერ ცხოვრებაში.“ (ჯიმი ჩარკვიანი).

„ერისიონის“ თავკაცები, ბატონი ჯემალ ჭკუასელი და ბატონი რევაზ ჭოხონელიძე ნამდვილი ხელოვნები არიან. მათ ჩვენი ფოლკლორი ისე გააცნეს მსოფლიოს, რომ არ მოსწყდნენ ეროვნულ საძირკველს, მათ ნამდვილი საქართველო წარმოადგინეს და მე საოცრად ამაყი ვარ და კიდევ ერთხელ ვუხხი მათ ამისათვის მაღლობას“. (ვახტანგ ინაური. ფილოლოგი. პროფესორი).

რამდენიმე დღეში „ერისიონი“ უკრაინაში მიემგზავრება, ხოლო შემდეგ ევროპის ქვეყნებს ეწვევა.





ნოღარ მამისაშვილი

"და მოიხსან მინა
ქვეყნად!"*

შორეულ, ძალიან შორეულ წარსულში გაუდგამს ქართულ ფენომენს ფესვები. სიტყვაკაზმულად თუ ვიტყვით, ქართველი ერის ისტორია იმდენი ხნისაა, რომ მითების იდუმალი ხატოვნებით იწყება. მათი რიტუალი, მისტიკური წარმოდგენები და ტრადიცია კი ერის მეხსიერებაა. სწორედ ამ მეხსიერებით მოვედით XXI საუკუნეში, სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებების, ეკოლოგიური კატასტროფების, ძალმომრეობისა, თუ ეროვნული თვითმყოფადობის „შთანთქმის“ მცდელობათა საუკუნეში... და მაინც, დროის ათვლის რომელიმე წერტილიდან, შესაძლებელია ახალი ვირტუალური პანორამების დანახვაც. იქ კაცობრიობის მიერ შექმნილი

* ეკლესიასტე.

მსოფლიოს მუდმივი ღირებულებები ეროვნულ ფასეულობათა გადარჩენის იმედით ალაგსებენ ადამიანებს.

ჩვენი პლანეტის გლობალიზაციური პროცესებით დამუხტულ სივრცეში მხოლოდ სულიერებით ამალღებულ ხელოვნებას ძალუძს მოვლენათა ახლებური გაგება — ეს ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებათა აუცილებლობაა, მით უფრო რომ ახალი გადასახედიდან ახალი კანონზომიერებებიც ჩნდება.

მახსოვს, როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაინვა, თითქმის სამი კვირის განმავლობაში ვათვალისწინებდი დამწვარ შენობას. მაინტერესებდა კედლებში ჩატანებული სარეზონატორო „ქვევრების“ განლაგების პრინციპი. ჩემს გაცუებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა „აღმოვაჩინე“, რომ სარეზონატორო წერტილები მთელ შენობაში იყო განაწილებული. ამრიგად თეატრის ყველა ოთახი, სცენა, დარბაზი, დერეფნები ერთიან აკუსტიკურ სივრცეს წარმოადგენდა. კედლებში ჩატანებული სარეზონატორო „ქვევრები“ საინტერესო ინტერვალური პროპორციებით იყო განლაგებული. ნანახით გამოწვეული განცდა იმდენად ძლიერი იყო, რომ საქართველოს რუქასაც ამ შთაბეჭდილებით დავხედე. ბოლოს და ბოლოს ქართულ სასიმღერო კულტურაში ასეთი უნიკალური მრავალხმიანობა შემთხვევით ხომ არ შეიქმნებოდა. ქართული ეკლესიების, სამლოცველოებისა და სამრეკვლოების მაღლიც რომ სიყვარულისა და მიმტევებლობის უკვდავებასავით დაჰფენია საქართველოს, ვიფიქრე იქნებ ოპერის თეატრის შენობის მსგავსად მთელი საქართველოც ულამაზეს ჰარმონიათა ვიბრაციების მიკრო სამყაროა, თავისებური ოაზისი ევროპასა და აზიას შორის.

მართლაც, განა გასაოცარი არ არის, რომ ჩვენი პლანეტის 12 კლიმატური ზონიდან 9 საქართველოშია. ხოლო მუსიკაშიც მსოფლიო სტანდარტად აღებული 12 ბგერიანი სისტემიდან ქართული მუსიკალური აზროვნების ბაზისად გვევლინება 9 ბგერიანი სტაბილური აკუსტიკური წყობა?

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ საქართველოს 15 ტიპოლოგიური კუთხის თავისებურებები მისტიკურ გადაძახილშია ფარული 15 ბგერიანი კილოებრივი რიგების ინტონირებით მრავალფეროვნებასთან. (ამდგვარი დამთხვევები სხვა ქვეყნების კულტუროლოგიურ სფეროში არ გვხვდება. ბერძნულში ბგერათა ერთიან ველშია 36, ინდურში 23, არაბულში 17 და ა.შ.)

ცნობილი ქართველი რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „გზა“ ელექტრონუ-

ლი მუსიკის ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით აკუსტიკურ „ბანკში“ შევიტანე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩანერილი მთვარის საკულტო სიმღერები (კახური, რაჭული, სვანური, გურული, აჭარული და ა.შ.). ისინი ჰანგთა ნაფენით გავამთლიანე, განსხვავებულობის მიუხედავად თითოეულმა ერთმანეთი გაამდიდრა. მივიღე ერთი, საერთო ქართული ჰანგი თავისი ლამაზი ფონითა და ჰარმონიით, თავისი მრავალფეროვანი ჰარმონიით და პოლიფონიით. ამ წყნარ გამთლიანებულ მუსიკაში საოცარი, შინაგანი პოტენცია და ძალა იგრძნობოდა. ვინ იცის იქნებ საქართველოც ამიტომ იყო უძლიერესი როცა მთლიანდებოდა?.. რადგან არ არსებობს კახელი მეგრელის გარეშე, გურული რაჭველის გარეშე, ფშაველი აჭარლის გარეშე... თითოეული კუთხისა თუ ტომის წარმომადგენელშიც მთელი საქართველოა. სამყაროს ჰოლოგრამის მსგავსად ყველაში ერთია და ერთში ყველა. აკი ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა აკაკიმ ბრძანა კიდევ: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“, ჩონგურსაც ხომ სიმთა განსხვავებულობის გარდა ერთი რეზონატორი და ერთიანი ტემბრული ფერადოვნებაც გააჩნია.

ქართული ჰარმონიის უნიკალური მაჩვენებელი მისი კონსტრუირების ორმაგი მოდულია: ა) 500 ცენტი და ბ) 700 ცენტი (ცენტი ბგერათა დაშორების აკუსტიკური ერთეულია, როგორც ზომის ერთეულია-სანტიმეტრი), ორმაგად შედგენილი მოდული კი ეყრდნობა 900 ცენტთან ბაზისს. მისი მეტაფორული გამოხატვა შეიძლება სამკუთხედით:



ამ აკუსტიკურ სამკუთხედში ბუნებრივად არის ჩადებული ქართული მრავალხმიანობის რეალური და ვირტუალური პოტენციალი. ამ სამკუთხედში დაიბადა შესანიშნავი მოაზროვნის, ეკლესიის დიდებული მოღვაწის, იოანე პეტრინის გენიალური ტერმინი: „შეყოვლება“. იმ ეპოქაში ეს ტერმინი უფრო სრულყოფილი მნიშვნელობის განმარტება იყო, ვიდრე ანტიკური „სახის ჰარმონია“, ან შემდგომ ეპოქებში გავრცობილი ტერმინი „განსხვავებულთა ჰარმონია“.

იოანე პეტრინისეული „შეყოვლება“ გულისხმობდა ხარისხობრივად შერჩეულ განსხვავებულთა ისეთ ერთობას, როცა შესაძლებელია მოხდეს გამთლიანების უნივერსალური პროცესი. საგალობელში ხმათა ერთობის

გამთლიანებული სრულყოფილება ერთგვარად ემსგავსება ქრისტიანული სამების პოსტულატს.

აღბათ ამიტომაც ჩვენი ბუნების მრავალსახოვან ნალკოტში ღვთიურ სამხმიანობად აჟღერებული მუსიკა ქართულ ენასთან და სარწმუნოებასთან ერთად ქართული აზროვნების, ქართული ფენომენის დამცავი კოდია, იგი უნიკალურ შესაბამისობაში მოდის ქართველის სხეულის ანატომიურ-ბიოვიბრაციულ სარეზონანსო არსებთან.

მეხსიერებაში დაფარულ განცდათა კალეიდოსკოპი თითოეული ჩვენი კუთხის ხილვის დროს ახლებურად იმუხტება, თითქოს ჟამთა სუნთქვას გრძნობ, დროს „ხედავ“ და სილამაზეს ეფერები.

საქართველო, ასტროლოგიური ვიბრაციების თვალსაზრისითაც წარმოუდგენლად საინტერესოა. აღბათ კოსმოსიდან იგი სამოთხის ულამაზეს ბაღად მოჩანს. თითოეული კუთხე თავისი კოლორიტული „ყვავილებით“ ინონებს თავს. თითოეულს თავისი რეზონანსული ველი აქვს; ბუნება, წყალი, მინერალები, ღვინო, ხეხილი. თითოეულს თავისი „ტონი“, „ტემპი“ და „ტემპერამენტი“ გამოარჩევს... „ასტრალის“ თვალსაზრისით, თუ მდინარეები სწრაფი დინებით ბარში ეშვებიან და დასავლეთით ზღვას უერთდებიან, მაშინ იმ გარემოში ენაკვიმატი, სწრაფი და ენერგიული ხალხი უნდა ცხოვრობდეს, მართლაც ასეთნი არიან გურულები, მათი ენაკვიმატობა ვირტუოზულ კრიმანჭულადაც კი გადაქცეულა. ურთულეს მრავალხმიანობაში ისინი სასიმღერო მიმოქცევენ ისე „უბრალოდ“ ასრულებენ, გვეგონებათ ერთმანეთს ესაუბრებიან, ან მხიარულ ამბებს უყვებიანო.

მეგრულო „ჯან, სულო“ ხომ შოუ-იუმორესკაა. „ქუდია თუ ბოხოხია“, თუ „გველეშაპი“ ისე მოხდენილად არის ჩართული სამსახიობო წარმოსახვაში, რომ ეს ხალისიანი მუსიკა შეიძლება რეჟისორის დადგმული გეგონით. უძლიერესი დინამიკით დამუხტული აჭარული „ხორუმის“ გვერდით, სარკასტულად თეატრალიზებული „განდაგან“ ბრწყინავს, ნადური ხომ შრომისა და შეჯიბრის „სიმფონიზირებული“ რიტუალია.

აკი შორეულ წარსულში მეფე აიეტმა ოქროს საწმისის მაძიებელი იასონი შრომის შეჯიბრში გამოიწვია და არა სისხლიან დუელში. იმერულ მგზავრულში კი იმდენი ენერგიაა ამღერებული, რომ მისი სანვავად გადაქცევა სულ მცირე ცხრაჯერ შემოგვაფრენს დედამიწას. იქნებ სწორედ ამ სიცოცხლის ენერგიით სავსე ხასიათებში იბადებიან საოცარი სინაზით გამორჩეული იმერული და

გურული ლირიკული სიმღერები, აჭარული სატრფიალო ან მეგრული ნანები. ისინიც ხომ მათი ფსიქოგანწყობის სიმდიდრეზე მეტყველებენ.

... მაგრამ საქართველოში მდინარეები დასავლეთის გარდა აღმოსავლეთისკენაც მიედინებიან და აღმოსავლეთით მდებარე ზღვას (კასპიის ზღვა) ერთვიან. ასტროლოგიას აქაც თავისი განმარტება აქვს. თუ „მზის პირველი სხივის შესახვედრად“ მდინარეების დინება მდორეა, მაშინ იქ მცხოვრები ადამიანები გამოირჩევიან სიღინჯით და „გაუტეხავი“ ხასიათით. მართლაც ასეთი არიან „სამოთხის ვაზის“ გამხარებელი და „ღმერთების სასმელი“ ღვინის დამყენებელი ჰერეთელები, კახელები, ქართლები. მანავის მწვანით, რქანითელითა თუ საფერავით დალოცვილი გენიალური ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“ დღესაც მიფრინავს კოსმოსური რაკეტით სამყაროს უსასრულობაში. ის ხომ ქართული სუფრიდან აფრინდა, როგორც კაცობრიობის მიღწევებისა და გადარჩენის ჰიმნი-სადღეგრძელო. საქართველოს მთიანეთში კი აზიური და ევროპული ქანების შეჯახებით ამოზიდულა დიდებული კავკასიონი. „ნისლი ფიქრია მთებისა, მისი კაცობის გვირგვინი“, უთქვამს ვაჟას* და ეს ფიქრი დღეს ხევსურთა, ფშავთა — თუშთა და მთიელთა ფიქრით დამძიმებულა... და მიუხედავად განცდათა სიღრმისა, პრობლემებისა „მთის ფიქრი“ მაინც მუდამ ნათელია და იმედიანი.

... „სხვა საქმე კი არა აქვსო, სადევგმიროს გაირჯოდაო...“ „ფანდურზე დაამღერებს ხევსური,... „ლაშარს გიკითხავენ სწორებით“ — დალაობაზე საიქიო და სააქაო კაცობის ერთიან სრბოლად უქცევიათ თუშებს,... „რაცა აქედან გამყვება, იქიდან გაგისწორდებაო „მთის იუმორით“ მღერის ფშაველი და გრძნობს, რომ ეს ჰანგებად აუღერებული სიტყვები იმედისა და სულის უკვდავებაში იბადებიან.

დანტე ალეგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“ ჯოჯოხეთის კარიბჭეზე წარწერაა: „*asciate ogni speranza voi ch'entrate* — აქ შემოსვლელთა იმედი გადაიწყვიტე“. უბრალო ქართულ ზღაპარში კი კეთილმა მოყვასმა უბედურების ქვესკნელშიც მიმტევებლობის იმედად ბროლის კოშკი აუგო ცოდვილ სულს. ასე მგონია, რომ ქართველის ხასიათში ყველაზე ტიპური იმედის უკვდავებაა. შეუძლებელია, რომ ქართულ სხეულში იმედი არ ღვიოდეს. ჩვენი მთიანეთი ყოველთვის იყო და იქნება იმედის სიმტკიცე.

* ვაჟა ფშაველა.

აკუსტიკურ ვიბრაციულ ველს ბგერათა ტოპოფონიკური წამმართვის მრავალი ფორმა გააჩნია (მონო, სტერეო, ცირკულუს და სხვა) ერთ-ერთი პოპულარული ფორმა მიმართულებათა „კვადროა“. საქართველოს ბუნებასაც აქვს ასეთი კვადრო: აფხაზეთის, ლაზეთის, საინგილოს და სამაჩაბლოს ბუნება და იმ ბუნებაში მცხოვრებ ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული განსხვავებული ხასიათები, ხელოვნება, რიტუალები. მათ მოყვასის სიყვარული თუ გააერთიანებთ. ისინი თავისებური ვიბრაციული გასასვლელი არიან და მე მათ აღვიქვამ, როგორც სახმელეთო „ნავიგაციისკენ“ მიმავალ ცენტრებს. მათი ხელოვნებაც ამ გეოგრაფიულ მიმართულებებთან კულტუროლოგიურ შესაბამისობაშია, თუმცა ქართული ხელოვნების სიმდიდრე აქაც ხელს უწყობს მრავალფეროვნებათა განვითარებას.

ასტროლოგიური თვალსაზრისით აღმოსავლეთისა და დასავლეთის მდინარეების ვირტუალური გადაკვეთის დიაგონალები ჰქმნიან თავისებურ ოქროს კვეთს. ამგვარ რეზონანსულ ველში ყველაზე მდორე იმპულსების წრედი იქმნება. სწორედ ამ ზონაში მდებარეობს რაჭა და სწორედ რაჭულ სიმღერებში ჰპოვა სიმშვიდის ჰარმონიამ სრულყოფილი ასახვა. ერთადერთი რასაც რაჭაში შეიძლება არ „ენდოთ“ ეს მოფერებითი სახელებაა. მაგალითად, „ქორწილუკა“ იქ შეიძლება სამ დღეს გაგრძელდეს. „ბოთლუკაში“ შეიძლება 4-5 ლიტრი ღვინო ჩადიოდეს. „დალიედა შეგერგება“ შეიძლება რაჭველებმა იმდენი გამღერონ, რომ გინესის რეკორდებში მოხვდეთ. რას იზამ, ესეც ხომ სიყვარულის ველში იბადება და ერთხელ კიდეც გარწმუნებთ, რომ „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“*.

მზის სხივებით გაბრწყინებული თეთნულდი კი მომხიბლავ ქალღმერთ დალივით გადაჰყურებს სვანეთის ულამაზეს ბუნებას. შოროსკოპული სახლივით სვანეთი ერის მესხიერების თავისებურ კონდენსატორად რჩება. აქ თითქოს მითებიც იბადებიან. უძველესი სახალხო მისტიკური და რელიგიური რიტუალები თითქმის პირველყოფილი ბუნებრიობით შემოგვრჩა ამ უძველეს კუთხეში. აქ თითქოს მთელი საქართველოს წარსული ცოცხლდება.

თანამედროვეობისათვის დამახასიათებელმა ცვალებადობათა დინამიზმმა, კონგლომერატულ იდეათა თანაარსებობამ, დაბალ ენერგიათა მოზღვავეების ფონზე ადამი-

* გალაკტიონ ტაბიძე.

ანთა სულიერ სამყაროში ყოველდღიურობის ბზარი გააჩინა. დევიზმა „გემოვნებაზე არ დაობენ“ შეიფარა და შეიფერა უგემოვნებობა, დილეთანტიზმი, „საბაზრო ხელოვნება“.

საბედნიეროდ კაცობრიობამ შეინარჩუნა სულიერი ამაღლების რიტუალები, რომელთა ციკლურობა არის სამყაროს სილამაზის გადარჩენის ტოლფასი. ასეთია მაგალითად ქრისტიანული უკვდავების უმაღლესი გამოხატულება-აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და ღვთიური ცეცხლის გარდმოსვლის სასწაული.

დღემდე აღდგომის სარიტუალო სვლის მხოლოდ ორი უძველესი ფილოსოფიურ-რელიგიური ფორმა არის შენარჩუნებული. პირველი ეს გახლავთ თეატრალიზებული სანახაობა, რომელიც პირველმა არაბმა ქრისტიანებმა შეინარჩუნეს, მეორე კი სვანების ისეთი რიტუალური კომპოზიციაა, რომელიც ხელოვნების შედევრად შეიძლება ჩავთვალოთ. უსმენ, უყურებ ჩვენ საუკუნემდე მოსულ, სულიერების საგანძურში გადარჩენილ სვანურ ნიმუშს და რწმუნდები, რომ „ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“ უკვდავია „რამეთუ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს“* და მისი გამჟღავნება მხოლოდ სიცოცხლის მუდმივობაშია შესაძლებელი.

საინტერესოა ისიც, რომ ზემოთ აღნიშნული ეს ორი რიტუალი ურთიერთის მიმართ ინვერსიულია, თუმცა რელიგიური წარმოდგენის თვალსაზრისით ორივე უაღრესად საინტერესო პირველწყაროა.

არაბულ-ქრისტიანული ინყება ყოფიერებითი ქაოსით. რიტუალში მონაწილენი ყვირიან, მხიარულობენ, დაფდაფებს აბრა-ხუნებენ, ინსტრუმენტებში ჩასძახიან, თავ-შეუკავებელი ფივილ-ხივილია. რიტუალის ეს საწყისი ნაწილი ქრისტიანული კანონიკის ზოგიერთმა დამცველმა კერპთაყვანისმცემლობის ზეიმს მიასგავსა. სამწუხაროდ ზოგს ქრისტიანული რელიგიის წინა წყაროების არცოდნა, ზოგს ფანატიზმი, ზოგს რელიგიური ხელოვნების სუბლიმაციურ პროცესებში გაურკვევლობა ხელს უშლის ჯეროვნად შეაფასოს წმინდა მამების მიერ შექმნილი მარადიული ღირებულებები. ხან კი პურიტანული მცდელობებით სურთ საკუთარი ნება და აკრძალვები დაურთონ ჭეშმარიტ კანონიკას, ასე იყო მაშინაც, როცა პირველი არაბი ქრისტიანები არ დაუშვეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე. არ დაუშვეს და ცეცხლიც არ გარდმოვიდა. რა გენიალურად უთქვამს რუს-

თაველს: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაც-სა შენგან განაწირსა“. არაბული რიტუალი განახლდა და ღვთიური ცეცხლიც გარდმოვიდა. ამ რიტუალის ფილოსოფიური არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანთა ყოფიერების პერიოდები თეატრალიზებულად იყო წარმოდგენილი. ჯერ ქაოსი, დაბალ ენერჯითა ზეიმი, ხორციელთა ყიჟინა, განა ამ ხორციელმა ქაოსმა არ აიორჩია ბარაბა და ჯვარს არ აცვა ქრისტე? შემდგომ ასევე სიხარული, რომ მოხდა სასწაული და აღსდგა ქრისტე. რიტუალის მესამე ეტაპზე უკვე „ბრბოში“ მოკრძალება ისადგურებს, რიტუალური მსვლელობა „წყნარდება“ სულიერების საოცარი ძალა თავისებურ აკლიმაციურ გალობაში გადადის — ქრისტე აღსდგა! ისმის საკურთხეველის „ზეციდან“, ჭეშმარიტად აღსდგა, პასუხობს მრევლი. არაბი მლოცველები მოკრძალებით ბრუნდებიან სულიერებით აღესილნი, გაბრწყინებულნი. აი ესეც სიყვარულის გამარჯვებაა ცოდვაზე... ზეიმობს მსოფლიო, გალობაში მრავლდება მადლი, აღდგომის ძალით იწყება ადამიანთა სულიერი ძალების განახლება, იმედის გაბრწყინება.

ახლა ვნახოთ სვანების რიტუალის თავისებურება. ჩვენი ღრმა რწმენით ეს კიდევ უფრო ძველია ვიდრე არაბული საქრისტიანო რიტუალი. იგი იწყება ქრისტეს აღდგომის მიმართ განსაკუთრებული მონივნის გრძობით. ისინი ისეთი სიმსუბუქით მიემართებიან მთის წვერზე „დადგმულ“ ეკლესიისკენ, თითქოს ბაბილონის კედელი ააშენეს და ღმერთს უახლოვდებიანო. კრძალვით შედიან ეკლესიაში და „მახარობელი“ აუნყებთ ქრისტეს აღდგომას. იწყება საოცარი საგალობელი. სვანებს თითქოს ყელის ანატომიაც სხვანაირი აქვთ, თითქოს მათ გალობას ბუმბერაზი კავკასიონის მთების ექოც უერთდება. რა საოცარი ძალაა აღდგომის სიხარულისა, მიმტვევებლობისა, სიყვარულისა... ასე ალბათ მხოლოდ სვანებს ძალუძთ, შემდეგ მოკრძალებით ნელა და სათითაოდ გამოდიან ტაძრიდან. ეკლესიის კარიდან ზურგით გამოსული მაშინვე მარცხნივ ტრიალდება, მოძრაობა თანდათან იღებს საფერხულო პოზას. თანდათანობით იკვეთება სიმღერა-ფერხული. სვანები სამგზის უვლიან ეკლესიას. უყურებ ამ ულამაზეს სანახაობას და ფიქრობ, რომ ქართველებს რაინდობის ხანა არ ჰქონიათ, ისინი რაინდებად დაიბადნენ და რაინდებად დარჩნენ. ამ ძალამ გადაარჩინა საქართველო, ეს ძალა აშენებდა ეკლესიებს მაშინაც კი, როცა ძალიან გვიჭირდა. დიდგორის ბრძოლის დროსაც ამ შეუპოვრობამ გახადა ღირსი ქართული მხედრობა წმინდა გიორგის ხატე-

* იოანე ზოსიმე საბანმინდელ-სინელი.

ბის ხილვისა. და მთავარი კი ის არის, რომ ეს ძალაც ლოცვის მაღლმა გააჩინა.

აბა სცადეთ და ეკლესიაში სვანებს სთხოვთ: კინო გადაღებისთვის ერთხელ კიდევ დამატებით გაიმეორონ საგალობელი, ამ საოცრად კეთილი ადამიანებისაგან აუცილებლად უარს მიიღებთ. ისე ვიმღერეთ, როგორც უფალმა ინებაო, გეტყვიან სვანები. ისიც საინტერესოა, რომ ფერხულით მთავრდება აღდგომის რიტუალის მხოლოდ რელიგიური ნაწილი, მაგრამ არ მთავრდება სარიტუალო კომპოზიცია. სვანები ეხლა უკვე სულიერად ამაღლებულნი „უბრუნდებიან“ საერო ცხოვრებას. იწყება ცეკვა, შეჯიბრი, აღდგომის სიხარული საერო ღვინად იქცევა. ყოველივე ზემოთ თქმულს დაუმატებთ თბილისის წმიდა სამების გრანდიოზულ ტაძარში ლოცვა-კურთხევის აღვლინება. გალობა, რომელსაც უერთდება გალობანი სვეტიცხოველში, გელათში, ალავერდში... ყველგან, ყველა ჩვენს ეკლესიაში, საქართველოს ბუნების ექოებთან შერწყმული სამრეკვლოების ზართა გადაძახილში ისმის ლოცვის მიმტევებლობის და მონანიების გადაძახილი და გიპყრობს განსაკუთრებული შეგრძნება, რომ დაიბადე და ცხოვრობთ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ასე იყო და ასე იქნება. შობა, აღდგომა, გიორგობა, ამაღლება და საერთოდ ყველა ქრისტიანული დღესასწაული არის უძლიერესი იმპულსი არსობისა, იმპულსი რწმენისა, იმედი სიცოცხლის მახარობელი მზის ამოსვლისა, ასე იყო მუდამ!... „მზე ამოდოდა, მთვარე ჩადოდა, მამალი ყოოდა, კვამლი ადიოდა, ვიღაცა ტიროდა, ვიღაცა ჩიოდა, ვიღაცას შიოდა, ვიღაცას ციოდა“*...

ვიღაცა ხატებს ტყვიებს ესროდა, ვიღაცას გელათის ტაძრების აფეთქება სწაღდა, ვიღაცა ბაგრატის ტაძარს აფეთქებდა, ვიღაცა საკუთარი ქვეყნის დასაპყრობად უცხო ჯარს მოუძღოდა... ვიღაცას ქართული გალობის უკვდავი შედეგები არ მოსწონდა და ერთხმაში უნდა ვიგალობო დაჟინებით ამბობდა... ვიღაცას ტრადიცია ძველ კოსტუმად მიაჩნდა და უნდა დროზე მოვიძრო და გადავაგდო, ფიქრობდა, ვიღაცა უცხო ბაძავდა, ის უფრო თანამედროვეაო! ჰკიოდა და არ იცოდა, რომ ქართველებმა ის „ახალი“ ჩვენ წელთაღი-ცხვამდე გაიარეს... ღმერთო ჩემო, რამდენი კიდევ ასეთი ვიღაცა უნდა გაჩნდეს საქართველოში? რა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას ამდენი ვიღაცისაგან? ალბათ ისევ სიყვარული. ვაჟა-ფშაველას კლდეცხომ ერთხელ სთქვა „გიყვარდეთო“ ერთმანეთი, სვანაირად შეიძლება ქვეყანა ისევ მინად „მოიქცეს“. „ვესავ ქრისტესა, ვითარმედ მოუკლებლად იყოს ვედრებაი თქუენტვს მისსა მიმართ, რა ყოველთა სარწმუნოებით მვედრებელთათვს და შვილთა ჩემთათვს, რათა ჰპოონ ღმერთსა მიერ წყალობაი და შეწვენაი სრულიად სიხარულად საუკუნოდ“. რა შეიძლება დაემატოს გრიგოლ ხანძთელის ამ ლოცვად ქცეულ სიტყვებს? ალბათ მხოლოდ ერთი:

— ამინ!

კომპოზიტორი, თეორეტიკოსი,
პროფესორი
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ნოდარ მამისაშვილი

* მუხრან მაჭავარიანი.



„ქახთული გენია — ხოჯვით განფენილი“



ანსამბლი „ერისიონი“, სოლისტი ტარიელ შილაძე



კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.
ელ-ფოსტა: vajao@posta.ge




ელენე აბულედიანი

აფხაზეთი.

6104/18

838/03
2006



ელენე აბულელიანი

გომბორი.

ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი

